პეტრე ვაჭრიძე

# ხონის სამასწავლებლო (საოსტატო) სემინარია 1881-1921



თბილისი
2000

რედაქტორი: ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი *რამაზ ხუროძე*

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი *მიხეილ ნიკოლეიშვილი,*

პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი *იმერი ბასილაძე*

წიგნის სპონსორია: *ჯემალ უგულავა*

## წინასიტყვაობა

ხონის საოსტატო სემინარია, რომლის ოფიციალური სახელწოდება იყო „ქუთაისის სამასწავლებლო სემინარია (დაბა ხონში)“, ერთ-ერთ საუკეთესო საშუალო პედაგოგიკურ სასწავლებელს წარმოადგენდა მთელს ამიერკავკასიში. იგი სოფლის დაწყებითი სკოლებისათვის მაღალკვალიფიციურ კადრებს ამზადებდა. მომავალი სახალხო მასწავლებლების სწავლა-აღზრდის საქმეს ემსახურებოდნენ. მოსკოვის, პეტერბურგის, ხარკოვის, ნოვოროსიისკის და სხვა ცნობილი უნივერსიტეტების კურსდამთავრებულები. მოსწავლეები არა მარტო მყარ თეორიულ ცოდნას იღებდნენ სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებში, არამედ სერიოზულ პრაქტიკულ წრთობასაც გადიოდნენ მომავალ პროფესიაში. საცდელი-საჩვენებელი გაკვეთილების გადაცემის ტრადიცია წმინდათა-წმინდა იყო სემინარიაში. პრაქტიკანტის სანიმუშო გაკვეთილს, რომელიც ტარდებოდა სემინარიასთან ამ მიზნით სპეციალურად დაარსებულ დაწყებით სასწავლებელში, ესწრებოდა მთელი კლასი, დამრიგებელი და საგნის მასწავლებლები. გაკვეთილის გარჩევა ხდებოდა პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, რომელსაც სემინარიის დირექტორი თავჯდომარეობდა.

სემინარია თავის აღსაზრდელებს მარტო დაწყებითი სკოლის მასწავლებლად კი არ ამზადებდა, არამედ სოფელში მოღვაწეობისათვის საერთოდ. ამიტომ ეთმობოდა დიდი ადგილი სასწავლებელში ხელით შრომას, სოფლის მეურნეობის საფუძვლების გაცნობას, მეფუტკრეობას, მეაბრეშუმეობას... სოფლის მასწავლებელი ფიზიკურად ძლიერი (სხვათა შორის, სასწავლებელში ფიზიკური ნაკლის მქონე ახალგაზრდებს არ იღებდნენ) და კულტურული პიროვნება უნდა ყოფილიყო. ამიტომ ექცეოდა ასე დიდი ყურადღება სპორტს

გიმნასტიკას და გალობა-მუსიკას (საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ამ საქმეს XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან სემინარიის არსებობის უკანასკნელ დღემდე და შემდეგ პედაგოგიურ ტექნიკუმშიც კი, ხელმძღვანელობდა „კარგი ევროპელი“, ხონელების მიერ თითქმის ლეგენდარულ პიროვნებად ქცეული, ჩეხი ეროვნებით — ანტონ ვიაჩესლავის ძე ჰაუდეკი) ამიტომ ეწყობოდა ასე სისტემატიურად, ესთეტიკური თვალსაზრისით ხშირად უნაკლო, ლიტერატურულ-ვო-

კალურ-მუსიკალური დილა-საღამოები, იხვეწებოდა სემინარიელთა მხატვრული გემოვნება.

სემინარიას შესანიშნავი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ჰქონდა ლამაზი შენობა, ხელსაწყო-აპარატურით აღჭურვილი კაბინეტ-ლაბორატორიები, მდიდარი ფუნდამენტალური ბიბლიოთეკა, უახლესი და ძვირადღირებული გამოცემებით: მათემატიკური, საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიული და ისტორიული მეცნიერებათა დარგში, საბუნებისმეტყველო-ისტორიული მუზეუმი და ა.შ. სემინარიის შტატი და ბიუჯეტი, რომელიც იმ დროისათვის სოლიდურ თანხას ითვალისწინებდა და სწავლა-აღზრდისათვის ყველა საჭირო პირობას უზრუნველყოფდა, თვით იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ დაამტკიცა.

სემინარია-პანსიონით სახელმწიფო სასწავლებელი იყო. მასში აღზრდილს სახელმწიფოს დავალება უნდა შეესრულებინა. იგი მიუხედავად ეროვნებისა (ეროვნებას მაშინ მაინცდამაინც დიდი ყურადღება არ ექცეოდა გრაფაში „ეროვნება" იწერებოდა: რუსი, ქართველი, იმერელი, გურული, მეგრელი, კახელი, მთიელი და ა.შ.) რუსი მასწავლებელი უნდა ყოფილიყო, რუსული აზროვნებით, რუსული სულისკვეთებით და იქნებ რუსული ცნობიერებითაც. სახელმწიფო სასწავლებელში აღზრდილი მასწავლებელი ხალხში მეფის ხელისუფლების პოლიტიკის გამტარებელი უნდა ყოფილიყო. მას ხელი უნდა შეეწყო ეს ეთნიკური სიჭრელე — სვანი, მეგრელი, კახელი, გურული, იმერელი და ა.შ. ერთ საერთო რუსულ მასად გადაქცეულიყო. ამიტომ იკრძალებოდა დაწყებით სკოლებში რუსული ენის სწავლება მთარგმნელობითი მეთოდით ე.ი. ქართულის გამოყენებით და უშედეგოდ ცდილობდნენ დაენერგათ ანტიპედაგოგიური და ანტიქართული მუნჯური მეთოდი.

ყოველივე ქართული, ეროვნული ზოგჯერ დაცინვას, უფრო ხშირად ირონიულ ღიმილს იწვევდა ცარიზმის მიერ გაწვრთნილ ჩინოვნიკ-მასწავლებლებში, რომლებიც ხონში თავიანთი „მოღვაწეობის" უპირველეს მიზანს ქართველი ხალხის ასიმილაციის პროცესის დაჩქარებაში ხედავდნენ. იუბილეები ეძღვნებოდა მეთოდესა და კირილეს, კუზმა მინინსა და პოლტავის ბრძოლას, პეტერბურგის დაარსებას, პუშკინს, ლერმონტოვს, გოგოლს... თითქოს არც ყოფილან წმ. ნინო, იოანე საბანისძე, გრიგოლ ხანძთელი, შოთა

რუსთაველი, თითქოს არ ყოფილიყოს დიდგორის ბრძოლა და დავით აღმაშენებელი, თედორე ბერი და ცოტნე დადიანი. ქართველ მოსწავლეს ეს არ უნდა სცოდნოდა. ის ხომ რუს მასწავლებლად იზრდებოდა და მოწოდებული იყო ერთგულად ემსახურა იმპერიისათვის.

მაგრამ სემინარიამ ცარიზმის იმედები ვერ გაამართლა, სემინარიაში აღზრდილი განათლებული მასწავლებელი ქართველი დარჩა, ქართული საქმისათვის მებრძოლთა რიგებს შეემატა. ამაშია ხონის სემინარიის უდიდესი დამსახურება. ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი მოძრაობის წინაშე. სემინარიამ, შეიძლება ითქვას, სავსებით გაამართლა იმედები იმ ხუთასი კაცისა, რომლებიც თავიანთი ყრილობის „პრიგავორში" ასე დაბეჯითებით მოითხოვდნენ სასწავლებლის ხონში გახსნას და არა მარტო მათი, არამედ მთელი ქართველი ხალხის. ხონის სემინარიაში აღიზარდა ქართული მეცნიერების, კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების, სახალხო განათლების, საზოგადოებრივი მოძრაობის ბევრი თვალსაჩინო მოღვაწე: ეუკოლ ბერიძე, ლუარსაბ ბოცვაძე, ვარლამ ხუროძე, იასონ ნიკოლაიშვილი, ვარლამ ძიძიგური, ტრიფონ თაბუკაშვილი, დომენტი თომაშვილი (ოყრეშიძე), ლაზარე ხმალაძე, ლევან ყიასაშვილი, ლავრენტი ჩიმაკაძე, გიორგი ბოკერია, მელიტონ გობეჩია, იერემია გულისაშვილი, არქიფო ტყემალაძე, კორნელი ქაცარავა, ერმილე შარაშიძე, ალექსანდრე ჩხეტია, ანდრო შუბლაძე, სიმონ გოგლიჩიძე ე. ცაგარეიშვილი და მრავალი სხვა.

ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობასთან დაკავშირებით ცარიზმი იძულებული იყო შაკრაზმელი დირექტორები სოკოლოვი თუ დევიცკი ალექსი ჭიჭინაძეთი და ათანასე ხარაბაძეთი შეეცვალა. მათი ხელმძღვანელობით სემინარია მოწინავე პედაგოგიური იდეების ერთ-ერთ ძლიერ კერად გადაიქცა საქართველოში. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ პედაგოგიური განათლების დარგში ხონის სემინარიის მიერ დამკვიდრებულმა ტრადიციებმა მნიშვნელოვნად განაპირობეს დასავლეთ საქართველოში უმაღლესი პედაგოგიური განათლების ისეთი ცენტრის შექმნა, როგორიც იყო ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი, ამჟამად აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

რატომ დაარსდა სემინარია ხონში, ამაზე პასუხს ამ დაბის ისტორიული წარსული და XIX საუკუნის 80-90-იან წლებში მისი კულტურული ცხოვრების დონე იძლევა. ასე ფიქრობდა აკაკი წერეთელიც, როცა სემინარიის ხონში გახსნას უჭერდა მხარს და ხონმა შეძლო "მოევლო" სემინარიისათვის-ინტელექტუალურადაც, ეკონომიურადაც...

ისე როგორც შუა საუკუნეებში წმ. გიორგის ეკლესია, ახალ ეპოქაში, საოსტატო სემინარია-ხონის სიმბოლოდ იქცა.

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისის მრისხანე დღეებს ვერც სემინარია გადაურჩა. მისი ნაწილი დაინგრა. ხონის საზოგადოებრიობა ამას ვერ შეურიგდებოდა. გატარდა სასწრაფო ზომები სემინარიის შემდგომი ნგრევის შესაჩერებლად. სემინარიის ნახევრადდანგრეული შენობა ახლადაღდგენილ (1996 წ.) ხონის ეპარქიას გადაეცა. უსათუოდ ესეც ღვთის ნებაა. ახლა სემინარიის აღდგენა-რესტავრაციის საქმეს ხონის ეპარქიის მმართველი მეუფე-ხონელი საბა უდგას სათავეში. ამიერკავკასიაში ერთ-ერთი თვალსაჩინო საშუალო პედაგოგიკური სასწავლებლის ისტორიის, შესწავლისა და გამოცემის იდეა ეკუთვნის ცნობილ მეცნიერს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ რამაზ ხუროძეს. ამ საქმის მატერიალურად უზრუნველყოფა იკისრა ხონის მკვიდრმა, ბიზნესმენმა და ქველმოქმედმა ბატონმა ჯემალ უგულავამ. ავტორს სასიამოვნო მოვალეობად მიაჩნია ეს მადლიერების გრძნობით აღნიშნოს.

ავტორს სემინარიის ისტორიაზე მუშაობის პროცესში დიდი დახმარება გაუწიეს: ხონის ეპარქიის მმართველმა, ეპისკოპოსმა საბამ (მან გადმოგვცა ხონის საზოგადოების 1879-1880 წლების ყრილობათა „პრიგავორის" ხონში სემინარიის გახსნის საკითხზე, რომელსაც ხელს აწერს 500-ზე მეტი კაცი, აგრეთვე სემინარიის შენობის აგებასთან დაკავშირებული დოკუმენტების ქსეროასლები), ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორმა მერაბ კეზევაძემ და ამავე არქივის ფონდების გამგემ ქალბატონმა რაია გარშკოვამ, რისთვისაც მათ გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ.

## შესავალი

ა) წყაროები ხონის საოსტატო სემინარიის ისტორიის შესასწავლად ძირითად წყაროს წარმოადგენს თვით ამ სასწავლებლის საარქივო ფონდში თავმოყრილი მასალები, რომლებიც დაცულია ქუთაისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში (ფონდი №121). სემინარიის ფონდი 1600-ზე მეტ საქმეს შეიცავს, თავის მხრივ თითეული საქმე რამდენიმე ათეული, ზოგჯერ ასეული ფურცლის მოცულობისაა. სემინარიის ფონდის შესწავლა საშუალებას გვაძლევს ნათელი წარმოდგენა გვქონდეს სასწავლებლის საქმიანობის ყველა მხარეზე. აქაა მასალები იმის შესახებ როგორ იწყებდა სემინარია ფუნქციონირებას, სასწავლო გეგმები და გაკვეთილების ცხრილი ცალკეული წლების მიხედვით, მასწავლებელთა შემადგენლობა და მათი პირადი საქმეები პედაგოგიური საბჭოსა და მოსწავლეთა მიერ გადაცემული საცდელი გაკვეთილების გარჩევის დეტალური ოქმები, მონაცემები მოსწავლეთა კონტიგენტის შესახებ, მათი პირადი საქმეები. დასახელებულმა ფონდმა შემოინახა უაღრესად საინტერესო მასალები კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის შესახებ: სასწავლებელი საქმის კურსში იყო სად და როგორ მუშაობდნენ მისი აღზრდილები, საჭირო შემთხვევაში, უწევდა მათ კონკრეტულ, პრაქტიკულ დახმარებას.

არსებული ტრადიციის მიხედვით, სემინარიის მასწავლებლები, სასწავლო გეგმის ფარგლებში, თვით ადგენდნენ სასწავლო პროგრამებს თავიანთ საგნებში. ეს პროგრამები ხმარებაში იყო რამდენიმე სასწავლო წელს, უკეთეს შემთხვევაში, ვიდრე პროგრამის ავტორი ასწავლიდა მოცემულ საგანს. ახალი მასწავლებელი, ჩვეულებრივ თავის პროგრამას ადგენდა. სასწავლებლის ფონდში დაცულია თითეული საგნის რამდენიმე პროგრამა, რომელთა გაცნობა საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ ცალკეულ მასწავლებელთა მეცნიერულ-პედაგოგიური თვალსაწიერი და სულისკვეთება. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამები, რომელთა ავტორები არიან ცნობილი პედაგოგები: არისტო ქუთათელაძე, გიორგი უთურგაური, ათანასე ხარაბაძე და ვარლამ ხუროძე.

ბევრი ცნობაა შემონახული სემინარიასთან არსებული დაწყებითი სანიმუშო სასწავლებლის, კაბინეტ-ლაბორატორიების, დამხმარე მეურნეობის, ბიბლიოთეკის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ, როგორ მიმდინარეობდა სემინარიის შენობის გაფართოებისა და რეკონსტრუქციის სამუშაოები.

სემინარიაში, როგორც ოფიციალურ, სახელმწიფო რუსულ სასწავლებელში დამკვიდრებული იყო სწავლა-აღზრდის მკაცრი რეჟიმი, რომელიც ზოგჯერ ადამიანურ ნორმების ჩარჩოებში არ ეტეოდა. ეს სემინარიელთა საპროტესტო რეაქციას იწვევდა, რაც ნათლად აისახა იმ მასალებში რომლებიც მოსწავლეთა 1884, 1893 და 1901 წლების გაფიცვებს ეხებიან.

სემინარიაში ერთმანეთს ებრძოდა რეაქციული, დიდმპყრობელური და მოწინავე, პროგრესული პედაგოგიური იდეები, ამის ნათელი მაგალითია ხონის სემინარიის პედაგოგთა ერთი ნაწილის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დირექტორი იყო ალექსი ჭიჭინაძე, თავდადებული და პრინციპული ბრძოლა სწავლა-აღზრდის ბუნებითი ანუ მუნჯური მეთოდის წინააღმდეგ, დიდი ქართველი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის შეხედულებებისა და სახელმძღვანელოების დასაცავად. ფონდში ამის საილუსტრაციოდ მოიპოვება ბევრი საყურადღებო მასალა, რომელთა ერთი ნაწილი მეცნიერულ მიმოქცევაში დღემდე არ არის შემოტანილი.

სემინარია კავკასიის სასწავლო ოლქის უწყებაში იმყოფებოდა, და ბუნებრივია, ამ დაწესებულების ფონდში დაცულია პირველხარისხოვანი ცნობები სასწავლებლის ისტორიის შესახებ (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი № 422). მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ დირექტორების ყოველწლიური ანგარიშები, რომლებიც ოლქის მზრუნველს ეგზავნებოდა, მიმართვები მასწავლებელთა დანიშვნა-გადაყენების შესახებ, მათი დახასიათებები, მიწერ-მოწერა სემინარიაში არსებულ მდგომარეობაზე და ა.შ.

მონაცემები სემინარიის დაარსების, მისი შენობის აგების, ხოლო შემდეგ გაფართოება-რეკონსტრუქციის შესახებ ამოკრებილია საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის შემდეგი ფონდებიდან: „კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმმარ-

თეელის კანცელარია" (ფონდი № 12), „კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარია" (ფონდი № 13) და სხვ.

პირველწყაროს მნიშვნელობა აქვს საქართველოს პერიოდულ პრესაში („დროება", „ივერია", „შრომა", „ცნობის ფურცელი", „კავკაზი", „ნოვოე ობოზრენიე" და სხვ.). გამოქვეყნებულ წერილებს, კორესპონდენციებს და სტატიებს ხონის სემინარიის შესახებ. მათში ნათლად ჩანს რა დიდ დაინტერესებას იჩენდა ქართველი საზოგადოება ხონის საოსტატო სემინარიის მიმართ.

თვალსაჩინო ქართველი ისტორიკოსის, ტროფიმე ირაკლის ძე ხუნდაძის თხოვნით (იგი მუშაობდა საქართველოში ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკის საკითხზე) სემინარიის კურსდამთავრებულებმა, ცნობილმა პედაგოგებმა: გიორგი ბოკერიამ, იერემია გულისაშვილმა, სიმონ გოგლიჩიძემ და სხვებმა დაწერეს მოგონებები სასწავლებელში გატარებული წლების შესახებ. მოგონებები დაცული იყო საქართველოს სახალხო განათლების მუზეუმში და დაიწვა 1991-1992 წლების ამბებთან დაკავშირებით გაჩენილი ხანძრის დროს მუზეუმთან ერთად. ამ მოგონებათა ცალკეული ფრაგმენტები შემონახულია ტრ. ხუნდაძის შრომაში „ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში" (თბ. 1939 წ.).

სემინარიის ისტორიით დაინტერესდა და იქ სწავლის პერიოდს გულწრფელი ფურცლები უძღვნა თავის მოგონებებში ცნობილმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ ვარლამ ძიძიგურმა (1888-1957)[1].

სემინარიის შესახებ მნიშვნელოვანი სტატისტიკური მონაცემებისა და ოფიციალური მასალების შემცველია კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის წლიური ანგარიშები და ცირკულარები, სახალხო განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი. მასწავლებელთა პერსონალური შემადგენლობის დასადგენად სანდო წყაროს წარმოადგენს ყოველწლიური კრებული „კავკაზსკი კალენდარ". ჩვენ გულდასმით გავეცანით ამ გამოცემებში დაცულ მასალებს.

ბ) ლიტერატურა: მიუხედავად იმისა, რომ ხონის საოსტატო სემინარიას საინტერესო ისტორია აქვს, მასზე ცალკე მონოგრაფია

1. ვარლამ ძიძიგურის მოგონებები დაიბეჭდა ორჯერ. პირველად 1957 წ. „მასწავლებლის მოგონებების" და მეორედ 1965 წელს „გზები და ადამიანების" სახელწოდებით.

არ გამოქვეყნებულა[2]. თუმცა არც იმის თქმა შეიძლება, რომ ეს საკითხი მთლად უყურადღებოდ იყო მიტოვებული. XX საუკუნის 50-იან წლებში სემინარიის წარსულს სპეციალურად იკვლევდა თ. იოსელიანი და რამდენიმე საჟურნალო სტატიაც გამოაქვეყნა „ხონის სემინარიის დაარსების საკითხისათვის" (ჟურ. „კომუნისტური აღზრდისათვის", 1956 , №11), „ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება ქუთაისის სამასწავლებლო სემინარიაში" (იქვე 1959, №1) სხვა.

ხონის სემინარიის დაარსების საკითხს გაკვრით შეეხო ცნობილი ქართველი მეცნიერი და პედაგოგი გიორგი თავზიშვილი შრომებში: „ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარია ქ. გორში"[3] და "სახალხო განათლება დაპედაგოგიური იდეები XIX საუკუნის 60-იანი წლების საქართველოში"[4].

ხონის სემინარიის ისტორიის რამდენიმე ეპიზოდზე მოგვითხრობს პროფ. მიხეილ კეკელიძე თავის მონოგრაფიაში „გორის სამასწა-ლებლო სემინარია".

ხონის სემინარიის ისტორიით დაინტერესდა, XX ს. 50-იან წლებში გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტი გურამ მათეს ძე ბახტაძე. მან იმუშავა საქართველოს სახალხო განათლების მუზეუმში, საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში, შეხვდა სემინარიის და პედაგოგიური სასწავლებლის კურსდამთავრებულებს: კოტე ინჯიას, გიორგი ბახტაძეს, დავით წივწივაძეს, გიორგი წივწივაძეს, კლავდია ჩიხლაძეს, შურა ბახტაძეს, დავით ბახტაძესა და სხვებს, ჩაიწერა მათგან ცალკეული ეპიზოდები სემინარიის ცხოვრებიდან. გ. ბახტაძეს ამ მასალის დამუშავების საფუძველზე 1856 აპრილში სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე წაიკითხა მოხსენება ხონის საოსტატო სემინარიის შესახებ. 1981 წელს მან

---

2. 1956 წელს საქართველოს პედაგოგიკურ მეცნიერათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა დაბეჭდა მიხ. კეკელიძის საყურადღებო მონოგრაფია „გორის სამასწავლებლო სემინარია".

3. გ. თავზიშვილი, რჩეული პედაგოგიკური თხზულებანი, ტ.III, თბ. 1980, გვ. 314-356

4. გ. თავზიშვილი, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, ტ. II, თბ. 1977, გვ. 92-93

ეს მოხსნება ახალი მასალებით შეავსო და დაბეჭდა ხონის ადგილობრივ გაზეთში. გ. ბახტაძის ნარკვევში ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ნაწყვეტი დ. ბახტაძის მოგონებიდან, რადგან ამ ფაქტის სხვა დამადასტურებელ ცნობას სხვაგან ვერ მივაკვლიეთ, არადა უაღრესად საყურადღებოა სემინარიის ისტორიისათვის. დავით ბახტაძის მოგონებაში ნათქვამი ყოფილა „...**ხონის სამასწავლებლო სემინარიის მოსწავლეებს ჰქონდათ საიდუმლო სტამბა, სადაც იბეჭდებოდა პროგრესული გაზეთი „ცდა ბედის მონახევრეა" კვირაში ერთხელ და ვრცელდებოდა როგორც მოსწავლეებში** ისე საზოგადოებაში. აქ იბეჭდებოდა ალ. წულუკიძის წერილები და მისი ნათარგმნი ნაწყვეტები მარქსის „კაპიტალიდან" და სხვადასხვა ბროშურებიდან. გარდა ამისა ალ. წულუკიძე გზავნიდა სემინარიაში გაზეთ „ივერიას", რომელშიაც ის ხშირად აქვეყნებდა წერილებს პოლიტიკურ საკითხებზე. მისი მიზანი იყო მოემზადებინა მოსწავლლები პოლიტიკურად..."

ეს არის ერთადერთი ცნობა სემინარიაში არალეგალური სტამბისა და გაზეთის არსებობის შესახებ.

ქართველ პედაგოგებზე, რომლებიც სემინარიაში ასწავლიდნენ ან სემინარია დაამთავრეს, კრებულში „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები" (შემოკლებით: სგქმსმ) მოთავსებულია რამოდენიმე ნარკვევი[5]. ხონის სემინარიის ისტორიის ცალკეულ საკითხებს ეხებიან თავიანთ შრომებში: ტრ. ხუნდაძე, ვ. გაგუა, მ. სიმონია, ნ. ჯანგველიძე და სხვ.

---

5. მათი სია წარმოდგენილია ბიბლიოგრაფიაში.

# თავი პირველი
# ფურცლები ხონის ისტორიიდან

ხონი, რომელიც დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული და კოლორიტული ქალაქია, ყოველთვის თვალსაჩინო როლს თამაშობდა ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. მან საქართველოს მისცა განათლების, მეცნიერებისა, ლიტერატურის, ხელოვნების, საზოგადოებრივი მოძრაობის მრავალი გამოჩენილი მოღვაწე, რომლებმაც შორს გაუთქვეს სახელი მშობლიურ კერას.

ხონი მდებარეობს ქვემო იმერეთში, მდინარე რიონის მარჯვენა შენაკადების, ცხენისწყალსა და გუბისწყალს შორის, თბილისიდან 266 კმ-ის, სამტრედიიდან, (უახლოესი რკინიგზის სადგური) 19 კმ-ის და ქუთაისიდან 25 კმ-ის მანძილზე.[1]

ქვემო ანუ ვაკე იმერეთი, რომლის ერთ-ერთ მჭიდროდ დასახლებულ პუნქტს ძველი დროიდან ხონი წარმოადგენს, ლაზიკის სამეფოს ყველაზე მნიშვნელოვანი მხარის - მუხურისის დიდ ნაწილს შეიცავდა. ლაზიკის სამეფოს ციხე-ქალაქებს შორის (ქუთაისი, არქეოპოლისი, ფაზისი, ვარციხე, სკანდა, შორაპანი და სხვ.) VI საუკუნის ბიზანტიური მწერლები (პროკოპი კესარიელი, აგათია, სქოლასტიკოსი...) ონოგურისსაც ასახელებენ. ჯერ კიდევ XIX საუკუნის 50-იან წლებში ცნობილმა ისტორიკოსმა პლატონ იოსელიანმა გამოთქვა მოსაზრება ხონისა და ონოგურისის იგივეობის შესახებ.

ონოგურისის ლოკალიზაციის საკითხზე, სპეციალისტთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ეს ციხე-სიმაგრე მოხსენიებულია ლაზიკის სამეფოსათვის ბიზანტიასა და სპარსეთს შორის VI საუკუნეში წარმოებული ხანგრძლივი და დაძაბული ომის ამბებთან დაკავშირებით.

აგათია სქოლასტიკოსი სახელწოდება ონოგურისის განმარტებისას წერდა: „ეს სახელი ძველადვე შეერქვა ამ ადგილს შესაძლებელია იმის გამო, რომ ჰუნები, რომელთაც ონოგურები ეწოდებოდათ. ამ ადგილას შებმიან კოლხებს წარსულ წლებში, დამარცხებულან და ამ გამარჯვების ნიშნად და ძეგლად ადგილობრივ მცხოვრებლებს

1. ხონის ისტორიის შესახებ იხილეთ პ. ვაჭრიძე, ხონის ისტორიიდან თბ. 1998; ა. ფაილოძე, მატეანე ხონისა, თბ. 1997 და სხვ.

ეს სახელი შეურქმევიათ ამ ადგილისათვის. ამჟამად ბევრი ასე კი აღარ უწოდებს, არამედ რადგან აქ დაფუძნებულია იმ წმიდა სტეფანეს ტაძარი, რომელიც როგორც ამბობენ, საკუთარი ნებით შებმია მტერს საუკეთესო ქრისტიანთა გულისათვის და ჩაქოლილ იქმნა მოწინააღმდეგეებთა მიერ. მისი სახელი ეწოდა ამ ადგილს".[2]

ამგვარად, ონოგურისი არის სახელწოდება იმ ადგილისა, სადაც ჰუნებსა და კოლხებს შორის ბრძოლა მომხდარა. შემდეგში იქ აღუმართავთ წმიდა სტეფანეს ტაძარი და ონოგურისსაც სახელი შეცვლია. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ის ფაქტი რომ, ექვთ. თაყაიშვილს, 1914 წელს ხონში ყოფნის დროს, ცნობილმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ არისტო ქუთათელაძემ წმინდა გიორგის ეკლესიის გალავნის გარეთ, აჩვენა ძველი შენობის საძირკველი, როგორც წმინდა სტეფანეს ტაძრის ნაშთი[3]. ჩანს, აზრი ხონისა და ონოგურისის იგივეობის შესახებ ისე გავრცელებული ყოფილა, ალბათ პლ.იოსელიანის წიგნის გავლენით, რომ ხონში აგათიასეული წმ. სტეფანეს ტაძრის ნანგრევებსაც კი ეძებდნენ. არქეოლოგიური თვალსაზრისით, ხონის შეუსწავლელობა არ იძლევა იმის საშუალებას,, რომ ეს საკითხი უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ, მაგრამ იმის თქმა კი გადაჭრით შეიძლება, რომ იგი უძველესი დროიდან ერთ-ერთ მნიშვნელოვან დასახლებულ პუნქტს წარმოადგენდა. ამაზე მეტყველებენ შემთხვევით ნაპოვნი არქეოლოგიური ნივთები, განსაკუთრებით კოლხური თეთრის განძები. ხონის ტერიტორიაზე აღმოჩენილ განძში მონეტის ერთი ეგზემპლარი დამზადების პროცესშია, რაც მათ ადგილობრივ წარმომავლობაზე უნდა მიუთითებდეს[4]. აქვეა ნაპოვნი, აგრეთვე, ლისიმაქეს-ალექსანდრე მაკედონელის დიადოხოსის, მონეტების ერთ-ერთი უძველესი მინაბაძი (სოფელი კინჩხა), რომელსაც აქვს წარწერა „მეფე აკესისა". პროფ. დ.კაპანაძის აზრით, აქ მოხსენიებულია ძვ.წ. III საუკუნის კოლხეთის მეფე აკი[5].

---

2. აგათია სქოლასტიკოსი, იუსტინიანეს მმართველობის შესახებ, გეორგიკა ტ. III ტფ. 1936-გვ. 52.

3. ძველი საქართველო, ტ. III, ტფ. 1913-1914, გვ. 273.

4. Д. Капанадзе, К. Голенко, К вопросу о происхождении колхидок, ВДИ, 1947, №14, с.91.

5. Д. Капанадзе, Грузинская нумизматика, М. 1955, с. 36.

ხონი მდებარეობს კოლხეთის იმ ნაწილში, სადაც ცხენისწყალი დაივაკებს და შედაროებით მდორედ მოედინება. ამიტომ მასზე გადიოდა აღმოსავლეთ ლაზეთიდან და იბერიიდან შავი ზღვის სანაპიროებისა და სვანეთისაკენ მიმავალი გზები. ამას ისიც ადასტურებს, რომ ხონის მახლობლად, ცხენისწყლის ყველაზე ვიწრო ყელთან (სოფელი ხიდი) დღემდე შემორჩენილია ქვითკირის ბურჯებიანი უძველესი ხიდის ნანგრევები, რომელიც ლაზეთის აღმოსავლეთ ნაწილს შავი ზღვის სანაპიროსთან აკავშირდება. ამ ხიდს პომპეუსის ხიდს („ბომბოას", „ბუმბუას") ეძახის. გადმოცემით, რომაელი სარდლის გნეუს პომპეუსის ბრძანებით (ძვ.წ.I ს.) აქ ხიდი აუგიათ, რომელზედაც იბერიიდან ეგრისისაკენ მიმავალ რომაულ ლაშქარს გაუვლია.

ხონისა და მისი შემოგარენის მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა, ნოყიერი ნიადაგი და ზომიერი კლიმატი ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მოსახლეობის თავმოსაყრელად. შმ საუკუნიდან მოყოლდებული, ფეოდალურ ურთიერთობათა შემდგომ განვითარებას,, ლაზიკის სამეფოს სამეურნეო დაწინაურება მოყვა შედეგად. ქვეყანა ხშირი მოსახლეობით მოიფინა. დასახლებულ ადგილთა ზრდა, სხვა მხარეებთან ერთად, უფრო თვალსაჩინო იყო რიონ-ცხენისწყლის ხეობაში ე.ი. იმ ტერიტორიაზე,, სადაც ხონი მდებარეობს.

ხონი, ისტორიკოს პლ.იოსელიანის მიხედვით, დაარსებულია აფხაზთა მეფის თეოდოსის მიერ IX საუკუნეში. პროფ. შ.მესხია თავის ცნობილ შრომაში ფეოდალური საქართველოს ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების შესახებ,, ხონს მიაკუთვნებს იმ მცირე ქალაქთა რიცხვს, რომლებიც საეკლესიო ცენტრებთან აღმოცენდნენ. მისი ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული წმინდა გიორგის ეკლესიასთან, რომელიც ქართული მატერიალური კულტურის საყურადღებო ძეგლს წარმოადგენს. თუმცა, როგორც აღინიშნა, ხონის ტერიტორია ანტიკურ ხანაშიაც დასახლებული ყოფილა.

ხონი და მისი სიძველეები მკვლევართა და მოგზაურთა დიდ დაინტერესებას იწვევდა ყოველთვის. XVII საუკუნის შუა ხანებში ხონს, იმერეთის ციხე ქალაქთა შორის მოიხსენიებდა რუსი ელჩი ნიკიფორე ტოლოჩანოვი.

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში დიდი ქართველი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონი წერდა: „არს ხონს ეკლესია დიდი, გუმბათიანი, შუენიერ ნაგები." ეს ცნობა არაა ზუსტი. წმინდა გიორგის ეკლესია ბაზილიკური ტიპის უგუმბათო ნაგებობაა. მიუხედავათ იმისა რომ იგი რამდენჯერმეა გადაკეთებული, სპეციალისტთა აზრით, მას გუმბათი არც XVIII საუკუნეში უნდა ქონოდა.

ხონის გარეგნული სახის, მოსახლეობის საქმიანობის და მთელს იმერეთში განთქმული ბაზრობის - პარასკეობის საინტერესო აღწერა დაგვიტოვა გერმანელმა მეცნიერმა იოჰან ანტონ გიულდენშტედტმა, რომელმაც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის დავალებით XVIII საუკუნის 70-იან წლებში იმოგზაურა საქართველოში.

1822 წელს ხონს ეწვია ფრანგი კონსული ჟაკ ფრანსუა გამბა. მან დაათვალიერა წმინდა გიორგის ეკლესია, გაეცნო ადგილობრივი მოსახლეობის მეურნეობასა და ყოფას. ჟ. გამბა წერდა: „ეკლესიას გარს არტყია ქონგურებითა და სათოფურებით დამშვენებული სქელი და მაღალი გალავანი, რომელიც საკმაოდ მტკიცეა იმისათვის, რომ აქ ბერებსა და მცხოვრებლებს თავი შეეფარეებიათ განსაც-დელის ჟამს... რადგან ხონი ქუთაისიდან ანაკლიასა და დიოსკურიაში პირდაპირ მიმავალ გზაზეა, შესაძლოა ეს მონასტერი ქარავანებისა და ვაჭრების დასაცავად აშენებულ ციხე-სიმაგრეთა ნაწილს წარ-მოადგენდესო[6].

1847 წელს ხონში სტუმრად იმყოფებოდა ცნობილი რუსი მოგზაური ა.მურავიოვი, რომელიც დაესწრო საეკლესიო დღესას-წაულს გიორგობას და მასთან დაკავშირებულ ასპარეზობას. აქ მას მოუსმენია ლეგენდა,, რომლის მიხედვით ხონის ეკლესია თამარ მეფეს აუგია. თვით მურავიოვს ეკლესია ადრეული ქრისტიანობის ძეგლად მიაჩნდა.

1872 წელს ჟურნალ „მნათობში" (აპრილისა და მაისის ნომრები) დაიბეჭდა ნ. გამრეკელის ნარკვევი "ეგვიპტელების ყოფნა საქარ-თველოში და მათი მყოფობის შედეგები", რომელშიაც ავტორი ამტკიცებდა რომ ხონი დაარსებულია ეგვიპტის ფარაონის რამსეს II მიერ ძვ.წ. XIV საუკუნეშიო. იგი, როგორც ჩანს იზიარებდა „ისტორიის მამის" ჰეროდოტეს შეხედულებას იმის შესახებ, რომ

---

6. ჟ.ფ.გამბა, მოგზაურობა კავკასიაში, ტ.I, თბ.1987, გვ.148.



ხონის წმინდა გიორგის ეკლესია

კოლხების წინაპრები იყვნენ ის მეომრები, რომლებიც ეგვიპტის მეფემ სესოსტრისმა იგივე რამსეს II (ძვ.წ.1293-1223) შავიზღვისპირეთში ლაშქრობის შემდეგ მდინარე ფაზისთან (რიონი) დატოვა. ნ.გამრეკელმა განავრცო ჰეროდოტეს აზრი და რამსეს მეორეს ხონის დაარსებაც მიაწერა. კიდევ უფრო მეტი მას ხონი კოლხეთის მეფის აიეტის სატახტო ქალაქად მიაჩნდა. ასეთ დასკვნას იგი აკეთებდა აპოლონიოს როდოსელის „არგონავტკის" იმ ადგილზე დაყრდნობით, სადაც აღწერილია ბერძენი გმირების მოსვლა კოლხეთის მეფის რეზიდენციაში. „ამგვარი აღწერა შეგვიძლიან მიუწეროთ მხოლოდ ხონის მდებარეობას წერდა ნ.გამრეკელი, მარტო ხონის წინ არის ვრცელი მინდორი, წოდებული ვაკედ. ამასთანავე აეტს ჰრაცხავდნენ ბერძნები ჰელიოზის ძეთ და ხონიც ეგვიპტურად ნიშნავს მზეს საინტერესო აზრია. ამ კუთხით ხონის ისტორიისათვის ჯერ არავის შეუხედავს. ხონის წმინდა გიორგის ეკლესიისა და მასში დაცული ისტორიული სიძველეების შესწავლა დაიწყო გამოჩენილმა ფრანგმა ქართველოლოგმა მარი ბროსემ (1802-1880), ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუა ხანებში და დღემდე გრძელდება. მათ შესახებ თავისი მოსაზრება აქვთ გამოთქმული: დ. ბაქრაძეს; ექვთ. თაყაიშვილს, თ. ჟორდანიას, ს. კაკაბაძეს, დ. გორდეევს, გ. ჩუბინაშვილს, ტოლმაჩევსკაიას, შ. ამირანაშვილს, თ. ყაუხჩიშვილს, ა. ფაილოძეს და სხვ.

სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული აზრის მიხედვით წმ. გიორგის ეკლესია IX-XI საუკუნეების ძეგლია (ა. ფაილოძის მიხედვით მას საფუძველი VIII ს. 60-იანი წლებში ჩაეყარა.) იგი რამდენჯერმე გადაუკეთებიათ. ამჟამად ეკლესია სამნავიანი ბაზილიკური ტიპის ნაგებობაა. აგებულია სადა, თეთრი ნათალი ქვით. კედლების დიდი ნაწილი დაფარულია ზეთის საღებავით ან შეთეთრებულია. მხატვრობა შემორჩენილია საკურთხევლის ზემო ნაწილში, კონქში და ჭერზე. ეკლესიის კედლებზე არსებული წარწერების შესწავლა დღემდე მიმდინარეობს. ხონის ეკლესია ამჟამად მოქმედია. მასში ისტორიული ხასიათის სიძველეებიდან აღარაფერია დარჩენილი.

ხონის შესახებ, საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფოს არსებობის ეპოქაში, წმ. გიორგის ეკლესიის კედლებზე შემორჩენილ

წარწერებს გარდა, ჩვენამდე პირდაპირ ცნობებს არ მოუღწევია. ამიტომ არ ვიცით როგორი იყო ხონის გარეგნული სახე, მოსახლეობის რაოდენობა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა აღნიშნულ პერიოდში. ლიტერატურული ტრადიცია, რომელიც ე. ნ. აღორძინების ხანას ეკუთვნის, ხონს უკავშირებს XII საუკუნის გამოჩენილი რომანისტის „ამირან-დარეჯანიანის" ავტორის მოსე ხონელის სახელს.

1529 წელს, იმერეთის მეფემ ბაგრატ ალექსანდრეს ძემ (1510-1565) საეკლესიო რეფორმა გაატარა და ხონის საეპისკოპოსო დააარსა. პირველი ხონელი ეპისკოპოსი იყო მანოელ ჩხეტიძე. შემდეგში, როდესაც დასავლეთ საქართველო ფეოდალურმა ანარქიამ მოიცვა (XVI ს. 70-იან წლები XVII ს 20-იანი წლები) ხონის კათედრა მოიშალა, მაგრამ იგი კვლავ აღადგინა სოლომონ პირველმა 1761 წელს.

ხონის საეპისკოპოსო და თვით წმ. გიორგის ეკლესია მსხვილ ფეოდალურ სამეურნეო ერთეულს წარმოადგენდა.

XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან XVII საუკუნის პირველ ნახევრამდე თურქთა აგრესიის გაძლიერებისა და ფეოდალური შინაომების პერიოდში, ხონი არაერთხელ გადასულა ხელიდან ხელში.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან სოლომონ პირველისა (1752-1784) და მისი მემკვიდრეების: დავით გიორგის ძის (1784-1789) და განსაკუთრებით სოლომონ მეორის (1789-1810) მეფობის დროს ხონის, ისე როგორც მთელი იმერეთის მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა.

ხონი განთქმული იყო თავისი ბაზრობით, რომელიც პარასკეობით იმართებოდა. ხონის ბაზარი ცნობილი იყო მთელ კავკასიაში. მისი საინტერესო აღწერა დაგვიტოვა გიულდენშტედტმა, რომელიც 1772 წლის აგვისტოში იმყოფებოდა ხონში. მთელი დასავლეთ საქართველო იყრიდა თავის ხონის საეკლესიო დღესასწაულზე გიორგობაზე, რომელსაც თან ახლდა სპორტული ასპარეზობა, პირველ რიგში ლელო-ბურთის თამაში და ცხენთა ჯირითი.

XIX საუკუნის დასაწყისში, როდესაც ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის შემდეგ, ცარიზმმა იმერეთის სამეფოს შეუტია, გენერალი რიკჰოფის ექვსი ბატალიონი ხონში იყო განლაგებული.



ბაზრის მოედნის ერთი ნაწილი



ძველი ხონის ერთი ქუჩა

1810 წელს რუსეთის ჯარებმა იმერეთი დაიპყრეს და გაუქმებულ სამეფოს ოლქი უწოდეს. იმერეთის ოლქი ოკრუგებად დაიყო. ხონი ვაკის ოკრუგის ცენტრი გახდა. 1810-1814 წლებში ცარიზმმა ხელყო ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა და იგი რუსეთის სინოდს დაუმორჩილა. კათოლიკოსის თანამდებობა გაუქმდა. ქართველ ეკლესიას სათავეში ეგზარქოსი ჩაუდგა. საეკლესიო გარდაქმნებს ეპარქიების შემცირება მოჰყვა. იმერეთში ოთხის ნაცვლად (ქუთაისის, გელათის, ხონის, რაჭის) ერთი — იმერეთის ეპარქია შექმნეს. ყოველივე ამან 1819-1820 წლებში დიდი სახალხო მოძრაობა გამოიწვია დასავლეთ საქართველოში. აჯანყების ერთ-ერთ ძირითად კერას ხონი წარმოადგენდა. ხონის უკანასკნელი ეპისკოპოსი-ანტონ ჩიჯავაძე, უაღრესად საინტერესო პიროვნება, ამ აჯანყების აქტიური მონაწილე და ხელმძღვანელი იყო.

რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი საქართველო, XIX საუკუნის 60-70 იანი წლების რეფორმების შემდეგ, ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარების გზას დაადგა. კაპიტალისტურ ხანაში, დასავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებთან და სავაჭრო სამრეწველო დაბებთან ერთად. სწრაფად დაწინაურდა ხონი, ეს, პირველ რიგში იმით აიხსნება, რომ იგი სათავეში ედგა მნიშვნელოვან შინასამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო რაიონს. "პირველი ზარი პატრიარქალური წყობილების რღვევისა და ახალ, თანამედროვე ბურჟუაზიულ წყობილებაში ფეხის შედგმისა-წერდა გაზეთი "კვალი"-ჩვენს "კურთხეულ სამშობლოში„ დაირეკა იმერეთში. იმერლებმა, ქართველებში სხვებზე გაცილებით მეტი ძალა და ღონე გამოიჩინეს მის შეთვისებაში. ისინი თითქმის მზად დაუხვდნენ მას... ხალხმა უკვე შეიგნო და ხელი მოჰკიდა სხვადასხვა დარგს მრეწველობისა: მეაბრეშუმეობას, ბაღოსნობას, მეევნახეობას. აგრეთვე ხალხი ირეკება სოფლებიდან, გადის ქალაქში და აქ ან დღიურ მუშად ან ჩარჩ-მიკიტნად დგება. **თითქმის მთელი იმერეთის შინაური მრეწველობა-ვაჭრობის ცენტრად ხონი ითვლება. ის მისი დედაძარღვია**"[7]

უმიწანწყალო და მცირემიწიანი გლეხები ფულის საშოვრად, გარდა დიდი ქალაქებისა, მიდიოდნენ მახლობლად მდებარე სავაჭრო

7. გაზ. „კვალი". 1896, 25,9,№44, გვ.726-728.

და სამრეწველო ცენტრებში, ცდილობდნენ კავშირი არ გაეწყვიტათ მიწადმოქმედებასთან. ქვემო იმერეთისა და აღმოსავლეთ სამეგრელოსათვის, აგრეთვე რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთისათვის, ერთ-ერთ ასეთ ცენტრს ხონი წარმოადგენდა. იგი თავის სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში და ბაზარზე თავს უყრიდა დასახელებული რეგიონების მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს. ახლო-მახლო სოფლებიდან ჩამოსულ გლეხს ხონში შეეძლო ეშოვა ლუკმა-პური, გაეყიდა თავისი მეურნეობის პროდუქტი და ოჯახისათვის საჭირო საქონელი შეეძინა.

XIX ს. 60-90-იან წლებში ხონის რეგიონიდან საზღვარგარეთ დიდი რაოდენობით გაჰქონდათ: სიმინდი, თამბაქო, ბამბა, კვერცხი. მსოფლიო ბაზარზე, მაგალითად, ლიონსა და მარსელში დიდი მოთხოვნილება ჰქონდა ხონურ აბრეშუმის პარკს.

სოფლის მეურნეობაში მოსავლიანობის ზრდას დიდად შეუწყო ხელი 1892წ. ივ. შარაშიძის, ნიკო ნიკოლაძის, გ. წერეთლის და სხვათა ინიციატივით ცხენისწყლიდან ხონი-ჯიხაიშის სარწყავი არხის გაჭრამ. სარწყავი სისტემა 12000 დესეტინაზე მეტ მიწას რწყავდა. მეაბრეშუმეობის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა „მეაბრეშუმეთა პირველმა ამხანაგობამ ქუთაისის გუბერნიაში", რომლის გამგეობის რეზიდენცია ხონის რაიონის სოფელ კუხში იყო (გამგეობის თავმჯდომარე ნესტორ წერეთელი). დაახლოებით ამ დროს ადგილობრივმა მცხოვრებმა მიხეილ სანოძემ ხონში აგო საკმაოდ მოზრდილი ძაფსაღები ფაბრიკა. ხონში პარკის შესაძენად ხშირად ჩამოდიოდნენ რუსეთისა და დასავლეთ ევროპის საფეიქრო მრეწველობის მესვეურნი. თავის მხრივ ხონელი ვაჭრები და საქმოსნები ისე თავისუფლად დადიოდნენ მილანში, მარსელში, პარიზში, ვარშავაში, ლოძში. რიგაში, პეტერბურგში, მოსკოვში, რუსეთისა და დასავლეთ ევროპის სხვა ქალაქებში, როგორც სამტრედიასა და ქუთაისში.

საქართველოს ჩაბმას მსოფლიო საქონელბრუნვაში თან ახლდა ხონში ვაჭრებისა და სავაჭროების რიცხვის ზრდა. ეს უკანასკნელები საქონელს რუსეთის, ევროპისა და ამერიკის მსხვილ სავაჭრო -სამრეწველო ცენტრებიდან ღებულობდნენ. გაცხოველდა სავაჭრო ურთიერთობა ხონსა და ქუთაისს შორის, რასაც მნიშვნელოვნად

შეუწყო ხელი მათ შორის საავტომობილო მიმოსვლის დამყარებამ. (XX საუკუნის ათიან წლებში) დაისვა ხონზე გავლით რკიგნიგზის გაყვანის საკითხი. ამ საქმეს დიდი ენერგია შეალიეს ნიკო ნიკოლაძემ, გიორგი წერეთელმა, მაგრამ უშედეგოდ. გაზეთი „კვალი" ლაპარაკობდა რა ხონის ეკონომიკურ ზრდა-განვითარებაზე XIX საუკუნის მეორე ნახევარში, 1898 წლის 30 აგვისტოს წერდა: „....ახლა ერთად-ერთი რკინიგზაა საჭირო ხონისათვის რომ ყირამალა გადმოტრიალდეს, ვაჭრობას ფრთები შეასხას და მსოფლიო ბაზარს დასუნოს." მაგრამ ხონი ურკინიგზობის მიუხედავაც გაცხოველებულ მონაწილეობას იღებდა საშინაო და საგარეო ვაჭრობაში.

მნიშვნელოვნად გაიზარდა ხონის მოსახლეობა, დაბა კეთილმოეწყო და გალამაზდა. XIX საუკუნის 70-იან წლებში დაისვა საკითხი ხონში საქალაქო მმართველობის შემოღების შესახებ, მაგრამ მეფის თვითმპყრობელობის დროს, იგი დადებითად არ გადაჭრილა. ხონი ქალაქად გამოცხადდა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ.

ხონის მოსახლეობა ყოველთვის აქტიურად ეხმაურებოდა საქართველოში საზოგადოებრივი მოძრაობის მიერ წამოჭრილ პრობლემებს. აქ მშრომელები და ინტელიგენცია ათეული წლების განმავლობაში თავდადებით იბრძოდნენ სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. მათი ბრძოლა უკეთესი მომავლისათვის განუყრელად იყო დაკავშირებული მთელი ქართველი ხალხის გამათავისუფლებელ მოძრაობასთან. საქართველოს და რუსეთის იმპერიის პოლიტიკურ ცხოვრებაში თითქმის არ ყოფილა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელზედაც ხონს თავისი სიტყვა არ ეთქვას. 1905-1907 წლების რევოლუციის დროს, როდესაც ქუთაისში საბარიკადო ბრძოლები გაიმართა , ხონის მოსახლეობა შეიარაღდა და ქუთაისის დასახმარებლად გაემართა. 1905 წლის დეკემბერში, ხონში სახელმწიფო ხელისუფლება, ფაქტობრად გაუქმებული იყო. იგი ხალხის ხელში გადავიდა.

ხონი აქტიურად გამოეხმაურა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შედეგად მეფის თვითმპყრობელობის დამხობას და ჩაება დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლაში. ხონის პოლიტიკური ცხოვრება იმდენად მრავალფე-

როვანი და შინაარსიანი იყო, რომ მას „საქართველოს ჟენევას" ეძახდნენ. ხონმა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობას ბევრი თვალსაჩინო მოღვაწე მისცა (ალექსანდრე წულუკიძე, აკაკი ჩხენკელი, ბუდუ მდივანი, სვიმონ მდივანი).

**XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის ათიან წლებში ხონი კულტურული განვითარების მხრივ დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ მოწინავე დაბას წარმოადგენდა.** აქ თავმოყრილი იყო სკოლები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები და საზოგადოებები, მოქმედებდა საზაფხულო თეატრი, ტარდებოდა გამოჩენილ პირთა იუბილეები, ლიტერატურულ-მუსიკალური დილა-საღამოები; ხონი აქტიურად ეხმაურებოდა ყოველ მნიშვნელოვან მოვლენას საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში. ხონის მოწინავე ინტელიგენცია მუდამ მხარში ედგა ქართველ საზოგადოებრიობას და თავისი წვლილი შეჰქონდა ეროვნული კულტურის განვითარების საქმეში. ხონში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ განათლებული, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც კარგად იყვნენ ცნობილი არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ხონში ზაფხულობით თავს იყრიდა სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობა (ბევრი ხონელი ახალგაზრდა სწავლობდა რუსეთისა და დასავლეთ ევროპის, განსაკუთრებით გერმანიის, საუნივერსიტეტო ქალაქებში), საგასტროლოდ ჩამოდიოდნენ საუკეთესო თეატრალური კოლექტივები, იზრდებოდა ამიერკავკასიის სხვადასხვა კუთხეებიდან და უცხოეთიდან სავაჭროდ ჩამოსულ პირთა რაოდენობა. ერთი თანამედროვეს გადმოცემით, **ზაფხულობით ხონი ევროპული ქალაქის იერს იღებდა.** განსაკუთრებით განთქმული იყო ხონი თავისი სასწავლებლებით.

XI-XII საუკუნეებიდან მოყოლებული ხონი განათლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა ქვემო იმერეთში. ხონის წმ. გიორგის ეკლესიას კარგად ორგანიზებული სასწავლებელი და მდიდარი წიგნთსაცავი ჰქონდა. ამ სკოლიდან არაერთი თვალსაჩინო საეკლესიო და კულტურული მოღვაწე გამოსულა, რომლებიც XVII-XVIII და უფრო ადრე საუკუნეებში ცხოვრობდნენ. აქ დამზადდა სასულიერო და საერო ხასიათის წიგნები, რომლებიც

XIV-XVIII საუკუნებითაა დათარიღებული. აქედან მტკიცდება, რომ ხონის წმ.გიორგის ეკლესიასთან არსებულ სკოლას რამდენიმე საუკუნის ისტორია ჰქონდა. აქ მიმდინარე მწიგნობრული მუშაობა შესამჩნევად გაცხოველდა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მთავარეპისკოპოსის ანტონ ჩიჯავაძის დროს. ანტონის თანამედროვეა თვალსაჩინო კალიგრაფი და მწიგნობარი მიტროფანე გრიგოლაშვილი, რომლის მოღვაწეობა XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან იწყება.

XIX საუკუნის 20 წლებში ანტონ ჩიჯავაძის საქმე მწიგნობრობის დარგში განაგრძო და ეკლესიასთან არსებულ სკოლას სათავეში ჩაუდგა სვიმონ კუტი გვარად ფირცხალავა (1780-1870).

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული, ხონის ეკონომიკურ დაწინაურებასთან ერთად, თანდათანობით იზრდება სკოლების რიცხვი. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე აქ იყო: რამდენიმე დაწყებითი, საკვირაო და კერძო სკოლა, მარინეს სახელობის ოთხკლასიანი სასწავლებელი, საქალაქო სკოლა, პროგიმნაზია, ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები, მთელს საქართველოში კარგად ცნობილი სახელოსნო სასწავლებელი (გაიხსნა 1897 წლის 2 ივლისს). „ხონს სკოლების ბუდეს ეძახდნენ-წერდა ვ.ძიძიგური,-რა ტიპის სკოლა გნებავთ, რომ ამ ერთ ციცქნა ვაჭართა დაბაში არ ყოფილიყო. ხონის სასწავლებლების გვირგვინს წარმოადგენდა სამასწავლებლო (საოსტატო) სემინარია. ყველა ამ სასწავლებელთა დაუცხრომელი გულშემატკივარი, მოამაგე და მზრუნველი იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე და უსპეტაკესი პიროვნება ივანე სიმონის ძე შარაშიძე (1840-1912).

ხონი თეატრალური ტრადიციების მქონე ქალაქია. აქ ჯერ კიდევ XIX ს.მეორე ნახევარში, ხშირად იმართებოდა ლიტერატურულ-მუსიკალური შეკრება-საღამოები და თეატრალური წარმოდგენები, რომელთა უმრავლესობას საქველმოქმედო მიზანი ჰქონდა.ხონში პირველი თეატრალური წარმოდგენა, ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, 1865 წლის 24 იანვარს (ძვ.სტ) გაიმართა. დაიდგა გ. ერისთავის ცნობილი კომედია „გაყრა". პირველი წარმოდგენის გამართვის ინიციატორები და მონაწილეებიც თავადები-წულუკიძეები იყვნენ. ჩვენ არ ვიცით როგორი წარმატება

ჰქონდა სპექტაკლს საერთოდ, და მის თითოეულ მონაწილეს კერძოდ, მაგრამ ეს იყო დიდი მნიშვნელობის მოვლენა ხონის კულტურულ ცხოვრებაში-საფუძველი ჩაეყარა კარგ ტრადიციას-წარმოდგენების გამართვის საქმეს.

პირველი თეატრალური წარმოდგენა ხონში დიდ ეროვნულ საქმეს-რუსეთისა და დასავლეთ ევროპის საუნივერსიტეტო ქალაქებში მოსწავლე ღარიბ ქართველ სტუდენტთა დახმარებას მიეძღვნა. ამით ხონი ერთ-ერთი პირველთაგანი გამოეხმაურა მოწინავე ქართველი ინტელიგენციის მოწოდებას ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ სახსრების შეგროვების შესახებ.

ხონელმა სცენისმოყვარეებმა კავშირი დაამყარეს ქუთაისის თეატრის მსახიობებთან და მათი დახმარებით ცდილობდნენ წინ წაეწიათ ქართული წარმოდგენების გამართვის საქმე მშობლიურ დაბაში. ხონელთა პირველ წარმოდგენებში მონაწილეობდნენ ქუთაისელი მსახიობები: ეფრო კლდიაშვილისა, კოტე მესხი და სხვები.

ხონის კულტურულ ცხოვრებაში საყურადღებო მოვლენა იყო ცნობილი მომღერლის, ქართული სიმღერა-გალობის შეკრების და მათი გამოცემის ერთ-ერთი ინიციატორის ფილიმონ ივანეს ძე ქორიძის კონცერტი, რომელიც 1884 წლის 16 სექტემბერს გაიმართა.

1890 წლის 20 ივლისს წარმატებით ჩატარდა დიდი საღამო კონცერტი ახალგაზრდა ხონელი მომღერლის პლატონ მიხეილის ძე კაკაბაძის მონაწილეობით.

მიუხედავად იმისა, რომ 1865-1900 წლებში ქართული წარმოდგენები ხონში ხშირად იმართებოდა. მათ მაინც შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა და სრულად ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნებს. წარმოდგენები და კონცერტები, ლიტერატურული შეკრება-საღამოები ტარდებოდა კერძო ბინებში ან სასწავლებელთა ვიწრო დარბაზებში, რომლებიც მაყურებელთა ცოტა რაოდენობას იტევდა. წარმატებით ჩატარებულმა წარმოდგენებმა და კონცერტებმა მოამზადეს ნიადაგი ხონში სცენისმოყვარეთა მუდმივი დასის ჩამოსაყალიბებლად და თეატრის შენობის ასაგებად.

1901 წლის დასაწყისში შედგა ხონის ინტელიგენციის კრება, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება თეატრის აგებისა და სცენისმოყვარეთა დასის შექმნის შესახებ. მის განხორციელებაში

აქტიური მონაწილეობა მიიღეს: ვ. შავდიამ, პ.მდივანმა, ი.ქუთათელაძემ, პოლ. ჩხიკვიშვილმა, პოლ. კიკალიშვილმა და სხვ.მათ შენობის ასაგები თანხა ისესხეს შავი ქვის მრეწველ მიხეილ მებუკისაგან, რომელიც ყოველგვარ კულტურულ წამოწყებას სათანადო დახმარებას უწევდა. თეატრის ფიცრული შენობა უფასოდ ააგეს დურგლებმა, ძმებმა შველიძეებმა. არჩეულ იქნა სათეატრო კომიტეტი: პ. ჩხიკვიშვილის, პ. კიკალიშვილის, ოლ. წერეთლის, ოლიმპ. ლორთქიფანიძის, ილ. ბახტაძის და სხვათა შემადგენლობით. სცენისმოყვარეთა დასს ხელმძღვანელობდა ქუთაისის თეატრის მსახიობი, ნიჭიერი მხატვარი ვასილ (ვასო) ბალანჩივაძე.

ხონში თეატრის დაარსება დააჩქარა, ხოლო შემდეგ მის რეპერტუარსა და საერთოდ, საქმიანობაზე დიდ გავლენას ახდენდა ქუთაისის თეატრი. ამ დროს მას სათავეში ედგა დიდი ლადო მესხიშვილი. იგი დახმარების ხელს უწვდიდა ხონის თეატრს-უგზავნიდა მას თავის საუკეთესო მსახიობებს და ზოგჯერ მთელ დასსაც კი. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ 1901-1917 წლებში ხონში არ დადგმულა, თითქმის არცერთი სპექტაკლი, რომელშიც მონაწილეობა არ მიეღოს ქუთაისის თეატრის წარმომადგენელს ხან როგორც მსახიობს, ხან კიდევ როგორც რეჟისორს.

1901-1906 წლებში თეატრის რეპერტუარში შედიოდა: დ. ერისთავის „სამშობლო", დ.კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება" აკაკი წერეთლის „პატარა კახი", გ. სუნდუკიანცის „პეპო", ა. ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი", მოლიერის „სკაპენის ცულლუტობანი", ა. ცაგარელის „რაც გინახავს, ველარ ნახავ" და სხვ.

ახლადდაარსებული ხონის თეატრის განმტკიცების საქმეში დიდი როლი შეასრულა ქუთაისის თეატრის გასტროლებმა ლადო მესხიშვილის ხელმძღვანელობით (1901 წლის ზაფხულში) და აკაკი წერეთლის მიერ გაზეთ „ივერიაში" გამოქვეყნებულმა ვრცელმა რეცენზიამ „პეპო ხონში"

1907 წლიდან ხონის თეატრის ისტორიაში ახალი პერიოდი დაიწყო. ადგილობრივ სცენისმოყვარეთა ჯგუფმა მტკიცედ გადაწყვიტა ზაფხულის ყველა კვირა დღეს სისტემატურად გაემართა წარმოდგენები. ხელმძღვანელად მოწვეულ იქნა ქუთაისის თეატრის მსახიობი ნიკო გვარაძე.

1907 წლის 29 მაისს კარეევის დრამით „ცხოვრების გმირი" გაიხსნა პირველი საზაფხულო სეზონი. ფაქტობრივად ჩამოყალიბდა პატარა პროვინციული დასი რომელსაც თავისი რეჟისორი ჰყავდა.

1907-1917 წლებში, სხვადასხვა დროს, ხონის საზაფხულო თეატრის რეჟისორები იყვნენ ცნობილი მსახიობები: ნიკო გვარაძე, მიხეილ ქორელი, ალექსანდრე ყალაბეგაშვილი, ვალერიან შალიკაშვილი.

1917-1921 წლებში ხონში საზაფხულო სეზონი არ ყოფილა. მსახიობები შალვა გოგოლაშვილი (ხონელი), კირილე მაჭარაძე, დავით მებუკე, ნიკო გვარაძე და სხვები ზაფხულობით მართავდნენ წარმოდგენებს, მაგრამ მათ უკვე სისტემატური ხასიათი არ ჰქონდა.

ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ ხონის ინტელიგენციის ძირითად ნაწილს კარგად ჰქონდა შეგნებული თეატრის დიდი საზოგადოებრივი დანიშნულება და აქტიურად მონაწილეობდა წარმოდგენებში, ლიტერატურულ შეკრება-საღამოებში და კონცერტებში. სცენისმოყვარეთა შორის იყვნენ დარბაისელი ექიმები და პედაგოგები, საზოგადო მოღვაწეები და პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები. ხონის სცენაზე დაიწყეს მოღვაწეობა შემდეგში პროფესიონალმა მსახიობებმა: შალვა გოგოლაშვილმა-ხონელმა (საქ. სახალხო არტისტი), კირილე მაჭარაძემ (საქართველოს დამსახურებული არტისტი), ვალერიან შალიკაშვილმა, ილია მამფორიამ და სხვ.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ხონის საზოგადოებრივ ატმოსფეროზე გადამწყვეტ გავლენას თეატრი ახდენდა.

**ხონის კულტურულ ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამკითხველო-ბიბლიოთეკის გახსნას (1901 წ) და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ადგილობრივი განყოფილების დაარსებას (1901 წლის 22აპრილი).** ქშწკგს ხონის განყოფილებას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ: ალ. ჭიჭინაძე,ეკატერინე ვასილის ასული ბახტაძე, მათე ბახტაძე (გამგეობის თავჯდომარეები), ივ.შარაშიძე (თავჯდომარის მოადგილე), გრ.ბურჭულაძე, ლ.ჩიმაკაძე, ვ.მებუკე ( გამგეობის მდივნები), პ.ჩხიკვიშვილი, ს.მამალაძე, ეფ. ჭიჭინაძისა, ე.ცაგარეიშვილი, ე.კიწმა-

რიშვილი, მ.ჭელიძე, შ.მიქელაძე, ლ.სანოძე და სხვები (გამგეობის წევრები).

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა და ადგილობრივი ხელისუფლება ყოველმხრივ აბრკოლებდა განყოფილების მუშაობას, მას უყურადღებოდ არ დაუტოვებია საქართველოს სინამდვილეში არც ერთი კულტურული ღონისძიება, რომელსაც საზოგადოებრივი და ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა. მან ამით თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა იმ დიდ საშვილიშვილო საქმეში, რომელსაც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ემსახურებოდა.

ხონის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებასთან დაკავშირებულია ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლის და განსაკუთრებით კი აკაკი წერეთლის მოღვაწეობა. აკაკი წერეთელს ხონში მრავალი მეგობარი ჰყავდა: ილია ბახტაძე (ხონელი) და მისი ძმები, პოლიკარპე ჩხიკვიშვილი, ივანე შარაშიძე, მათე ბახტაძის ოჯახი და მრავალი სხვა. ამიტომ პოეტი ხონის ხშირი სტუმარი იყო. ხონელები ყოველთვის აღტაცებით ხვდებოდნენ თავიანთ სათაყვანებელ პოეტს, ხოლო 1909 წლის 24 მაისს (ძვ.სტ) გრანდიოზული იუბილე გადაუხადეს.

ამ დღეს პოეტი საოსტატო სემინარიის საპატიო სტუმარი იყო.

# თავი მეორე
# სამასწავლებლო (საოსტატო) სემინარიის დაარსება ხონში

## 1. ქუთაისის გუბერნიაში სამასწავლებლო სემინარიის გახსნის საკითხი და ქართველი საზოგადოებრიობა

XIX საუკუნის 60-70-იან წლებში გატარებულმა რეფორმებმა რადიკალური ცვლილებები გამოიწვიეს რუსეთის იმპერიის სოციალურ-ეკონომიკურ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. თვითმპყრობელობისა და ფეოდალური წყობილების გადმონაშთების შენარჩუნების მიუხედავად, ნელა, მაგრამ მაინც, გზას იკაფავდა ახალი, შედარებით პროგრესული, ბურჟუაზიული ურთიერთობანი ბატონყმური უღლისაგან თავდახსნილი გლეხი, არსებობისათვის ბრძოლაში განათლების, ელემენტარული ცოდნის მიღების აუცილებლობის წინაშე დადგა. სწრაფად იზრდებოდა, განსაკუთრებით ამიერკავკასიაში, კერძოდ საქართველოში,სასწავლებელთა, პირველ რიგში, დაწყებითი სკოლების რაოდენობა. ამან თავისთავად მათი მასწავლებლებით უზრუნველყოფის საკითხი დააყენა.

ეს სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა, რადგან არა თუ საქართველოში არამედ მთელს რუსეთშიაც არ იყო სპეციალური დაწესებულება, რომელიც საშუალო და დაწყებითი სკოლებისათვის კადრებს მოამზადებდა. ამის გამო, ზოგჯერ, პედაგოგის როლში გამოდიოდნენ სრულიად შემთხვევითი პიროვნებანი, რომლებსაცსაამისო არც ცოდნა და არც მოწოდება ჰქონდათ. მეფის მთავრობას უფრო მეტად ის აფიქრებდა, რომ მათი გარკვეული ნაწილი ხალხის პოლიტიკურ გამოფხიზლებასა და ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას ისახავდა მიზნად.

სხვადასხვა საქველმოქმედო საზოგადოებების, რომელთაც მთავრობა ეჭვის თვალით უყურებდა, თუ კერძო პირების მიერ გახსნილი, უპირატესად დაწყებითი სკოლები კი, როგორც აღინიშნა, სოკოებივით მრავლდებოდნენ. ცარიზმმა გადაწყვიტა ისინი თავისი დიდმპყრობელურ-შოვინისტურ პოლიტიკის სამსახურში ჩაეყენებია. ეს მაშინ გახდებოდა შესაძლებელი, თუ იგი, პედაგოგიური სწავ-

ლებლების გახსნის გზით, სკოლებისათვის მასწავლებელთა მომზადების საქმეს მთავრობის კონტროლს დაუმორჩილებდა.

რუსეთში, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, საშუალო პედაგოგიური სასწავლებლის ყველაზე საუკეთესო ტიპად სამასწავლებლო სემინარია ითვლებოდა. დასავლეთ ევროპაში, კონკრეტულად გერმანიაში, მას უკვე კარგახნის ისტორია ჰქონდა, რუსეთში კი პოპულარული გახდა მას შემდეგ, რაც გამოჩენილმა რუსმა პედაგოგმა კ. უშინსკიმ განათლების სამინისტროს ჟურნალში (1881 წ) გამოაქვეყნა სტატია „პედაგოგიური სემინარიის პროექტი“.

სამასწავლებლო სემინარიის იდეა კარგად იყო ცნობილი საქართველოშიც[1]. მისი დანიშნულება ხალხის ფართო მასებში იმდენად იცოდნენ, რომ სახალხო დაწყებითი სკოლების გახსნისა და გამრავლების თაობაზე მსჯელობის დროს, ქართველი გლეხობა გარკვეულად მოითხოვდა, არა მარტო სკოლების, არამედ ამ სკოლებისათვის მასწავლებელთა სამჭედლო სემინარიების დაარსებასაც[2]. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობა.

ქუთაისის გუბერნიაში სამასწავლებლო სემინარიის გახსნის აზრი ჯერ კიდევ 1864 წელს წარმოიშვა და მას დადებითად გამოეხმაურა ადგილობრივი ადმინისტრაცია, რადგან რუსი ჩინოვნიკები თვლიდნენ, რომ ასეთი სასწავლებლის დანიშნულება უნდა ყოფილიყო საზოგადოების სახსრებით გახსნილი სასწავლებლის უზრუნველყოფა რუსული ენის მცოდნე და მთავრობის პოლიტიკის გამტარებელი პედაგოგიური კადრებით.

1867 და 1869 წლებში ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობამ კონკრეტულად დააყენა საკითხი საკუთარი სახსრებით ქუთაისში პედაგოგიური სასწავლებელი გაეხსნათ. სასწავლო ოლქის მზრუნველი მეფისნაცვალს აცნობებდა, რომ მასწავლებელთა ნაკლებობის

---

1. სემინარიის ტიპის სასწავლებელი ჯერ კიდევ 1782 წელს გაიხსნა საქართველოში-თელავში მეფის სასახლის სკოლის ბაზაზე ანტონ კათოლიკოსის ინიციატივით. თელავის სემინარიაში მოღვაწეობდნენ: ფილიპე ყაითმაზაშვილი, დოსითეოს ჩერქეზიშვილი-ნეკრესელი, გაიოზ და დავით რექტორები.

2. გ.თავზიშვილი, ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარია ქ.გორში, რჩეული თხზ. ტ.III თბ. 1980, გვ. 317.

გამო მას არ შეუძლია თავის გამგებლობაში მიიღოს უკანასკნელ დროს სამეგრელოსა და იმერეთში მოსახლეობის მიერ გახსნილი სკოლები.

ქუთაისის გუბერნატორი, გრაფი ვ. ლევაშოვი, 1868 წლის ანგარიშში აღნიშნავდა საშუალო სკოლებში კვალიფიციური მასწავლებლების ნაკლებობას და სათანადო ზომების გატარებას მოითხოვდა. 1869 წ. მან ამ საკითხზე მოხსენებითი ბარათით მიმართა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს, ხოლო 1870 წელს-კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსს.გუბერნატორის მოხსენებით ბარათებში დასაბუთებული იყო ქუთაისის გუბერნიაში სამასწავლებლო სემინარიის გახსნის აუცილებლობა. ამავე სემინარიაში-წერდა იგი-შეიძლება ყოველწლიურად, რამდენიმე თვის განმავლობაში, უმთავრესად არდადეგების დროს, ეწყობოდეს მასწავლებელთა შეკრებები, სწავლების ახალი მეთოდებისა და სოფლის მეურნეობის ძირითადი საფუძვლების გასაცნობად. ამგვარად გააღრმავებენ რა თავიანთ ცოდნას, ისინი უკეთესად შეასრულებენ მათზე დაკისრებულ, მეტად მნიშვნელოვან, მოვალეობასო[3].

სასწავლო ოლქის მზრუნველიც, თავის მხრივ, მეფისნაცვალს თხოვდა დაემტკიცებია ქუთაისის გუბერნიის სოფლის საზოგადოებათა „განაჩენი", ამ გუბერნიაში სამასწავლებლო სემინარიის მოსაწყობად ყოველწლიურად შესატანის (გადასახადის) დაწესების შესახებ და ქუთაისში სამასწავლებლო სასწავლებლის გახსნის ნება დაერთო[4]. მეფის ნაცვალმა-მიხეილ რომანოვმა ეს უაღრესად სასარგებლო საქმედ მიიჩნია,თხოვნასაც დადებითი რეზოლუციაც გაუკეთა, მაგრამ იმ ხანად, პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა. უყურადღებოდ დარჩა ამავე საკითხზე ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორის ვ.ნ.ტროეს 1870 წლის შუამდგომლობა კავკასიის მთავრობის წინაშე[5].

სპეციალური პედაგოგიური სასწავლებლის გახსნამდე საქართველოს ზოგიერთ დაწყებით სკოლაში ახალგაზრდობის სწავლა-აღ-

---

3. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (შემდეგში შემოკლებით სცსსა) ფ. 7, აღწ.5. საქ. 40, ფურ. 1-4.

4. Циркуляр Кавказского учебного округа, 1871, V-VI с. 58.

5.ვ.ნ. ტროეს, როგორც კარგ პედაგოგს, გულთბილად იგონებს აკაკი „ჩემს თავგადასავალში", იხ. აკაკი წერეთელი, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. 3. თბ. 1989, გვ.64-68.

ზრდის საქმეს თბილისის, ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტისა და ყუბანის სამასწავლებლო სემინარიის კურსდამთავრებულები ემსახურებოდნენ.ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავთ-„ზოგიერთ სკოლაში", რადგან დასახელებულ სასწავლებლებს მასწავლებლებზე სისტემატურად მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილება ოდნავადაც არ შეეძლოთ[6].

მოწინავე საზოგადოებრიობის ბრძოლა პედაგოგიური განათლების პრობლემის მოგვარებისათვის, გარკვეული წარმატებით დამთავრდა. 1871 წლის 24 მაისს ალექსანდრე II დაამტკიცა განათლების სამინისტროს მიერ წარდგენილი „სამასწავლებლო სემინარიების დებულება", რითაც ასეთი სასწავლებლების დაარსების საქმეს მყარი იურიდიული ბაზა შეექმნა.

კავკასიის ადმინისტრაციას—მეფისნაცვალსა და სასწავლო ოლქის მზრუნველს, უკვე ჰქონდათ სათანადო ოფიციალური საფუძველი აღეძრათ შუამდგომლობა უმაღლესი ხელისუფლების წინაშე სამასწავლებლო სემინარიის გახსნის შესახებ. 1873 წლის 22 ნოემბერს რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭომ განიხილა მეფისნაცვლის

---

6. თბილისის სამასწავლებლო სკოლა პირველი პედაგოგიური სასწავლებელი იყო საქართველოში. გაიხსნა 1866 წ. „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" ინიციატივით. თავდაპირველად სამი კლასისაგან შედგებოდა, იღებდნენ დაწყებით სკოლადამთავრებულებს. 1871 წ.სამასწავლებლო-საოსტატო ინსტიტუტად გადაკეთდა და იმპერატორ ალექსანდრე II სახელი ეწოდა. ინსტიტუტი ამზადებდა მასწავლებლებს ამიერკავკასიის საქალაქო, შემდეგში უმაღლესი დაწყებითი სკოლებისათვის.

თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტი იყო პროტოტიპი შემდეგში აღმოცენებული საოსტატო სემინარიებისა, სრულიად ახალი სახის საერო სკოლა (მეორე მთელს იმპერიაში; პირველი ასეთი სასწავლებელი გაიხსნა 1864 წ. ქ. მოლოდჩენში. მოსკოვში კი არსებობდა სამხედრო-სამასწავლებლო სემინარია. იგი ამზადებდა მასწავლებლებს დაწყებითი სამხედრო სკოლებისათვის, რომელიც თავისუფალი უნდა ყოფილიყო სასულიერო სასწავლებლებსა და სახელმწიფო გიმნაზიაში გამეფებული სწავლების დოგმატური მეთოდებისა და ადამიანის ღირსების დამამცირებელი რეჟიმისაგან.

ყუბანის სამასწავლებლო სემინარია, პირველი კავკასიაში, გაიხსნა 1869 წ. სტანიცა სტარკორსუნსკაიაში, 1870 წელს, იგი ყუბანის სემინარიის სახელწოდებით ეკატერინოდარში გადაიტანეს. (გ.თავზიშვილი, სახალხო განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების ისტორია საქართველოში 1801-1870 წწ. თხზ. ტ.I, თბ. 1974, გვ 452-453).

მოხსენებითი ბარათი „კავკასიასა და ამიერკავკასიაში სასწავლო ნაწილის მოწყობის საკითხზე"და მიიღო გადაწყვეტილება გაეხსნა ამიერკავკასიაში, ადგილობრივი სასწავლებლებისათვის მასწავლებელთა მოსამზადებლად სამასწავლებლო სემინარია[7].

სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილება იმპერატორს უნდა დაემტკიცებია. ამისთვის საჭირო იყო სემინარიის დებულებისა და შტატის პროექტის შედგენა. ამას ორი წელი დაჭირდა. საქმე იმაშია, რომ როგორც მეფისნაცვალი, ასევე სასწავლო ოლქის მზრუნველიც ფიქრობდნენ, რომ ამიერკავკასიის სემინარიას მასწავლებლები უნდა მოემზადებია არა მარტო საქართველოსათვის, არამედ სომხეთისა და აზერბაიჯანისთვისაც. ეს აისახა მეფისნაცვალ მიხეილისადმი კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველ იანუარ ნევეროვის მიერ, 1874 წლის მაისში წარდგენილ, ამიერკავკასიის სემინარიის დებულებასა და შტატის პროექტში.

1875 წლის 8 აპრილს იმპერატორმა დაამტკიცა სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილება ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის დაარსების შესახებ და აგრეთვე სემინარიის დებულება და შტატი[8]. დაინიშნა დირექტორი-სპ. დივარი. მაგრამ ადგილი. სად უნდა გახსნილიყო სასწავლებელი ჯერ კიდევ არ იყო შერჩეული. სასწავლო ოლქის მზრუნველი უპირატესობას ანიჭებდა თბილისის შემოგარენს, რათა ქართველებთან ერთად სემინარიაში სწავლის შესაძლებლობა სომხებსაც და თათრებსაც (საერთოდ მუსულმანებს) ჰქონოდათ. ამ საკითხის მოგვარება სემინარიის დირექტორს სპირიდონ დივარსა და თბილისის გუბერნიის სახალხო სასწავლებლების დირექტორს ბესარიონ ღოღობერიძეს დაევალა. სემინარიისათვის ადგილის შერჩევის საკითხს გაზეთი „დროება" გამოეხმაურა. რედაქციამ 1876 წლის 30 იანვარს (N11) გამოაქვეყნა სტატია „გორს თუ ქუთაისში (სამასწავლებლო სემინარიის გახსნა)", რომელშიაც ნათქვამი იყო: „...ამბობენ, რომ კავკასიის სამოსწავლო მთავრობას ამჟამად სჯა აქვს იმის თაობაზედ,

---

7. Сборник распоряжении по управлению Кавказским учебным округом, второе пятилетие, 1872-1877, с.171.

8. „დროებამ" ორჯერ გამოაქვეყნა „დებულება კავკაზიის აქეთა მხარის სემინარიაზედ უმაღლესად დამტკიცებული 8 აპრილს, 1875 წ. იხ. „დროება" 1875, VI, 8, N64, გვ.4; VI, 13, N66, გვ 4.

თუ სად უნდა გაიხსნას ეს მეორე სამასწავლებლო სემინარია[9], რომლის დაარსება ჩვენში ამ ერთი წლის წინათ გადაწყდა.

სხვადასხვა ქალაქები და სოფლები ჰქონიათ მხედველობაში: მანგლისი, ახალქალაქი, გორი და, მგონი ალბულაღიც მაგრამ ბოლოს კი გორზე და ქუთაისზე შეჩერებულან და ახლა ამ ორ ქალაქიდან-ერთ-ერთში უნდა გაიხსნას ეს სასწავლებელი". თვითონ სტატიის ავტორი მხარს უჭერდა ქუთაისს.

ამ საკითხზე „დროების" იმავე წლის N34-ში გამოქვეყნებული კორესპონდენცია უპირატესობას კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქს ანიჭებდა.

ქუთასი, რომელიც, როგორც ითქვა, დიდიხანია ითხოვდა სამასწავლებლო სასწავლებელს. კვლავ ჩაება სემინარიის გახსნისათვის ბრძოლაში. ქალაქის თვითმართველობამ სპეციალური დეპუტაციის საშუალებით, სასწავლო ოლქს აცნობა, რომ მზადაა სასწავლებლისათვის ააგოს საჭირო შენობები, გადასცეს მას სანიმუშო ბაღი ფერმის სახელწოდებით[10] და ყოველწლიურად დახმარების სახით მისცეს 700 მანეთი. დიდ დაპირებებს იძლეოდა გორიც. ბოლოს, სასწავლო ოლქის მზრუნველის საბჭომ, ხმის უმრავლესობით,მიიღო გადაწყვეტილება სემინარია გორში დაარსებულიყო. ეს გადაწყვეტილება იმპერატორმა დაამტკიცა და ამიერკავკასიის (გორის) სამასწავლებლო სემინარიამ 1876 წ. 12 სექტემბრიდან ფუნქციონირება დაიწყო. ეს იყო საქართველოში პირველი სამასწავლებლო სემინარია, რომლის დაარსებას ქართველი საზოგადოებრიობა და პრესა დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ[11].

გორის სემინარიაში მიღების მსურველთა რაოდენობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. განსაკუთრებით ბევრი იყო განცხადება დასავლეთ საქართველოდან. ახლადგახსნილ სასწავლებელს ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება ოდნავადაც არ შეეძლო. ამასთან დაკავ-

9. იგულისხმება, რომ კავკასიაში -ყუბანში უკვე არსებობდა სემინარია.

10. XIX საუკუნის შუა წლებში (1852წ) ქუთაისში საფუძველი ჩაეყარა სასოფლო-სამეურნეო ფერმას, რომელიც მოეწყო ჭომაში. აქვე გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო სკოლა (1858-1860 წწ) შეიქმნა საკმაოდ ვრცელი სანიმუშო ბაღი-მეურნეობა, რომლის ბაზაზე დაარსდა ბოტანიკური ბაღი.

11. თ. იოსელიანი, ხონის სამასწავლებლო სემინარიის დაარსების საკითხისათვის ჟურ. კომუნისტური აღზრდისათვის, 1956, N11, გვ.77.

შირებით ქუთაისის გუბერნიაში ახალი ძალით გაჩაღდა მოძრაობა სემინარიისათვის. განსაკუთრებით აქტიურობდა ხონის მოსახლეობა. მან 1879 წელს თავის ყრილობაზე გამოიტანა გადაწყვეტილება ხონში სემინარიის გახსნის საჭიროებაზე და სათანადო შუამდგომლობა აღძრა სასწავლო ოლქის წინაშე. ხონის საზოგადოება სამასწავლებლო სასწავლებლის შენობის ასაგებად 10000 მანეთის გადახდას კისრულობდა. შედგენილ იქნა შენობის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა[12].

ამასობაში კავკასიის ადმინისტრაციამ შეიმუშავა ამიერკავკასიის ცალკეული გუბერნიებისათვის თითო სამასწავლებლო სემინარიის გახსნის აზრი და მთავრობას წარუდგინა განსახილველად. კავკასიის კომიტეტმა პეტერბურგში, 1879 წლის 13 მარტს, მოიწონა იგი და სასწავლო ოლქიც შეუდგა მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას-პირველ რიგში შეერჩია ადგილი სად უნდა გახსნილიყო სემინარია.

ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორს მარსოვს დაევალა ამ საკითხზე სასწავლო ოლქში თავისი მოსაზრება წარედგინა. 1879 წლის 11 ივლისს გაზეთი „დროება" წერდა: „ქუთაისში სამასწავლებლო სემინარიის გახსნის თაობაზე ჩვენ მივიღეთ ამ ქალაქიდან შემდეგი შენიშვნა:

გუშინ 5 ივლისს, ქუთაისის დუმის სხდომაზე, სანამ სხდომა გაიხსნებოდა, ქუთაისის გუბერნიის სახალხო შკოლების დირექტორმა უფ. მარსოვმა როგორც კერძო პირმა, მოახსენა დუმას უმაღლესი მართებლობის ნება, რომ უკვე გადაწყვეტილიაო, რომ ქუთაისის გუბერნიაში აუცილებლად დაარსდეს ერთი სამასწავლებლო სემინარია...

მე მომანდო სამასწავლებლო უწყების მზრუნველმაო-სთქვა უფ. მარსოვმა, დავეხმარო მას ამ საქმეში და ადგილი ამოვარჩიო-სად ამჯობინებს ეს სემინარიაო. რამდენადაც ამ ცოტა ხანში მოვასწარი გუბერნიის გაცნობა მე არ შემიძლიაო, რომელიმე სხვა ადგილი ვამჯობინო ყოველის მხრით ქუთაისსაო და ამისათვის ჩემი მოხსენებაც მზუნველთან ამ აზრის იქნებაო".

აქ უფ.მარსოვმა განმარტა თუ რით აჯობებს რომელი უეზდის

---

12. იქვე, გვ. 77.



ხონის საზოგადოების 1880 წლის 21 დეკემბერს ჩატარებული ყრილობის „პრიგოვორი“ ხონში სამასწავლებლო სემინარიის გახსნის შესახებ

ქალაქიც უნდა იყოს, ქუთაისი, და თან დასძინა, თუ ჩემს აზრს ქალაქიც შეუერთდებაო, მაშინ სემინარია არ აგცილდებათო ქუთაისში.

ქალაქმა დიდი მადლობა შესწირა უფ.მარსოვს, რომ ასეთ მონაწილეობას იღებს ქუთაისისათვის და აღტაცებით განუცხადა, რომ სანამ დაწვრილებით ამასვე მოახსენებდეს სამასწავლებლო უწყების მზრუნველს, ეხლა კერძოდ გარდასცეს მას ქალაქის მხრით, რომ ის მზათ არის, რითაც შეიძლება დახმარება გამოუჩინოს ამ საქმეშიდ, გინდ ადგილის ჩუქებით, გინდ ქალაქის შემოსავალ-გასავლის მიხედვით ფულითაც, ოღონდ სემინარიას ქუთაისს ნუ აცილებენ.

ჩვენ შევიტყვეთ, უფ. ქუთაისის გუბერნატორს სურს ხსენებული სემინარია დაარსდეს სოფ.ცეისში, ლეჩხუმისა და სამეგრელოს საზღვარზე.ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, თუ უფ. გუბერნატორი რით ხელმძღვანელობს ამ ადგილის გამორჩევის დროს. ცეიში გახლავთ ერთი ყრუ ადგილას მივარდნილი ყრუ სოფელი, სადაც ორიოდე ყაზარმის მეტი არა მოიპოვება რა.

იმედია სამასწავლებლო უწყების მზრუნველი არ დააგდებს უყურადღებოდ ქალაქის თხოვნას და არ აცილებს სემინარიას ქუთაისს."[13]

1880 წლის 20 ოქტომბერს იმპერატორმა დაამტკიცა სახელმწიფო საბჭოს წარდგინება ქუთაისის გუბერნიაში სამასწავლებლო სემინარიის გახსნის შესახებ. იმპერატორმა დაამტკიცა, აგრეთვე, სემინარიის შტატი და ბიუჯეტი (იხ. გვ. 40). ამის შემდეგ უკვე პრაქტიკულად დადგა ადგილის შერჩევის საკითხი. ხონში ახალი ძალით გაჩაღდა მოძრაობა სემინარიის იქ დაარსებისათვის. 1880 წლის 21 დეკემბერს ხონის საზოგადოების ყრილობამ, რომელიც ივანე შარაშიძის ინიციატივით შეიკრიბა, ხელმეორედ გამოიტანა გადაწყვეტილება ე.წ. „განაჩენი" რომელშიაც ნათქვამი იყო: „კვლავ განმეორებით ვსთხოვთ უფალ მზრუნველს კავკასიაშიდ. რათა სემინარია, დაარსებული ქუთაისის გუბერნიაშიდ, დაბოლოვებითათ დაწესდეს დაბასა ხონშიდ... ვინაიდან თქმული სემინარია შესაძლოა დროებითათ გახსნილ იქნეს ვისისამე კერძო სახლშიდ, ვიდრე

13. „დროება", 1879, VII, 11, N143, გვ.1-2

## ქუთაისის გუბერნიაში სამასწავლებლო სემინარიის შტატი

| | პირთა რაოდენობა | წლიური ხელფასი | | | | კლასი და თანრიგი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ერთის | | | სულ | თანამდებობით | მუნდირით | პენსიით |
| | | ჯამაგირი | ქამასნის ხარჯი | ბინის | | | | |
| დირექტორი | 1 | 1200 | 1300 | სახაზ. ბინა | 2500 | V | V | |
| სალვთო სჯულის მასწავლებელი მართლმადიდებელი აღმსარებლობის | 1 | 650 | 550 | 195 | 1395 | | | სასწავლო სამსახურის მიხედვით |
| რუსული და ქართული ენების, აგრეთვე სხვა საგნების მასწავლებლები | 4 | 650 | 550 | 195 | 5580 | VIII | VIII | |
| სემინარიასთან არსებული მოსამზადებელი კლასის მასწავლებელი | 1 | 650 | | 195 | 845 | | | |
| დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებელი | 1 | 600 | | 180 | 780 | X | X | |
| გასამრჯელო მასწავლებლებს სემინარიასთან არსებულ პანსიონში მორიგეობისათვის | | | | | 1500 | | | |
| სიმღერის, მუსიკის, გიმნასტიკის და ხელოსნობის შესასწავლად | | | | | 1200 | | | |
| მებაღეობის შესასწავლად | - | - | - | - | 400 | | | |
| ექიმი | 1 | 300 | | | 300 | VIII | VIII | სამედ. სამსახ. მიხ |
| საქმისმწარმოებელი (იგივე ეკონომი) | 1 | 500 | - | - | 500 | | | |
| სახელმწიფო ხარჯზე 50 აღსაზრდელის შესანახად, თითოეულზე 130 მან | | | | | 6500 | | | |
| მათვე სასწავლო ხასიათის დახმარებისათვის | | | | | 400 | | | |
| კურსდამთავრებულთა დასაჯილდოვებლად | | | | | 200 | | | |
| წამლებისათვის | | | | | 200 | | | |
| ბიბლიოთეკისა და სასწავლო მოწყობილობების შესაძენად | | | | | 300 | | | |
| შენობის დასაქირავებლად | | | | | 3000 | | | |
| გათბობის, განათების და ავეჯის შეკეთებისათვის | | | | | 1400 | | | |
| მოსამსახურეთა დასაქირავებლად, საკანცელარიო და გაუთვალისწინებელი ხარჯები | | | | | 800 | | | |
| სულ | | | | | 27.800 | | | |

შენიშენა: სალვთო სჯულის მასწავლებელს კვების თანხა მიეცემა იმ შემთხვევაში, თუ მას აკადემიური განათლება აქვს (Сборник распоряжений. Тф. 1981, с. 546).

აღიგებოდეს საკუთარი მისთვის შენობები, ამისათვის ვთხოვთ ჩვენ მასვე მზრუნველს უფალს იანოვსკის, რათა მან კეთილ ინებოს მიღება ჩვენთაგან დროებით ბინათ მოხსენებული სემინარიისა ორი ქვიტკრის სახლისა, კუთვნილის ჩვენი საზოგადოებისადმი, რომელშიდაც დღეს არიან ხონის ორკლასიანი სასწავლებელი და ხონის მომრიგებელი მოსამართლე".[14]

აღნიშნული "განაჩენი" გაეგზავნა ქუთაისის გუბერნატორს თხოვნით სასწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე დაეყენებია ეს საკითხი. გუბერნატორმა, გენ.მაიორ ნიკ.ივს. მალაფეევმა, თხოვნა შეასრულა და ხონის საზოგადოების „განაჩენთან" ერთად თავისი დასკვნაც გადაუგზავნა მზრუნველს. დასკვნაში დასაბუთებული იყო ქუთაისის უპირატესობა ხონთან შედარებით. გუბერნატორი წინადადებას აყენებდა სემინარია ქუთაისში გახსნილიყო.

სასწავლო ოლქი მხარს უჭერდა სემინარიის ხონში დაარსებას, რაც 1881 წ. 20 იანვარს ეცნობა კიდეც კავკასიის მეფისნაცვალს.

საჯაროდ დაისვა საკითხი-სად უფრო მიზანშეწონილი იყო ასეთი სემინარიის გახსნა. ერთმანეთს ეცილებოდნენ ქუთაისი და ხონი. ზოგი მოითხოვდა სასწავლებელი ქუთაისში გაეხსნათ, სხვები უპირატესობას ხონს აძლევდნენ. პოლემიკაში ჩაებნენ გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები და ქართველი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები, საქართველოში გამომავალი ჟურნალ-გაზეთები („დროება", „შრომა" „სასოფლო გაზეთი", „კავკაზი", „ობზორი" და სხვ.)

გაზეთ „დროების"რედაქცია სასწავლებლის ქუთაისში გახსნას უჭერდა მხარს „შეუბრალებელი ომი, ჯიბრი და ქიშპობაა ქუთაისსა და ხონს შუა წერდა „დროება" 1880 წლის 12 აპრილის მოწინავე სტატიაში-მმართველობამ გამოაცხადა ქუთაისის გუბერნიაში სემინარია უნდა გაიხსნასო, ქუთაისი თავისკენ სწევს, მიითრევს ამ სასწავლებელს, ხონი თავისკენ. ერთიც ამტკიცებს ყოვლის მხრით უკეთესი იქნება თუ აქ გაიხსნება ეს სასწავლებელიო და მეორეც ასე თავის თავზე მიუთითებს, ერთიც შემწეობას პირდება და მეორეცა, ოღონდ კი ჩვენში გახსენითო, ქუთათურები მოთვლიან ათას აუცილებელ პირობებს, რომლებსაც იმათი სამშობლო ქალაქი

14. თ.იოსელიანი, დასახ. ნაშრ. გვ.77-78.

აკმაყოფილებს და რომლებსაც ხონი ვერ დააკმაყოფილებს. ხონელებიც ამგვარადვე ამბობენ, დედამიწის სამოთხედ ხდიან თავის პატარა დაბას და ათას წუნს პოულობენ ქ.ქუთაისში.:.

ამნაირად ვითარცა ორი მოარშიყე ერთის და იმავე ქალისა, ქუთაისი და ხონი, ერთმანეთს არ ზოგავენ, თუ აშკარად, თუ ჩუმჩუმად ჰკიცხავენ, ჰკილავენ და ლანძღავენ ერთმანეთს-რა არის მშვენიერი ქალი-საოსტატო სემინარია ჩვენ გადმოვიბიროთო.

ჯერ გადაწყვეტილი არ არის რომელ ამათთაგანს მისცემს მთავრობა უპირატესობას, ჩვენ არ ვიცით ხონში გახსნის ის საოსტატო სემინარიას თუ ქუთაისში, მაგრამ ის კი ვიცით, რომ სანამ ამას დაბოლოვებით გარდაწყვეტდეს ჩვენში სწავლა-განათლების გამგე მთავრობა, კარგად განსჯის ყურადღებით გამოიკვლევს და ყოველ პირობასა და გარემოებას ამ საგნის შესახებ, მიიღებს მხედველობაში. და თუ ასე ყურადღებით, გულდამჯდარად და მიუდგომლად გამოიკვლიეს ეს საგანი, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ უპირატესობა ყოველის მხრით ქალაქ ქუთაისს უნდა მიეცეს.[15]

საწინააღმდეგო მოსაზრება გამოთქვა აკაკი წერეთელმა, რომელიც სასწავლებლის ხონში გახსნის მომხრე იყო და შემდეგნაირად ასაბუთებდა თავის პოზიციას „დროების" რედაქციისადმი გაგზავნილ სტატიაში: „ქალაქი ქუთაისი და დაბა ხონი ერთმანეთს ექიშპებიან სამასწავლებლო სემინარიის შესახებ: არა ჩვენში გაკეთდეს და არა ჩვენშიო.

ჩვენ არ ვიცით რას აუღელვებია ისინი-ქვეყნის ერთგულებასა და სწავლა-განათლების სურვილს თუ სხვა რაიმე ხალთაბანდურ საქმეს; მაგრამ ყოველ შემთხვევაში უპირატესობას ხონს ვაძლევთ...

დაბალი სასწავლებელი და იმისთანა საშუალო სასწავლებელი, როგორიც სამასწავლებლო სემინარიაა, რაც უფრო აქა-იქ იქნება უფრო მეტი გავლენა ექნება ხალხზე და მეტს სარგებლობას მოუტანენ...

ქუთაისში გიმნაზიაა, პროგიმნაზიაა, სკოლები და სასულიერო სასწავლებელი. ვისაც ჰსურს იქ შეუძლიათ გამოზარდონ შვილები და ხონი კი, რომელსაც გარშემო 14 ათასი მოსახლე ასხია,

---

15. „დროება", 1880, IV,12, N81, გვ.1-2

რომელსაც უფრო ემარჯვება სამეგრელო, ქვემო იმერეთი, სამურზაყანო, გურია და სხვა, ერთსაც მოკლებულია.

ჩვენი აზრით შორაპანში, რომ ყოფილიყო სამასწავლებლო სემინარია უკეთესი იქნებოდა, მაგრამ რადგან ჯერი მხოლოდ ქუთაისზე და ხონზე მიდგა, მაშინ კი ხონი უფრო ხელმოსაკიდია. იქ ყმაწვილის აღზრდა ერთი-ორად, ერთი-სამად, უფრო იაფი და ადვილი იქნება, ვინემ ქუთაისში როგორც თვით სემინარიისათვის, ისე შეუძლებელი ხალხისათვის ეს დიდი საქმეა და რაც შეეხება იმ ხალხს,რომელთაც ქუთაისში მიყვანა და შენახვა შეუძლია შვილებისა ისინი ამ სასწავლებელში რაღად მისცემენ შვილებსა? მიმართავენ გიმნაზიებს და არა სემინარიებს...

მხოლოდ ეს შეუძლიანთ სთქვან ზოგიერთებმა: ყმაწვილების იქ ჯობია გამოზრდა, სადაც მეტი ჭკუის მოძრაობაა თვითონ მცხოვრებლებში და სადაც მეტ საზრდოს იშოვნიან ახალგაზრდები ზნეობისა და ჭკუისათვისო და ამის პასუხად აი, რას მოგახსენებთ: საქმე სახლების სიბევრეზე და მცხოვრებლების რიცხვზედ ხომ არ არის!... და, ისე რაც შეეხება ჭკუა-ზნეობას, რაღა ქუთაისი და რაღა ხონი. ერთი შენვი და მეორე ნაცხე: ჩემი აზრით, ხონი კიდევაც აჯობებს.

სამნიგნობრო საშუალებას რაც შეეხება შორს არ არის ხონი ქუთაისზედ;რამდენიმე საათის სავალია და მიტანა არ გაძნელდება, მაგრამ იმისთანა საშუალებას, როგორც ქუთაისშია ისინიც მალე გაიჩენენ.აქ მხოლოდ ეს უნდა ვთქვათ, რომ ქუთაისი უმჯობესი იქნება იმ რვა კაცისათვის, რომლებიც მასწავლებლად იქნებიან დანიშნული, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ სემინარიას მათთვის კი არ მართავენ, იმათ ნიშნავენ სემინარიისთვის და წინააღმდეგ შემთხვევაში, ძროხის ბანზე ატანა იქნება, რომ დანა არ ჩამოიტანონ...[16]

სამასწავლებლო სემინარიის ხონში გახსნას დაუჭირა მხარი ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ კონსტანტინე მამაცაშვილმა. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისადმი, 1881 წლის 14 თებერვალს, გაგზავნილ წერილში იგი ასე ასაბუთებდა ხონის უპირატესობას: „ხონი ყველაზე ცენტრალური ადგილია ქუთაისის გუბერნიაში, იმერეთის ხშირ მოსახლეობას შორის და უფრო ახლოა

16. „დროება", 1881, II, 21,N39, გვ.1-2



ივანე შარაშიძე

სამეგრელოსთან, ვიდრე ქუთაისი. ხონს ირგვლივ არტყია უზარმაზარი სოფლები... სემინარიის შენახვა, რადგანაც ეს დამოკიდებულია ადგილობრივ პირობებზე, ხონში უფრო იაფი დაჯდება, ვიდრე ქუთაისში თუმცა საგუბერნიო ქალაქია, მაგრამ ხონზე ღარიბია, ყველა დოვლათს და პროდუქტს ქუთაისი იღებს ხონიდან და მისი ახლო-მახლო ადგილებიდან... სემინარიას ექნება მოწაფეების უდიდესი კონტიგენტი ახლო-მახლო სოფლებიდან... ქუთაისს აქვს საკმარისი სკოლები და საშუალო სასწავლებლები..."[17]

ხონს დაუჭირეს მხარი გაზეთების „შრომის"[18], „ობზორის", „სასოფლო გაზეთის" და სხვა რედაქციებმა.

რასაკვირველია პრინციპული მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, თუ სად გაიხსნებოდა სემინარია და თუ ჩვენი ერის გულშემატკივრები ამ საკითხზე კამათობდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ მათ სურდათ სასწავლებელს, რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოეტანა ქართველი ხალხისათვის. ამიტომ საესებით სწორად მსჯელობდა „დროების" რედაქცია 1881 წლის 19 თებერვლის მოწინავეში- „ოღონდ კი შეგვეძინოს, ერთი არის კიდევ სასწავლებელი და ქუთაისში თუ არ იქნება, დაე, ხონში იქნესო."[19]

1881 წლის 21 თებერვალს სასწავლო ოლქმა ვითარების ადგილზე შესასწავლად ხონში სპეციალური კომისია გაგზავნა, თბილისის სახალხო სკოლების დირექტორის ს.6. სტრელეცკის ხელმძღვანელობით. ამასთან დაკავშირებით თითქმის ყოველი ხონელი გარკვეული სიამაყით ყვება შემდეგ ამბავს: ხონელები დიდი ამბით შეხვდნენ კომისიას და ივანე შარაშიძის ჩანაფიქრის თანახმად ეშმაკობას მიმართეს.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლები გაიგზავნა ახლო-მახლო სოფლებში, აგრეთვე სამტრედიაში, სამეგრელოს ცხენისწყლისპირა ოლქში,წყალტუბოს მხარეს. შეიკრიბა ათასობით ადამიანი. კომისიას ხონი ფუტკრის სკასავით აზუზუნებული დახვდა. სტუმრების სი-

---

17.სცსსა, ფ. 422, აღწ.1 საქ. 1164, ფურ.25

18. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ „შრომა" ქუთაისში გამოდიოდა მისი რედაქტორ-გამომცემლები იყვნენ: ნ.დადიანი და დ.ნაზარიშვილი. მასში აქტიურად თანამშრომლობდნენ ქუთაისის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები.

19. „დროება", 1881, П, 19, N38, გვ.1.

ახლოვეს დაჯირითობდა ათობით ცხენოსანი, დაბაში შედიოდა და გამოდიოდა ათობით დილიჟანსი და ფაიტონი.ხელოვნურად იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს დაბა ხონი ხალხმრავალი იყო, აქ სიცოცხლე ჩქეფდა, იაფი იყო ბაზარი, ტრანსპორტი, ბინა.

სტუმრები ხონელთა მასპინძლობითაც აღფრთოვანებული დარჩნენ. საქმე ხონის სასარგებლოდ გადაწყდა.[20] ამაში ივანე შარაშიძის ჩანაფიქრით განხორციელებულმა „ეშმაკობამ" მცირე როლი შეასრულა. მართალია ამიერკავკასიის რუსულ ადმინისტარციას ბევრი ყეყეჩი და გონებაშეზღუდული ჩინოვნიკი ჰყავდა, მაგრამ კომისიის წევრებმა კარგად იცოდნენ ხონისა და მისი რაიონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა,მოსახლეობის რაოდენობა თუდაც ყოველწლიური „კავკაზსკი კალენდრის" სტატისტიკური მონაცემების მიხედვით. კომისიის მიერ შემუშავებულ დასკვნაში ხაზგასმული იყო შემდეგი: დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებელთა მომზადება შეიძლება უფრო მიზანშეწონილად წარმოებდეს სოფელ ადგილას, სადაც მომავალი მასწავლებლები არ შეეჩვევიან ქალაქურ ცხოვრებას და შემდეგ მათ არ გაუჭირდებათ და არც გაექცევიან სოფლის პირობებში მუშაობას, რისთვისაც ისინი ემზადებიან. გარდა ამისა, სოფლად სწავლის დროს ისინი არაფრით არ გაერთობიან და ამიტომ უფრო მეტად მოჰკიდებენ ხელს შრომას, რაც განსაკუთრებით საჭიროა, რადგან სასწავლებელში მათი ყოფნის დრო მოკლეა (3-4 წელი) და დანიშნულება, რომლის სამსახურისათვისაც ემზადებიან ისინი, ძნელია. სოფლად რომ იცხოვრებენ, მათ შეუძლიათ გაიცნონ ის პირობები, რომლებშიც მათ მოქმედება მოუხდებათ. ხონი სოფლის ტიპის საცხოვრებელი ადგილია; ამასთანავე იქ არის საფოსტო სადგური, სადაც ყოველგვარ კორესპონდენციას ღებულობენ. მნიშვნელოვანი რაოდენობით არის დუქნები, ყოველდღიური ბაზარი და ყოველდღიური დილიჟანსები ქუთაისთან მიმოსვლისათვის, რომელსაც იგი დაშორებულია 25 ვერსი შარაგზით. გარდა ამისა ხონი გაცილებით უკეთეს პირობებს სთავაზობდა სემინარიისათვის, ვიდრე ქუთაისი.[21]

მაგრამ, შეიძლება ითქვას, ეს არ იყო მთავარი: რუსეთის

---

20. ა.ფაილოძე, ივანე შარაშიძე, თბ. 1990, გვ.16-17.
21. ვარლამ ძიძიგური, გზები და ადამიანები, თბ. 1965, გვ.25.

მთავრობა აარსებდა ახალ სასწავლებელს, რომელიც გუბერნიის მოსახლეობაში ცარიზმის იდეოლოგიის გამტარებელი, ქართველი ხალხის ასიმილაციის კიდევ ერთი კერა უნდა ყოფილიყო. ამ მიზნებიდან გამომდინარე სასწავლო ოლქმა უპირატესობა, ქუთაისთან შედარებით, სადაც ასეთი კერა რამდენიმე იყო, უპირატესობა ხონს მიანიჭა. როგორ გაამართლა სასწავლებელმა ეს იმედები სხვა საკითხია, რასაც ქვემოთ გავეცნობით.

1881 წლის 8 მარტს დროება" იუწყებოდა „...კავკასიის ნამესტნიკის მოადგილემ თ. ლევან მელიქოვმა დაამტკიცა და ხელი მოაწერა გუშინ. 6 მარტს, კავკასიის სამოსწავლებლო მზრუნველისაგან წარდგენილ ქაღალდს საოსტატო სემინარია დაბა ხონში გაიხსნასო.[22]

## 2. სამასწავლებლო საოსტატო სემინარიის გახსნა ხონში

1881 წლის 7 მარტს ქუთაისის გუბერნატორმა სასწავლო ოლქის მზრუნველისაგან შეტყობინება მიიღო რომ გადაწყდა საოსტატო სემინარია ხონში გაიხსნას. დირექტორად დაინიშნა სერგეი ნიკოლოზის ძე სტრელეცკი, რომელიც აქამდე, როგორც უკვე აღინიშნა, თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექციას განაგებდა. მალე ს.ნ. სტრელეცკი ადგილზე ჩავიდა და მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას შეუდგა—დაიწყო სემინარიის საშტატო განრიგით გათვალისწინებული მოსამსახურე პერსონალის შერჩევა, გაფორმდა ხელშეკრულება საჭირო შენობების ასაგებად. მანამდე სასწავლებელს დაეთმო აზნაურ პავლე ქუთათელაძის ბინა[23]. შედგა მისაღები გამოცდების პროგრამები, გაზეთებში დაიბეჭდა („დროება", „კავკაზ" და სხვ) განცხადება სემინარიის დაარსებისა და მასში სწავლების მსურველთა მიღების პირობების შესახებ. მას თან ახლდა დირექციის შენიშვნა, რომ სემინარიის გახსნის, გამოცდების ჩატარებისა და სწავლის დაწყების დრო ცალკე იქნებოდა გამოცხადებული. მიუხედავად ამისა, როგორც კი ცნობილი გახდა, რომ ხონში სემინარია იხსნებოდა, ჩრდილოეთ

22. „დროება", 1881, III, 8, N50, გვ. 3.
23. ა.ფაილოძე, დასახ. ნაშრ. გვ.18.

# Условія для поступленія въ число воспитанниковъ Кутаисской учительской семинаріи (въ м. Хони).

1) Въ семинарію принимаются молодые люди—въ приготовительный классъ не моложе 15-ти и въ 1-й не моложе 16-ти-лѣтняго возраста. Наивысшій возрастъ для поступленія въ семинарію, согласно распоряженію министерства народнаго просвѣщенія, отъ 5-го сентября 1879 года, опредѣляется тѣмъ, чтобы къ 1-му января слѣдующаго за пріемомъ молодыхъ людей въ первый классъ семинаріи года имъ не исполнилось девятнадцать лѣтъ.

2) Прошенія о допущеніи къ пріемнымъ испытаніямъ должны быть доставлены не позже 15-го августа, причемъ должны быть приложены: а) метрическое свидѣтельство о возрастѣ и званіи или, по крайней мѣрѣ, засвидѣтельствованная метрическая выписка; б) свидѣтельство объ успѣхахъ и поведеніи отъ училища, гдѣ обучались, или если они не обучались ни въ какихъ учебныхъ заведеніяхъ, то свидѣтельство о доброй нравственности, в) увольнительное отъ общества свидѣтельство или паспортъ, если молодые люди принадлежатъ къ податному состоянію; дѣти дворянъ должны представлять копію съ протокола дворянскаго депутатскаго собранія, а дѣти чиновниковъ и другихъ служащихъ—копію съ послужныхъ списковъ, г) свидѣтельство о приписки къ призывному участку, если молодые люди ко дню пріема въ семинарію имѣютъ уже 16 лѣтъ.

3) Желающіе поступить въ семинарію молодые люди не должны имѣть физическихъ недостатковъ, препятствующихъ успѣшному отправленію учительскихъ обязанностей, какъ то: падучей болѣзни, заразительныхъ болѣзней, сильно развитой золотухи, косноязычія, серьезной грудной болѣзни и большой слабости органовъ зрѣнія и слуха.

4) Вновь поступающіе молодые люди должны подвергнуться испытанію въ знаніи курса: поступающіе въ приготовительный классъ — по программѣ, нижеоднапечатанной, а поступающіе въ I классъ — курса двухклассныхъ училищъ министерства народнаго просвѣщенія, причемъ педагогическій совѣтъ обязанъ обращать особое вниманіе на способность соображенія экзаменующихся и на ихъ умственное развитіе. Не выдержавшіе этого испытанія не могутъ быть приняты въ семинарію.

5) Программы двухклассныхъ училищъ министерства народнаго просвѣщенія, упомянутыя въ предыдущемъ пунктѣ объявленія, напечатаны: а) въ 1-й части Свода узаконеній и распоряженій о народныхъ училищахъ и учительскихъ семинаріяхъ (изд. 1863 г., стр. 179—183), составлен. П. Аппонимъ, и б) въ Сборникѣ узаконеній, относящихся до низшихъ училищъ, О. С. Грушевскаго, на страницахъ 45—52.

6) По § 46 инструкціи семинаріи, всѣ предметы преподаванія въ семинаріи и всѣ правила, касающіяся воспитанниковъ, должны быть одинаково обязательны для всѣхъ воспитанниковъ, безъ различія между стипендіатами земства, другихъ учрежденій и частныхъ лицъ, равно какъ и учащимися, содержащимися на свой счетъ.

7) За всякаго вновь поступающаго въ пансіонъ Кутаисской учительской семинаріи въ началѣ учебнаго года то учрежденіе или лицо, на счетъ котораго молодой человѣкъ опредѣляется въ этотъ пансіонъ, обязано внести въ Кутаисское уѣздное казначейство, въ спеціальныя средства Кутаисской семинаріи, за первое полугодіе пребыванія этого стипендіата въ пансіонѣ сто тридцать рублей, а за каждое изъ остальныхъ полугодій—по сто руб.

8) Эта плата вносится впередъ по полугодно, въ январѣ или февралѣ и въ іюлѣ или августѣ мѣсяцахъ. Неудовлетворившіе этому требованію, по истеченіи сего срока, увольняются изъ пансіона, причемъ съ нихъ взыскиваются слѣдующія по разсчету деньги, считая въ первомъ полугодіи съ 1-го января, а во второмъ—съ 1-го Іюля.

9) Въ случаѣ выбытія воспитанника изъ пансіона до истеченія полугодія, деньги, полученныя за него, ни въ какомъ случаѣ не возвращаются.

10) Если кто-либо изъ воспитанниковъ пожелаетъ оставить семинарію, то долженъ представить доказательства, что учрежденіе или лицо, опредѣлившее желающаго оставить семинарію, согласно на это. До тѣхъ поръ, пока такое доказательство не представлено, воспитанникъ обязанъ исполнять всѣ приказанія начальства семинаріи.

11) Если казенный стипендіатъ выбываетъ по какимъ-либо причинамъ изъ семинаріи до окончанія курса или, окончивъ курсъ не желаетъ прослужить въ должности учителя обязательный срокъ по назначенію начальства, если притомъ ни онъ самъ, ни его родители или лица, заступающіе ихъ мѣсто, не могутъ немедленно возвратить семинаріи суммы, употребленной ею на этого стипендіата,—то на документахъ его дѣлается надпись объ обязанности его уплатить эту сумму, почему онъ можетъ быть принятъ на службу въ правительственныхъ, общественныхъ и частныхъ учрежденіяхъ,

а равно у частныхъ лицъ не имѣвъ, какъ подъ условіемъ, чтобы желающій на немъ жить былъ письменно подлежащимъ учрежденіемъ или лицомъ и доставилъ въ Кутаисское уѣздное казначейство, для взноса въ депозиты Кутаисской учительской семинаріи.

12) Подавшіе прошенія должны явиться 25-го августа въ семинарію, для медицинскаго освидѣтельствованія, а въ слѣдующіе затѣмъ дни — являться для испытаній, упомянутыхъ въ пунктѣ 4 текущаго объявленія.

13) На основаніи циркуляра министерства народнаго просвѣщенія 25-го мая 1871 года, при пріемѣ на штатныя стипендіи отъ правительства отбирается обязательство о поступленіи на учительскую службу воспитанниками, или о возвратѣ денегъ за воспитаніе, потому казенные стипендіаты не прежде могутъ быть воспользовавшимися по воинской повинности, какъ исполнятъ сіе обязательство.

# ПРОГРАММА

для испытанія лицъ, желающихъ поступить въ приготовительный классъ Кутаисской Учительской Семинаріи.

## а) Законъ Божій.

а. Молитвы съ объясненіемъ содержанія а также отдѣльныхъ словъ и выраженій ихъ:

1) Царю Небесный.
2) Отче нашъ.
3) Къ Тебѣ Владыко, Человѣколюбче отъ сна воставъ прибѣгаю.
4) Господи, Боже нашъ, еже согрѣшихъ.
5) Очи всѣхъ на тя, Господи, уповаютъ.
6) Благодаримъ тя, Христе Боже нашъ.
7) Богородице, Дѣво, радуйся.
8) Молитва предъ ученіемъ.
9) Молитва послѣ ученія.
10) Молитва за Царя и Отечество.
11) Праздничная просительная ектенія «Дне всего совершенна».

## б) Краткое объясненіе Символа Вѣры.

b. Ознакомленіе съ церковнымъ богослуженіемъ:

1) Устройство христіанскаго храма и принадлежности богослуженія.
2) Краткое объясненіе литургіи въ томъ объемѣ, въ какомъ оно изложено въ «Начальномъ наставленіи въ православной христіанской церкви» Д. Соколова.

## с) Разсказы о важнѣйшихъ событіяхъ священной исторіи:

### а) Ветхаго завѣта.

1) Сотвореніе міра и человѣка.
2) Грѣхопаденіе первыхъ людей; обѣтованіе о Спасителѣ и наказаніе за грѣхъ.
3) Всемірный потопъ.
4) Дѣти Ноя. Столпотвореніе вавилонское.
5) Распространеніе идолопоклонства.
6) Авраамъ. Призваніе его и жертвоприношеніе Исаака.
7) Исторія Іосифа и Израиля въ Египтѣ.
8) Моисей.
9) Пасха еврейская.
10) Законъ Божій, данный евреямъ при Синаѣ. Десять заповѣдей съ объясненіемъ.
11) Вступленіе Израильтянъ въ землю обѣтованную.
12) Краткое понятіе о временахъ судей. Самуилъ.
13) Избраніе Саула на царство и отверженіе его Богомъ.
14) Царь Давидъ и Соломонъ.
15) Пророкъ Илія.
16) Пророкъ Елисей.
17) Пророкъ Даніилъ.

### б) Новаго завѣта.

1) Рождество Богородицы и введеніе Ея во храмъ.
2) Благовѣщеніе Пресвятой Дѣвы.
3) Рождество Христово и тропарь этому празднику: «Рождество Твое Христе Боже нашъ».
4) Срѣтеніе Господне.
5) Іоаннъ Предтеча.
6) Крещеніе Господне и тропарь этому празднику: «Во Іорданѣ крещающуся Тебѣ, Господи».
7) Чудеса Іисуса Христа.
8) Бракъ въ Канѣ.
9) Исцѣленіе разслабленнаго при купели.
10) Воскрешеніе сына Наинской вдовы.
11) Укрощеніе бури на озерѣ.
12) Чудесное насыщеніе народа пятью хлѣбами.
13) Хожденіе Іисуса Христа по водамъ.
14) Исцѣленіе бѣсноватой дочери Хананеянки.
15) Исцѣленіе десяти прокаженныхъ.

### в) Ученіе Христа-Спасителя.

16) Заповѣдь Христа о любви къ Богу и ближнему.
17) Притча о милосердномъ Самарянинѣ.
18) Ученіе о путяхъ къ блаженству.
19) Ученіе о промыслѣ Божіемъ.
20) Ученіе о неосужденіи ближняго.
21) Ученіе о силѣ молитвы.
22) Притча о мытарѣ и фарисеѣ.
23) Притча о талантахъ.
24) Притча о милосердномъ царѣ и безжалостномъ заимодавцѣ.
25) Притча о блудномъ сынѣ.
26) Ученіе Іисуса Христа о второмъ пришествіи и страшномъ судѣ.
27) Преображеніе Господне.
28) Воскресеніе Лазаря.
29) Входъ Христа въ Іерусалимъ.
30) Тайная вечеря.
31) Страданіе, смерть и погребеніе Іисуса Христа.
32) Воскресеніе Христово и знать наизусть «Христосъ Воскресе».
33) Вознесеніе Христово.
34) Сошествіе Св. Духа.
35) Успеніе Божіей Матери.
36) Воздвиженіе Креста Господня.

Примѣчаніе. Отъ оканчивающихъ требуется не только знаніе указанныхъ библейскихъ событій, но и умѣнье передать ихъ связно и правильнымъ русскимъ языкомъ, при чемъ требуется не столько обширность разсказа, сколько точность и осмысленность передачи каждаго священнаго событія.

Руководствами могутъ служить:

1) Уроки Христіанскаго ученія. Концентрическій учебникъ Закона-Божія для народныхъ школъ, съ трехгодичнымъ курсомъ. Составилъ Ао. О. Соколовъ. Изданіе журнала «Семья и Школа» цѣна 40 коп.

2) Начальное наставленіе въ православной Христіанской вѣрѣ. Составилъ Протоіерей Д. Соколовъ. Цѣна 20 коп.

## б) Русскій языкъ.

1) Чтеніе сознательное, вѣрное, выразительное и бѣглое.

2) Письмо подъ диктовку безъ искаженія словъ, съ различеніемъ служебныхъ частей рѣчи отъ знаменательныхъ.

Примѣчаніе. Поступающіе должны писать по одной графѣ, четко и по возможности красиво.

3) Умѣніе отличать всѣ части рѣчи и части предложеній, склонять и спрягать слова, раздѣлять рѣчь на предложенія, ставить вопросъ для каждаго члена предложенія и для придаточныхъ предложеній.

4) Умѣнье устно и письменно передавать прочитанный разсказъ или описаніе изъ книгъ для чтенія, одобренныхъ Министерствомъ Народнаго Просвѣщенія для употребленія въ начальныхъ народныхъ училищахъ.

5) Умѣнье находить въ болѣе простыхъ статьяхъ главную мысль, раздѣлять такую статью на части и опредѣлять содержаніе каждой части.

Руководствами могутъ служить:

1) Краткій учебникъ русской грамматики (синтаксисъ и этимологія) составилъ Левъ Поливановъ. Цѣна 50 коп.

2) Практическая русская грамматика Ѳ. Ѳ. Пуцыковича. Цѣна 25 коп.

3) Сборникъ прозаическихъ статей и стихотвореній. Составилъ А. П. Сердобольскій.

4) Дѣтскій міръ К. Ушинскаго.

## в) Ариѳметика.

1) Нумерація десятичной системы.
2) Совершеніе дѣйствій надъ цѣлыми числами.
3) Умѣть помощью окружающихъ предметовъ показать единицы:
а) Длины.
б) Поверхности.
в) Объема.
г) Вѣса.
д) Цѣны.
е) Времени.
4) Раздробленіе и превращеніе именованныхъ чиселъ.
5) Совершеніе дѣйствій надъ составными именованными числами.
6) Рѣшеніе задачъ устно надъ числами до 1000 и письменно надъ числами любой величины какъ простыми, такъ и составными именованными, съ объясненіемъ рѣшенія задачъ, не требующихъ особой изобрѣтательности.
7) Имѣть понятіе о дробяхъ; не затрудняться вычисленіями, въ которыхъ будутъ: ½, ¼, ⅛.
8) Употребленіе счетъ.

Руководствами могутъ служить:

1) Сборникъ самостоятельныхъ упражненій по ариѳметикѣ съ приложеніемъ краткаго учебника начальной ариѳметики для народныхъ школъ. Составили С. Ѳ. Житковъ и С. К. Шохоръ-Троцкій. Цѣна 25 коп.

2) Ариѳметика для начальныхъ училищъ Николаева.
3) Собраніе ариѳметическихъ задачъ А. Воронова.
4) Сборникъ задачъ В. Евтушевскаго ч. 1-я.

Примѣчаніе. При испытаніи изъ всѣхъ вышеозначенныхъ предметовъ Педагогическій Совѣтъ Семинаріи обращаетъ особенное вниманіе на способность соображенія экзаменующихся и на ихъ умственное развитіе.

*Директоръ Кутаисской Учительской Семинаріи П. СОКОЛОВЪ.*

სემინარიაში მიღების წესები და პროგრამა



ხონის საოსტატო სემინარიის შენობა

და ამიერკავკასიის თითქმის ყველა კუთხიდან ჯერ კიდევ ზაფხულში, დაბას უამრავი ახალგაზრდობა მოაწყდა. ჩამოყალიბების პროცესში მყოფი სემინარიის დირექცია უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. 1881 წლის 6 სექტემბერს ს.ნ. სტრელეცკიმ შემდეგი წერილით მიმართა ხონის სასოფლო მმართველობას. „სამასწავლებლო სემინარიის მოსალოდნელ გახსნასთან დაკავშირებით ხონში შეიკრიბა ცხოვრებაში გამოუცდელი ახალგაზრდობის დიდი რაოდენობა. მათ ძალიან შეზღუდული სახსრები აქვთ. ჩემი ყველა ცდის მიუხედავად, სემინარიის გახსნა სექტემბერში ვერ მოხერხდა. მართალია „დროებასა" და „კავკაზში" დაბეჭდილ განცხადებაში მითითებული იყო, რომ სემინარიის გახსნის დღე ცალკე იქნებოდა გამოქვეყნებული, მაგრამ ჯერ კიდევ ზაფხულში ხონში დიდძალი ახალგაზრდობა ჩამოვიდა. მათ უკვე დახარჯეს რაც ფული ჰქონდათ და ახლა გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფებიან.დირექტორი სასოფლო მმართველობას თხოვდა ამ ახალგაზრდებისათვის გამოეძებნა დროებითი საცხოვრებელი ბინა-თავშესაფარი და შეეგროვებია ასი მანეთი მაინც სამი კვირის მანძილზე მათ გამოსაკვებად."[24]

სემინარია საზეიმოდ გაიხსნა 1881 წლის 11 ოქტომბერს, ხოლო 13 ოქტომბერს დაიწყო სწავლა და სასწავლებელიც ფუნქციონირებას შეუდგა.

მეტოქეობა სემინარიის გამო ქუთაისსა და ხონს შორის, უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ ამას არ მოჰყოლია მათ შორის ურთიერთობის გამწვავება, პირიქით სემინარიამ ქუთაისისა და ხონის კულტურული თანამშრომლობა კიდევ უფრო მჭიდრო გახადა.

ხონის საოსტატო სემინარიის დაარსება მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში. მართალია სემინარია რუსულ სკოლას წარმოადგენდა მაგრამ იგი აღმავლობის გზაზე შემდგარი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

---

24. ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივის (შემდეგში ქცსა), ფ.121-ქუთაისის სამასწავლებლო სემინარია, საქ.2. ფურ. 6-7.

### 3. სემინარიის სახელწოდება

თავდაპირველად სემინარიის ოფიციალური სახელწოდება იყო-სამასწავლებლო სემინარია ქუთაისის გუბერნიაში (დაბა ხონში) — Учительская Семинария в Кутаисской Губернии (м. Хони) ან ქუთაისის გუბერნიის სამასწავლებლო სემინარია (დაბა ხონში) Учительская Семинария Кутаисской Губернии (м. Хони). 90-იანი წლებიდან მკვიდრდება სახელწოდება-ქუთაისის სამასწავლებლო სემინარია (დ.ხონში) — Кутаисская Учительская Семинария (м. Хони). ხანდახან ხმარობდნენ „ხონის სამასწავლებლო სემინარია" მაგალითად, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის 1885 წლის ანგარიშში სამასწავლებლო სემინარიების ჩამოთვლისას ნათქვამია — ხონის სემინარია[25], მაგრამ ეს გამონაკლისი იყო და ჩვეულებრივ კი იხმარებოდა. სახელწოდება ქუთაისის სამასწავლებლო სემინარია (დაბა ხონში) ხან კი ამ უკანასკნელის აღნიშვნის გარეშეც.

სასწავლებელს სახელწოდება შეეცვალა 1918 წელს საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 13 სექტემბრის კანონით. „სამასწავლებლო ინსტიტუტის და სემინარიების გაეროვნების" შესახებ-„ტფილისის საოსტატო ინსტიტუტი, გორის. ხონის და სოხუმის სემინარიები" გამოცხადდა ქართულ სახელმწიფო სკოლებად. „სამასწავლებლო ინსტიტუტს" და „სამასწავლებლო სემინარებს" ეწოდათ „საოსტატო ინსტიტუტი" და „საოსტატო სემინარიები".[26]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტრომ (მინისტრი გიორგი ლასხიშვილი) ამ კანონის საფუძველზე, 1918 წლის 2 დეკემბერს ხონში ასეთი მიმართვა გაგზავნა „ხონის საოსტატო სემინარიის დირექტორს

რწმუნებული თქვენდამი საოსტატო სემინარია, თანახმად პარლამენტის დადგენილებისა, უკვე გაეროვნებულია და სახელად ეწოდება მას" „ხონის საოსტატო სემინარია".

25. Отчет Попечителя Кавказкого учебноного округа о состоянии учебных заведении за 1885 г. Тиф. 1886, с.-50.

26. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრი აქტების კრებული - 1918-1921, თბ. 1990, გვ. 63.

თუ ახალი ბლანკების შეძენა გაუჭირდება სასწავლებელს, ძველზე მაინც გადასწორებულ იქნეს „ქუთაისის საოსტატო სემინარია"-„ხონის საოსტატო სემინარიათ" (კანცელარიის) დირექტორის მაგიერ-ალ. მიქაბერიძე, საქმის მწარმოებელი კ. აბაშიძე.[27]

ასე რომ სასწავლებელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში (1918-1921 წელს) ეწოდებოდა-ხონის საოსტატო სემინარია.რადგან სასწავლებელს პედაგოგიურ ტექნიკუმად გადაკეთების დროს (1921 წელი) ჰქვიოდა „ხონის საოსტატო სემინარია". ისტორიის სინამდვილის არსი ზუსტად იქნება გადმოცემული თუ მასზე საუბრის დროს გამოვიყენებთ სახელწოდებას „ხონის სამასწავლებლო (საოსტატო) სემინარია"[28].

## 4. სემინარიის პროფილი და სტრუქტურა

სემინარია ამზადებდა მასწავლებლებს სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფ დაწყებითი სკოლებისათვის. იგი, დაახლოებით, საქალაქო ექვსკლასიანი სასწავლებლის კურსის ბაზაზე იყო აგებული. სწავლის ხანგრძლივობა სამი-ოთხი წლით განისაზღვრებოდა. სემინარიას ჰქონდა ერთი მოსამზადებელი და სამი ძირითადი კლასი. მსურველები მიიღებოდნენ, როგორც მოსამზადებელი, ასევე პირველ კლასში. 1881 წელს გაიხსნა მხოლოდ მოსამზადებელი და პირველი კლასები; 1882 წ.მეორე, ხოლო 1883 წელს-მესამე კლასი და ამით სასწავლებელმა სრული სახე მიიღო[29] 1905 წლის რევოლუციის შემდეგ სწავლის ვადა ერთი წლით გაიზარდა-გაიხსნა მეოთხე კლასი. ვინც მოსამზადებელი კლასით იწყებდა მისთვის სემინარიაში სწავლა ხუთწლიანი გახდა, ხოლო პირველ კლასში მიღებულთათვის-ოთხწლიანი

მეფის ხელისუფლების არსებობის დროს სემინარიას პარალელური კლასები არ ჰქონია. მათი გახსნა დაიწყო 1918-1919

---

27. ქცსა, ფ. 121, საქ. 1108, ფურ. 1.

28. სასწავლებელზე ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში მოთავსებლი სტატია ასეა დასათაურებული: ქუთაისისი სამასწავლებლო სემინარია დაბა ხონში, იხ. ქსე, ტ. 10, თ.3. 1986, გვ. 572.

29. ქცსა. ფ. 121, საქ. 940, ფ. 5.

სასწავლო წლიდან. 1918 წელს, პირველად სასწავლებლის ისტორიაში გაიხსნა მოსამზადებელი და პირველი კლასების პარალელური კლასები.[30]

სემინარია სახელმწიფო სასწავლებელი იყო და ცხადია, სწავლებაც რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. მასში სწავლის მსურველებს უნდა ჩაებარებიათ საკმაოდ მკაცრი გამოცდები ორკლასიანი დაწყებითი სასწავლებლის პროგრამით. ჩასაბარებელი იყო ხუთი საგანი. 1. საღვთო სჯული, 2.რუსული ენა, 3.არითმეტიკა, 4.გეოგრაფია და 5. ისტორია.

პირველ კლასში შესვლის მსურველებს მოეთხოვებოდათ შემდეგი ცოდნა:

1. საღვთო სჯულში სხვადასხვა სახის ყოველდღიურად წარმოსათქმელი ლოცვები (ლოცვები სწავლის წინ და სწავლის შემდეგ, სადილ-ვახშმის წინ, ნასადილევს და ნავახშმევს, ყოვლად წმინდა ღვთიშობლისადმი), საღვთო ისტორია ძველი აღთქმისა და საღვთო ისტორია ახალი აღთქმისა-შედარებით ვრცლად, ლიტურგიის და საეკლესიო საიდუმლოებათა ახსნა, მოკლე კატეხიზმო.

2. რუსულ ენაში-სწრაფი და გააზრებული კითხვა, სინტაქსისა და ეტიმოლოგიის ძირითადი წესების ცოდნა, მათი გამოყენება ორთოგრაფიაში, ტექსტის შინაარსის წერილობით გადმოცემა, იოლ თემებზე წერილებისა და თხზულებების შედგენა, რამდენიმე ლექსი.

3. გეოგრაფიაში-გლობუსის მიმოხილვა; რუკაზე ოკეანეების, ქვეყნის ნაწილების და რუსეთის ჩვენება. რუსეთის რუკაზე-რუსეთის იმპერიის ცოდნა: ზღვები (განმარტებები-კუნძული, ნახევარკუნძული, ყელი, ყურე, სრუტე, კონცხი), ძირითადი საზღვაო გზების ჩვენება, ტბები, რუსეთის ზედაპირის საერთო ხედი, რუსეთის მთები, რუსეთის დაყოფა ევროპულ და აზიურ ნაწილებად, გუბერნიებად და მაზრებათ (მათი ჩამოთვლის გარეშე), რუკაზე თავისი გუბერნიისა და მისი მოსაზღვრე მაზრების ჩვენება, რუსეთის დედაქალაქები, რელიგიური, ისტორიული და სამრეწველო თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ქალაქები, რკინიგზები, რუსეთის ტერიტორია, მოსახლეობის რიცხვი და ეთნიკური შემადგენლობა. რუსეთის მოსაზღვრე ევროპის სხვა ძირითად სახელმწიფოთა ჩვენება ევროპის რუკაზე.

30. იქვე, საქ. 1114, ფურ. 5.

4. არითმეტიკაში-რიცხვის დაყოფა, ანგარიშის გამოყენება, სივრცის წონის, სიგრძის ა.შ. ერთეულები, მარტივი წილადები, არითმეტიკული ამოცანების ამოხსნა, პლანიმეტრიის ძირითადი დებულებანი, გეგმების გადაღება.

5. ისტორიაში ძველი სლავები, მათი ყოფა და სარწმუნოება. ოლგას მიერ წმინდა ნათლობის მიღება, ვლადიმირისა და რუსი ხალხის მონათვლა. რუსეთის დაქუცმაცებულობა იაროსლავი ბრძენის სიკვდილის შემდეგ. თათართა შემოსევა. ალექსანდრე ნეველი, კულიკოვის ბრძოლა. რუსეთის მიწების გაერთიანება იოანე მესამის მიერ. ყაზანის, ასტრახანის და ციმბირის დაპყრობა, გლეხთა დაყმევება, თვითმარქვიები, რომანოვების დინასტიის გამეფება. ძირითადი მოვლენები დღევანდელობამდე. ძირითადი ცნობები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიდან.

მოსამზადებელ კლასში შემსვლელნი გამოცდებს აბარებდნენ საღვთო სჯულში რუსულ ენასა და არითმეტიკაში, გამარტივებული პროგრამით.[31] გამოცდები ტარდებოდა სასწავლო წლის განმავლობაში ერთხელ 24 დან 30 აგვისტომდე. მიღება ხდებოდა მხოლოდ მოსამზადებელ და პირველ კლასებში. მოსამზადებელ კლასში მიიღებოდნენ 15 წლის, ხოლო პირველ კლასში-16 წლის ვაჟები. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს, 1918-1919 სასწავლო წლიდან სემინარიამ დაიწყო ქალების მიღებაც.[32]

სემინარიაში სწავლის მსურველნი წინასწარ გადიოდნენ საგულდაგულო სამედიცინო შემოწმებას და უარს ეუბნებოდნენ ახალგაზრდებს, რომლებსაც ფიზიკური ნაკლი ჰქონდათ ან მძიმედ იყვნენ დაავადებულნი (ეპილეფსიით, ძალზე განვითარებული საყმაწვილო, ხმედველობისა და სმენის აქტიური დაქვეითებით და სხვ.), რაც ხელს შეუშლიდა მათ მასწავლებლის მოვალეობის შესრულებაში.

ისინი ვინც წარმატებით ჩააბარებდნენ გამოცდებს და ჩაირიც-

---

31; „დროება", 1882, VII, 30,N157, გვ.4; „შრომა", 1882, VII, 28, N29, გვ.4. XIX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან, პ.კ. სოკოლოვის დირექტორობის დროს, მოსამზადებელ კლასში მისაღები პროგრამები მნიშვნელოვნად გართულდა. იხ. ქცსა, ფ. 121 საქ.1613, ფურ. 4-5.

32. ქცსა, ფ.121, საქ. 1114, ფურ.5.

ხებოდნენ, სემინარიასთან არსებულ პანსიონში უნდა ეცხოვრათ. პანსიონერთა ერთი ნაწილი სახელმწიფო ხარჯზე იმყოფებოდა. მათ Казеннокоштные ეწოდებათ. მეორენი — своекоштные ფულს იხდიდნენ-დაახლოებით 230 მანეთს წლიურად, ხოლო მესამენი იყვნენ სტიპენდიანტები, რომელთაც სხვადასხვა დაწესებულებანი, საქველმოქმედო საზოგადოებები ან კერძო პირები აფინანსებდნენ.

ცალკე, შედარებით მცირერიცხოვან, ჯგუფს შეადგენდნენ ე.წ. „приходящие" -„მომსვლელი მოწაფეები", რომლებიც კერძო ბინებში ცხოვრობდნენ, იქიდან მოდიოდნენ სემინარიაში, გაკვეთილებს ისმენდნენ და უკანვე ბრუნდებოდნენ.

მისაღები კონტიგენტი მკაცრად იყო განსაზღვრული-იგი ჩვეულებრივ არ აღემატებოდა 12-14 ახალგაზრდას. სემინარიის არსებობის პირველი 25 წლის მანძილზე თითეულ კლასში 14-15 მოწაფე ირიცხებოდა,ეს პროპორცია რამდენადმე დაირღვა 1905-1907 წლების რევოლუციის შემდეგ. მაგრამ მაინც სწავლის მსურველთა რაოდენობა ყოველთვის გაცილებით მეტი იყო მისაღებ კონტიგენტზე ასე მაგალითად 1881-1891 წლებში სემინარიაში შემოსულ იქნა 492 განცხადება, მიიღეს 214 მათგან-479 მოსამზადებელ, ხოლო 35 პირველ კლასში[33] სემინარიაში შესასვლელ საგამოცდო კონკურსზე რუსეთის იმპერიის მრავალი კუთხიდან ყოველწლიურად ცხადდებოდა რამდენიმე ასეული მსურველი — წერდა ვარლამ ძიძიგიური.-ვის ორკლასიანი სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული და შემდეგ საგანგებოდ მომზადებულიყო, ვის ექვსკლასიანი საქალაქო სკოლა, ვინ რა ცოდნით და მომზადებით მიდიოდა... ვინც კონკურსში გაიმარჯვებდა, ყველაზე მაღალ ნიშანს მიიღებდა, სემინარიაში მას ჩარიცხავდნენ. რამდენიმე ასეული კაცი-ქართველი, რუსი,უკრაინელი, ბელორუსი, თათარი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. ზღვა მსურველებიდან მხოლოდ 10-15 საუკეთესოდ მომზადებულს შეარჩევდნენ... მაგრამ ხშირად ვაკანტური ადგილის უქონლობის გამო, სემინარიის გარედ რჩებოდნენ კარგად მომზადებული ახალგაზრდები.[34]

მისაღებ გამოცდებს თან ახლდა კონკურსში მონაწილეთა და

---

33. ქცსა, ფ.121, საქ. 340, ფურ,29.
34.ვ.ძიძიგური, დასახ.ნაშრ.23-24.

მათ გულშემატკივართა შორის სერიოზული მღელვარება. ზოგჯერ ირღვეოდა დადგენილი წესი, რაც. საზოგადოების უკმაყოფილებას იწვევდა. 1882 წლის სექტემბერში ევგ.ქუთათელაძემ გაზეთ „დროებაში" გამოაქვეყნა ვრცელი სტატია, რომელშიც გაკრიტიკებული იყო „ხონის სამასწავლებლო სემინარიის გამგეობის უმართლებლო საქციელი მოწაფეთა მიღების დროს"[35]. სემინარიის დირექცია იძულებული იყო საპასუხო წერილი დაებეჭდა[36].

გამოცდებთან დაკავშირებული ციებ-ცხელება კარგად აქვს აღწერილი ვარლამ ძიძიგურს თავის მოგონებებში. 1909 წლის ზაფხულზე შემთხვევით დავესწარი ხონის სემინარიაში მისაღებ კონკურსზე დაშვებულ მოსწავლეთა გამოცდების შედეგების გამოცხადებას-წერდა იგი. შეჩვეული ვიყავი, რომ ყოველ ასეთ დროს კმაყოფილია მხოლოდ 15-20 კაცი (კონკურსში გამარჯვებული), ხოლო ასეულები (კონკურსგარე დარჩენილები) უკმაყოფილო არიან, მწუხარებას ეძლევიან, ცრემლი ერევათ, ტირიან იმუქრებიან,... ასე რომ ასეთი „სცენა", არავისათვის და კერძოდ, ჩემთვისაც მოულოდნელი არ იყო. მაგრამ იმ დღეს ერთი „დაჩაგრულთაგანი ისე გიჟივით იქცეოდა, რომ ყველას ყურადღება ერთბაშად მიიპყრო: აშკარა იყო ის არ ხუმრობდა და ნამდვილად თავის მოკვლა უნდოდა. ყველა მას მისცვივდა, მეც მას მივაშურე, საკუთარ გულში ჩასაცემი დანა,რომ წაართვეს, იქვე კედელს ურტყამდა თავს. იმედის გაცრუებას ისე გაემხეცებინა, რომ თვალები ამღვრეოდა, სიკვდილს ეძებდა...

გამოირკვა, რომ ის იყო ყუბანის ოლქში მცხოვრები კაზაკი ნიკიტა ბურლიაევი, რომელიც მეორეჯერ ჩამოსულა ხონში სწავლის მისაღებად და კვლავ მიზნისთვის ვერ მიეღწია[37]. ასეთი შემთხვევები ერთეული არ ყოფილა.

სემინარიაში ჩარიცხულთა აბსოლუტური უმრავლესობა, როგორც აღინიშნა, პანსიონში ცხოვრობდა „მომსვლელ მოწაფეებს" რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ხონში ჩამოსულები იყვნენ, ჯგუფის დამრიგებელ მასწავლებელთან უნდა წარედგინა ბინის მისამართი.

35."დროება",1882, IX, 28, გვ.2.

36.„დროება", 1882, X, 12, N212,გვ.3

37.ვ.ძიძიგური, დასახ. ნაშრ. გვ.94. ვ.ძიძიგურმა უპატრონა ნ.ბურლიაევს, მოამზადა და სემინარია დაამთავრებია.

დირექციას, სასწავლებლის დებულებით, შეეძლო ნება არ დაერთო მოწაფისათვის ეცხოვრა დასახელებულ მისამართზე და მოეთხოვა გადასულიყო სხვა ბინაში, რომელსაც ადმინისტრაცია მოიწონებდა.[38]

სემინარიასთან არსებობდა დაწყებითი სკოლა, რომელიც სამი—უმცროსი, საშუალო და უფროსი განყოფილებისაგან შედგებოდა. თავდაპირველად იგი ერთკლასიანი იყო, ხოლო 1896 წელს ორკლასიან სასწავლებლად გადაკეთდა და საბაზო სკოლის როლს ასრულებდა. აქ ხდებოდა მომავალი სახალხო მასწავლებლების სწავლების მეთოდებსა და ხერხებში დახელოვნება-გაკვეთილების მოსმენა და მათზე დაკვირვება, საცდელი გაკვეთილების გადაცემა. დაწყებით სკოლაში ღებულობდნენ როგორც ვაჟებს, ასევე გოგონებსაც. სწავლება ფასიანი იყო. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ქართულ და რუსულ ენებზე წერა-კითხვის დაუფლებას.

სემინარიაში ისწავლებოდა შემდეგი საგნები: რუსული ენა, არითმეტიკა, გეომეტრიის საფუძვლები, რუსეთისა და მსოფლიო ისტორია, გეოგრაფია, ბუნებისმცოდნეობა, სუფთა წერა, ხაზვა, პედაგოგიკის საფუძვლები, ჰიგიენა, გიმნასტიკა, ქართული ენა.[39]

სემინარიაში დასახელებული საგნების შესწავლასთან ერთად მომავალი მასწავლებლები პრაქტიკული ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებსაც იძენდნენ. ამ მიზნით სასწავლებელთან მოწყობილი იყო სხვადასხვა სახის სახელოსნოები: სადურგლო, სამკინძაო, საზეინკლო და სხვა. დიდი ყურადღება ექცეოდა, აგრეთვე, სასოფლო-სამეურნეო თეორიასა და პრაქტიკას. სემინარისტები ეცნობოდნენ მეაბრეშუმეობის, მებოსტნეობის, მებაღეობის, მემინდვრეობის და მეფუტკრეობის საფუძვლებს. სემინარიას ჰქონდა საკუთარი ბაღი, სადაც მოსწავლეები ფიზიკურად მუშაობდნენ, ატარებდნენ ცდებს, უვლიდნენ მათზე გაპიროვნებულ მრავალწლიან მცენარეებს. ხონის სემინარიის მოსწავლეთა მეტეოროლოგიური დაკვირვებების მონაცემებს ხშირად იყენებდნენ კავკასიის შესაბამისი სამსახურები.

სემინარიაში, შეიძლება ითქვას, მაღალ დონეზე იდგა მოსწავლეთა

---

38. იხ. შინაგანაწესი ქუთაისის სამასწავლებლო სემინარიის მოსწავლეებისათვის განყ. „მომსვლელ მოწაფეთა ბინები", მუხლი,ფ.121, საქ.126. ფურ.58.

39. ქცსა, ფ. 121, საქ. 1. ფ.186

ფიზიკური მომზადებისა და მუსიკალური განათლების საქმე. სახალხო მასწავლებელი ფიზიკურად ძლიერი და ყოველმხრივ განვითარებული პიროვნება უნდა ყოფილიყო. მთავრობის აზრით, მხოლოდ ასეთ მასწავლებელს შეეძლო გავლენა ჰქონოდა ხალხში და ოფიციალური ხელისუფლების იდეების გამტარებელი ყოფილიყო.

სემინარიას ჰქონდა თავისი ეკლესია, კარგად მოწყობილი საექიმო კაბინეტი და პატარა საავადმყოფო-ლაზარეთი (ექიმითა და ექთნით) ექიმი ხანდახან ჰიგიენის გაკვეთილებსაც ატარებდა.

**ხონის სამასწავლებლო სემინარია 1881-1917 წლებში რუსეთის იმპერიის განათლების სამინისტროს კავკასიის სასწავლო ოლქის, ხოლო 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების სამინისტროს უწყებაში იყო.**

# თავი მესამე
# ხონის სამასწავლებლო სემინარია 1881-1917 წლებში

სასწავლებლის-სკოლის წარმატებით მუშაობისათვის, ყოველ ეპოქაში, აუცილებელია: გამართული, მეცნიერულ საფუძველზე ამყარებენ სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები, მაღალკვალიფიციური მასწავლებელ-პედაგოგები, მოსწავლეთა კარგად შერჩეული კონტიგენტი, შესაფერისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (შენობა, სათანადო ინვენტარით აღჭურვილი კაბინეტ-ლაბორატორიები, სპორტული და სხვა სახის დარბაზები, ბიბლიოთეკა) სასწავლებელის გარშემო არსებული საზოგადოებრივ-კულტურული გარემო და სხვა ფაქტორები, რომელთა შორის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას ვინ დგას ამ უაღრესად სათუთი და რთული დანესებულების სათავეში, როგორია მისი პროფესიულ-მეცნიერული მომზადების დონე და მოქალაქეობრივი ცნობიერება, რას წარმოადგენს იგი, როგორც პიროვნება, არის ზემდგომი ორგანოებიდან მოსული ინსტრუქციების, ცირკულიარების, განკარგულებების, აშკარა თუ საიდუმლო მოწერილობების უსიტყვო შემსრულებელი — პედანტი, გონებაშეზღუდული ჩინოვნიკი, თუ მოაზროვნე, რომელსაც შეუძლია მკაცრად განსაზღვრული დოგმებისა და მოთხოვნების პირობებშიც კი დარაზმოს მისი ხელქვეითნი კეთილშობილებისა და კაცთმოყვარეობის იდეებით ახალგაზრდობის აღსაზრდელად. ამ თვალსაზრისით გავეცნოთ ხონის სემინარიის დირექტორებს.

## 1. სემინარიის დირექტორები

სხვა სახელმწიფო სასწავლებლების მსგავსად, ხონის საოსტატო სემინარიის ამოცანა იყო, ტახტისა და თვითმპყრობელობის ერთგული მასწავლებელთა კადრების მომზადება. სემინარიაში აღზრდილები უნდა ყოფილიყვნენ რუსეთის ნაციონალურ დაპყრობითი პოლიტიკის გამტარებელი და დამცველები სახალხო სკოლებში. სემინარიაში, როგორც ქვემოთ დავინახავთ, გამეფებული იყო სასტიკი რეჟიმი, რომელიც მოსწავლეთათვის აუტანელი ხდებოდა ზოგიერთი დი-

რექტორის აშკარა შოვინისტური და დადპყრობელური სულისკვეთების გამო. ამ მხრივ სემინარიის ისტორიაში, სავალალო სახელი დატოვეს დირექტორებმა: პავლე კირილეს ძე სოკოლოვმა (1884-1894 წლებში) და ვასილ ივანეს ძე დევიცკიმ (1903-1906 წლებში). შედარებით ლიბერალურ პოზიციებზე იდგნენ, გარეგნულად მაინც, სერგეი ნიკოლოზის ძე სტრელეცკი (1881-1884 წლებში)მიტროფანე ვასილის ძე მოხირი (1894-1903 წლებში) და ვლადიმერ გაბრიელის ძე პავლოვსკი (1914-1917 წლებში).

სემინარიის არსებობის ისტორიაში ყველაზე ნაყოფიერი იყო ის პერიოდი, როდესაც მას სათავეში ედგა პირველი ქართველი დირექტორი, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის თანამებრძოლი და უახლოესი მეგობარი, გამოჩენილი პედაგოგი და სპეტაკი პიროვნება ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძე (1906-1914 წლებში).

ხონის სემინარიის პირველი დირექტორი იყო სერგეი ნიკოლოზის ძე სტრელეცკი. მან, როგორც აღვნიშნეთ, როცა განიხილებოდა საკითხი სად უნდა გახსნილიყო სემინარია-ქუთაისსა თუ ხონში, ამ უკანასკნელს დაუჭირა მხარი.

ირკვევა — ს.ნ.სტრელეცკი ისე ღრმად შენიღბული შოვინისტი და დიდმპყრობელი ჩინოვნიკი იყო, რომ მის შესახებ ქართულ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა მაგრამ ესაა — ნიღაბი ბოლომდე ვერ შეინარჩუნა და ნამდვილი სახეც მალე გამოამჟღავნა.

იაკობ გოგებაშვილი 1875 წელს „სოფლის მასწავლებელთა ყრილობის“ ზოგიერთ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, წერდა „იმდენს მისვლა-მოსვლაში, ლაპარაკში, სხდომებში, ხმების მოკრებაში, სამაგალითო გაკვეთილების მიცემაში კაცი ხედავს მხოლოდ ეთადერთ ნათელს წერტილსა; ეს ნათელი წერტილი გახლავთ **უფ.დირექტორის სტრელეცკის**[1] **კატეგორიულად, გადაჭრით წარმოთქმული სიტყვები, რომ აქამდინაც სასოფლო სკოლებში სწავლა ქართულ ენაზედ მიდიოდაო და შემდგომშიაც ასე უნდა წავიდესო**“[2] (ხაზგასმა ჩვენია პ.ვ).

---

1. ს.სტრელეცკი, , როგორც ვთქვით, ხონში ჩამოსვლამდე თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი იყო.

2. ი.გოგებაშვილი, თხზ.ტ.I,თბ.1952, გვ.170.

გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე-შალვა დადიანი, თავის მოგონებებში„ რაც გამახსენდა“ მოგვითხრობს ხონის რაიონში სოფელ საწულიკიძეოში მცხოვრებ სამსონ წულუკიძის ოჯახზე. სამსონს ცოლად ჰყავდა XIX საუკუნის 60-იანი წლების თერგდალეულთა თაობის თვალსაჩინო წარმომადგენლის, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის უახლოესი მეგობრის—კირილე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძის (1839-1919) და, საკმაოდ განათლებული და რომანტიკულად გან-წყობილი, ტიპიური ქართველი ქალი-ეფროსინე. "...დიდის სიმოვნებით ეტანებოდა სამსონისა და ეფროსინეს ოჯახს... ინტელიგენცია-ადგი-ლობრივი თუ სტუმრად ჩამოსული, მეტწილად ხონის პედაგოგები — წერდა შალვა დაიდიანი. იმ დროს ხონში არსებობდა ეგრეთ წოდებული საოსტატო სემინარია და იქაური მასწავლებლები სალა-მოობით ხშირად მოდიოდნენ ეფროსინე და სამსონისას. ამათში იყვნენ რუსებიც, და მათ შორის, ერთი მეტად საყურადღებო კაცი, დიდად განათლებული და ნათელი პიროვნება. ვინც იცნობდა ყველა ემადლიერებოდა. ის იყო ხსენებული საოსტატო სემინარიის უფროსი და ხელმძღვანელი, და ისე ჰქონდა საქმე დაყენებული, რომ მას მასწავლებლებიც კარგა მომზადებულნი შერჩეული ჰყავდა და მოწაფეებსაც ღირსეულად ამზადებდნენ. ამ სასწავლებელმა შემდეგში ბევრი მისცა საზოგადოებას ერთგული მუშაკი საზოგადოებრივ ას-პარეზზე. ზოგი შესანიშნავი პედაგოგი გამოვიდა, ბევრი მეტად საყურადღებო ლიტერატორი და სხვა.

მე კი სემინარიის ამ ხელმძღვანელის ნახვამ (სამწუხაროდ გვარი აღარ მახსოვს)[3] პირველ ხანად ძალიან გამაკვირვა. შედარებით ახალგაზრდა კაცი იყო,სახიერი, კარგად ჩაცმული, ზრდილობიანი, მაგრამ ავადმყოფი. ესეთ ახალგაზრდას თავი უძიგძიგებდა... განუწ-ყვეტლივ... და სანამ არ მიეჩვევოდით, მანამ ძნელი იყო ყურება. მიეჩვევოდით მხოლოდ მაშინ, როდესაც დაილაპარაკებდა. მისი ში-ნაარსიანი და აზრიანი ლაპარაკი გავიწყებდათ მის თავის ძიგძიგს.

და აი, ამ კაცმა ერთი ხონელი ულამაზესი, ახალგაზრდა ქალი შეირთო ცოლად. ყველა გააკვირვა ამ ამბავმა და ბოროტი ენები ამბობდნენ, ქალმა კარიერისათვის ე.ი. საზოგადოებრივი მდგომა-რეობისათვის გაჰყიდა თავი და მალე ნახავთ, იმ თავმოძიგძიგეს

3.შალვა დადიანი, რომ სტრელეცკიზე ლაპარაკობს, ეს საეჭვო არაა.

ოჯახს ლომებივით „კავალრები" როგორ შეესევიანო, მაგრამ... ამ მშვენიერი ახალგაზრდა ქალის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის ქმრის ნამდვილი და ერთგული მეუღლე გამოდგა..."[4]

დადებითად ახასიათებს ს.სტრელეცკის ვარლამ ძიძიგურიც. თავის მოგონებებში. იგი აღნიშნავს: „პირველი დირექტორის სტრელეცკის დროს (1881-1884 წ)ახლად დაბადებული სასწავლებლის ნორმალურ პირობებში ჩაყენებასა და საორგანიზაციო საკითხებს საგრძნობი დრო მონდომებია. იმ ხანებში მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის კარგი დამოკიდებულება ყოფილა, მოსწავლეები დიდი თავისუფლებით სარგებლობდნენ.მოსწავლეთა დაბალი ცოდნის ლიკვიდაციისათვის ოფიციალურ გაკვეთილებს გარდა დამატებითი მეცადინეობაც უწარმოებიათ მასწავლებლებს, სტრელეცკის ხონელი ქალი (ქუთათელაძე) შეურთავს ცოლად; ჩანს ნაწილობრივ ამ გარემოებასაც განუსაზღვრავს სტრელეცკის კარგი დამოკიდებულება ქართველი მოსწავლეებისადმი. სტრელეცკის მოსწავლეებისადმი კეთილი გრძნობების ჩანერგვის სურვილი და მათთან მამაშვილური დამოკიდებულება ახასიათებდა.ყოფილა შემთხვევები, როცა კარგი მოსწავლეები თავდებობდნენ სტრელეცკის წინაშე თავიანთ დამნაშავე ამხანაგს, რომელსაც ცუდი ყოფაქცევისა და ცუდად სწავლის გამო გამორიცხვა ელოდათ, და ცდილობდნენ მის გამოსწორებას: ჩანს, ამ საშუალებით ბევრი ცუდი ზნის მოსწავლე გამოსწორებულა, სარწმუნეობრივი მორალის გამომუშავების მიზნით სტრელეცკის დროს არის აგებული სემინარიის კარის ეკლესია,[5] ფიზიკური ვარჯიშობისათვისაც დაუთმია მას საპატიო ადგილი: გიმნასტიკა, ნაირ-ნაირი ხასიათის ვარჯიშობანი, შეშის ხერხვა და სხვ.[6]

ვარლამ ძიძიგურს სემინარიაში ს.სტრელეცკის დროს არ უსწავლია და მას ახასიათებს სხვათა გადმოცემის მიხედვით. მაგრამ ს.სტრელეცკის დადებითად გვიხატავს ზოგი მისი ყოფილი მოწაფეც-მაგალითად გ. ბოკერია ს.გოგლიჩაიძე და სხვები. „... პირველი დირექტორი იყო სერგი ნიკოლოზის ძე სტრელეცკი-წერდა გ.ბოკერია-რომლის მიერ შემოღებული სასწავლებლის რეჟიმი არავის

4. შალვა დადიანი „რაც გამახსენდა", თბ.1959,გვ.107-108.

5. ს.სტრელეცკის დამსახურება აქ არაფერ შუაშია. ყველა, ასე თუ ისე, მოზრდილ სასწავლებელს აუცილებლად უნდა ჰქონოდა თავისი ეკლესია.

6. ვ.ძიძიგურის, დასახ. ხაშრ. გვ. 26-27.

პბოჭავდა: ის აძლევდა მოწაფეებს დიდ შეღავათს და საშუალებას რომ უკანასკნელთ, რაც შეიძლება მეტი ემეცადინათ და თავისუფლად ესარგებლათ სასწავლებლის მდიდარი წიგნთსაცავით რომ ჯეროვნად განვითარებულიყვნენ და მომზადებულიყვნენ სახალხო მასწავლებლობისათვის. ის არათუ არ დევნიდა სასწავლებლიდან მშობლიურ ენასა და ელემენტს, არამედ აქეზებდა მოწაფეებს რომ საფუძვლიანად შეესწავლათ ქართული ენა... ის არ ახშობდა მოსწავლეებში ნაციონალურ ელფერს, პირიქით აფაქიზებდა მას, ახალისებდა მოწაფეებს და ატარებდა მათ ეროვნულ ტანსაცმელში, რასაც მე თვითონ მოვესწარი. „მე თქვენ გენდობით და თქვენც ეს ნდობა უნდა გაამართლოთ: იმოქმედოთ ისე, როგორც თქვენმა სინდისმა განსაჯოს, ხოლო თქვენი სინდისი ანგარიშს უნდა უწევდეს საზოგადოების აზრს და სასწავლებლის საალმზრდელო წესრიგს. ასე არიგებდა ხშირად მოწაფეებს და ამიტომ იყო, რომ მის დროს მოწაფეები თავდადებით მეცადინეობდნენ.[7]

გ.ბოკერიას ამ დახასიათებას, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, აგრძელებს ს.სტრელეცკის მეორე მოწაფე ს.გოგლიჩიძე. იგი წერს: დირექტორი „ძლიერ იყო დაახლოებული ქართველ საზოგადოებასთან. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ხონში ქართველი ქალი ოლღა ოქროპირის ასული ქუთათელაძე შეირთო ცოლად. სტრელეცკი ძალღონეს არ იშურებდა, რომ სემინარია მტკიცე საფუძველზე, დაეყენებია... ამ მხრივ იგი ძლიერ დახელოვნებული და გამოცდილი კაცი იყო, პატივისცემა დაიმსახურა საზოგადოებასა და მოწაფეებისა... სემინარიაში ენყობოდა სალიტერატურო და საცეკვაო საღამოები, რომლებზედაც იწვევდნენ ადგილობრივ მცხოვრებლებს, ასე რომ სასწავლებელს ჰქონდა ოჯახური ხასიათი... პირველი წლების სემინარიის მოსწავლეები საუკეთესოდ მომზადებულები იყვნენ, ცხოვრებაც კარგად ჰქონდა შესწავლილი და ძლიერ ბეჯითად მეცადინეობდნენ...[8]

მაგრამ ეს თურმე ნიღაბი ყოფილა, რაც შემდეგდროინდელმა მოვლენებმა დაადასტურეს. მაგრამ ჯერ მოვუსმინოთ ს.სტრელეცკის

---

7. გ.ბოკერიას ეს მოგონება ციტირებულია მიხ. კეკელიძის შრომიდან „გორის სამასწავლებლო სემინარია, თბ.1955, გვ.63.

8. ს.გოგლიჩიძის მოგონებაც ციტირებულია იმავე ნაშრომიდან, გვ.64.

კიდევ ერთ ყოფილ მოწაფეს ერემია გულისაშვილს „სემინარიის დირექტორი სტრელიცკი-წერდა იგი — რუსი მოხელე, მეფის ტახტის ერთგული კვაზი პატრიოტი და უაღრესად რუსიფიკატორი იყო. რომ შესძლებოდა საქართველოს გარუსება ერთ დღეს, თვალს არ დაახამხამებდა, არ შედრკებოდა. ვიწრო შოვინისტი იყო და მოძულე ყველა არარუსისა, ყოველ ნაბიჯზე დაგვცინოდა, გვამცირებდა, როგორც პატარა ერის წარმომადგენლებს. ერთხელ მახსოვს, როდესაც ვარჩევდით გოგოლის ნაწარმოებს, „სტაროსვეტსკიე პომეშჩიკი"-მე ვთქვი, რომ ჩვენს ილიასაც აქვს ამგვარი ნაწარმოები „კაცია-ადამიანი" მეთქი, როგორც თუ შენ ვიღაც ილია, ერთი მუჭა ხალხისა ვითომცდა ლიტერატორი დაუპირისპირე დიდი რუსეთის დიდ ლიტერატორს, მომდგა და აღარც არაფერი მე შემარჩინა და აღარც ჩვეენ სათაყვანებელ ილიას... კრილოვის ხსენებაზე ვახსენე ჩვენი სულხან-საბა ორბელიანი, სულ გადირია სტრელეცკი. მაგრამ ძნელი წარმოსადგენია თუ რა დაემართა მას „სლოვო ო პოლკუ იგორევე"-ს ხზენებაზე. მე დიდი რიხით ვახსენე ჩვენი „ვეფხისტყაოსანი". მე ვთქვი აქ კი ჩვენი სტრელეცკი თითს მოიკაკვავს-მეთქი, მაგრამ სიბრაზისაგან სულ დაებრიცა სახე, გაყვითლდა, გამწვანდა, დაიწყო გველივით სისინი, კბილების ხრჭენა და მომაყარა რაც მოადგა პირზე.

სტრელეცკი ცდილობდა რაც შეიძლება ვიწრო კალაპოტში ჩავეყენებინეთ; ნაკლები გვეკითხა, ნაკლებად განვითარებულიყავით. იმის აზრით განვითარებული კაცი სახალხო მასწავლებლად არ გამოდგებოდა, რადგან მთავრობას წყალს არ დაუწმენდს, ხალხში რევოლუციური იდეების გავრცელებას არ დაიშლის. მეფის ტახტის საზიანოდ მუშაობის სურვილს აღძრავს, სეპარატიზმზე ოცნებობს: რუსეთი კი გზრდით, გასწავლით, იგი დიდ ფულს ხარჯავს საქართველოზე და თქვენ ქართველები კი უმადურად, მგლებივით სულ განზე იყურებით, დაუნახავი, უსიკეთო ხალხი ხართ, უსიკეთო-დაამთავრებდა ხოლმე გულისწყრომით სტრელეცკი.[9]

1884 წლის სექტემბერში ს.ნ. სტრელეცკი (იგი ასწავლიდა პედაგოგიკასა და რუსულ წერას) ხონიდან გორის სემინარიაში

9. ე.გულისაშვილის მოგონება ციტირებულია ტრ. ხუნდაძის შრომიდან „ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში", თბ. 1939, გვ.141

გადაიყვანეს,[10] მან აქ ნამდვილად პოლიციური „ბარბაროსული" რეჟიმი დაამყარა, რაც პირველ რიგში ქართული ენისა და ქართველების დევნაში-გამოიხატა.[11]

**1884-1894 წლებში სემინარიის დირექტორი იყო უხეში შოვინისტი, სასტიკი რეაქციონერი და ქართველთმოძულე პავლე კირილეს ძე სოკოლოვი.** იგი არ ფარავდა, რომ სძულდა საქართველო, ქართველები და ქართული ენა. პ.სოკოლოვს ხონში და, საერთოდ კავკასიაში, სამსახური მიაჩნდა, იმპერატორისადმი მისი უქვეშევრდომილესი ერთგულების დასამტკიცებელ უსიამო მოვალეობად.

ახალი დირექტორი სანკტპეტერბურგის საიმპერატორო აკადემიის კურსდამთავრებული და მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი იყო. მაგრამ მას ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეში რუსულ ყაზარმაში დამკვიდრებული წესები უფრო იზიდავდა, ვიდრე პროგრესული პედაგოგიკური იდეები. ამიტომ იყო, რომ ხონში ჩამოსვლის პირველი დღეებიდანვე მან მიზნად დაისახა სემინარია გადაექცია შეუვალ ციხე-სიმაგრედ, რომელიც ყოველგვარი საზოგადოებრივი მოძრაობის გავლენისაგან მტკიცედ იქნებოდა დაცული. ამაზე მეტყველებს პ.სოკოლოვის ხელმძღვანელობით შემუშავებული „მოსწავლეთა წესების" ახალი რედაქცია, რომელსაც ქვემოთ დაწვრილებით გავეცნობით, რათა თვალნათლივ დავრწმუნდეთ იმაში რა სულისშემხუთველი ატმოსფერო დამკვიდრდა სემინარიაში,„ სახალხო მასწავლებელი იგივე უერთგულესი სალდათი უნდა იყოს მოწყალე ხელმწიფე იმპერატორისა. მაშასადამე ყოველი თქვენგანი უნდა აღიზარდოს სალდათურად, რომ მან ასეთივე სული ხალხში გადანერგოს-გვიქადაგებდა დირექტორი[12]-წერდა ყოფილი სემინარისტი გ.ბოკერია თავის მოგონებებში.

პ.სოკოლოვმა ხონის სემინარიაში „მოღვაწეობა" დაიწყო იმით, რომ მოსამზადებელი კლასის პროგრამიდან ქართული ენა ამოიღო, აკრძალა ქართული ლაპარაკი, ქართული წიგნების კითხვა, ქართული სიმღერები, საერთოდ შეამცირა ქართული ენის გაკვეთილები და მოითხოვდა, რომ ქართული ენა რუსულად ესწავლებიათ დაუპი-

---

10. ქცსა, ფ.121, საქ.32, ფურ.1.

11. ამის შესახებ იხ. მ.კეკელიძე. გორის სამასწავლებლო სემინარია,თბ.1955.

12. იხ.ტრ.ხუნდაძე, დასახ.ნაშრ.-გვ.143.

რისპირდა ქართველ მასწავლებლებს, პირველ რიგში ქართული ენის მასწავლებელს არისტო ქუთათელაძესა და მათემატიკის მასწავლებელს დავით აბდუშელიშვილს.აიძულა ისისნი სემინარიიდან წასულიყვნენ.

მოსამზადებელი კლასიდან ქართული ენის ამოღებასთან დაკავშირებით კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი პ.სოკოლოვს წერდა-თქვენი 1885 წლის 27 დეკემბრის მომართვის თანახმად ნებას გრთავთ 1886-1887 სასწავლო წლიდან თქვენდამი რწმუნებულ სემინარიაში ქართული ენა მოსამზადებელი კლასიდან გადაიტანოთ ძირითად კლასებში და გატარებული ცვლილებების შედეგები მაცნობოთ 1887 წლის ივლისში.[13]

პ.სოკოლოვი ხელქვეითებისა და მოსწავლეებისაგან უსიტყვო მორჩილებას მოითხოვდა. დევნიდა მისგან განსხვავებული აზრის მქონე მასწავლებლებს და ახალგაზრდებს, ჯაშუშობამ და დასმენამ ფართო ხასიათი მიიღო. დირექტორს ყველგან ჰყავდა თავისი მეთვალყურენი და მოსწავლეთა თუ მასწავლებელთა ყოველი ნაბიჯის შესახებ მოხსენებითი ბარათები ეგზავნებოდა სასწავლო ოლქის მზრუნველს, ხელისუფლების სხვა ორგანოებს. სემინარიის დირექტორს გართულებული ურთიერთობა ჰქონდა ხონის საზოგადოებრიობასთანაც, სასწავლებლის მახლობლად მცხოვრებლებთან, ხშირად საქმე სასამართლომდე მიდიოდა. სემინარიის საარქივო ფონდში ამის დამადასტურებელი ბევრი მასალაა დაცული.

პ.სოკოლოვის მიერ სემინარიაში დამკვიდრებულმა უმკაცრესმა რეჟიმმა მოსწავლეებში სერიოზული მღელვარება გამოიწვია (1884 წლის ნოემბერში, 1893 წლის მარტში)

1894 წელს სემინარიის დირექტორად დაინიშნა მიტროფანე ვასილის ძე მოხირი — კიევის საიმპერატორო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის კურსდამთავრებული. იგი სემინარიაში 1881 წლიდან მუშაობდა-იყო კლასის დამრიგებელი, ბუნებათმცოდნეობის და გეოგრაფიის მასწავლებელი.[14]

მ.მოხირი წინამორბედი დირექტორისაგან განსხვავებით, ლიბერალურად განწყობილი და ჰუმანური პიროვნება იყო. მან ბევრი

---

13.ქცსა, ფ.121, საქ.126. ფურ.4
14.იქვე,საქ.117,ფურ.121.

დადებითი რამ გააკეთა სემინარიისათვის. სპეციალობით ბუნებისმეტყველს დიდი სურვილი ჰქონდა მოსწავლეებში საბუნებისმეტყველო, სასოფლო-სამეურნეო და ტექნიკური ცოდნა გაევრცელებია. მან დაიწყო სემინარიის შენობის გადაკეთება, გააფართოვა ეზო და ბაღები, სემინარიის გარეთ, სასწავლებლისათვის შეიძინა მიწები, გააშენა ხეხილი, ვენახი, მაღალ დონეზე ჰქონდა დაყენებული მებოსტნეობა, მეაბრეშუმეობა, რაშიაც სემინარიელები აქტიურად მონაწილეობდნენ. 1896 წლის 23 მაისს იმპერატორმა დაამტკიცა სახელმწიფო საბჭოს წარდგინება ხონის სემინარიასთან არსებული დაწყებითი ერთკლასიანი სასწავლებლის ორკლასიანად გადაკეთების შესახებ.[15] 1902 წელს მ.მოხირმა მიაღწია იმას, რომ სემინარიის სახელოსნოში დურგლებთან ერთად სპეციალისტ-მასწავლებლების ხელით შრომის (преподователь ручного труда) შტატიც შემოელო.

მ.მოხირის ინიციატივით, 1895 წლის ნოემბერში, სემინარიის დაწყებით სასწავლებელთან შეიქმნა საკვირაო სკოლა და გასამეორებელი კურსები (потворительные курсы) მოზრდილებისათვის. მ.მოხირის ჩანაფიქრით, კურსების მსმენელებს, ჩაუტარდებოდათ საუბრები: ფიზიკის, ქიმიის,სოფლის მეურნეობის საკითხზე, იგი თვით ჩაუდგა სათავეში ამ საქმეს, რამაც ფართო გამოხმაურება ჰპოვა, როგორც ხონის მოსახლეობაში, ასევე კავკასიის სასწავლო ოლქში. მაგალითად, ბაქოს ვაჟთა გიმნაზიის საკვირაო სკოლის დირექტორი მ.მოხირს თხოვდა ეცნობებია როგორ მოახერხა მან „გასამეორებელი კურსების" გახსნა და გაეგზავნა კურსების პროგრამა.[16]

მიუხედავად ყოველივე ამისა, მ.მოხირიც მეფის თვითმპყრობელობის ოფიციალური წარმომადგენელი, რუსი ჩინოვნიკი იყო და პ.სოკოლოვის მიერ სემინარიაში დამკვიდრებული ყაზარმული რეჟიმი, მის დროსაც ძალაში რჩებოდა. 900-იან წლებში, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციის მოახლოებასთან დაკავშირებით საგრძნობლად გაიზარდა სემინარიის მოსწავლეთა პოლიტიკური აქტივობა. კავკასიის სასწავლო ოლქმა ეს მ.მოხირის სუსტი მუშაობით ახსნა და იგი 1903 წელს სხვაგან გადაიყვანა.

1903-1905 წლებში ხონის სემინარიას სათავეში ედგა მოსკოვის

15.იქვე, საქ.764,ფურ.38.

16. ქცსა, ფ.121, საქ.742.



ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძე

# ФОРМУЛЯРНЫЙ СПИСОКЪ

о службѣ

Директора

КУТАИССКОЙ УЧИТЕЛЬСКОЙ СЕМИНАРІИ,

Статскаго Совѣтника

Алексѣя Виссаріоновича Чичинадзе

*Составленъ „ „* апрѣля 1906 *года.*

№

Копія.

უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ვასილ ივანეს ძე დევიცკი. მას გიმნაზიის მასწავლებლის წოდება ჰქონდა.[17] ვარლამ ძიძიგურის მოგონებების მიხედვით დევიცკი იყო კაცი არაპედაგოგიური განათლებით (ყოფილი სააქციზო ზედამხედველი) და თან ისეთი მხეცი, რომ მისმა ხანმოკლე პარპაშმა არც მაინცდამაინც ხელგაშლით მიღებული მოხირი ბევრს მოანატრა. დევიცკი პედაგოგიური სასწავლებლის ხელმძღვანელად და აღმზრდელ-პედაგოგად არ ვარგოდა და თან მეტად უდიერად ეპყრობოდა მომავალ მასწავლებლებს. სახეში აფურთხებდა და ფიზიკურ შეურაცყოფას აყენებდა...

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს-წერდა ვ.ძიძიგური, რომ დევიცკი იყო თავისი თანამდებობისათვის სრულად შეუფერებელი და მოუმზადებელი, მიკერძოებით დანიშნული (კავკასიის სასწავლო ოლქის ინსპექტორის სლავინსკის ახლო ნათესავი იყო) შავრაზმელი ჯაშუში.თორემ მისი წინამორბედი დირექტორები ფრიად განსწავლულნიც იყვნენ და იშვიათი პედაგოგებიც.[18]

ვ. დევიცკის ჯაშუშური საქმიანობის ასპარეზი სემინარიით არ შემოიფარგლებოდა, იგი მთელს ხონზე ვრცელდებოდა. მას სერიოზული კონფლიქტი ჰქონდა არა მარტო მოსწავლეებთან არამედ დაბის მოსახლეობასთანაც. 1905 წელს ვ.დევიცკი იძულებული გახდა ხონიდან წასულიყო.

1905 წლის ზაფხულში ხონის სემინარიის დირექტორად დანიშნეს გამოჩენილი ქართველი პედაგოგი და საზოგად მოღვაწე, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი-ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძე (1851-1917წწ.). ეს შემთხვევითი მოვლენა არ იყო. რევოლუციის აღმავლობით დამფრთხალი მთავრობა ცდილობდა ცალკეული დათმობით გამოესწორებია არსებული მდგომარეობა. ცხრა წლის განმავლობაში (1905-1914 წლები) ედგა ალ.ჭიჭინაძე სათავეში ხონის სემინარიას და ამით უდიდესი ამაგი დადო სახალხო მასწავლებელთა მომზადების საქმეს. ეს ცხრა წელი იყო ყველაზე ნაყოფიერი

---

17. Личный состав Кавказского учебного округа к 1.му января 1904г. I,Тф. 1904, с.184.

18. ვ.ძიძიგურს ალბათ სურდა ეთქვა, რომ თავისი საგნის იშვიათი სპეციალისტები და არა პედაგოგები. დასახ. ნაშრ. გვ.30, 42-43.

პერიოდი ხონის სემინარიის ისტორიაში და, ამავე დროს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხანა, ალექსი ჭიჭინაძის საზოგადოებრივ-პედაგოგიურ მოღვაწეობაში. სამართლიანად წერდა გამოჩენილი ქართველი პედაგოგი, ხონის სემინარიის აღზრდილი ლუარსაბ ბოცვაძე — ალექსი ჭიჭინაძის „ღვაწლი ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე უფრო ნაყოფიერი იმ ცხრა წლის განმავლობაში იყო, როცა ეს დაუღალავი მოღვაწე სათავეში ედგა ისეთ სასწავლებელს, საიდანაც გამოდიოდნენ სახალხო მასწავლებლები. ყოველწლიურად ოც-ოცი კარგად მომზადებული, თავის სამშობლო ქვეყნის და საქმის მოყვარული, მასწავლებელი მაინც გამოდიოდა ხონის სემინარიიდან უკანასკნელ წლებში. და თუ მათ ეროვნული საქმის გაკეთების რაიმე უნარი გამოჰყვათ ეს იყო ალექსი ჭიჭინაძის მოღვაწეობის ერთი საუკეთესო შედეგი".[19]

საოსტატო სემინარია, ახლა როცა მას სათავეში ედგა ქართველი მამულიშვილი, არა მარტო ხონისა და მისი რაიონის, არამედ მთელი ქვემო იმერეთის კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი ძირითადი ხელმძღვანელი და წამმართველი ძალა გახდა.

ალექსი ჭიჭინაძე, ამავე დროს, უსასყიდლოდ განაგებდა ხონის ვაჟთა პროგიმნაზიას და მეუღლესთან ეფროსინე ნიკოლაძე-ჭიჭინაძესთან ერთად, ქალთა კერძო გიმნაზიას.[20]

ალექსი ჭიჭინაძე და მისი მეუღლე აქტიურად მონაწილეობდნენ ხონის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ალ.ჭიჭინაძე იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხონის განყოფილების დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი, თეატრის, ბიბლიოთეკის და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ხელისშემწყობი და მოამაგე. ალ.ჭიჭინაძე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა არა მარტო მოსწავლეებში, არამედ მოსახლეობაშიც. „ არცთუ ისე დიდი ხნის მოსული იყო ხონში ჭიჭინაძე, რომ მთელს სემინარიაში სავსებით შეგნებულად და ძალდაუტანებლივ რაღაც ისეთი გარდაუვალი რწმენა თუ შეგნება დაამკვიდრა-წერდა ვარ.ძიძიგური, რომ თითეული ჩვენგანი (ქართველი, რუსი, უკრა-

19. ლ.ბოცვაძე, ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძე, ჟურ. „განათლება", 1914წ. N 7, გვ. 540

20. ალექსი ჭიჭინაძის მეუღლე ეფროსინე-ნიკო ნიკოლაძის და იყო.

ინელი, ბერძენი თუ უდი), ვიდრე რამეს ჩავიდენდით, ვიდრე ასე მოვიქცეოდით თუ ისე, აუცილებლად შევეკითხებოდით საკუთარ თავს და სინდისს: მოიწონებს თუ არა ჩვენს საქციელს ალექსი ბესარიონის ძე? როგორ შეაფასებს ის ამას, დადებითად თუ უარყოფითად? „უარყოფითი" პასუხის გაფიქრების შემთხვევაში, უსათუოდ შევიკავებდით თავს, რაგინდ დიდი სურვილიც არ გვქონოდა სხვანაირად მოქცევისა. ეს შეგნება თუ გრძნობა თითეულ ჩვენგანში იმდენად ძლიერი იყო, მაშინ, რომ ვფიქრობ, ან განსვენებულ ალექსი ბესარიონის ძის ყოფილ მოწაფეთაგან ახლაც არა ერთი და ორი (ვიდრე რაიმე საქმეს შეუდგებოდეს) შეეკითხება თავის თავსა და სინდისს: რას იტყოდა ამის შესახებ ალექსი ბესარიონის ძე.[21]

ფართო განათლების პედაგოგი და უმწიკვლო პიროვნება-ალ.ჭიჭინაძე თავის მოსწავლეებისთვის ხალხისა და მისი კულტურის უანგარო სამსახურის ნათელ მაგალითს წარმოადგენდა. იგი მამობრივ მზრუნველობას იჩენდა თითეული მოსწავლისადმი და ისინიც უსაზღვრო, გულწრფელი სიყვარულით პასუხობდნენ მას.

თავის გამოსათხოვარ სიტყვაში (1914წ) სემინარიის მოსწავლეებისადმი ალექსი ჭიჭინაძემ ხაზგასმით აღნიშნა ის დიდი სიყვარული, რომელსაც იგი თავის მოსწავლეებისადმი იჩენდა. „თქვენ კარგად იცით, ყმაწვილებო, დილიდან საღამომდის თქვენს შორის ვტრიალებდი და რომ მარტო ამითი არ თავდებოდა ჩემი შრომა. თქვენ რომ მოგშორდებოდით ხოლმე, როდესაც დასაძინებლად წახვიდოდით, მას შემდგომაც თავს არ მანებებდა ფიქრები, რომელთა საგანი ისევ თქვენ იყავით, ვარკვევდი: რა გამეკეთებია თქვენთვის ხვალ, რა მეჩვენებია, რომ სწორ გზაზე გევლოთ, უფრო ღრმად შეგეგნოთ ნამდვილი თქვენი მიზანი და გაწვრთნილი ყოფილიყავით მომავალი თქვენი წმინდა საქმისთვის... თითეულს თქვენთაგანში ვხედავდი მე მომავალს მშრომელს სკოლისთვის, მოღვაწეს ჩვენი ერის განათლებისათვის და ვცდილობდი, რომ ერთიც თქვენგანი არ ჩამორჩენოდა უკან ამხანაგებს და მით არ შემცირებულიყო მშრომელთა გუნდი მომავლისათვის". ამავე დროს ალ.ჭიჭინაძე პედაგოგიური მჭერმეტყველებით მოუწოდებდა თავის მოსწავლეებს:

21. ვარ.ძიძიგური, დასახ.ნაშრ. გვ.43.

„...თქვენც თქვენს ადგილზე მუდამ მოცულნი უნდა იყოთ ფიქრით, მუდამ შრომობდეთ ხალხის განათლებისათვის, განუწყვეტლივ თვალყურს ადევნებდეთ ჩვენი ცხოვრების ნაკლს და ცდილობდეთ მის შევსებას...თქვენზე ბევრად დამოკიდებულია ჩვენი ცხოვრების ავი და კარგი. თუ თქვენ ფხიზლად იქნებით, ენერგიულად იშრომებთ, არ შესწყვეტთ საკუთარი ძალღონის განვითარებას და განკარგებას, მაშინ ჩვენი ერიც ამაღლდება გონებით და ეცდება ისიც სათვალავში იყოს, ისიც იხსენიებოდეს რუსეთის სახელმწიფოში, მასაც საკმაო ეროვნული უფლება ჰქონდეს სხვა ერთა შორის, თითონაც კეთილშობილებაში იყოს და საერთო მამულის საქმეშიაც თავისებური წვლილი შეჰქონდეს. თქვენც გაქვთ სამშობლო — ეს კეკლუცი საქართველოა, რომლის ბედნიერებისთვისაც უნდა ილვწოდეთ, ერთი წუთით არ დაივიწყოთ, რომ თქვენ გაზარიათ აკვანი ძვირფასის ყრმითურთ".[22]

ალექსი ჭიჭინაძის პედაგოგიური მოღვაწეობის წარმატების საიდუმლოება მდგომარეობდა იმაში, რომ იგი ყოველ მოსწავლეს განიხილავდა, როგორც დამოუკიდებელ პიროვნებას, რომლის აზრს ანგარიში უნდა გაეწიოს. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოტანილ იქნას ორი ადგილი ვარლამ ძიძიგურის მოგონებებიდან. „ალექსი ჭიჭინაძემ წესად შემოიღო-წერდა ავტორი,-სემინარიელები ეს მომავალი მასწავლებლები, დასწრებოდნენ საგნის მასწავლებელებს მოსწავლეებისათვის მეოთხედური ნიშნების გამოყვანის დროს და თავიანთი აზრიც მიეწოდებინათ ამა თუ იმ ნიშნის სამართლიანობის შესახებ. ერთხელ მეც ამირჩიეს ამხანაგებმა თავიანთ წარმომადგენლად მეოთხედური ნიშნების გამოყვანაში მონაწილეობის მისაღებად. ნიშნების გამოყვანის დროს მე მოვახსენე ქართული ენის ცნობილ მასწავლებელ ტრიფონ თაბუკაშვილს, რომ ჩემს კლასში ექვს რუსს ეკუთვნის ორიანები ქართული ენის ცოდნაში.[23] ტრიფონ თაბუკაშვილმა გაიზიარა ეს აზრი და, მიუხედავად გარკვეული რისკისა, ექვს კაცს დაუწერა ქართულში „2". ცხადია პედაგოგიურ საბჭოს მოხსენდა ნიშნები. საბჭოს სხდომის შემდეგ ალექსი ჭი-

22. ალ.ჭიჭინაძე გულისხმობდა ილ.ჭავჭავაძის „ბაზალეთის ტბის" ძირას მოთავსებულ აკვანს. ჟურ. „განათლება", 1914, №7, გვ.742.

23. ისინი ქართულ ენას განზრახ არ სწავლობდნენ, მაგრამ სამები მაინც ეწერებოდათ. ვ.ძიძიგურის შენიშვნა.

ჭინაძემ დაიბარა ექვსივე მოწაფე თავის კაბინეტში, რა ელაპარაკა მათ, არ ვიცი, მაგრამ ის კარგად მახსოვს, რომ დაბრუნდნენ თუ არა ისინი კლასში... ამოიღეს წიგნები და გულმოდგინედ დაიწყეს კითხვა. „მოდი ვნახოთ ვენახი, რამ შეჭამა ვენახი...".[24]

ორ უფროსკლასელ მოსწავლეს შორის სერიოზული უთანხმოება ჩამოვარდა. შეიქმნა იმის საშიშროება, რომ კონფლიქტი ახალგაზრდებს შორის, შეიძლებოდა ტრაგიკულად დამთავრებულიყო. ალექსი ჭიჭინაძე დიდად შეაწუხა ამ შემთხვევამ. საკითხის პედაგოგიურ საბჭოზე განხილვამდე, მან სემინარიის მოწაფეთა საერთო კრებას (მოსამზადებელი კლასის გამოკლებით) მიანდო საქმის გარჩევა, დადგენილების გამოტანა და საბჭოსათვის წარდგენა.

მოსწავლეთა საერთო კრებამ საქმე გაარჩია, გონივრული გადაწყვეტილება მიიღო, რაც პედაგოგიურმა საბჭომ უცვლელად დაამტკიცა. ტრაგედია თავიდან იქნა აცილებული. მაგრამ პედაგოგიური საბჭოს ოქმის ასლი ხელთ ჩაუვარდა კაკასიის სასწავლო ოლქის უფროსს ნ.რუდოლფს, რომელმაც ალექსი ჭიჭინაძისაგან დაწვრილებითი ახსნა-განმარტება მოითხოვა-როგორ მოხდა, რომ მოსწავლეთა შორის ურთიერთობის საკითხი მოსწავლეთა საერთო კრებამ გაარჩიაო.[25]

ალექსი ჭიჭინაძე ცდილობდა ხელი არ შეეშალა მოსწავლეებისათის მონაწილეობა მიეღოთ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში. მაგრამ ამას დიდი სიფრთხილით აკეთებდა. სემინარია სახელმწიფო სასწავლებელი იყო და მის დირექტორს ევალებოდა მთავრობის პოლიტიკის გატარება. ვარლამ ძიძიგური ასეთ ამბავს მოგვითხრობდა: რეაქციის დროს ხონში ჩამოვიდა გენ. ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი ექსპედიციის კაზაკთა რაზმი. პროტესტის ნიშნად დაახლოებით 30-40-მა სემინარიელმა გაკვეთილები დავტოვეთ და საპირველმაისოდ გარედ გამოვედით.

ქალაქგარეთ, მინდვრად დაბანაკებულ პროტესტანტებთან ზედიზედ მოდიოდნენ მასწავლებლები და გვთხოვდნენ-დაბრუნდით სემინარიაში, შედით გაკვეთილებზე, სადაც სხვა თქვენი ამხანაგები მეცადინეობენ; ნუთუ ვერ ხედავთ, რომ რეაქცია მძვინვარებს

24.ვარ.ძიძიგური, დასახ.ნაშრ. გვ.48.
25. იქვე, გვ.69.

მეფის მთავრობისა და მისი მოხელეების წინააღმდეგ საბრძოლველად ახლა სხვა მეთოდია საჭიროო და სხვა. მაგრამ ჩვენ არც ერთი მათგანის რჩევა-მუდარას არ ვუსმენდით.

მახსოვს, ბოლოს მოვიდა ექიმი პოლიკარპე ჩხიკვიშვილიც, დაჯდა ჩვენს ახლოს და თავისთვის ნაწყვეტ-ნაწყვეტ ბუტბუტებდა ქართულად.

-ვაი თქვენს პატრონს, სად გაქვთ ჭკუა?! თქვენ გგონიათ კარგ საქმეს აკეთებთ!...

სულელებო, თქვენთან არა ერთი და ორია ისეთი, რომელსაც ალექსი ჭიჭინაძის მოშორება უნდა თავიდან!... თქვენ იმათ საქმეს აკეთებთ... თქვენისთანა უჭკუოსა და ოხრებზე ხელსაც არ გაისვრის მთავრობა... ალექსი ჭიჭინაძეს კი მოხსნიან სამსახურიდან და შეიძლება დაიჭირონ კიდეც.

-ალექსი ჭიჭინაძეს მოხსნიანო?! აბა, ბიჭებო,- ვუთხარით ქართველებმა ერთმანეთს,

-შემოიკარით ქამრები,...მოვკურცხლოთ სემინარიისაკენ, კაზაკებმა არ დაგვინახონ!

სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც გამოგვყვნენ და მალე ყველანი სემინარიაში გავჩნდით..."[26]

ქართველი დირექტორის საქმიანობას საიდუმლოდ თვალყურს ადევნებდნენ მთავრობის აგენტები. მათი საშუალებით კავკასიის სასწავლო ოლქმა იცოდა, რომ ალ.ჭიჭინაძე ნებას რთავდა სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლებს პანსიონში ლექციები წაეკითხათ, მოხსენებით გამოსულიყვნენ და კამათი გაემართათ. ამ ღონისძიებებს ესწრებოდა თვით ალ.ჭიჭინაძეც. მთავრობას აცნობეს ისიც, რომ ალ.ჭიჭინაძემ არალეგარულ ორგანიზაციას გადასცა იმ გრანდიოზული საღამოს შემოსავალი, რომელიც სემინარიაში მოეწყო და რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პართენ გოთუამ, სერიოჟა ქავთარაძემ, კოტე ფოცხვერაშვილმა თავისი გუნდით და სხვებმა. მთავრობისათვის უცნობი არ დარჩენილა ის ფაქტიც, რომ თავხედსა და უხეშ შავრაზმელ მასწავლებელს ნიკოლაევს რომელმაც ტყულ-უბრალოდ ტყეში გლეხი მოკლა, ალექსი ჭიჭინაძემ და რამდენიმე მასწავლებელმა (პ.ჩხიკვიშვილმა, ტ.თაბუკაშვილმა, გ.ბურჭულაძემ) ბოიკოტი გამოუცხადეს. მთავრობას აცნობეს ისიც — მოსწავლეები

---

26. იქვე, გვ.70-71.

დემონსტრაციებშიც მონაწილეობენ, პირველ მაისობას იფიცებიან, ხოლო ა.ჭიჭინაძე ყოველივე ამას ხელს უწყობსო, რომ ა.ჭიჭინაძემ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილება დაარსა ხონში. მონაწილეობა მიიღო დრამატული საზოგადოების ჩამოყალიბებაში, ჭიჭინაძე გოგოლის „რევიზორის" და სხვა ამგვარი პიესების მთარგმნელი და ბევრი ქართული წიგნის ავტორიაო და ა.შ. სასწავლო ოლქის უფროსი ნ.რუდოლფი საბაბს ეძებდა ალ.ჭიჭინაძის გადასაყენებლად, მაგრამ ამას ვერ ბედავდა ქართველ საზოგადოებაში გამოჩენილი პედაგოგის დიდი ავტორიტეტის გამო.

ალ.ჭიჭინაძის ხელმძღვანელობით საოსტატო სემინარია სათავეში ედგა ხონის მრავალრიცხოვან და მოწინავე პედაგოგიურ საზოგადოებრიობას, რომლის აზრსაც ყოველთვის ანგარიშს უწევდნენ საქართველოში.

ხონელი, პროგრესულად მოაზროვნე მასწავლებლები თავგამოდებით იცავდნენ მოწინავე პედაგოგიურ იდეებს რეაქციის შემოტევებისგან, იბრძოდნენ სკოლებში ქართული ენის სწავლების გაფართოებისა და სრულყოფისათვის. ცნობილია თუ რა სასტიკად გაილაშქრეს ხონელმა პედაგოგებმა ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორის კრუპსკის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ. კრუპსკი შეეცადა ხმარებიდან ამოეღო 1881 წელს შემუშავებული სასწავლო პროგრამები და მიეღო ახლები, რომლებიც სავსებით უგულვებელყოფდნენ. ქართულ ენას საქართველოს სკოლებში. კრუპსკი და მისი დამქაშები სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდნენ. 1913წ. კრუპსკი იძულებული გახდა, ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორებთან ერთად, ხონში ჩასულიყო და მოლაპარაკება გაემართა სამასწავლებლო სემინარიის პედაგოგიურ საბჭოსთან ახალი პროგრამების შემოღების საკითხზე. პედაგოგიური საბჭოს სხდომა ორ დღეღამეს გაგრძელდა. კრუპსკი და მისი თანამოაზრეები ამტკიცებდნენ ახალი პროგრამების უპირატესობას. ხონელმა პედაგოგებმა ალ.ჭიჭინაძის ხელმძღვანელობით, დაასაბუთეს ახალი პროგრამის უნიადაგობა და რეაქციული არსი, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა სწავლა-აღზრდის სწორ პედაგოგიურ მეთოდებს.[27]

---

27. გაზ. „მერცხალი", 1913, 2,8, №31, გვ.4.

ენერგიულად იბრძოდნენ ხონელი პედაგოგები, აგრეთვე, ლევიცკის ე.წ. „ბუნებითი მეთოდის“ წინააღმდეგ. ეს მეთოდი ალ.წულუკიძის სიტყვებით, რომ ვთქვათ „განათლების მაგიერ აჩლუნგებდა, ხრწნიდა ბავშვის მკვირცხლ და მშვენიერ ნიჭს. აბა რა სარგებლობა უნდა მისცეს ქართველს და რა ცოდნით აღჭურვილი შვილები დაუბრუნოს მშობლებს იმ სკოლამ, სადაც ქართული გაკვეთილი კვირაში მხოლოდ ორჯელ არის, დანარჩენ დროს კი იმ საოცარ მეთოდს ანდომებენ. დიაღ! ლევიცკის „ბუნებითი მეთოდით“ ხელმძღვანელობენ დღეს ის ბავშვები, რომელნიც რამდენიმე წლით ოჯახს სრულიად მოკლებულნი არიან მხოლოდ ამისათვის რომ რაიმე ცოდნა შეიძინონ, მაგრამ ამ პირობებში ჩაყენებული სახალხო სკოლა როდისმე გაახარებს მშობლის დაიმედებულ გულს? არა! ის ჭეშმარიტება, რომ უდედა-ენოდ რიგიანის ცოდნის შეძენა შეუძლებელი არის კარგა ხანია რაც კაცობრიობამ შეიგნო და დაამტკიცა“[28]-წერდა ა.წულუკიძე ხონის ქალთა სასწავლებლის ახალი ზედამხედველის დანიშვნასთან დაკავშირებით. ეს უკანასკნელი ცდილობდა ქართული ენის გაკვეთილების მინიმუმამდე შეკვეცას, პედაგოგიურ „მოღვაწეობას“ საფუძვლად უდებდა ანტიმეცნიერულ „ბუნებით მეთოდს“.

ალექსი ჭიჭინაძის მეთაურობით საკადრისი პასუხი გასცეს ხონელმა პედაგოგებმა ახლადმოვლენილ კუსტინოვიჩს,[29] სამასწავლებლო სემინარიის მასწავლებელს, ვინმე ნიკოლაევს. მან გაკვეთილებზე მოსწავლე ახალგაზრდობის წინაშე დამცირებით მოიხსენია ქართველი ერი. ნიკოლაევმა განაცხადა „ქართველები ახალი დაბადებული ერია, წარსული არ აქვთ, ენა მათი უსუსურია, და როგორც ქართველები, ისე მათი ენა მალე აღიგვებიან დედამიწის პირიდანო.[30]

ამ ვაი-პედაგოგის უმგვანო საქციელმა მოსწავლეების აღშფოთება გამოიწვია. მათ საკადრისი პასუხი გასცეს ნიკოლაევს.როდესაც მან დირექციაში იჩივლა და რამდენიმე სემინარიელის გარიცხვა მო-

28. „ივერია“, 1895, 10,26, -231, გვ.2.

29. ქუთაისის გიმნაზიის მასწავლებელმა, ვინმე კუსტინოვიჩმა, გაკვეთილზე უდიერად მოიხსენია ქართული ენა, რასაც შედეგად მოჰყვა საკმაოდ გახმაურებული ინციდენტი.

30. „თემი“,1911, 12, 5, N481,გვ.2.

ითხოვა პედაგოგიური კოლექტივი და დირექტორიც ალექსი ჭიჭინაძე მოსწავლეების მხარეზე დადგნენ, ამით განაწყენებულმა ნიკოლაევმა სემინარიის ხელმძღვანელობას სასწავლო ოლქიში მზრუნველთან უჩივლა — ქართველ მასწავლებლებს ბრალი დასდეს სეპარატიზმში, რასაც შედეგად მოჰყვა სამი საუკეთესო მასწავლებლის სემინარიიდან წასვლა.

ალექსი ჭიჭინაძის მეთაურობით ხონელმა პედაგოგებმა, 900-იან წლებში, საფუძველი ჩაუყარეს საჩვენებელი გაკვეთილების მიცემის პრაქტიკას, რითაც საგრძნობლად აამაღლეს სწავლების ხარისხი. „ხონის პედაგოგებმა — წერდა გაზ. „ფონი“ ფრიად სიმპატიურ საქმეს მოჰკიდეს ხელი. მათ დაადგინეს-მეტი ცოდნისა და გამოცდილების მისაღებად თითეულ წევრს საერთო პედაგოგთა კორპორაციისა მიაცემინონ გაკვეთილი ამა თუ იმ სამოსწავლო საგნებში და შემდეგ შეერთებულის ძალით აწონ-დაწონონ მოცემული გაკვეთილის ავკარგიანობა... ჯერ ხანად გაკვეთილი მიაცემინეს მასწავლებლებს ბ.ლავრენტი ჩიმაკაძეს, ბ.ცაგარეიშვილს... ინიციატივა ამ კეთილი საქმის დანერგვის ეკუთვნის ჩვენ დამსახურებულ მოხუც პედაგოგ ბ-ნ ალექსი ჭიჭინაძეს.[31]

განუმეორებელი იყო ალექსი ჭიჭინაძე, როგორც აღმზრდელი და სასწავლებლის ხელმძღვანელი.იგი შეუვალ ავტორიტეტს წარმოადგენდა, როგორც მოსწავლეების, ასევე კოლეგებისთვისაც. ვარლამ ძიძიგურის სიტყვებით განა ყვირილითა და ცემა-ტყეპით აკეთებდა ალექსი ჭიჭინაძე დიდ პედაგოგიურ საქმეს, განა დამუქრებით ზრდიდა ის მოსწავლეებს და, წარმოიდგინეთ, თავის კოლეგებსაც კი! განა ერთსა და იმავეს ჩაგვჩიჩინებდა განუწყვეტლივ? პირიქით, ერთხელ ნათქვამს, მეორედ იშვიათად გაიმეორებდა, მაგრამ ისეთნაირად მოიქცეოდა, რომ სირცხვილის ალმური მოგვეკიდებოდა, სინდისის ქენჯნას განგვაცდევინებდა. გავიხსენებ მხოლოდ ერთს, თითქოს უბრალო მაგალითს: ალ. ჭიჭინაძის ხონში ჩასვლამდე მასწავლებლები, მეტ შემთხვევაში, კალოშებით შედიოდნენ სამასწავლებლო ოთახში, კალოშებს იქვე გაიხდიდნენ და კუთხეში მიყრიდნენ. ალექსი ბესარიონის ძემ ერთხელ უთხრა თავის კოლეგებს „აჯობებდა კალოშების დერეფანში დატოვებაო“...

31.„ფონი“, 1909,11,22. N12,გვ.7-8



**ხონის საოსტატო სემინარიის დირექტორის გაცილება ხონის ქალთა წრის მიერ. 1914 წლის 24 აგვისტო**

ამის შემდეგ მასწავლებლები კალოშებს ერთხანს დერეფანში ტოვებდნენ. ერთი-ორი კვირის შემდეგ ზოგს დაავიწყდა ალექსი ბესარიონის ძის ნათქვამი, ძველი ჩვეულებისამებრ კალოშებით შევიდა სამასწავლებლო ოთახში, იქ გაიძრო კალოშები და ძველებურად იქვე მიაყარა კუთხეში. ბედად დიდ შესვენებაზე, როცა სამასწავლებლო ოთახში ჩაის მიირთმევდნენ მასწავლებლები, შევიდა ალექსი ჭიჭინაძე და დაინახა კუთხეში ორი-სამი წყვილი კალოში! ხმა არ ამოუღია, საყვედური არავისთვის უთქვამს, პირდაპირ კუთხისაკენ წავიდა ეს თეთრწვერა,მოხუცი კაცი, დაუყოვნებლივ აკრიბა კალოშები, უხმოდ გაიტანა დერეფანში და თავის ადგილას დააწყო. ამის დანახვაზე მასწავლებლებმა ჩაის სმა შეწყვიტეს, ადგილებიდან წამოცვივდნენ, ყველა სირცხვილით დაიწვა. ამის შემდეგ სამასწავლებლოში კალოშებით არავინ შესულა...[32]

**ხონის საოსტაო სემინარია, სადაც ალექსი ჭიჭინაძე 1914 წლამდე მოღვაწეობდა, მისი ენერგიული ხელმძღვანელობით იმ დროისათვის საუკეთესო პედაგოგიურ სასწავლებლად გადაიქცა. იგი კვალიფიციური სახალხო მასწავლებლის ნამდვილი სამჭედლო იყო.**[33]

1914 წელს ალექსი ჭიჭინაძე ხონიდან თბილისში გადაიყვანეს და ქართული გიმნაზიის დირექტორად დანიშნეს.

ხონის საზოგადოებრიობამ გულწრფელი სიყვარულით გააცილა ამაგდარი ცოლ-ქმარი, წარმოითქვა მრავალი მგრძნობიარე სიტყვა. ერთ-ერთმა ორატორმა მხცოვან პედაგოგს ასე მიმართა: „თქვენი ფრიად ჰუმანური პიროვნება მაგონებს იმ კეთილგონიერ მებაღეს, რომელსაც უბრალო, ნორჩი ხის ტოტიც კი მისდამი რწმუნებული ბაღისა საგანგებოდ უყვარს, უვლის თავს არ იზოგავს მის საკეთილდღეოდ... რამდენჯერ ნორჩი, საზოგადოებრივ ქარიშხალისაგან დაზიანებული ახალგაზრდა ყმაწვილი დაგიხსნიათ დაცემისაგან, მამაშვილურის სიყვარულით მიახლოვებიხართ, სათნო მოპყრობით გაგიღვიძებიათ მათ გულში მიმქრალი ადამიანური გრძნობები, სურნელოვანი მალამო მოგიცხიათ მათ ზნეობრივ ჭრილობისათვის, ფრთხილად შეგიხვევიათ მათი იარები, ისევ მიგიკრავთ

---

**32.ვარ.ძიძიგური, დასახ. ნაშრ.გვ.44.**

**33.ვ.ქაჯაია, ალექსი ჭიჭინაძე, კრებულში-ქართველი პედაგოგები, თბ.1955, გვ.120.**

საზოგადოებრივ ტანს და მანამ არ მოგიკლიათ კეთილი მზრუნველობა, სანამ არ დარწმუნებულხართ, რომ სუსტი ტოტი გამაგრებულა და მომწიფებულა კეთილი ნაყოფის გამოსაღებად.[34]

ალ. ჭიჭინაძე სწავლა-აღზრდის ძველი სისტემის გარდაქმნისათვის მებრძოლი პედაგოგი იყო საქართველოში. იგი ახალი ქართული სკოლის ჯანსაღ საფუძვლებს ამკვიდრებდა ქართულ პედაგოგიკურ ლიტერატურაში და სხვებსაც მოუწოდებდა სახალხო განათლების დარგში ჩვენი ეროვნული უფლებების დაცვა-განმტკიცებისაკენ.[35]

ხონის საოსტატო სემინარიის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანია ის პერიოდი, როდესაც მათ სათავეში ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძე იდგა. მან, რუსული სახელმწიფო სასწავლებელი, ფაქტობრივად, ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის სამსახურში ჩააყენა.

1914-1917 წლებში სემინარიის დირექტორი იყო ყაზანის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული, ღვთისმეტყველების კანდიდატი ვლადიმერ გაბრიელის ძე პავლოვსკი.[36]

## 2. მასწავლებელთა შემადგენლობა

ხონის სემინარია დღიდან დაარსებისა, ყოველთვის მაღალკვალიფიციური მასწავლებლებით იყო დაკომპლექტებული. მათ შორის იყვნენ ს.პეტერბურგის, მოსკოვის, კიევის, ნოვოროსიისკის, ხარკოვის უნივერსიტეტის თბილისის ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტისა და სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულები, რომლებიც კარგად ფლობდნენ თავიანთ საგანს და შეეძლოთ მოსწავლეებისათვის საფუძვლიანი, მყარი ცოდნა მიეცათ.საყურადღებოა ის ფაქტი, რომ თანდათან სემინარიის მასწავლებელთა შემადგენლობაში გარკვეული ადგილი, ამავე სემინარიაში აღზრდილებმა დაიკავეს. მათზე ცალკე გვექნება საუბარი.

---

34. გ.ხაჟომია, ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძის გამოთხოვებისას, ჟურ. „განათლება, 1914, N8, გვ.631.

35. ვ.ქაჯაია, დასახ. ნაშრ.გვ.139.

36. ქცსა,ფ.121, საქ.1010,ფურ.4. ვლ.პაველოვსკის პირად საქმეში დაცულია მისი ვრცელი საკურსო სამუშაო თემაზე „ანტიოქიის სკოლა".



გრიგოლ იესეს ძე
ბურჭულაძე



არისტო ვასილის ძე
ქუთათელაძე



გიორგი უთურგაური



თორნიკე ზურაბის ძე
გეგეშიძე



ერმილე შარაშიძე

მასწავლებლების, და საერთოდ სემინარიის მოსამსახურე პერსონალის, უმრავლესობა, არაქართველები, ძირითადში, რუსები, იყვნენ. ზოგი მათგანი სრულად არ იცნობდა საქართველოს, მის ხალხსა და კულტურას, ზნე-ჩვეულებებს, ისტორიულ წარსულს, რადგან პირველად მაშინ ჩამოვიდა აქ, როდესაც ხონის სემინარიის მასწავლებლად დაინიშნა. ისინი ხშირად, ქედმაღლურად, ზემოდან დაჰყურებდნენ თავიანთ ქართველ აღსაზრდელებს და დიდმპყრობელური სულისკვეთებით გამსჭვალულნი, ერთგულად ემსახურებოდნენ ცარიზმის რუსიფიკატორულ პოლიტიკას.

სემინარიაში, რუსი მასწავლებლების გვერდით, მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც, ქართველებიც მოღვაწეობდნენ. მათ მძიმე პირობებში უხდებოდათ მუშაობა. კავკასიის სასწავლო ოლქი, თავისი აგენტების საშუალებით, მკაცრად აკონტროლებდა ქართველ პედაგოგთა ყოველ ნაბიჯს, რათა ძირშივე ჩაეკლა მათი ყოველგვარი ცდა თავიანთ აღსაზრდელებში ეროვნული თვითშეგნება გაეღვივებიათ.

ხონის სემინარიაში, ისე როგორც ყველა სახელმწიფო სასწავლებელში, ერთმანეთის გვერდით მუშაობა უხდებოდათ ერთის მხრივ თავისი საქმის შესანიშნავად დაუფლებულ, ჰუმანურ და მეორეს მხრივ თვითმპყრობელობის ერთგულ ჩინოვნიკ მასწავლებლებს, რომლებიც თავიანთ ნამდვილ ზრახვებს ხან ფარულად, ხან აშკარად და მოურიდებლად ამჟღავნებდნენ.

სემინარია, პროგრესულ და რეაქციულ ძალთა ამ ურთიერთჭიდილში, მაინც საკმაო ცოდნასა და, რაც მთავარია, პედაგოგიურ წრთობას აძლევდა ახალგაზრდებს. ეს უპირველეს ყოვლისა აიხსნება იმით, რომ სემინარიაში სხვადასხვა დროს განათლებული და თავის საქმეს კარგად დაუფლებული მოწინავე პედაგოგები მასწავლებლობდნენ. ისინი, შესაძლებლობის ფარგლებში ხელს უწყობდნენ მოსწავლეთა თვითგანვითარებას, ოფიციალური პროგრამების გვერდის ავლით, ხშირად ესაუბრებოდნენ საჭირბოროტო საკითხებზე, მოსწავლეებში ნერგავდნენ ხალხისადმი სიყვარულისა და ურთიერთპატივისცემის გრძნობას განურჩევლად ერისა.[37] ამასთან ერთად უნდა დავაფიქსიროთ ის ფაქტი, რომ სემინარიის ყოფილი მოს-

---

**37. მიხ.კეკელიძე, დასახ. ნაშრ. გვ.72.**

ნავლეები (ვ.ძიძიგური,გ.ბოკერია,ს.გაჩეჩილაძე, ე.გულისაშვილი და სხვ.) თავიანთ მოგონებებში არაქართველ მასწავლებლებს, იშვიათად მოიხსენიებდნენ დადებით კონტექსტში. გამონაკლისია ჩეხი, მუსიკის მასწავლებელი ანტონ ჰაუდეკი.

ხონის სემინარიის მასწავლებელთა პერსონალური შემადგენლობა, პირველ — 1881-1882 სასწავლო წელს ასეთი იყო:

1. ს.ნ.სტრელეცკი-დირექტორი (ასწავლიდა — პედაგოგიკას, რუსულ წერას)

2. მღვდელი იორდან ლომთაძე-საღვთო სჯულის მასწავლებელი

3. ი.ე. პეტროვი-რუსული ენის, წერის, ისტორიისა და სიმღერის მასწავლებელი

4. ა.ვ. ქუთათელაძე-ქართული, ენისა და გეოგრაფიის მასწავლებელი

5. დ.ა. აბდუშელიშვილი-მათემატიკის მასწავლებელი

6. მ.ვ.მოხირი-ბუნებისმცოდნეობის, ისტორიის, ხაზვის და გეომეტრიის მასწავლებელი

7. კ.ფ.ბერნო-სემინარიის ექიმი და ჰიგიენის მასწავლებელი

8. კ.ზ. გარაყანიძე სემინარიასთან არსებული დაწყებითი სანიმუშო სასწავლებლის მასწავლებელი.[38]

რადგან სემინარიაში ყველა საგანი რუსულად ისწავლებოდა და გარდა ამისა იგი ამზადებდა მასწავლებლებს სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფი დაწყებითი სკოლებისათვის, სადაც ასევე სწავლა რუსულ ენაზე იყო, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ამ საგნის საფუძვლიანად შესწავლას. აქ საკითხი არ დგას რუსული ენის შესწავლის საჭიროებასა და აუცილებლობაზე. ეს კარგად ჰქონდათ შეგნებული ქართველ მოღვაწეებსა და პედაგოგებს-ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, იაკობ გოგებაშვილს და სხვებს. ისინი ახალგაზრდობას მოუწოდებდნენ ღრმად დაუფლებოდნენ რუსულ ენას. მაგრამ, მათი აზრით, ეს უნდა მომხდარიყო ქართული ენის შესწავლის გაღრმავებისა და განმტკიცების ბაზაზე. მსოფლიოს გამოჩენილი პედაგოგები (მათ შორის კ.უშინსკიც) აღიარებდნენ, რომ ყოველი უცხო ენის შესწავლა უნდა მოხდეს მშობლიური ენის საფუძველზე. ხონის სემინარიის ზოგი მასწავ-

38. ქცსა, ფ.121, საქ.7. ფურ.71.

ლებელი კი ერთმანეთს უპირისპირებდა რუსულ და ქართულ ენებს, უარყოფდა ამ უკანასკნელის ღრმად შესწავლის მიზანშეწონილობას, რითაც დიდ ზიანს აყენებდა, პირველ რიგში, თვითონ რუსულ ენის სწავლების საქმეს.

ხონის სემინარიაში, დაახლოებით 21 წლის მანძილზე 1881-1902 წწ რუსული ენის წამყვანი მასწავლებელი და ამ საგანში დამრიგებელი იყო ივანე ეფიმეს ძე პეტროვი. მას როგორც თბილისის ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტის კურსდამთავრებულს, საქალაქო სკოლის მასწავლებლის წოდება ჰქონდა. 1884 წლიდან, რამდენიმე ხანს,ისტორიას სიმღერასა და გიმნასტიკასაც ასწავლიდა.[39] გამოჩენილი ქართველი მეცნიერი შალვა ნუცუბიძე (1882-1969), რომელმაც დაწყებითი განათლება მიიღო ხონში, სადაც მისი მამა-ისააკი, მასწავლებლად მუშაობდა, ივ.პეტროვს ასე ახასიათებდა: „...მამა ჩემი დიდი წინააღმდეგი იყო მონარქისტ-რუსიფიკატორთა აგენტურისა, რომელთა მეთაურს ხონში პეტროვი წარმოადგენდა. საქმე იმით გათავდა, რომ ერთ შეკრებულობაში, რომელსაც პეტროვი ესწრებოდა, მამაჩემმა ლაზათიანად მიბეგვა იგი, რადგან მან რუსიფიკაციის ერთ-ერთი დასაყრდენის ე.წ. მუნჯური მეთოდის, დაცვა იკისრა.

პეტროვი დაახლოებული იყო „მუნჯური მეთოდის" ავტორებთან-სახალხო სკოლების სარაიონო ინსპექტორებთან-სავიჩთან და სუდაკოვთან. უკანასკნელი ხონში ჩამოვიდა „მუნჯური მეთოდის" საპროპაგანდოდ. მამაჩემს ეწვია როგორც უფროსს. ღამე ჩვენთან გაათია და დაძინებამდე მესმოდა ხმამაღალი კამათი. მეორე დღეს მამაჩემი აგინებდა „მუნჯური მეთოდის" ავტორებს და მათთან ერთად პეტროვსაც".[40]

შალვა ნუცუბიძე, მართალია, ივ.პეტროვის უშუალო მოსწავლე არ ყოფილა, მაგრამ სემინარიის ფონდში ჩვენ ვერ მოვიპოვეთ ისეთი მასალა, რომელიც ეჭვის ქვეშ დააყენებდა, დიდი მეცნიერის ამ შეფასებას.

39. მასწავლებლები ზოგჯერ, გარდა ძირითადისა, რომლის ვიწრო სპეციალისტები ისინი იყვნენ, სხვა საგნებსაც ასწავლიდნენ. ამისთვის ამზადებდნენ მათ თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტი და სამასწავლებლო სემინარიები.

40. იხ. ქ.ნუცუბიძე, „შალვა ნუცუბიძე (ეპიზოდები ცხოვრებიდან) თბ. 1982, გვ.28.

XIX საუკუნის 80-იან წლებში გარდა ი.პეტროვისა, ხონის სემინარიაში რუსულ ენას ასწავლიდნენ: იასონ დიმიტრის ძე პასხალოვი, ყუბანის ოლქის სახალხო სკოლების დირექტორის ყოფილი მოადგილე;[41] 1901-1903 წწ-თბილისის ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტის კურსდამთავრებული კირილე ალექსანდრეს ძე ბლაუევსკი,[42] 1903-1906 წწ. - ალექსანდრე ანტონის-ძე სმირნოვი, 1906-1912 წწ. ფილიპე სიმონის ძე იანოვიჩი.

ქართული ენის მასწავლებლები იყვნენ: ა.ვ. ქუთათელაძე (1881-1884 წწ), გ.კ. უთურგაური (1884-1897 წწ), ტ.რ. თაბუკაშვილი (1897-1911 წწ), ა.გ. ხარაბაძე (1911-1921).

არისტობულ (არისტო) ვასილის ძე ქუთათელაძე-თვალსაჩინო პედაგოგი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ქართულ ენასთან ერთად ასწავლიდა ისტორიას და გეოგრაფიას. იგი დაიბადა 1850 წელს ხონში. პირველდაწყებითი განათლება იმერეთში განთქმულ სვიმონ-კუტის (ფირცხალავას) სკოლაში მიიღო. დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და ს. პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტი.1879-1881 წლებში ქართულ ენას ასწავლიდა გორის სემინარიაში, ხოლო მის მშობლიურ დაბაში ანალოგიური სასწავლებლის გახსნის შემდეგ იქ გადავიდა სამუშაოდ.

არ. ქუთათელაძემ უდიდესი ავტორიტეტი და სიყვარული მოიპოვა მოსწავლეებს შორის. უაღრესად განათლებული, მოწინავე, პედაგოგიური იდეებით შეიარაღებული, ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლებისათვის ერთგული მებრძოლი, მოსწავლე ახალგაზრდობისათვის სათაყვანებელი პიროვნება გახდა.სემინარიის პირველი დირექტორი ს.ნ. სტრელეცკი „ითმენდა“ ა.ქუთათელაძის ეროვნულ-დემოკრატიულ შეხედულებებს, მაგრამ ახალმა დირექტორმა, პ.კ. სოკოლოვმა, რომელიც 1884 წლის სექტემბერში მოვიდა, სცადა ეს ქართველების გულშემატკივარი ჩარჩოებში მოექცია, მაგრამ უშედეგოდ, კონფლიქტი დირექტორსა და მასწავლებელს შორის დიდხანს არ გაგრძელებულა. მოსწავლეები დირექტორს აუჯანყდნენ, არ. ქუთათელაძე მათ გამოესარჩლა.ეს „მეტისმეტი“ იყო. პ.სოკოლოვმა საქმეში სასწავლო ოლქი ჩარია და ა. ქუთათელაძისაგან

41 ქცსა, ფ.121,საქ.3.ფურ.47.
42. იქვე, საქ.1160,ფურ.1-18.

მოითხოვს, თავისივე „სურვილით" ხონის სემინარიის დატოვება. ამან მოსწავლეთა საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. „ხონის საოსტატო სემინარიის შავბნელ ცხოვრებაში 80-იანი წლების პირველ ნახევარში-წერდა ერემია გულისაშვილი,-ნათელ სხივს წარმოადგენდა მასწავლებელი არისტო ქუთათელაძე, რომელიც თავის ყოველდღიურ მუშაობით სთესდა ნორჩ ახალგაზრდობის გულში კეთილშობილ გრძნობებს და უხეში რუსიფიკაციის პირობებში, აღვიძებდა მოწაფეთა გულში სიყვარულს სამშობლოსადმი, საქართველოს წარსულისადმი და ქართული ლიტერატურისადმი..."[43]

1912 წელს, არისტო ქუთათელაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ჟურნალი „განათლება" წერდა: „ყველგან, სადაც კი განგებამ არგუნა მოღვაწეობა, არისტომ თავი გამოიჩინა ჭეშმარიტის მამობრივის მზრუნველობით მოწაფეთადმი, რის გამოც უკანასკნელთ მიჩნეული ჰყავდათ იგი თავის მესაიდუმლედ და მზრუნველ-მფარველად: არ ყოფილა შემთხვევა, რომ მოწაფეთ დაეფაროთ რაიმე თავიანთი „არისტოსაგან" და არ გაეზიარებინათ საყვარელი მასწავლებლისათვის ყმაწვილური ჭირი და ლხინი. ამყარებდა რა ამგვარს განწყობილებაზე მოწაფეებთან თავის მოღვაწეობას, განსვენებული არისტო მთელი თავისი არსებით შეეცადა გადაეცა მათთვის როგორც ცოდნა სამშობლო ენისა, ისტორიისა და მწერლობისა, ისე განუზომელი სიყვარული მამულისადმი, რომლითაც თვით იყო გამსჭვალული.[44]

არისტო ქუთათელაძე გიორგი კურდღელას-ძე უთურგაურმა (1851-1897 წწ) შეცვალა.[45] მან 1875 წელს დაამთავრა თბილისის ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტი, მიიღო ქალაქის სკოლის მასწავლებლის წოდება და ერთხანს მოზდოკში მუშაობდა.1884 წლის სექტემბერში ხონის სემინარიაში გადაიყვანეს, სადაც დარჩა

43.ტრ.ხუნდაძე, დასახ.ნაშრ.გვ.142.

44.ჟურ „განათლება", 1912, N10, გვ.784

45. ქართულად წერენ "უთურგაული" მიხ. კეკელიძის მიხედვით მისი მამის სახელია გრიგოლი,მ. კეკელიძე, გიორგი უთურგაული, კრებულში „სახალხო განათლების ქართული მოღვაწეები და სახალხო მასწავლებელი" კრ. 1, თბ.1953, მაშინ როდესაც ხონის სემინარიის ფონდის ყველა დოკუმენტში და „კავკაზსკი კალენდარში„ უთურგაურის მამის სახელია „კურდღელა" (Георгий Курдгелович Утургаури) იხ. ქცსა, ფ.121, საქ.117, ფურ.1.

გარდაცვალებამდე (1897 წ). ასწავლიდა ქართულ ენასა და ისტორიას. იგი ხონში იმ დროს მოვიდა, როდესაც სემინარიას შავრაზმელი პ.სოკოლოვი ჩაუდგა სათავეში. ახალი დირექტორის რეპრესიები ქართული ენის მიმართ აისახა გ.უთურგაურის მიერ შედგენილ „ქართული ენის პროგრამაში", რომელიც განიხილა და მოიწონა სემინარიის პედაგოგიურმა საბჭომ 1886 წლის 6 ივნისს (დაიბეჭდა კავკასიის სასწავლო ოლქის ცირკულირების 1886 წ N6-ის დამატებაში).

გ.უთურგაური 70-90-იანი წლების ხალხოსნური მოძრაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო. თანამშრომლობდა ნიკო ნიკოლაძის „ობზორსა" და სხვა ჟურნალ-გაზეთებში. იგი მოსწავლეებსა და კოლეგებს შორის სარგებლობდა ავტორიტეტით და პატივისცემით, თუმცა ზოგჯერ იძულებული იყო კონიუქტურისათვის ანგარიში გაეწია. ამიტომ არის, რომ გ.უთურგაურის მისი ყოფილი მოსწავლე, შემდეგში ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, მელიტონ გობეჩია შემდეგნაირად ახასიათებდა „ქართული ენის ზაფრიანი მასწავლებელი, რომელიც ქართულ გრამატიკას რუსულად გვიხსნიდა".

1884 წელს, ტირანი დირექტორის წინააღმდეგ გამოსულ, მოსწავლეთა მხარდაჭერისათვის, არისტო ქუთათელაძესთან ერთად, აიძულეს სემინარიიდან წასულიყო შესანიშნავი პედაგოგი და უკეთილშობილესი პიროვნება, მათემატიკის მასწავლებელი **დავით ანდრიას ძე აბდუშელიშვილი**. მან 1873 წელს დაამთავრა თბილისის გიმნაზია და შევიდა პეტერბურგის სამედიცინო ქირურგიულ აკადემიაში, მაგრამ იქ დიდხანს არ დარჩენილა და სწავლა გააგრძელა პეტერბურგის უნივერსიტეტში, სადაც ჯერ ისმენდა ლექციებს აღმოსავლური ენების ფაკულტეტის სომხურ განყოფილებაზე, ხოლო შემდეგ-ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. 1878 წელს გამოვიდა უნივერსიტეტიდან და დაბრუნდა სამშობლოში. 1881 წ.სექტემბერში დაინიშნა მათემატიკის მასწავლებლად ხონის სემინარიაში. ახალგაზრდა, განათლებული პედაგოგი, უდიდესი სიყვარულით სარგებლობდა მოსწავლეებს შორის, განურჩევლად ეროვნებისა პ.სოკოლოვმა სემინარიაში მოსვლისთანავე აითვალწუნა დ.აბდუშელიშვილი და მიაღწია იმას, რომ იგი გაეთავისუფლებიათ (1885 წ. 16

ველისს). სემინარიის ფონდში დაცულია პ.სოკოლოვის მიერ კავკასიის ოლქის მზრუნველთან გაგზავნილი რამდენიმე დასმენა დ. აბდუშელაშვილზე. რასაც ადმინისტრაციის სათანადო რეაგირებაც მოჰყვა.[46]

დავით აბდუშელიშვილის წასვლის შემდეგ სემინარიაში მათემატიკას ასწავლიდნენ (მათემატიკაში შედიოდა ცალკე საგნებად: არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია, ხაზვა, ფიზიკა): 1885-1889 წლებში-ს.პეტერბურგის პრაქტიკული (ტექნოლოგიური) ინსტიტუტის კურსდამთავრებული, ტექნოლოგი ნიკოლოზ გაბრიელის ძე დმიტრიევი. 1889-1894 წლებში-ირკუტსკის სამასწავლებლო სემინარიის აღზრდილი-ივანე ალექსის ძე ზვერევი. 1885-1886 წწ იგი მოსამზადებელი კლასის მასწავლებელი იყო, ხოლო შემდეგ მათემატიკასთან ერთად ასწავლიდა პედაგოგიკასაც;[47] 1894-1895 წლებში ალექსი პეტრეს ძე ანდრეევი (გეომეტრია, ფიზიკა, ალგებრა), 1895-1898 წლებში-ნოვოროსიისკის უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტის, პირველი ხარისხის დიპლომზე კურსდამთავრებული ვლადიმერ ალექსანდრეს ძე კრასნოვიდოვი; 1898-1901 წწ-ვასილ ბორისის ძე ოტროშკევიჩი (არითმეტიკა, გეომეტრია); 1902-1905 წლებში ერმილე სამსონის ძე ზოტოვი; 1905-1906 წლებში-ვასილ ივანეს ძე ჟიგაჩევი (არითმეტიკა, გეომეტრია). 1906 წელს კი მათემატიკის მასწავლებლის თანამდებობაზე დაინიშნა ქართველი-გრიგოლ იესეს ძე ბურჭულაძე (დავით აბდუშელიშვილის წასვლიდან 21 წლის შემდეგ) ეს ახალი დირექტორის-ალექსი ჭიჭინაძის დამსახურება იყო.

გ.ი.ბურჭულაძემ (1861-1941) ხონის სემინარიაში მოსვლამდე, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის დიდი გზა განვლო.[48] მან 1886 წელს დაამთავრა თბილისის ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტი, მიიღო ქალაქის სკოლის მასწავლებლის წოდება და პედაგოგიურ მოღვაწეობას შეუდგა. 1886-1906 წლებში

---

46. იქვე, საქ.47, ფურ. 1-21

47. 1892 წ. დირექტორი სასწავლო ოლქის მზრუნველს მოახსენებდა, რომ მასწ, ივ. ზვერევი გალოთდა, იქვე, საქ. 1166, ფურ.114-120.

48.გრ.ბურჭულაძე იხ. მ.მაჭავარიანის ნარკვევი კრებულში სგქმსმ, კრ. 3.თბ.1968, გვ. 106-110 ვარ. ძიძიგური, დასახ. ნაშ. გვ.62-63, ქცსა. ფ.121, საქ.1162.

მუშაობდა: თელავის, ზაქათალის, ახალციხის და ერევნის სკოლებში. განსაკუთრებით ხანგრძლივად (10 წელი) და ნაყოფიერად იმუშავა მან ახალციხის ქართულ სკოლაში. ასე, რომ როდესაც გ.ბურჭულაძე ხონში ჩამოვიდა იგი უკვე ცნობილი პედაგოგი იყო. ამ დროს სემინარიაში სულ სხვა ატმოსფერო სუფევდა. მას სათავეში ედგა თვალსაჩინო მოღვაწე და მამულიშვილი-ალექსი ჭიჭინაძე. ასეთ პირობებში გ.ბურჭულაძე კიდევ უფრო თავდადებით იღწვოდა ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეში. მისი ყოფილი მოსწავლე ვარლამ ძიძიგური წერდა: „...გრიგოლი ყოველ პატარა თუ დიდ, საქმეს ენთუზიაზმითა და გატაცებით აკეთებდა: სამკითხველო-ბიბლიოთეკების დაარსებისათვის ზრუნვა, დილა-სალამოებისა და წარმოდგენების მოწყობაში მონაწილეობის მიღება, საკვირაო სკოლებში მუშებთან და ნოქრებთან უსასყიდლოდ მეცადინეობა, ჭრა-კერვის ქალთა სკოლების ორგანიზაცია, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაში მხურვალე მონაწილეობის-მიღება, უკანასკნელ ხანებში ამავე საზოგადოების ცენტრალური გამგეობის მდივნობა, ხალასი პატრიოტიზმი ქართული ენის უფლებებისათვის ბრძოლაში და სხვადასხვა საქვეყნო საქმეებში თავისი გულთბილი და უანგარო წვლილის შეტანა გრიგოლის ნათელი ცხოვრების მიზანი... იყო".

გრიგოლ ბურჭულაძე ხონის სემინარიაში 1911 წლამდე დარჩა.

ბუნებისმცოდნეობას (Естествоведение) და საბუნებისმეტყველო ისტორიას (Естественная История), რომელიც ამ დარგის საგნებს აერთიანებდა, სხვადასხვა დროს ასწავლიდნენ: მიტროფანე ვასილის ძე მოხირი (შემდეგში სემინარიის დირექტორი)-1881-1903 წლებში; შემდეგ კონსტანტინე ნიკოლოზის ძე როსსიკოვი-(პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის კანდიდატი, იყო დამრიგებელი გეოგრაფიაში და ბუნებისმცოდნეობაში). თავადი-მიხეილ ილარიონის ძე ნაკაშიძე გიორგი პარმენის ძე სტროევი, ივანე ფრანცის ძე ხოციატოვსკი, ნიკოლოზ იაკობის ძე დრევინი, ვსევოლოდ კონსტანტინეს ძე პროკოპიევი, ვასილ იოსების ძე დომაშევსკი, გერმანე პავლეს ძე ბარაჩი.

სემინარიაში გარკვეული ყურადღება ექცეოდა ჰიგიენის სწავლებას, რომელსაც, ტრადიციულად, ხელმძღვანელობდა სასწავლებ-

ლის ექიმი. 1881-1891 წლებში სემინარიის ექიმი იყო და ჰიგიენის გაკვეთილებს ატარებდა ს.პეტერბურგის სამედიცინო-ქირურგიული აკადემიის კურსდამთავრებული კარლ თომას ძე ბერნო. მისი გარდაცვალების შემდეგ სემინარიაში მცირე ხნით მუშაობდა ცნობილი ქართველი ექიმი, ხონელი მათე ვასილის ძე ბახტაძე. მაგრამ, როგორც რამდენჯერმე აღინიშნა, დირექტორი პ.სოკოლოვი ქართველ მასწავლებლებს ვერ ეწყობოდა. მან კავკასიის სასწავლო ოლქს თხოვა ხონში რუსული ექიმი გაეგზავნათ. ამ თხოვნის თანახმად სემინარიის ექიმად და ჰიგიენის მასწავლებლად დაინიშნა მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის კურსდამთავრებული-მიხეილ ნიკოლოზის ძე ვესელოვზოროვი. როგორც კი ეს გაიგო მათე ბახტაძემ დაუყონებლივ დატოვა სემინარია. მ.ნ. ვესელოვზოროვი ხონში იმყოფებოდა 1891-1895 წლებში.[49] იგი შეცვალა ჯერ ბენიამინ ევგრაფის ძე ბოგოლიუბოვმა, ხოლო შემდეგ ვლადიმერ ვასილის ძე ბუტირკინმა.

1898 წლიდან 1917 წლამდე სემინარიის ექიმი და ჰიგიენის მასწავლებელი იყო თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, ხონელი პოლიკარპე ივანეს ძე ჩხიკვიშვილი (1855-1924), რომელსაც გულთბილი სტრიქონები უძღვნა თავის მოგონებებში ვარლამ ძიძიგურმა, „ჰიგიენის , ანატომიისა და ფიზიოლოგიის მასწავლებელი, იშვიათი დიაგნოსტიკოსი და ცნობილი ექიმი პოლიკარპე ივანეს ძე ჩხიკვიშვილი-წერდა იგი, საერთოდ მეტად განვითარებული და დიდი ნაკითხი კაცი იყო. მას ენციკლოპედისტს ეძახდნენ. ყველა საგანში, განსაკუთრებით ჰუმანიტარულ საგნებში, კარგად ერკვეოდა.

კერძოდ ის საგანი, რომელსაც ჩვენ გვასწავლიდა ზედმიწევნით იცოდა, მაგრამ იმავე დროს მეტად ორიგინალური და იშვიათად ახირებული კაცი იყო, როგორც თავის ოჯახურ. ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

პ.ჩხიკვიშვილის გაკვეთილები სენსაციით იყო სავსე. გაკვეთილზე ხშირად თავის საგანს კი არ გვასწავლიდა, არამედ აიღებდა სხვა საგნიდან რომელიმე თემას და ბრწყინვალე ლექციას ჩაგვიტარებდა. ანდა ახირებულ საკითხზე გვებაასებოდა...“[50]

---

49.ქცსა,ფ.121, საქ. 1163,

50. ვ.ძიძიგური, დასახ. ნაშრ.გვ.57-58.

პ.ჩხიკვიშვილი არა მარტო სემინარიის კარგი მასწავლებელი, არამედ ხონის და საერთოდ, ქვემო იმერეთის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელი იყო.

მოსამზადებელი კლასის მასწავლებლები სხვადასხვა დროს (ქრონოლოგიური თანმიმდევრობით) იყვნენ: ი.დ. პასხალოვი, გ.კ. უთურგაური, ი.ა. ზვერევი, მ.ა. კრინინი, მ.ყ. ზაალიშვილი, ევგ. ანდ. ერშოვი, გ.პ. სტროევი, ვლ.კონ. პროკოპიევი, ტ.რ.თაბუკაშვილი.

მიხეილ ყარამანის ძე ზაალიშვილს ორი უმაღლესი ჰქონდა დამთავრებული:თბილისის ალექსანდრეს სამასწავლებლო და სასოფლო-სამეურნეო, მის კალამს ეკუთვნის სასოფლო-სამეურნეო თემაზე დაწერილი რამდენიმე საინტერესო ნაშრომი და სახელმძღვანელო. იყო ნაკითხი და განვითარებული პიროვნება. ეროვნული სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდის თავგამოდებული მომხრე. მან სასტიკად გააკრიტიკა ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის ლევიცკის სახელმძღვანელო "Курс русского языка для начальных училищ Закавказья"[51] მიხელ ზაალიშვილი, 1901 წელს, გორის საოსტატო სემინარიაში გადაიყვანეს.

სემინარიასთან არსებულ სანიმუშო დაწყებით სკოლაში ასწავლიდნენ: 1881-1884 წლებში-კონსტანტინე ზურაბის ძე გარაყანიძე, 1886-1889 წლებში ლ.ქ. ყიასაშვილი, 1889-1892 წლებში ლ.ვ. ხმალაძე, 1892-1897 წლებში გიორგი ვასილის ძე შკურკო, 1898-1904. ემ.ივ. ცაგარეიშვილი და მასთან ერთად გიორგი ლევანის ძე შოშინი (1898-1904 წწ), ალ. მაქ. თარანოვი (1904-1907) გ.ლ. ბოკერია (1907-1914 წწ).[52]

სემინარიაში ერთ-ერთ წამყვან საგანს წარმოადგენდა საღვთო სჯული, რომელსაც ჩვეულებრივ, სასულიერო პირი-მღვდელი ასწავლიდა.1881-1888 წლებში საღვთო სჯულის მასწავლებელი იყომღვდელი იორდან ანდრიას ძე ლომთაძე, თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული, იერემია გულისაშვილის დახასიათებით „ერთი საცოდავი, უბედური კაცუნა, პიროვნებას მოკლებული, დირექტორის ლაქია, რომელიც ყველას თვალში შესცქეროდა

51. მიხ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ. გვ.74.

52.სიმღერა-მუსიკის, გიმნასტიკის და ხელით შრომის მასწავლებლებზე ცალკე გვექნება საუბარი

ამოსაკითხავად: ხომ არავინაა ჩემგან ნაწყენიო."[53] იმერეთის ეპისკოპოსის განკარგულებით, იგი სემინარიასთან არსებული ეკლესიის წინამძღვრის მოვალეობასაც ასრულებდა.

არისტო ქუთათელაძის სემინარიიდან წასვლის შემდეგ პ.სოკოლოვმა ქართული ენის გაკვეთილების ჩატარება, დროებით, ი.ლომთაძეს დაავალა. იგიც დათანხმდა, მაგრამ შემდეგ, მოსწავლეთა მღელვარებით შეშინებულმა უარი განაცხადა. ამას შედეგად მოჰყვა პ.სოკოლოვისა და ი.ლომთაძეს შორის ურთიერთობის მკვეთრი გაუარესება. დირექტორმა მიზნად დაისახა „ურჩი" თანამშრომელი თავიდან მოეშორებია და მიაღწია კიდეც ამას. მან სასწავლო ოლქის წინაშე დააყენა ი.ლომთაძის გათავისუფლების საკითხი. სემინარიის ფონდში დაცულია ი.ლომთაძის სამი წერილი პ. სოკოლოვისადმი თხოვნით სამსახურიდან არ გაათავისუფლოს, ძნელი წარმოსადგენია თავის დამცირების უფრო მაღალი ხარისხი, ვიდრე ამ წერილშია გამოხატული, მაგრამ არაფერმა არ გაჭრა ი.ლომთაძემ 1888 წლის ივნისში სემინარია დატოვა. ეპისკოპოსი გაბრიელი დათანხმდა გაეთავისუფლებიათ იგი სემინარიასთან არსებული ეკლესიის წინამძღვრის თანამდებობიდან.[54]

ი.ლომთაძის მაგივრად დაინიშნა ს.პეტერბურგის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული, ღვთისმეტყველების კანდიდატი-მეთოდე ავდაშკევიჩი, რომელიც ხონში 1891 წლამდე დარჩა. შემდეგ წლებში საღვთო სჯულს ასწავლიდნენ: **ნიკოლოზ იაკობის ძე კნიაზევი** (1892-1894 წწ), **მიხეილ თევდორეს ძე ზემსკი** (დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია -1895-1902), **ალექსანდრე იაკობის ძე კარიშევი** (ორლოვის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული 1902-1903 წწ), **ნიკოლოზ ტროიცკი** (1903-1907 წწ), **სპირიდონ პეტრეს ძე გორდულაძე** (დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია-1907-1914 წწ).

სემინარიასთან არსებულ დაწყებით სასწავლებელში საღვთო სჯულის მასწავლებელი იყო მღვდელი ერასტი მაჭარაძე.

---

53. ტრ.ხუნდაძე. დასახ. ნაშრომი, გვ.147
54.ქცსა, ფ.121,საქ. 1175, ფურ. 1-35.



ლავრენტი ანტონის ძე ჩიმაკაძე



ვარლამ ადამის ძე ხუროძე



ტრიფონ თაბუკაშვილი



ლაზარე ხმალაძე

## 3. სემინარიის მასწავლებლები — სემინარიის კურსდამთავრებულები

სემინარიის იმ სახელოვან კურსდამთავრებულთა შორის, რომლებიც შემდეგ ამავე სემინარიაში მოღვაწეობდნენ მასწავლებლებად ერთ-ერთი პირველი იყო ტრიფონ რომანოზის ძე თაბუკაშვილი (1866-1926 წწ.). იგი დაიბადა შორაპნის მაზრის სოფ. ფარცხნალში. იქვე მიიღო პირველდაწყებითი განათლება და 1883 წელს ხონის სამასწავლებლო სემინარიაში შევიდა. სემინარიაში სწავლის პერიოდში იგი აქტიურად მონაწილეობდა შავრაზმელი დირექტორის პ.სოკოლოვის წინააღმდეგ მიმართულ მოსწავლეთა გამოსვლებში, რის გამოც სასწავლებლიდან გარიცხვას ძლივს გადაურჩა. 1886 წელს დაამთავრა სემინარია და სოფელ ძიმითის (გურია) დაწყებითი სკოლის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა, 1888 წელს კი ხარაგაულში გადაიყვანეს.

1896 წელს უკვე სახელგანთქმული პედაგოგი ხონის სემინარიაში მიიწვიეს მოსამზადებელი კლასების მასწავლებლად, მაგრამ სულ მალე მას სემინარიის ძირითად კლასებში ქართული ენისა და ისტორიის გაკვეთილები ჩააბარეს.

ხონის სემინარიაში ფართოდ გაიშალა ტრ.თაბუკაშვილის პედაგოგიური საქმიანობა. იგი მოსწავლეთა საერთო სიყვარულითა და კოლეგებს შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

„ხუთმეტი წელიწადი იმუშავა ტრიფონ თაბუკაშვილმა ხონის საოსტატო სემინარიის ღირსეული მასწავლებლის პოსტზე-წერდა ვარლამ ძიძიგური, -ხუთმეტ წელიწადს ასწავლიდა მომავალ მასწავლებლებს ქართულ ენასა და ისტორიას. იგი იყო პროგრესული მოსწავლეების სული და გული, მოსწავლეთა ფარული ჟურნალის სტილისტი, საინტერესო საუბრებისა და ცოცხალი, შინაარსიანი, მიმზიდველი გაკვეთილების ორგანიზატორი. არასოდეს შემოფარგულა იგი სახელმძღვანელო წიგნებითა და ვიწრო, პროგრამული, ოფიციალური საკითხებით...“.[55]

სემინარიის ახალდანიშნული დირექტორი ვას.დევიცკი ვერ ითმენდა ქართველი მასწავლებლის ესოდენ პოპულარობას და სასწავლო ოლქში აბეზღებდა-რუსეთის ისტორიას დამახინჯებულად ასწავლის

55. ვარლამ ძიძიგური, დასახ. ნაშრ. გვ.64.

და რუსის მოსწავლეებსო.[56] 1904 წელს ტრ.თაბუკაშვილი მოაცილეს თავის საყვარელ მოსწავლეებს და ახალქალაქში გადაიყვანეს. 1905 წელს საზოგადოებრივმა მოძრაობამ ტრ.თაბუკაშვილი ხონის სემინარიაში დააბრუნა, მაგრამ 1911 წელს მან ამხილა ხულიგანი, ქართველთმოძულე მასწავლებელი ალ. ნიკოლაევი, რის გამოც მეორედ დაატოვებიეს სემინარია და განჯაში გადაიყვანეს რუსული ენის და ისტორიის მასწავლებლად. სასწავლო ოლქის მზრუნველმა ნ.რუდოლფმა მას პირდაპირ განუცხადა „თქვენი მუშაობა ქართველთა შორის შეუძლებელიაო".

ტრ. თაბუკაშვილი განჯაში 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე დარჩა. შემდეგ კი მშობლიურ ხარაგაულში დაბრუნდა და იქ გააგრძელა პედაგოგიური მოღვაწეობა.

1888 წლის 1 ივლიის სემინარიასთან არსებული დაწყებითი სანიმუშო სასწავლებლის მასწავლებლად დაინიშნა ლაზარე ვასილის ძე ხმალაძე (1868-1946 წწ.). მან ხონის სემინარია იმავე წლის 11 ივლისს დაამთავრა.[57] ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა სემინარიის კურსდამთავრებული მასწავლებლობის მოწმობის მიღებისთანავე იქვე დანიშნეს და ისიც დაწყებით სკოლაში. საქმე იმაშია, რომ ეს სკოლა, როგორც უკვე აღინიშნა, სემინარიის ბაზას წარმოადგენდა, სემინარისტები იქ გადიოდნენ პედაგოგიურ პრაქტიკას, და ამიტომ მასში მხოლოდ ყოველმხრივ მომზადებულ და გამოცდილ პირებს ნიშნავდნენ. ლ.ხმალაძე ამ თანამდებობაზე ოთხი წლის განმავლობაში მუშაობდა, რადგან დირექტორს-პ.სოკოლოვს ვერ შეეწყო, სემინარიიდან წავიდა და 1892-1895 წლებში დასავლეთ საქართველოს სკოლებში მუშაობდა. 1895 წლიდან კი, ძირითადად ქუთაისში მოღვაწეობდა.

ლ.ვ.ხმალაძე-თვალსაჩინო ქართველი პედაგოგი იყო.[58] ქუთაისის მასწავლებელთა კორპორაცია „მერანმა" 1918-1920 წლებში გამოსცა მის მიერ შედგენილი არითმეტიკის რამდენიმე სახელმძღვანელო

---

56. ვ.ქაჯაია, ტრიფონ რომანოზის ძე თაბუკაშვილი, კრებულში სგქმსმ, კრ.I. თბ. 1953, გვ.387.

57. ქუთაისის ნ.ბერძენიშვილის სახ. სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, სახალხო განათლების ფონდი, 9170, სგ 42/2

58. უშ.ობოლაძე-ლაზარე ვასილის ძე ხმალაძე, კრებულში-სგქმსმ-კრ.2, თბ.19..., გვ...

პირველდაწყებითი სკოლებისა და საშუალო სასწავლებელთა უმცროსი მოსამზადებელი კლასებისათვის. სპეციალისტთა აზრით ეს არის ყველაზე სრული, მანამდე გამოცემული არითმეტიკის სახელმძღვანელოებს შორის. ლაზარე ხმალაძე არა მარტო კარგი მასწავლებელი და აღმზრდელი იყო, არამედ ჩინებული მეთოდისტიც. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე საყურადღებო წერილი საშუალო სკოლაში მათემატიკის სწავლების საკითხებზე.

1884 წელს სემინარია დაამთავრა ლევან ქრისტეფორეს ძე ყიასაშვილმა და სოფლის სკოლაში დაინიშნა მასწავლებლად. მან მალე თავი გამოიჩინა, როგორც კარგმა პედაგოგმა და იგი 1885 წელს ხონის სემინარიაში მიიწვიეს დაწყებითი სანიმუშო სკოლის მასწავლებლად. მაგრამ მალე მასა და პ.სოკოლოვს შორის კონფლიქტი წარმოიშვა. დირექტორს არ მოწონდა ახალგაზრდა, ენერგიული ქართველი მასწავლებელი, რომელიც ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ მოსწავლეებში მშობლიური ენის სიყვარული ჩაენერგა. თანამედროვეთა დახასიათებით იგი უბრალო, გულღია კაცი იყო. დირექტორი ლევან ყიასაშვილის თავიდან მოსაცილებლად ყოვლად უღირს მეთოდებს მიმართავდა, სისტემატიურად ასმენდა სასწავლო ოლქში და მზრუნველს მის განთავისუფლებას თხოვდა. 1888 წელს ლევან ყიასაშვილი ბაღდათის სოფლის ნორმალურ სკოლაში გადაიყვანეს, ხოლო 1893-1918 წლებში იგი ნაყოფიერად მოღვაწეობდა გორის საოსტატო სემინარიაში.[59]

ალექსი ჭიჭინაძემ 1906 წელს სემინარიასთან არსებულ დაწყებითი სკოლის მასწავლებლად მიიწვია უკვე აღიარებული, სამაგალითო პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე-ლავრენტი ანტონის ძე ჩიმაკაძე (1868-1937წწ). მან ხონის სემინარია 1887 წ. დაამთავრა და აქტიურ მოღვაწეობას შეუდგა.[60] ვარლამ ძიძიგურის დახასიათებით- ლავრენტი ჩიმაკაძე იყო „...ყველასათვის მისაბაძი, მაგალითის მიმცემი, დინჯი, აუჩქარებელი, იშვიათი ტაქტიკის მქონე, მომზადებული, შინაარსიანი ადამიანი, კარგი მოსაუბრე, ძვირფასი დამრიგებელი".

59. ქცსა, ფ.121, საქ.1171, ფურ.1-46

60. ი.მალაზონია, ლავრენტი ანტონის ძე ჩიმაკაძე, კრებულში-სგქმსმ, კრ.3, თბ.1968, გვ.165-168

ეს შრომისმოყვარე და ნიჭიერი ადამიანი ისე გაწვრთნილიყო და დახელოვნებულიყო ხონის სამასწავლებლო სემინარიაში, რომ მას იმ ხანად თავის პროფესიაში ბადალი არ ჰყავდა. ეს იყო ნამდვილი ხელოვანი, იშვიათი ოსტატი, რომელსაც თავისი საქმის „არტისტს“ ეძახდნენ.[61]

ლ.ჩიმაკაძე სემინარიაში 1915 წლამდე დარჩა. შემდეგ მოღვაწეობდა თბილისისა და აჭარის სკოლებში. იგი დაწყებითი კლასების რამდენიმე სახელმძღვანელოს ავტორია. 1935 წელს მიენიჭა „შრომის გმირის“ საპატიო წოდება. ლ.ჩიმაკაძესთან ერთად სემინარიაში მიწვეული იქნა კიდევ ერთი ყოფილი სემინარისტი-გიორგი ლავრენტის ძე ბოკერია (1868-1947წწ). მან სემინარია 1889 წელს დაამთავრა და აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას შეუდგა. XIX საუკუნის 90-იანი და XX საუკუნის პირველი ათეული წლების მოწინავე ქართული პრესის ფურცლებზე იბეჭდებოდა გიორგი ბოკერიას კორესპონდენციები, სტატიები, მხატვრული ეტიუდები და მოთხრობები, იგავარაკები, ანდაზები და გამოცანები.[62] როდესაც იგი ხონის სემინარიაში მოვიდა მასწავლებლად უკვე სახელმოხვეჭილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იყო.[63]

სემინარიის კურსდამთავრებულებიდან სემინარიის მასწავლებლები იყვნენ აგრეთვე: გიორგი ვასილის ძე შკურკო (დაამთავრა 1892წ), გიორგი ლევანის ძე შოშინი (დაამთავრა 1890 წელს), ემელიან ივანეს ძე ცაგარეიშვილი და სხვ. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ სემინარიის მასწავლებელთა შემადგენლობაში ცვლილებები მოხდა. ქართული ენის მასწავლებლად მოვიდა სემინარიის კურსდამთავრებული ვარლამ ადამის ძე ხუროძე, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

---

61. ვ.ძიძიგური, დასახ.ნაშრ. გვ.13-16

62. ს.ციაშვილი, გიორგი ლავრენტის ძე ბოკერია, კრ-ში სგქმსმ, კრ.3,...გვ.172-173.

63. გ.ბოკერიამ დაწერა ვრცელი მოგონება ხონის სემინარიის შესახებ, რომელიც დაცული იყო საქართველოს სახალხო განათლების მუზეუმში და დაიღუპა სხვა ძვირფას მასალასთან ერთად, მუზეუმის დაწვის დროს XXს.90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში გაჩაღებული სამოქალაქო ომის პერიოდში.

## 4. დამხმარე პერსონალი

იმპერატორის მიერ დამტკიცებული სემინარიის საშტატო განრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო საქმეთა მმართველის თანამდებობა, რომელიც იმავე დროს ეკონომი ანუ სამეურნეო დარგის ხელმძღვანელი უნდა ყოფილიყო. მაგრამ პრაქტიკულად ასე არ გამოვიდა. ეკონომის თანამდებობას ზოგჯერ ხან ფერშალი ითავსებდა, ხან კიდევ საქმეთა მმართველი.

**სემინარიის პირველი საქმეთა მმართველი იყო ათანასე ზოტოვი** (1881-1884 წლებში), ხოლო შემდეგ ამ თანამდებობაზე მუშაობდნენ **კონსტანტინე დიმიტრის ძე კარელინი, ანდრია ანტონის ძე ივანოვი, თავადი ვლადიმერ მიხეილის ძე აბაშიძე და სხვები.**

სემინარიის სამეურნეო დარგის ხელმძღვანელები იყვნენ: **მინა ქაიხოსროს ძე სულაძე** (ის იყო აგრეთვე ფერშალიც), **ნიკოლოზ ივანეს ძე ნარხოვი, ვასილ პავლეს ძე თარგამაძე** და სხვები.

სემინარიასთან არსებობდა ლაზარეთი-საავადმყოფო, რომლის გამგე ექიმი იყო. მას დამხმარედ ფერშალი ჰყავდა. თავდაპირველად ამ თანამდებობაზე მუშაობდა მინა ქაიხოსროს ძე სულაძე, შემდეგ კი-ნიკიტა ვასილის ძე რაზუვანოვი, ნესტორ გაბრიელის ძე ფარცხალაძე და სხვები.

1917 წლისთვის სემინარიაში მომსახურე პერსონალი ასე იყო წარმოდგენილი:

**დირექტორი:** ვლადიმერ გაბრიელის ძე პავლოვსკი

**სალვთო რჯულის მასწავლებელი:** გერასიმე სტეპანეს ძე ხაჟომია

**ექიმი, ჰიგიენის მასწავლებელი:**-პოლიკარპე ივანეს ძე ჩხიკვიშვილი

**დამრიგებლები:** ვასილ ოსიპეს ძე დომაშევსკი, ფილიპე სიმონის ძე იანოვიჩი, ათანასე გაბრიელის ძე ხარაბაძე, ვასილ თევდორეს ძე ტროფიმოვი.

**მასწავლებლები:** ანანია ჯამბულატის ძე გოგუაძე, გრიგოლ მიხეილის ძე პავლოვი, ანტონ ვიაჩისლავის ძე ჰაუდეკი

**სემინარიასთან არსებული დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებლები:** ლავრენტი ანტონის ძე ჩიმაკაძე და ნიკოლოზ ივლიანეს ძე შაფაქიძე

**საქმისმწარმოებელი და ეკონომი:** ვასილ პავლეს ძე თარგამაძე.

**ფერშალი:** მოსე ექვთიმეს ძე ტაბიძე.

## 5. მოსწავლეთა შემადგენლობა

ხონის საოსტატო სემინარიაში სასწავლებლად ჩამოდიოდნენ კავკასიის ყველა კუთხიდან, მაგრამ იგი, ძირითადში, მაინც ქართველებისგან კომპლექტდებოდა. სემინარიის მოსწავლეთა მნიშვნელოვან ნაწილს დასავლეთ საქართველოში მცხოვრებლები შეადგენდნენ. მოსწავლეები, როგორც ითქვა, ორ კატეგორიად იყოფოდნენ: პანსიონერებად და „მომსვლელებად". თავის მხრივ პანსიონერთა ერთი ნაწილი სახელმწიფო, ხოლო მეორე-საკუთარი ხარჯით ცხოვრობდა და სწავლობდა.

1884-1885 სასწავლო წელს ხონის საოსტატო სემინარიის მოსწავლეები იყვნენ.

### მოსამზადებელ კლასში

1. ბენაშვილი ალექსანდრე
2. ბერეკიშვილი დიონისე
3. ბოკერია გიორგი
4. ბოცვაძე ლუარსაბ
5. გაგუა ვლადიმერი
6. ჯაში ერმილე
7. ივაშჩენკო პროკოპი
8. მაჭავარიანი ალექსი
9. ორჯონიკიძე სიმონი
10. ხმალაძე ლაზარე
11. წილოსანი კირილე
12. ილუშინი ლევ
13. გოცირიძე ფილიპე
14. ჯორბენაძე მარკოზი
15. კალანდარიშვილი დიმიტრი
16. მაისურაძე ლეონტი
17. თოფურიძე კონსტანტინე
18. ხუნდაძე ონიფანტე
19. წივწივაძე დავით
20. ბეჟანია მელიტონ

### პირველ კლასში

1. ღურწკაია ვიქტორ
2. ჯიკკაევ ივანე
3. ჯორბენაძე სიმონ
4. კახაძე ილარიონ
5. ტყემალაძე ვიქტორ
6. ხვარავა ბორის
7. ჩიმაკაძე ლავრენტი
8. ჩერენიშევი პანტელეიმონ
9. სობიევი ივანე
10. ურუიმგოვ ხარიტონ
12. ბარკალაია კონსტანტინე
13. გაჩეჩილაძე ბესარიონი
14. კაკაბაძე ვლადიმერი
15. ქუთათელაძე ალექსი
16. ფალავა ისიდორე
17. წერეთელი ტარასი
18. ხანდოლოვ სიმონ

### მეორე კლასში

1. ბახტაძე თეოფილე
2. გოგლიჩიძე სიმონ
3. გურული პორფილე
4. ჯგვიშია ტიმოთე
5. კანდელაკი ევგენი
6. ყაზახიშვილი კონსტანტინე
7. ლაბაძე ვასილ
8. მარღანია დიმიტრი
9. ნიკოლეიშვილი იასონ
10. თაბუკაშვილი ტრიფონ
11. ცხადაძე პოლიევკტ
12. ჩაკვეტაძე ილია

13.

# КОНДУИТЪ

## ВОСПИТАННИКА

### КУТАИССКОЙ УЧИТЕЛЬСКОЙ СЕМИНАРІИ

Моніава

Евстафія Тихвова

поступившаго 25 августа 1904 года, проэкзаменованнаго

врачемъ Семинаріи П. И. Чхиквишвили

осмотромъ:

сложеніе нормальное

зрѣніе нормальное

[illegible] 200

слухъ ...

ростъ 42 ... объемъ груди ...

Вѣс. тѣла 20 фун.

ხონის საოსტატო სემინარიის მოსწავლის ე. მონიავას კონდუიტი (პირადი საქმე)

13. ჩახნაშვილი არჩილ
14. ჭუმბურიძე სიმონ
15. შარაშიძე ერმილე
16. კალოევ მაქსიმე
17. მახარაშვილი ანდრო
18. მელნიკოვ მიხეილ
19. აბდუშელეიშვილი აბესალომ
20. ბახტაძე იასონ
21. გაჩეჩილაძე ტარასი
22. ღოღობერიძე ვლადიმერი
23. ქუთათელაძე ილარიონ
24. მაჩიტიძე ნიკოლოზ
25. ფერაძე გიორგი
26. წერეთელი დავით

მესამე კლასში

1. აშორტია ფადეი
2. ლამბაშიძე ტრიფონ
3. გარაყანიძე ზურაბ
4. გაჩეჩილაძე ალექსანდრე
5. დგებუაძე ფარნაოზ
6. დოროხინი ანტონ
7. ზავგოროდნი ივანე
8. კალანდარიშვილი თეოფილე
9. ლომკაციშვილი ნიკოლოზ
10. მგელაძე ალექსანდრე
11. მდინარაძე სიმონ
12. მესხი ნიკოლოზ
13. სიდოროვ ალექსანდრე
14. თაბუნიძე დავით
15. შონია კონსტანტინე
16. ბიტაროვ ევგენი
17. ბახტაძე იოსებ

18. კალაძე სერგეი
19. მაჭარაძე ვლადიმერი
20. სალაძე დავით
21. ტატიშვილი იოსებ
22. ჩხენკელი სევერიანე

აქიდან სახელმწიფო ხარჯზე-50, საკუთარ ხარჯზე 28, სტიპენდიანტი და სხვა-7, სულ 85 მოსწავლე[1].

იმავე სასწავლო წელს სემინარიასთან არსებულ დაწყებითი სანიმუშო სკოლის მოსწავლეები იყვნენ:

**უმცროსი განყოფილების**

1. ბახტაძე გიორგი
2. ბახტაძე ნანა
3. გოპაძე ივანე
4. ქორქაშვილი აგრაფინა
5. ქუთათელაძე გიორგი
6. ლომთაძე კარპეზი
7. მებუკე ეკატერინა
8. ფარულავა ილია
9. ფურცელაძე ილია
10. სანოძე ნადეჟდა
11. მელაძე ღენტორ

**საშუალო განყოფილების**

1. ადამია ალექსანდრე
2. ანჯაფარიძე აკაკი
3. ბახტაძე სევერიან
4. ღვინცაძე ონისიმე
5. გეგეჭკორი რაჟდენ

---

1. ქცსა, ფ.121, საქ.29, ფურ.24-25.

Алфавитный список
воспитанниковъ
Кутаисской Учительской Семинарии
къ 24-1 сентября 1891 года.

| | | |
|---|---|---|
| Амирананашвили Леонъ | 26 | Нарсенія Авксентій |
| Бахтадзе Кононъ | 27 | [illegible] Валеріанъ |
| Бахтадзе Симонъ | 28 | Одишарія [illegible] |
| Бахтадзе Северьянъ | 29 | [illegible] Эрастъ |
| Беридзе [illegible] | 30 | Рабина Петръ |
| Бусаевъ Александръ | 31 | Сагарейшвили Алексѣй |
| Вазанія Варламъ | 32 | Санодзе Александръ |
| Гамбашидзе Сергѣй | 33 | Санодзе Варнава |
| [illegible] | 34 | Сехнія Владимиръ |
| Гогоберидзе Сергій | 35 | Сахокія Константинъ |
| [illegible] | 36 | [illegible] Михаилъ |
| Кантарія Иродіонъ | 37 | [illegible] Сергій |
| Каландадзе Иванъ | 38 | [illegible] Константинъ |
| [illegible] Несторъ | 39 | [illegible] Андрей |
| [illegible] Григорій | 40 | [illegible] |
| [illegible] Несторъ | 41 | Цагарейшвили [illegible] |
| [illegible] | 42 | Цхададзе Александръ |
| [illegible] Григорій | 43 | [illegible] Лонгинозъ |
| [illegible] Алексѣй | 44 | [illegible] Іосифъ |
| [illegible] | 45 | [illegible] Онисимъ |
| [illegible] | 46 | [illegible] Лукіанъ |
| [illegible] | 47 | [illegible] Александръ |
| Лордкипанидзе Евсевій | 48 | [illegible] Константинъ |
| Лордкипанидзе [illegible] | 49 | Шарашидзе Андрей |
| Маршанія Кононъ | 50 | [illegible] Александръ |

Директоръ

ხონის საოსტატო სემინარიის სახელმწიფო
ხარჯზე მყოფ პენსიონერთა სია



Его Высокородію

Господину Директору Учительской Семинаріи въ Кутаисской губерніи (въ м. Хони)

Ученика, окончившаго полный курсъ ученія въ Кутаисскомъ Духовномъ училищѣ, Лазаря Боцвадзе

Прошеніе.

Имѣя ревностное желаніе поступить во ввѣренную Вамъ Учительскую Семинарію, покорнѣйше прошу, Ваше Высокородіе, принять меня въ приготовительный классъ въ число казеннокоштныхъ воспитанниковъ, если окажусь достойнымъ [illegible] испытаніе.

При семъ представляю свидѣтельство объ [illegible] и [illegible], выданное мнѣ правленіемъ Кутаисскаго Духовнаго училища, и о привитіи [illegible] и о правоспособности [illegible] [illegible] метрическое свидѣтельство [illegible]

Проситель: Лазарь Боцвадзе

იოსებ ბოცვაძის განცხადება სემინარიაში მიღების შესახებ

1882 года 23 Iюня
Луарсабъ Бегвадзе

Мое имя Луарсабъ, и фамилiя Бегвадзе. Я не зналъ ничего и имѣя 9 лѣтъ поступилъ въ Кутаисское Духовное училище, въ 1875 году въ мѣсяцѣ сентябрѣ, въ первый приготовительный классъ и учился порядочно по всѣмъ предметамъ и окончилъ 9го Iюня сего 1882го года. Въ училищѣ я находился на своемъ счетѣ. Мѣстожительство мое было сел. Нога, но въ настоящее время, такъ-какъ отецъ мой находится причетникомъ въ м. Орпири, то переселились туда. У меня есть; отецъ, мой,

братья и сестры. У меня есть 16
[illegible] относится Сена-
кскому уезду. Жители занимаются
большою частью торговлею, также что
у некоторых есть даже до пяти-
[illegible], жителей мало не более
25 ти. [illegible] свой [illegible]
[illegible]
Я исповедую Православную Христи-
анскую веру, принадлежу Кавка-
скому [illegible]

2 Апреля [illegible]



62/128.

1887 XI 8

Протоколъ

Педагогическаго Собранія 1887 года ноября. Председательствовалъ Его Превосходительство Г. Директоръ Кутаисской Учительской Семинаріи Павелъ Кирилловичъ Соколовъ. Присутствовали Наставникъ И. Е. Петровъ и учитель начальнаго при Семинаріи училища Л. Х. [illegible]. Разсмотренъ пробный урокъ воспитанника Бочвадзе по русскому языку.

Г. Директоръ (обращаясь къ практиканту) Что вы можете сказать по поводу вашего урока?

Бочвадзе. Во время [illegible] не обратилъ вниманія на неверное произношеніе словъ [illegible] во время произношенія словъ и [illegible] ударенія.

Г. Петровъ. Вообще мало вниманія было обращено на правильное произношеніе словъ, [illegible].

Г. [illegible]. [illegible] Бочвадзе [illegible]: [illegible]

ლუარსაბ ბოცვაძის მიერ რუსულ ენაში ჩატარებული საცდელი გაკვეთილის გარჩევის ოქმი



ლუარსაბ ბოცვაძე

Правила

для

воспитанников

Кутаисской Учительской Семинарии

Составленныя на основании пар. 6, стат. 26 инструкции для Учительских Семинарий Министерства Народного Просвещения, утвержденной 4 Июля 1875 года.

А. Прием в Семинарию

1. Прием в Семинарию допускается один раз в год, пред началом учебного курса и не иначе, как в первый класс (ст. 20 полож. об Учит. [illegible]

Примеч. При Кутаисской Учительской Семинарии есть приготовительный класс, в который могут быть принимаемы молодые люди в возрасте от 14-17 лет [illegible] и наличие знаний, исчисленных в прилагаемой при сем приемной программе.

2. В первый класс Семинарии могут быть приняты молодые люди не моложе 16-летнего возраста (§ 10 полож. об Учит. Сем.), при условии, чтобы к 1-му Января, следующему за время приема, [illegible] (Распор. Министр. Народ. Просв. 20 Декабр. 1875 г. № 4171)

3. Желающие поступить в Семинарию предварительно освидетельствуются врачем [illegible], в предупреждение приема молодых людей с физическими недостатками, препятствующими [illegible] исполнению учительских обязанностей, как-то: падучей болезни, [illegible] развитой золотухи, косноязычия, серьезной грудной болезни, большой слабости органов зрения, слуха и т. п. (ст. 21 Инстр. Учит. Семин.)

4. Желающие поступить в Семинарию обязаны представить следующие документы: 1) Метрическое свидетельство о возрасте и звании; 2. Свидетельство об успехах и поведении из училища, где обучались, или, если они не обучались ни в каком учебном заведении, то свидетельство о добром нравственном [illegible] Семинарии, или [illegible]

სემინარიის მოსწავლეთა ყოფაქცევის წესები



სემინარიის მოწაფის ვარლამ ხუროძის დახასიათება
კლასის ხელმძღვანელის მიერ

6. იოსელიანი კონსტანტინე
7. ქუთათელაძე ივანე-პირველი
8. ქუთათელაძე ივანე-მეორე
9. ქუთათაელაძე ივანე-მესამე
10. ქუთათელაძე ლუბა
11. ქუთათელაძე ნოე
12. ქუთათელაძე პლატონ
13. ყუფარაძე ილია
14. მებუკე აკაკი
15. სალარეიშვილი აკაკი
16. სანოძე ბარბარა

უფროსი განყოფილების

1. ბახტაძე მარიამ
2. ბახტაძე სამსონ
3. კაკაბაძე კონსტანტინე
4. კეთილაძე ლეონინა
5. კობახიძე მიხეილ
6. ქუთათელაძე მიშა
7. მებუკე ვლადიმერ
8. სანოძე ანეტა
9. სანოძე იაგორ
10. თებზაია ვასილ
11. ·წივწივაძე მიხეილ
12.წივწივაძე პავლე
13. ჭავჭანიძე ანიკო
14. შამათავა მაშა.

სია შედგენილია დაწყებითი სკოლის მასწავლებლის გიორგი უთურგაურის მიერ და ასეთი შენიშვნა აქვს: სემინარიის პედაგოგიური საბჭოს 1884 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებით სასწავლებლიდან გაშვებულია მოსწავლე თებზაია, სწავლის ქირისგან განთავისუფლებულები არიან მოსწავლეები: მიხეილ და პავლე წივწივაძეები, ლომთაძე

კარპეზი და ბახტაძე სევერიანე, ხოლო სწავლის ქირის გადაუხდელობის გამო გარიცხული არიან: ფურცელაძე ილია, მებუკე ეკატერინე, კეთილაძე ლეონინა და გეგეჭკორი რაჟდენ.[2]

ხონის სემინარიაში, ისე როგორც ყველა სახელმწიფო სასწავლებელში ქართველ (და საერთოდ არარუს) მოსწავლეთა გვარებს საშინლად ამახინჯებდნენ, მაქსიმალურად ცდილობდნენ მათთვის რუსული დაბოლოება მიეცათ. ამის საილუსტაციოდ უამრავი მაგალითის მოტანა შეიძლება: კიასოვ-ყიასაშვილი, ბენაევ-ბენაშვილი, ზაალოვ-ზაალიშვილი, გულისოვ-გულისაშვილი და სხვ. რაც შეეხება მოსწავლეთა ეროვნების განსაზღვრას იგი აშკარად გამოკვეთილ რუსიფიკატორულ ხასიათს ატარებდა. აი, როგორი პატაკი მიართვა ხონის სემინარიის დირექტორმა პ.სოკოლოვმა ქუთაისში ჩამოსულ იმპერატორს ალექსანდრე მესამეს, 1888 წლის ოქტომბერში: „სემინარიის პანსიონში ამჟამად მყოფი 50 მოსწავლიდან[3] ეროვნების მიხედვით: რუსია-9, ქართველი-1, იმერელი-22, მეგრელი-16, ოსი-1, ბერძენი-1."[4] ასეთი სულისკვეთება ბატონობდა სემინარიაში რუსი დირექტორების დროს.

იმავე პატაკის მიხედვით მოსწავლეთა წოდებრივი წარმომავლობა ასეთ სურათს იძლეოდა: 11 ეკუთვნოდა აზნაურთა, 7-ჩინოვნიკთა, 10-სასულიერო, 1-ვაჭართა, 1-მეშჩანთა, 2-დაბალი სამხედრო ჩინის, 1-კანცელარიის მოსამსახურეთა და 17-გლეხთა წოდებას. ამ, და აგრეთვე სხვა მონაცემებიდანაც ჩანს, რომ საოსტატო სემინარიაში მოსწავლეთა ძირითადი შემადგენლობა სასულიერო და გლეხთა წოდებიდან იყო გამოსული.

სემინარიის არსებობის ათი წლისთავზე-1891 წელს, მოსწავლეთა ეროვნული და სოციალური შემადგენლობა ასეთი იყო:

---

2. იქვე, ფურ.28.

3. დირექტორი პატაკს აბარებს სახელმწიფო ხარჯზე მყოფ პანსიონერების შესახებ.

4. ქცსა, ფ.21, საქ.213, ფურ.13.

| წელი | რუსი | ქართვე-ლი | მთიელი | ბერძე-ნი და სხვა | აზნა-ური | სასულ. წოდ. | მოქა-ლაქ. წოდება | გლეხ-თა წო-დება | დაბალი ჩინოსა-ნი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1881 | 9,6% | 80,8% | 7,7% | 1,9% | 25,0% | 44,2% | - | 30,8% | - |
| 1882 | 7,5 | 62,5 | 10,0 | - | 28,8 | 38,7 | - | 32,5 | - |
| 1883 | 8,0 | 78,0 | 14,0 | - | 29,0 | 43,0 | - | 28,0 | - |
| 1884 | 8,1 | 78,0 | 14,0 | - | 31,0 | 42,0 | 1,4 | 21,6 | 4,0 |
| 1885 | 15,1 | 69,8 | 15,1 | - | 41,5 | 28,2 | 1,9 | 22,6 | 5,7 |
| 1886 | 20,0 | 68,0 | 12,0 | - | 36,0 | 26,0 | 2,0 | 26,0 | 10,0 |
| 1887 | 20,8 | 75,0 | 2,1 | 2,1 | 33,3 | 20,8 | 4,2 | 33,3 | 8,3 |
| 1888 | 18,8 | 77,1 | 2,1 | 2,1 | 33,3 | 20,8 | 4,2 | 35,4 | 6,3 |
| 1889 | 22,0 | 70,0 | 6,0 | 2,0 | 34,0 | 16,0 | 4,0 | 38,0 | 8,0 |
| 1890 | 9,8 | 82,3 | 4,9 | 2,0 | 33,3 | 13,4 | 2,0 | 47,1 | 3,9 |
| 1891 | 8,0 | 84,0 | 8,0 | - | 34,0 | 12,0 | 2,0 | 50,0 | 2,0 |
| საშუა-ლო | 13,4 | 77,3 | 9,4 | 0,8 | 32,2 | 29,8 | 1,7 | 32,4 | 3,1 |

ქცსა, ფ.121, საქ.340, ფურ.28, გრაფა „მთიელი" ცალკე არ უნდა იყოს გამოყოფილი და მასში ნაჩვენები ციფრი დაემატება „ქართველს".

## 6. სემინარიის მოსწავლეთა ყოფაქცევის წესები

რუსეთის იმპერიაში არსებულ სამასწავლებლო სემინარების მოსწავლეთა ქცევის წესები განსაზღვრული იყო სახალხო განათლების მინისტრის მიერ 1875 წლის 4 ივლისს დამტკიცებული დებულებით, მაგრამ ყოველ, ცალკე აღებულ სასწავლებელს, ადგილობრივი პირობების თავისებურებებიდან გამომდინარე, მის საფუძველზე, შემუშავებული ჰქონდა საკუთარი წესები. კიდევ უფრო მეტი, ეს წესები იცვლებოდა სასწავლებლის დირექტორების შეხედულებების მიხედვით. ამის ნათელი მაგალითია ხონის სემინარიის დირექტორი პ.სოკოლოვი. მის დროს შედგენილ იქნა მოსწავლეთა ყოფაქცევის ახალი წესები, რამაც სემინარია, ფაქტობრივად, საპყრობილედ გადააქცია. შემდეგში დიდი ძალისხმევა გახდა საჭირო იმ სულისშემხუთავი რეჟიმის დასაძლევად, რომელიც პ.სოკოლოვმა

დაამყარა სემინარიაში. ზოგად ხაზებში გავეცნოთ ამ „წესებს“,[5] რათა ნათელი გახდეს რატომ ებრძოდა ასე თავდადებით სემინარიის ახალგაზრდობა ზოგიერთ „თავის“ დირექტორს.

მოსწავლეთა შინაგანაწესი 116 მუხლისგან შედგება და მოიცავს სემინარიის ცხოვრების, თითქმის, ყველა მხარეს. თავდაპირველად განსაზღვრული იყო სემინარიაში მიღების წესები, მოსწავლეთა უფლებები (სამხედრო ბეგარისა და სახელმწიფო გადასახადების დარგში), სემინარიაში სწავლის მიზანი, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ლოცვის დროს პანსიონში, ეკლესიაში, მკაცრად დაეცვათ მარხვა. სემინარისტებს ევალებოდათ უსიტყვოდ დამორჩილებოდნენ უფროსებს: დირექტორს, დამრიგებლებს, მღვდელს, მასწავლებლებს და საერთოდ სემინარიის მოსამსახურე პერსონალს. მათ უფლება ჰქონდათ უფროსებისათვის მიემართად მხოლოდ პირად საკითხებზე, თავის მოვალეობის შესასრულებლად დაგვიანებით გამოცხადება, სემინარიის თვითნებური დატოვება, ლაზარეთში (საავადმყოფოში) წასვლა ან იქიდან წამოსვლა დამრიგებლისა და ექიმის გარეშე-აკრძალული იყო. ასეთი საქციელი გამოიწვევდა ყოფაქცევაში ნიშნის დაკლებას. ამას შედეგად შეიძლებოდა ის მოყოლოდა, რომ ყველაზე ნარჩინებულ მოსწავლესაც კი ვერ მიეღო სახალხო მასწავლებლის წოდება. მოსწავლეთა ჯგუფური-ერთობლივი უარი რაიმე დავალების შესრულებაზე-მკაცრად ისჯებოდა.

მოსწავლეს უფლება არ ჰქონდა დამრიგებელს ან სემინარიის ნებისმიერ თანამშრომელს შეხვედროდა სემინარიის შენობის გარეთ, თუ მას არ ექნებოდა სპეციალური მიწვევა. ასეთის შემთხვევაში მას ეძლეოდა დირექტორისა და მორიგე დამრიგებლის მიერ ხელმოწერილი „გათავისუფლების ბილეთი“.

მოსწავლეებს არ უნდა შეექმნათ რაიმე საზოგადოება ან შესულიყვნენ ასეთში სემინარიის ფარგლებს გარეთ, სასწავლებლიდან დაუყოვნებელი გარიცხვის შიშით.

კვირეული, დღიური და საათობრივი განრიგის მიხედვით ზუსტად იყო განსაზღვრული: 1) ლოცვის, 2)დამრიგებლების ზედამხედველობით მეცადინეობის, 3) გაკვეთილების მომზადების, 4) დასვენების, 5) ოთახის, ტანსაცმლის და ა.შ. წესრიგში მოსაყვანი, 6) ჭამის დრო, „მომსვლელი მოსწავლეები“ სემინარიაში ცხადებოდნენ დილის

5. ქცსი, ფ.121, საქ. 126, ფურ. 31-60

ლოცვის დროს და შეეძლოთ წასვლა მორიგე დამრიგებლის ნებართვის გარეშე საუზმეზე, სადილზე, ვახშამზე და საღამოს ლოცვის შემდეგ დასაძინებლად. სხვა დანარჩენ დროს ისინი ატარებდნენ ერთად და სარგებლობდნენ სემინარიის სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიებით, სახელმძღვანელოებით და ა.შ.

მოსწავლეს საკლასო ოთახში გამოყოფილი ჰქონდა ადგილი და თვითნებურად არ უნდა შეეცვალა იგი. მას უფლება არ ჰქონდა, მორიგე დამრიგებლის გარეშე გამოსულიყო საკლასო ოთახიდან, შენობიდან.

გაკვეთილის დამთავრების შემდეგ მოსწავლეები, სრული წესრიგის დაცვით, საკლასო ოთახიდან გამოდიოდნენ არა ზარის ხმაზე, არამედ მასწავლებლის ნებართვით. შესვენების შემდეგ, პირველ ზარზე მოსწავლეები ბრუნდებოდნენ საკლასო ოთახში და იკავებდნენ თავიანთ ადგილებს. მეორე ზარზე კი შემოდიოდა მასწავლებელი, კლასი უკვე სრულ წესრიგში იყო და იწყებოდა გაკვეთილი. ამის შემდეგ საკლასო ოთახიდან გასვლა იკრძალებოდა.

შინაგანაწესი მოსწავლეებიდან მოითხოვდა ღრმად დაუფლებოდნენ თეორიულ საგნებს და საფუძვლიანად მომზადებულიყვნენ სახალხო მასწავლებლის მაღალი წოდების მისაღებად.

შინაგანაწესის მიხედვით ყოველგვარი ადგილობრივი გამოთქმები და პროვინციალიზმი სემინარისტების მეტყველებაში დაუშვებელი იყო, რადგან მომავალი მასწავლებლები ვალდებული იყვნენ კი არ გაევრცელებიათ, არამედ აღმოეფხვრათ ენის დამახინჯება და თავისი მოსწავლეების საშუალებით მიეღწიათ იმისთვის, რომ მოსახლეობაში გამოემუშავებიათ სუფთად და სწორად რუსული მეტყველების ჩვევა.

შინაგანაწესის შემდეგი განყოფილება ეძღვნებოდა წერით და დამოუკიდებელ სამუშაოებს. მეორე კლასის მოსწავლეები სასწავლო წლის მეორე ნახევრიდან ვალდებული იყვნენ სემინარიასთან არსებულ დაწყებით სასწავლებელში სამი დღე დასწრებოდნენ ყველა გაკვეთილს და პედაგოგიკის მასწავლებლისთვის წარედგინათ დაწვრილებითი ანგარიში.

მესამეკლასელები ყოველ კვირაში მორიგეობით, სპეციალური განრიგის მიხედვით, ესწრებოდნენ ყველა გაკვეთილს დაწყებით სასწავლებელში და ეხმარებოდნენ მასწავლებელს. შემდეგ დეტა-

ლურადაა გადმოცემული როგორ უნდა ჩატარებულიყო და პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე განხილულიყო საცდელი გაკვეთილი. როგორ ხდებოდა სახალხო მასწავლებლის წოდების მინიჭება, განხილულ იქნება ქვემოთ.

მოსწავლეები ვალდებული იყვნენ ჩაეცვათ სემინარიის დირექციის მიერ დადგენილი ფორმა-ტანსაცმელი. აკრძალული იყო, ექიმის ნებართვის გარეშე, სასწავლებლის შენობაში პალტოს ტარება.

პანსიონში მცხოვრებ სემინარისტს არ შეეძლო დაეტოვებია სასწავლებელი დირექტორისა და მორიგე დამრიგებლის მიერ ხელმოწერილი სპეციალური ბილეთის გარეშე., სადღესასწაულო დღეებში და არდადეგების დროს ისინი თავისუფლდებოდნენ „და შეეძლოთ სახლში წასვლა ასევე" თავისუფლების ბილეთებით და სემინარისტები ბრუნდებოდენ ზუსტად ბილეთში აღნიშნულ დროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ დირექციას არ ექნებოდა წერილობითი განცხადება გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ, მოსწავლე გაირიცხებოდა სემინარიიდან.

სემინარიელებს კატეგორიულად ეკრძალებოდათ სემინარიაში მოეტანათ და შეენახად პირადი ნივთები (მაგალითად საათი, ტანსაცმელი და სხვა.) განსაკუთრებით კი წიგნები, მათ უფლება ჰქონდათ წიგნებით ესარგებლად მხოლოდ სემინარიის ბიბლიოთეკიდან.[6]

მოსწავლეს, მორიგე დამრიგებლის ნებართვის გარეშე არ შეეძლო გარეშე პირის მიღება. ხოლო ნებართვის შემთხვევაში, მოსწავლისა და მისი სტუმრის (ხშირ შემთხვევაში უახლოესი ნათესავის) შეხვედრა უნდა მომხდარიყო სემინარიის დარბაზში მორიგე მასწავლებლის თანდასწრებით.

ვ.სოკოლოვის მიერ დამკვიდრებული რეჟიმის ლიბერალიზაციის საქმეში თავის გადამწყვეტი სიტყვა თქვა სემინარიის ახალგაზრდობამ.

---

6. ვ.სოკოლოვი ყველა მოსწავლისგან მოითხოვდა ხელწერილს, რომ პანსიონში მათ არა აქვთ სემინარიის ეკონომისაგან მიღებულ ნივთებისა და ბიბლიოთეკიდან გატანილ წიგნებს გარდა სხვა რამ. სემინარიის ფონდში უამრავი ასეთი ხელწერილია დაცული, იხ. ქცსა, ფ. 121, ფურ. 1-12 და სხვა.

### ა. თეორიული საგნები, პროგრამები

ხონის სამასწავლებლო სემინარიაში, როგორც აღინიშნა, ისწავლებოდა შემდეგი საგნები:[7] რუსული ენა და ლიტერატურა, ქართული ენა, პედაგოგიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, ფიზიკა, ისტორია, გეოგრაფია, საღვთო სჯული, სასკოლო ჰიგიენა, ბუნებისმცოდნეობა (Естествоведение), სუფთა წერა, ხაზვა, გიმნასტიკა, სიმღერა-მუსიკა, გარდა ამისა ისწავლებოდ ა სოფლის მეურნეობა და სახელოსნო საქმე.

მათემატიკა ხშირად გულისხმობდა, გარდა გეომეტრიისა, ალგებრასა და ტრიგონომეტრიასც. ფართო შინაარსის შემცველი იყო აგრეთვე „ბუნებისმცოდნეობაც", ზოგჯერ მას „საბუნებისმეტყველო ისტორია" („Естественная история") ენოდებოდა და შეიცავდა: ფიზიკას, ადამიანის ანატომიასა და ფიზიოლოგიას, ზოოლოგიას, ბოტანიკას და მინერალოგიას.

ხონის სემინარიის სასწავლო გეგმა, რომელიც 1883 წელს დაამტკიცა კავკასიის სასწავლო ოლქმა ასეთი იყო:[8]

| საგანი | მოსამზად. კლ. | I კლ. | II კლ. | III კლ. |
|---|---|---|---|---|
| 1. საღვთო სჯული | 4 | 4 | 3 | 2 |
| 2. რუსული ენა | 7 | 4 | 4 | 2 |
| 3. არითმეტიკა | 4 | 4 | 3 | 2 |
| 4. რუსეთისა და მსოფლიო ისტორია | 3 | 2 | 3 | 2 |
| 5. გეოგრაფია | 2 | 3 | 2 | 2 |
| 6. ბუნების მცოდნეობა | 2 | 2 | 3 | 3 |
| 7. წერა | 2 | 3 | 2 | 1 |
| 8. ხაზვა | 1 | 2 | 2 | 2 |
| 9. პედაგოგიკა | - | - | 2 | 2 |
| 10. გიმნასტიკა | 2 | 2 | 2 | 2 |
| 11. ქართული ენა | 3 | 3 | 2 | 1 |
| 12. პრაქტიკული მეცადინეობა დაწყებით სკოლაში | | | | 6 |
| 13. პედაგოგიკური კრება | | | | 6 |

7. სასწავლო საგნების დასახელებაში გარკვეული ცვლილება ხდებოდა.
8. ქცსა, ფ.121, საქ.1, ფურ. 186.

1884-1885 სასწავლო წელს ხონის სემინარია ასეთი ცხრილით მუშაობდა:

| გაკვეთილი | | მოსამზადებელი განყოფილება | I კლასი | II კლასი | III კლასი |
|---|---|---|---|---|---|
| ორ-შაბა-თი | 1. | რუსული ენა | საღვთო სჯული | საბუნ.ისტორ. | პრაქტ.გაკვ. |
| | 2. | ქართული ენა | რუსული ენა | არითმეტიკა | საბუნ.ისტორ. |
| | 3. | არითმეტიკა | გეოგრაფია | პედაგოგიკა | რუსული ენა |
| | 4. | გეოგრაფია | გეომეტრია | წერა | ხაზვა |
| | 5. | წერა | საბუნ.ისტორ. | რუსული ენა | გეოგრაფია |
| სამ-შაბა-თი | 1. | რუსული ენა | ხაზვა | რუსული ენა | პრაქტ.გაკვ. |
| | 2. | საღვთო სჯული | რუსული ენა | არითმეტიკა | ისტორია |
| | 3. | არითმეტიკა | ისტორია | საღვთო სჯული | საბუნ.ისტორ. |
| | 4. | ისტორია | არითმეტიკა | გეოგრაფია | პედაგოგიკა |
| | 5. | ქართული ენა | წერა | ისტორია | ხაზვა |
| ოთხ-შაბა-თი | 1. | საღვთო სჯული | რუსული ენა | საბუნ.ისტორ. | პრაქტ.გაკვ. |
| | 2. | საბუნებ. ისტორ. | საღვ. სჯული | არითმეტიკა | ქართული ენა |
| | 3. | გიმნასტიკა | | ჰიგიენა | გიმნასტიკა |
| | 4. | რუსული ენა | არითმეტიკა | ქართული ენა | პედაგოგიკა |
| | 5. | წერა | ქართული ენა | ისტორია | არითმეტიკა |
| ხუთ-შაბა-თი | 1. | რუსული ენა | საღვთო სჯული | რუსული ენა | პრაქტ.გაკვ. |
| | 2. | საღვთო სჯული | გეოგრაფია | პედაგოგიკა | გეომეტრია |
| | 3. | არითმეტიკა | ისტორია | საღვთო სჯული | გეოგრაფია |
| | 4. | ისტორია | არითმეტიკა | გეოგრაფია | საბუნ.ისტორ. |
| | 5. | გეომეტრია | ქართული ენა | წერა | რუსული ენა |
| პარა-სკე-ვი | 1. | საღვთო სჯული | ქართული ენა | გეომეტრია | პრაქტ.გაკვ. |
| | 2. | რუსული ენა | არითმეტიკა | ქართული ენა | პედაგოგიკა |
| | 3. | გიმნასტიკა | გიმნასტიკა | გიმნასტიკა | ავადმყ.მოვლ. |
| | 4. | ქართული ენა | ხაზვა | ისტორია | გეომეტრია |
| | 5. | რუსული ენა | წერა | ხაზვა | საღვთო სჯული |
| | 6. | „ “ | „ “ | ჰიგიენა | „ “ |
| შაბა-თი | 1. | რუსული ენა | საღვთო სჯული | საბუნ.ისტორ. | პრაქტ.გაკვ. |
| | 2. | საბუნებ. ისტორ. | რუსული ენა | რუსული ენა | არითმეტიკა |
| | 3. | ისტორია | წერა | საღვთო სჯული | ისტორია |
| | 4. | ისტორია | საბუნებ .ისტორ. | გეომეტრია | საღვთო სჯული |
| | 5. | არითმეტიკა | გეოგრაფია | ხაზვა | წერა |

9. ქცსა, ფ. 121, საქმ. 36, ფურ.1-2

ცხრილში შეტანილი არ არის სიმღერა-მუსიკის და ე.ნ. ხელით შრომასთან დაკავშირებული გაკვეთილები (уроки ручного труда), თუმცა ისინი სავალდებულო საგნებს წარმოადგენდნენ და როგორც ქვემოთ დავინახავთ, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა.

დამკვიდრებული წესისა და ტრადიციის მიხედვით ყოველი სასწავლო საგნის პროგრამას, განსაზღვრული მოცულობის ფარგლებში (ზოგჯერ არსებული სახელმძღვანელოს მიხედვით. ხდებოდა პირიქითაც, სახელმძღვანელო ინერებოდა მასწავლებლის მიერ შედგენილ პროგრამის საფუძველზე), მასწავლებელი ადგენდა. ამის გამო, როგორც სამართლიანად აღინიშნავდა პროფ. მ. კეკელაძე, ყოველი პროგრამის ღირსება და შინაარსი განისაზღვრებოდა საგნის მასწავლებლის განათლებით, გამოცდილებით და მსოფლმხედველობით. აგრეთვე იმ საათების რაოდენობით, რაც სასწავლო გეგმით იყო გამოყოფილი.[10]

ზოგჯერ პროგრამა ძალაში რჩებოდა, ვიდრე მისი ავტორი ასწავლიდა მოცემულ საგანს, ზოგჯერ კი უფრო ხანგრძლივათაც. პროგრამას, დეტალური განხილვის შემდეგ, ამტკიცებდა პედაგოგიური საბჭო. სემინარიის ფონდში დაცულია თითქმის ყველა საგნის რამდენიმე პროგრამა ცალკეული წლებისა და მასწავლებლის მიხედვით. ყველა მათგანზე საუბრის არც შესაძლებლობაა და არც საჭიროება. რამდენიმე სიტყვა ზოგიერთის შესახებ.

სემინარიაში ერთ-ერთ ძირითად საგანს პედაგოგიკა წარმოადგენდა. მას,როგორც წესი, დირექტორები ან წამყვანი პედაგოგები ასწავლიდნენ. იწყებოდა მეორეში და მთავრდებოდა მესამე კლასში. 1883-1884 სასწავლო წელს პედაგოგიკის პროგრამა მეორე კლასისთვის შეადგინა რუსულის მასწავლებელმა ივ.პეტროვმა. პროგრამა ფსიქოლოგიის, ლოგიკისა და პედაგოგიკის ელემენტარული საკითხების თავისებური ნაზავია. ძირითად სახელმძღვანელოდ დასახელებულია სოლომონოვსკის „ფსიქოლოგიისა და ლოგიკის ელემენტარული კურსი".

სემინარიაში, როგორც სახელმწიფო სკოლაში, ხშირად მტკივნეულად იდგა ქართული ენის სწავლების საკითხი. სასწავლებლის ზოგი რუსიფიკატორი დირექტორი (პ.სოკოლოვი, ვ.დევიცკი) ცდილობდა მინიმუმამდე შეემცირებიათ ქართული ენის გაკვეთილები

10. მიხ.კეკელიძე, დასახ. ნაშრ-გვ-42.

და აღწევდნენ კიდეც ამას ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექციისა და კავკასიის სასწავლო ოლქის აქტიური მხარდაჭერით. სემინარიაში ქართული ენის სწავლების მდგომარეობა, ცხადია, პირველ რიგში, ასახვას პოულობდა პროგრამებში.[11]

ქართული ენის და ლიტერატურის პირველი პროგრამა (1881-1882 სასწავლო წელი) მოსამზადებელი და პირველი კლასებისთვის არ.ქუთათელაძემ შეადგინა. იგი ძალიან მოკლეა. გრამატიკიდან მასში გათვალისწინებულია ელემენტარული საკითხები (წინადადება და მისი მთავარი წევრები, სასვენი ნიშნების ხმარება, ზმნა, კითხვის ნიშნები და სხვ.). ლიტერატურიდან პირველი კლასის პროგრამაში შეტანილი იყო: ნ. ბარათაშვილის „ფიქრნი მტკვრის პირას", „მერანი", ილია ჭავჭავაძის „პოეტი", ა.წერეთლის, გრ.ორბელიანის ლექსები, დ.გურამიშვილის „დავითიანისა" და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" გაცნობა. მოსამზადებელ კლასში მოსწავლეებს უნდა შეესწავლათ 11 ლექსი იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოდან „დედა-ენა". 1882-1883 წელს მანვე შეადგინა მეორე კლასის პროგრამა.

არ.ქუთათელაძის სემინარიიდან წასვლის შემდეგ (1884წ.) ახალმა მასწავლებელმა გ.უთურგაურმა შეადგინა ახალი პროგრამა, რომელიც ძალაში იყო 1897 წლამდე.

1906-1907 სასწავლო წელს ქართული ენის პროგრამა შეადგინა ტრიფონ თაბუკაშვილმა. იგი მოკლეა და ორი ნაწილისგან შედგება. პირველი განკუთვნილია ქართველი, ხოლო მეორე-არაქართველი მოსწავლეებისათვის. მასში ლიტერატურიდან თითქმის არაფერია დასახელებული და ძირითადში, ი.გოგებაშვილის „დედა-ენისა" და „ბუნების კარის" გამოყენებით, მიზნად ისახავდა მოსწავლეებისათვის მიეცა ქართული წერა-კითხვის პრაქტიკული ცოდნა.[12]

ქართული ენის ახალი პროგრამის შედგენა დაკავშირებულია თვალსაჩინო პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, ხონის სემინარიის კურსდამთავრებულის, ათანასე გაბრიელის ძე ხარაბაძის სახელთან. პროგრამა დათარიღებულია 1916 წლის დეკემბრით და როგორც

11. ეს საკითხი სპეციალურად შეისწავლა თ.იოსელიანმა, იხ. მისი „ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება ქუთაისის სამასწავლებლო სემინარიაში", ჟურ-„კომუნისტური აღზრდისათვის, 1959, N1, გვ. 86-89

12. ქცსა, ფ.121, საქ. 786, ფურ. 3-4.

*Приложеніе къ Циркуляру по управленію Кавказскимъ Учебнымъ Округомъ за 1886 годъ. № 6.*

УЧИТЕЛЬСКАЯ СЕМИНАРІЯ
15 НОЯБ 86
ВЪ ХОНИ

1103.

# ПРОГРАММА ГРУЗИНСКАГО ЯЗЫКА

## для Кутаисской учительской семинаріи.

Разсмотрѣна и одобрена педагогическимъ совѣтомъ Кутаисской учительской семинаріи, 6 Іюля 1886 года.

### Первый классъ.

*I. Подготовительныя устныя занятія.* Грузинскія названія предметовъ классной комнаты и предложенія, постоянно употребляемыя въ сношеніяхъ учащихъ съ учащимися. По усвоеніи этого матеріала и достаточномъ числѣ упражненій въ письмѣ и произношеніи буквъ, свойственныхъ исключительно грузинскому языку, матеріаломъ занятій будутъ служить значенія «нормальныхъ словъ», помѣщенныхъ въ азбукѣ Дэда-эна: ია (фіалка), სახე (лицо и его части), მახე (западня), თხა (козелъ), თოხი (мотыга), სოკო (грибъ), იხვი (утка), ვაზი (лоза), კუ (черепаха), შაშვი (птицы), აკვანი (люлька), დანა (ножъ), ვირი (оселъ), ღორი (свинья), ძროხა (корова), კალია (кузнечикъ, саранча), ქათამი (курица), გველი (змѣя), ოფოფი (удодъ), კამეჩი (буйволъ), ობობა (паукъ), პეპელა (бабочка), ბაყაყი (лягушка), ცხენი (лошадь), ფუტკარი (пчела), არწივი (орелъ), კაჭკაჭი (сорока), ფინჯანი (чашка). Дэда-эна, стр. 3—16. Начальный курсъ русскаго языка, Калаидаравовъ, стр. 3—9.

Бесѣды о значеніи вышеупомянутыхъ «нормальныхъ словъ» будутъ идти по слѣдующему образцу:

Какъ называется цвѣтокъ, который нарисованъ здѣсь?—Не знаете ли грузинскаго названія фіалки?—А какъ сказать по грузински «цвѣтокъ»?—Какая разница между русскимъ и грузинскимъ

Письменныя работы будутъ заключаться: 1) въ составленіи конспектовъ пробныхъ уроковъ, которые будутъ даваться въ начальномъ училищѣ, и 2) въ сравненіи формъ грузинскаго языка съ формами русскаго языка.

На урокахъ грузинскаго языка будетъ продолжено чтеніе и объясненіе относительно содержанія и методическихъ пріемовъ оставшихся статей и упражненій, помѣщенныхъ въ Дэда-эна, равно какъ сознательное чтеніе священныхъ и богослужебныхъ книгъ.

Исправляющій должность преподавателя Г. Утургаури.



ქართული ენის პროგრამა შედგენილი ათანასე ხარაბაძის მიერ

| | |
|---|---|
| Музей Грузии | [illegible] |
| 1. Первоначальные жители [illegible] племени | 1. [illegible] |
| 2. Время управления [illegible] в Грузии | 2. [illegible] |
| 3. Первый царь Грузии Парнаоз | 3. [illegible] |
| 4. Римская империя – Грузинских царевна. | 4. [illegible] |
| 5. Возникновение христианства в Грузии | 5. [illegible] |
| 6. Св. Нина и царь Мириан. | 6. [illegible] |
| 7. Вахтанг Горгасал. Войны с греками и персами. [illegible] и по [illegible]. | 7. [illegible] |
| 8. [illegible] 13 столетия [illegible]. | 8. [illegible] |
| 9. [illegible] | 9. [illegible] |
| 10. Давид Куропалат | 10. [illegible] |
| 11. [illegible] | 11. [illegible] |
| 12. [illegible] | 12. [illegible] |
| 13. Баграт III | 13. [illegible] |
| 14. Баграт IV | 14. [illegible] |
| 15. Георгий II и нашествие турок. | 15. [illegible] |
| 16. Давид Строитель. [illegible] [illegible] Давида Строителя. | 16. [illegible] |
| 17. Димитрий I и Георгий III | 17. [illegible] |
| 18. Царица Тамара. [illegible] Тамары | 18. [illegible] |
| 19. Шота Руставели. | 19. [illegible] |
| 20. Георгий Лаша и царица Русудан. | 20. [illegible] |
| 21. [illegible] | 21. [illegible] |
| 22. Димитрий Самопожертвователь | 22. [illegible] |
| 23. Георгий [illegible]. | 23. [illegible] |

24. Отделение и деление Грузии. | 24. საქართველოს [illegible]
25. [illegible] | 25. [illegible]
26. Георгий VII, Константин и Александр I. | 26. [illegible]
27. [illegible] Грузии [illegible] царства. | 27. [illegible]
28. Россия и Грузия | 28. [illegible]
29. Царь [illegible] | 29. [illegible]
30. Георгий Саакадзе. | 30. გიორგი სააკაძე.
31. Георгий XII | 31. გიორგი [illegible]
32. Вахтанг законодатель | 32. ვახტანგ [illegible]
33. Царь Соломон и [illegible] | 33. [illegible]
34. Присоединение Грузии к России | 34. საქართველოს [illegible]

## Грамматика. | გრამატიკა

### Имена. | [illegible]

[illegible]

2. Особенное вниманіе обращается на разговорную рѣчь.

3. Изъ грамматики учениками сообщаются самыя элементарныя свѣдѣнія.

4. [illegible] грузинскую литературу и въ особенности [illegible]

Наставникъ Кутаисской грузинской семинаріи А. Карбедзе

8 декабря 1916 г.

М. Хони.



აკაკი წერეთელი ხონში. 1909 წლის მაისი

დასათაურებიდან ჩანს იგი განკუთვნილი იყო არა მარტო ხონის, არამედ ყველა იმ სემინარიისათვის, სადაც ქართული ენა ისწავლებოდა.[13]

ათ.ხარაბაძის მიერ შედგენილი პროგრამა, თუ შეიძლება ასე ითქვას, სრულიად ახალი სიტყვაა საქართველოს რუსულ სკოლებში ქართული ენის სწავლების ისტორიაში. მასში ცალ-ცალკეა განსაზღვრული სასწავლო მასალა ქართული და რუსული ჯგუფებისათვის, ასევე ცალ-ცალკეა გამოყოფილი ქართულ ენაში, ლიტერატურისა და ქართული ენის სწავლების მეთოდიკაში შესასწავლი მასალა.

პროგრამის სიახლესა და თავისებურებას შეადგენს ის, რომ მასში გათვალისწინებულია, ქართული ლიტერატურის ისტორიის, სიტყვიერების თეორიის (ხელოვნება და მისი არსი, სტილისტიკა, ქართული ლექსწყობის თავისებურებანი, პროზისა და პოეზიის თეორია), საქართველოს ისტორიის, ქართული თეატრის ისტორიის და სხვ. საკითხები.

პროგრამის მიხედვით საქართველოს ისტორიიდან სემინარელებს უნდა შეესწავლათ შემდეგი საკითხები: 1. საქართველოს წინაპარნი დღევანდელ ჩვენს სამშობლოში შემოსვლამდე, 2. მამასახლისობის დრო, 3. პირველი მეფე ფარნავაზი, 4. რომის იმპერია და საქართველოს სამეფონი, 5. ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში, 6. წმინდა ნინო და მეფე მირიანი, 7.ვახტანგ გორგასალი. ბრძოლა ბიზანტიელებისა და სპარსელების წინააღმდეგ. ვახტანგის მოღვაწეობა და სიკვდილი, 8. ცამეტი სირიელი მამა, 9. არაბთა შემოსევა, 10. დავით კურაპალატი, 11. თორნიკე ერისთავი, 12. ივერიის მონასტერი, 13. ბაგრატ მესამე, 14. ბაგრატ მეოთხე, 15.გიორგი მეორე და თურქების შემოსევა, 16. დავით აღმაშენებელი. თურქების განდევნა. თბილისის აღება. კულტურული მოღვაწეობა დავით აღმაშენებლისა, 17. დემეტრე პირველი და გიორგი მესამე, 18. თამარ მეფე. შამქორის ომი. თამარის მოღვაწეობა და სიკვდილი. 19.შოთა რუსთაველი, 20. გიორგი ლაშა და დედოფალი რუსუდანი,

---

13. დასათაურებულია ასე: „Программа грузинского языка для учительских семинарии, где преподается грузинский язык. ქცსა, ფ.121, საქ.1059, ფურ.1-21.

21. საქართველოს ორ სამეფოდ გაყოფა, 22. დემეტრე თავდადებული, 23. მონგოლთა ბატონობა, 24. საქართველოს გაერთიანება და გაძლიერება, 25. ბაგრატ დიდი, 26. გიორგი მეშვიდე, კონსტანტინე პირველი და ალექსანდრე პირველი, 27. საქართველოს დანაწილება, 28. რუსეთი და საქართველო, 29. ირანის ლომი შაჰ აბასი, 30. გიორგი სააკაძე, 31. გიორგი მეთერთმეტე, 32.ვახტანგ სჯულმდებელი, 33. მეფე სოლომონი და მეფე ირაკლი, 34. საქართველოს შესვლა რუსეთის მფარველობაში.

**დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ასეთი პროგრამით სემინარიელები საქართველოს ისტორიის საფუძვლიან ცოდნას მიიღებდნენ.**

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამით გათვალისწინებული მასალის შესწავლა უნდა მომხდარიყო იმ დროისათვის უაღრესად მაღალი დონის სახელმძღვანელოების მიხედვით. ესენია: იაკობ გოგებაშვილის, „დედა-ენა" და „ბუნების კარი", სილ.ხუნდაძის, გრ. ყიფიანის ქართული ენის გრამატიკა, კირიონ საძაგლიშვილის „სიტყვიერების თეორია", ა.ხახანაშვილის „ქართული სიტყვიერების ისტორია" ტ.I-II, ს.გორგაძის „ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია", ს.ქვარიანის „საქართველოს ისტორია", ი.ოცხელის, თ.მთავრიშვილისა და ს.ყიფიანის „გუთანი".

**პროგრამას თან ახლავს ვრცელი განმარტებითი ბარათი და თეზისები. ათანასე ხარაბაძე, ამ დოკუმენტით, ჩვენს წინ წარმოსდგება, როგორც მხურვალე პატრიოტი და შესანიშნავი პედაგოგი.**

ქართული ენის კიდევ ერთი პროგრამა იქნა შედგენილი (1917 წლის დეკემბერი). მისი ავტორი იყო ვარლამ ხუროძე. მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

**ბ) პედაგოგიკური პრაქტიკა. საცდელი გაკვეთილები** სემინარიაში, თავის პროფილის გამო, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა პედაგოგიკას და პედაგოგიურ პრაქტიკას. სასწავლებლის დებულების მიხედვით დამკვირებლობითი პედაგოგიკური პრაქტიკა მეორე კლასიდან იწყებოდა. მეორე კლასელები მორიგეობით ისხდნენ სემინარიასთან არსებული დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებლის გაკვეთილებზე, უკვირდებოდნენ, ისმენდნენ და იწერდნენ თავიანთვის

გაკვეთილის მიმდინარეობას. ისინი, ამის შესახებ პერიოდულად წერილობით ანგარიშს აბარებდნენ დამრიგებელ მასწავლებელს.

საცდელი გაკვეთილების გადაცემა მესამე კლასიდან იწყებოდა. გამოსაშვები კლასის ყველა მოსწავლე დაწყებით სკოლაში პირველ გაკვეთილზე სანიმუშო-საცდელ გაკვეთილს აძლევდა. გარდა პრაქ-ტიკანტებისა გაკვეთილს ესწრებოდნენ: დაწყებითი სკოლის მასწავ-ლებლები, სემინარიის იმ საგნის მასწავლებელი რა საგანშიც გადაიცემოდა გაკვეთილი და სემინარიის დირექტორი.

მეორე, მესამე და მეხუთე გაკვეთილები ჩვეულებრივი ცხრილით მიმდინარეობდა და მოსწავლეები განაგრძობდნენ თეორიული საგ-ნების დაუფლებას. მეექვსე გაკვეთილი კი ეძღვნებოდა დაწყებით სკოლაში ჩატარებული გაკვეთილის გარჩევას, რომელსაც პედაგო-გიკური კრება ეწოდებოდა.

მოსწავლე 3-7 დღით ადრე მიიღებდა გაკვეთილის თემას. მას პირველ რიგში გაკვეთილის ვრცელი-დეტალური კონსპექტი უნდა დაეწერა (მასში გათვალისწინებული იქნებოდა გადასაცემი მასალა, გაკვეთილის მიზანი, გეგმა და მსვლელობა). კონსპექტი ჯერ დაწყებითი სკოლის მასწავლებელს უნდა შეემოწმებია, შემდეგ იმ საგნის მასწავლებელს, რომელშიაც გაკვეთილი ტარდებოდა და ნებართვა მიეცა. ამის შემდეგ მოსწავლე უკვე პრაქტიკულად ვარჯიშობდა გაკვეთილის ჩასატარებლად, ამზადებდა საჭირო თვალ-საჩინო მასალას და ა. შ.

გაკვეთილის გარჩევის დროს პირველი სიტყვა ყოველთვის ეძ-ლეოდა პრაქტიკანტს, რომელიც ცდილობდა თვითონვე აღენიშნა თავისი გაკვეთილის ყველა ნაკლი, რათა სხვებს არაფერი დარჩე-ნოდათ სათქმელი და ამით დაემტკიცებია, რომ ის თავისი გაკ-ვეთილის ავკარგიანობაში ერკვეოდა.

პრაქტიკანტის შემდეგ სიტყვა ეძლეოდა ჯერ მისი კლასის ამხანაგებს. ყველა ცდილობდა, რაც შეიძლებოდა მკაცრად გაეკ-რიტიკებია გაკვეთილი და მათ შორის კონსპექტიც.

პრაქტიკანტი ვალდებული იყო ყველასთვის ეპასუხა: მიეღო შენიშვნა, ხოლო თუ არ მიიღებდა დაესაბუთებია რატომ. ამ პაექრობაში უნდა გამომჟღავნებულიყო არა მარტო გაკვეთილის

ჩატარების მეთოდიკის, არამედ საგნის ცოდნის, და საერთოდ მოსწავლის თეორიული მომზადების დონეც.

ამის შემდე გაკვეთილის შესახებ ისაუბრებდნენ დაწყებითი სკოლის და საგნის მასწავლებლები. ბოლოს გამოვიდოდა დირექტორი, რომელიც გამოთქვამდა თავის შენიშვნებს პრაქტიკანტის გაკვეთილის ირგვლივ, შეაჯამებდა ყველას ნათქვამს და შემდეგ დასვამდა კითხვას რა ნიშანზე უნდა შეფასებულიყო გაკვეთილი. არსებობდა შეფასების შემდეგი სახეები: ა) არადამაკმაყოფილებელი, ბ) დამაკმაყოფილებელი, გ) ფრიად დამაკმაყოფილებელი (ე.ი. 4 ან 5).

იწერებოდა პედაგოგიკური კრების დაწვრილებითი ოქმი. ეს დავალებული ჰქონდა იმ მოსწავლეს, რომელსაც მომდევნო გაკვეთილი უნდა ჩაეტარებია. თითეულ მოსწავლეს 10-12 გაკვეთილის ჩატარება უხდებოდა ყველა საგანში, მათ შორის სიმღერასა და ხატვაშიც. ვარლამ ძიძიგური საინტერესოდ მოგვითხრობს როგორ ჩაატარა მან სიმღერის საცდელი-სანიმუშო გაკვეთილი.[14]

მომავალი პედაგოგებისათვის საჩვენებელ გაკვეთილებს გადასცემდნენ დაწყებითი სკოლის, სემინარიის და ზოგჯერ სხვა სასწავლებლის გამოცდილი, დახელოვნებული პედაგოგები. ვარლამ ძიძიგური იგონებს-ერთხელ თვითონ ალექსი ჭიჭინაძემ გადასცა დაწყებით სკოლაში პრაქტიკანტებისთვის საჩვენებელი გაკვეთილი. ალექსის გაკვეთილი ბრწყინვალე იყო, მაგრამ ცნობილია, რომ ნაკლის აღმოჩენა ყველა გაკვეთილშია შესაძლებელი, მით უმეტეს ჩვენ შეგვეძლო ეს, რადგან ერთობ კარგად დავხელოვნდით გაკვეთილის გაკრიტიკებას, მის აკვარგიანობის დანახვასა და დასაბუთებაში.

წამოვესიეთ ეს თმაქოჩორა ბიჭები ალექსი ბესარიონის ძეს მისი გაკვეთილის გარჩევის დროს და ერთი სუსტი ძაფიც არ დავტოვეთ აღმოუჩენელი მის მიერ გადაცემულ საჩვენებელ გაკვეთილში.

თვალწინ მიდგას ალექსის გამოხმაურება ჩვენს გამოსვლებზე. მას არა თუ სწყინდა ჩვენი მოურიდებლობა, მკაცრი და სამართლიანი კრიტიკა, არამედ ძალიან უხაროდა ჩვენი დახელოვნება,

14. ვ.ძიძიგური დასახ. ნაშრ. გვ. 54-56.

განვითარება, გაკვეთილის ყველა დეტალის ეგზომ შეგნებულად ცოდნა.[15]

ვარლამ ძიძიგურის მიერ გადაცემულ ერთ ასეთ გაკვეთილს დაესწრო 1909 წლის 24 მაისს ხონში საიუბილეოდ ჩასული აკაკი წერეთელი.

„ზარი დაირეკა...ჩემი გულიც ზარივით რეკავდა — წერდა ვ.ძიძიგური, შევედი კლასში. მალე შემოვიდნენ: აკაკი, ივანე შარაშიძე, ალექსი ჭიჭინაძე და აკაკის მთელი ამალა, რადგან საკლასო ოთახი ამდენი სტუმრის გარდა ჩემი კლასის ამხანაგებსაც, რიცხვით 21 კაცს ვერ დაიტევდა... ისინი კლასის გარეთ, გაღებული ფანჯრების გასწვრივ დადგნენ.

გაკვეთილი დავიწყე, მაგრამ 3-5 წუთის განმავლობაში მონაფეების ყურადღება ვერ დავიპყარი. ყველა აკაკის მიჩერებოდა, ზოგს ჩუმად ამოეღო წიგნები, გადაეშალათ ის გვერდი, სადაც აკაკის სურათი იყო, და წამდაუწუმ ხან აკაკის უცქერდა, ხან მის სურათს. დამჭირდა „ცხელი თვალის" ჩვენება, რომ მოსწავლეები თავიანთ სიამოვნებას გამოთხოვებოდნენ და იმ წუთში მათთვის ნაკლებ სასიამოვნო საქმე-გაკვეთილის მოსმენას და საჭირო პასუხის მოცემას შედგომოდნენ. გაკვეთილი ჩატარდა. მოსწავლეებმა მასში ცხოველი მონაწილეობა მიიღეს.[16] აკაკი გაკვეთილით კმაყოფილი დარჩა. მან გადაკოცნა და მადლობა გადაუხადა ვ.ძიძიგურსაც და ალექსი ჭიჭინაძესაც.

სემინარიასთან არსებულ დაწყებით სასწავლებელში, სასწავლო ოლქის ნებართვით, გაკვეთილებს ისმენდნენ ე.ი. ფაქტობრივად პასიურ პრაქტიკას გადიოდნენ ის პირები, რომლებიც სოფლის სკოლის მასწავლებლის წოდების მისაღებად გამოცდებისათვის ემზადებოდნენ.[17]

სემინარიის კურსის დამთავრების დროს მოსწავლე, თეორიულ საგნებში გამოცდების ჩაბარებასთან ერთად, პედაგოგიური საბჭოს მთელი შემადგენლობის თანდასწრებით, საჩვენებელ გაკვეთილს ატარებდა.

---

15. იქვე, გვ. 57.
16. იქვე, გვ. 86-87.
17. ქცსა, ფ. 121, საქ. 876, ფურ. 18.

გ) პრაქტიკული ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება — თეორიული საგნების შესწავლასა და პედაგოგიურ დახელოვნებასთან ერთად სემინარიაში დიდი ყურადღება ექცეოდა მოსწავლეთა პრაქტიკული ცხოვრებისათვის მომზადებას. დაწყებითი სკოლის სახალხო მასწავლებელს სოფლის მეურნეობის და ხელოსნობის ძირითადი დარგების ელემენტარული ცოდნა და მათი წარმოების უნარ-ჩვევები უნდა ჰქონოდა. ამ მიზნით სემინარიის ხელმძღვანელობა, დღიდან სასწავლებლის დაარსებისა, სერიოზულ მუშაობას ატარებდა.

მოსწავლეები, სპეციალური პროგრამების მიხედვით, მეცადინეობდნენ და პრაქტიკულად მუშაობდნენ სოფლის მეურნეობის შემდეგ დარგებში: მემინდვრეობა, მებოსტნეობა, მებაღეობა, მევენახეობა, მეყვავილეობა, მეხილეობა, მეფუტკრეობა და მეაბრეშუმეობა. მეცადინეობა წარმოებდა თეორიულად და პრაქტიკულად, გაკვეთილების შემდეგ. ამ საქმეს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა, როგორც უკვე ითქვა, მ.მოხირის დირექტორობის დროს. სემინარიას ხონში ჰქონდა მიწის ნაკვეთი „ზვარბოლოს" სახელწოდებით (6 ქცევა). მ.მოხირმა ხონის გარეუბანში შეიძინა მიწის ახალი ნაკვეთები, გააშენა ხეხილი, გააფართოვა მებოსტნეობა, მემინდვრეობა. სემინარიას ჰქონდა შესანიშნავი ბაღი, რომელსაც ათეული წლების მანძილზე თავს დასტრიალებდა თავის საქმის გამოცდილი სპეციალისტი ივანე ლაზარეს ძე გეგენავა. ბაღში მოსწავლეები პრაქტიკულად სწავლობდნენ მყნობას, ხეხილის, ყვავილების მოვლას და მათ მავნებლებთან ბრძოლის საშუალებებს, ბოსტნეულის მოყვანის ეფექტურ მეთოდებს და ა.შ.

სემინარიაში მაღალ დონეზე იდგა „ხელით შრომის"-ხელოსნობის სხვადასხვა დარგების დაუფლების საქმე. 900-იანი წლებიდან „ხელით შრომის" მასწავლებლის თანამდებობა შეტანილ იქნა სემინარიის მასწავლებელთა ძირითად საშტატო განრიგში. სემინარიელები სწავლობდნენ წიგნების აკინძვას, ხარატობას, დურგლობას. ამისთვის მათ განკარგულებაში იყო საჭირო დაზგა-დანადგარებით აღჭურვილი, სკოლის პირობებისთვის, თითქმის სრულყოფილი სახელოსნო. სემინარიის დირექტორი, 1904 წლის ანგარიშში აღნიშნავდა, რომ საანგარიშო წელს, ყველაზე მეტი დაიხარჯა (641მან.

35კაპ.) სახელოსნოსათვის დანადგარების შესაძენად და უახლეს პერიოდში ამ მიმართულებით ძალზე მცირე თანხა იქნება საჭირო.[18]

„ხელით შრომის" მასწავლებლები ყოველწლიურად დირექციაში წერილობით ანგარიშს წარადგენდნენ ჩატარებული მუშაობის შესახებ. 1896/97 სასწავლო წლის ასეთი ანგარიშიდან ჩანს, რომ „ხელით შრომას" დათმობილი ჰქონდა:[19]

| სამკინძაო საქმე | სადურგლო-საზეინკლო საქმე |
|---|---|
| მოსამზ.კლ.-3სთ. | 4სთ. |
| I-კლ-2სთ. | 3სთ. |
| IIკლ.-1სთ. | 2სთ. |

ხოლო 1900/901 წლის ანგარიშის მიხედვით[20]

| | |
|---|---|
| მოსამზ.კლ.-3სთ. | 5სთ. |
| I-კლ-2სთ. | 3სთ. |
| IIკლ.-1სთ. | 2სთ. |
| III კლ-1სთ. | 1სთ. |

„ხელით შრომის" გაკვეთილებსა და პრაქტიკულ სამუშაოებზე სისტემატურ კონტროლს დირექტორი განახორციელებდა.

სემინარიის კურსდამთავრებულებს სოფლის მეურნეობისა და ხელოსნობის სხვადასხვა დარგში, რომლებიც მათ ჰქონდათ შესწავლილი, ცალკე ნიშანი არ ეწერებოდათ მაგრამ ატესტატში აღნიშნული იყო რომ, ისინი სოფლის მეურნეობასა და სახელოსნო საქმეს დაუფლებულნი იყვნენ.

სემინარიაში„ხელით შრომას" ასწავლიდნენ: ზეინკალი მაქსიმე ოდილავაძე, დურგლები: ენუქი ბახტაძე, იულონ ჭავჭანიძე, ანტონ ფანცულაია, შტატის მასწავლებლები ზაქარია ივანეს ძე ჩერედნიჩოკი, პორფირე ბობრო და სხვები. მათ შორის გამოირჩევა პორფილე ბობრო, რომელმაც „ხელით შრომის" გაკვეთილებს სემინარიაში მყარი მეცნიერულ-მეთოდური საფუძვლები დაუდო.

„ხელით შრომის" სწავლების მაღალ დონეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სემინარია ხშირად და წარმატებით მონაწილეობდა

18. ქცსა, ფ. 121, საქ. 764, ფურ. 39.
19. იქვე,: საქ. 519, ფურ. 1-2.
20 იქვე, საქ. 650, ფურ. 11-13.

სრულიად საქართველოს, კავკასიის, იმპერიის და საერთაშორისო მასშტაბით მოწყობილ სხვადასხვა სახის გამოფენებში. ასე მაგალითად: 1893 წელს სემინარიამ ჩიკაგოს საერთაშორისო-მხატვრულ გამოფენაზე გაგზავნა მოსწავლეთა მიერ დამზადებული ჰერბარიუმები და მინერალთა კოლექციები.[21]

1896 წელს, ნიჟნი-ნოვგოროდში მოწყობილ სრულიად-რუსეთის გამოფენისთვის მოსწავლეებმა დაამზადეს შემდეგი ნივთები: ქაღალდის საჭრელი დანა, ტანსაცმლის საკიდი, წიგნების თარო, მრგვალი მაგიდა და სხვ. საგანგებოდ აკინძეს დაზიანებული წიგნები.[22]

სემინარია წარმატებით მონაწილეობდა 1910 წელს პიატიგორსკში მოწყობილ გამოფენაზე. მასწავლებელმა პ.ბობრომ პიატიგორსკში ჩაიტანა მოსწავლეთა მიერ დამზადებული 60-ზე მეტი ნივთი. მათ შორის: ცენტრიდანული მანქანა, სხვადასხვა სახის მაგიდები, სკამები, ჩარჩოები და ტანსაცმლის საკიდები, საქსოვი მაქო, ჩემოდანი და სხვ.[23]

მოსწავლეები მონაწილეობდნენ სასწავლო ნივთებისა (მერხები, კარადები და ა.შ.) და სემინარიის შენობის შეკეთებასა და გადაკეთების სამუშაოებში.

უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოთა დიდ უმრავლესობას მოსწავლეები ხალისითა და მონდომებით ასრულებდნენ. სემინარიის კურსდამთავრებულებს პრაქტიკული ცხოვრებისათვის საჭირო ძირითადი უნარ-ჩვევები ჰქონდათ.

დ)მოსწავლეთა ფიზიკური და ესთეტიკური აღზრდა:

სემინარიის სასწავლო-პედაგოგიკურ სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მოსწავლეთა ფიზიკურ და ესთეტიკურ აღზრდას. გიმნასტიკა, სემინარიის არსებობის მთელ მანძილზე სავალდებულო და მოსწავლეებისთვის ერთ-ერთი საყვარელი საგანი იყო. ცხრილით მას დათმობილი ჰქონდა ორი გაკვეთილი. მაგრამ მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა ამით არ შემოიფარგლებოდა. თბილი და

21. ქცსა, ფ. 121, საქ. 377, ფურ. 16-20.
22. იქვე, საქ. 470, ფურ. 20.
23. იქვე, საქ. 853, ფურ. 4.

მშრალი ამინდის დროს გაკვეთილების შემდეგ, გამოსასვლელ და სადღესასწაულო დღეებში, არდადეგებზე ეწყობოდა, ახლო და შორეული ექსკურსიები, ფეხით გასეირნება ხონის ახლო-მახლო მიდამოებში, რასაც თან ახლდა ცეკვა-სიმღერა და სხვადასხვა სახის თამაშობანი. ამ მხრივ საინტერესოა გიმნასტიკის მასწავლებლის ანდრია პავლეს ძე სუსლოვის ანგარიში 1892/93 სასწავლო წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ (იგი სიმღერა — მუსიკასაც ასწავლიდა). ა.სუსლოვის ანგარიშის მიხედვით, ცუდი ამინდის პირობებში, გიმნასტიკის გაკვეთილი ტარდებოდა სასადილო ოთახში, ხოლო სხვა შემთხვევაში-სემინარიის ეზოში (900-იან წლებში სემინარიის შენობის საფუძვლიანი გადაკეთებისა და გაფართოების დროს აიგო ვრცელი სპორტული დარბაზი). მოსწავლეებში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ახლო მანძილზე ფეხით გასვლები-გასეირნებანი, რაც ძალიან მხიარულად და შინაარსიანად ტარდებოდა. ეწყობოდა სპორტული შეჯიბრებანი: ბურთის ტყორცნაში, სირბილში, ლახტში, სამხედრო ვარჯიშობანი მუსიკის თანხლებით.[24]

1896 წლის 11 სექტემბერს, ა.სუსლოვის ნაცვლად გიმნასტიკის, მუსიკისა და სიმღერის მასწავლებლად დაინიშნა ანტონ ვიაჩესლავის ძე პაუდეკი, ეროვნებით ჩეხი.[25] ოცდახუთი წელი დარჩა იგი ხონში და ამ ხნის მანძილზე, არა მარტო მისი მოსწავლეების, არამედ დაბის და მთელი იმერეთის მოსახლეობის საერთო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ა.პაუდეკი იყო ბრწყინვალე სპორტსმენი-ტანმოვარჯიშე, მუსიკოსი და სცენის მოყვარე. მისი ყოველი გაკვეთილი გიმნასტიკასა თუ მუსიკაში, მოსწავლეებისათვის ნამდვილ დღესასწაულს წარმოადგენდა. თავის საქმეზე შეყვარებული მასწავლებლის საქმიანობა სემინარიით არ შემოიფარგლებოდა და იგი მთელ დაბას თუ ქვემო იმერეთს წვდებოდა. ა.ვ. პაუდეკის მიერ შედგენილი ე.წ. „გიმნასტიკის დილის" პროგრამის განხორციელებით დასრულდა ხონის სკოლებში მეცადინეობა 1910 სასწავლო წელს.

---

24. იქვე, საქ. 374, ფურ. 1-2.

25. ა.პაუდეკის შესახებ იხ. გ.ბახტაძის სტატია, ჟურ. „სკოლა და ცხოვრება", 1960, N11, გვ. 83.

# Програма
## Гимнастическаго утра 9го мая, 1910 г. м. Гори.

...гимназія: 1. Вольныя движенія. (всѣ кл.)
2. Игры: а) Бой пѣтуховъ.
в) Двое слѣпыхъ.

...инарія 3. Упражненія съ палками. (всѣ восп.)

...ал. училище: 4. Игры: Чехарда, „Третій лишній" } II, V отд.
Перетягиваніе веревки. III отд.
„Двое слѣпыхъ". II отд.
„Кошка и мышка". I отд.

...инарія: 5. Упражненія съ булавами. (50 восп.)

...гимназія: 6. Игра „Лабиринтъ". I, II, III кл.

...инарія: 7. Прыганіе въ вышину, III кл.
„ въ длину, I кл.
черезъ козла, II кл.
Прыгалка. Приг. кл.

...альн. учил.: 8. Подвижная игра съ пѣніемъ: „Заинька" (всѣ отд.)

...инарія: 9. Подвижная игра съ пѣніемъ: „Солдатики". (Пр, I, II кл.)
10. Игра въ мячи:
а) „Кто скорѣе"
в) Англійская игра въ мячи.

...огимназія: 11. Упражненія съ флагами. (ст. пр. – I кл.)
12. Пирамида.

„გიმნასტიკის დილის“ პროგრამა

Программа
литературного утра въ начальномъ при Кутаисской учительской семинаріи училищѣ
31 марта 1913 года

1 Гимнъ исполн. хоръ
2 Чтеніе съ туманными картинами
„Спящая царевна" [illegible]
3. „Смело други мы трудимся" хоръ
4. „[illegible]" хоръ
5 Весна, стих. Баратынскаго [illegible]
6. გაზაფხული (Весна) [illegible]
7 გაზაფხული (Весна) [illegible]
8 Птичка, стих. Туманяна [illegible]
9. [illegible] (Мотылекъ [illegible]) [illegible]
10 Игра въ бабки, стих. Крылова [illegible]
11. „[illegible]" стих. [illegible]
12. Ворона и курица, Крылова [illegible]
13. [illegible]
14. „[illegible]"
15. „[illegible]" исп. хоръ
16. Какъ хороши [illegible]
17 „Румяной зарей"
18. Ласточка, стих. [illegible]
19. [illegible] (Мотылекъ) [illegible]
20. [illegible] (Утренняя роса) В. Гюго. [illegible]
21. „Ахъ, ты воля, моя воля..." хоръ
22 „Ахъ, вы сени..."
23. Юмористическія туманныя картины.
24. „[illegible]" хоръ

Учит. [illegible]

1913 წლის 31 მარტს ჩატარებული ლიტერატურული დილის პროგრამა

Программа
литературного утра въ начальномъ при Кутаисской учительской семинарии училище 6 декабря 1913 г.

1. Гимнъ — исполнитъ хоръ уч-ся
2. „Кавказский пленникъ" — Гр. Л. Толстого — [illegible] съ туманными картинами.
3. „[illegible]" („Въ [illegible]") — испол. хоръ
4. [illegible] ([illegible]) — В. Цисхи[illegible]
5. Осень, стих. Плещеева — М. [illegible]
6. [illegible] ([illegible] мужичокъ) — С. [illegible]
7. [illegible] въ волчьей шкурѣ — В. Чанкотадзе
8. [illegible] (Осень) стих. Акакія — Г. Санадзе
9. Осень, стих. Медведева — [illegible] Ф.
10. „Конь на горѣ [illegible]" — исп. хоръ
11. „Осенняя картина" — И. Чанкотадзе
12. Встрѣча зимы — К. Шамугия
13. [illegible] (Зима) Р. Эристави — К. Бакрадзе
14. Левъ и лиса, Крылова — И. Цискишвили
15. Пѣтухъ и жемчужное зерно — А. Какабадзе
16. [illegible] ([illegible]) — Д. Чавчанидзе
17. „[illegible]" — испол. хоръ
18. „[illegible]" — хоръ
19. „[illegible]" (Колыбельная пѣсня) — хоръ
20. Туманныя картины: а) храмы и соборы
а) Юмористические
~~б) храмы и соборы~~

Учит. [illegible]
[illegible]

1913 წლის 6 დეკემბერს ჩატარებული ლიტერატურული დილის პროგრამა

# 1916

# ПРОГРАММА

## Спектакля въ Кутаисской Учительской Семинаріи

**Пятница, 19-го Февраля.**

I.

# ირინეს ბედნიერება.

დ. კლდიაშვილის ნაწარმოები.

I მოქმედება.

მომქმედნი პირნი:

1. აბესალომ სალაშთაძე. — კაპ. ჯორბენაძე.
2. ფილიპე ბარბაქაძე — ილ. კოპალიანი.
3. ირინე, ამისი ქალიშვილი — ძ. სანოძე.
4. ვიქტორი — პლ. კეშელავა.
5. პავლე როდამიშვილი — ივ. ბარაბაძე.

Постановка *А. Г. Харабадзе.*

II.

# ОРЛЫ РОССІИ

ИЛИ

(Вторая отечественная война)

**Драматическій этюдъ съ музыкой и пѣніемъ**

Соч. **Ал. Красникова.**

Дѣйствующія лица:

Учитель — М. Цагурія.
Писарь — К. Джорбенадзе.
Урядникъ . — С. Кутателадзе.
Антипычъ.-Старикъ ветеранъ — П. Рамишвили.
Петрусь.-Крестьянинъ — С. Схулухія.
Молодецъ.-Солдатъ — С. Марченко.
Молодуха.-Его жена. — Н. Кутателадзе.

Крестьяне, крестьянки, дѣти.

Дѣйствіе происходитъ въ деревнѣ въ день отправки войскъ и объявленія войны.

Постановка *А. В. Гаудека.*

III.

# РУССКІЕ СОЛДАТИКИ.

## (Въ окопахъ).

**Картинка Великой войны 1914 года въ I-мъ дѣйствіи, съ музыкой и пѣніемъ.**

Соч. **Ап. Красникова.**

Дѣйствующія лица:

Офицеръ — С. Марченко.
Прапорщикъ — Т. Лагвилава.
Сестра Милосердія — Н. Кутателадзе.
Лещукъ, унтеръ-офицеръ — Ш. Панцулая.
Деньщикъ. — В. Панцулая.
Коляда, рядовой солдатъ — Д. Купрейшвили.

Солдаты, санитары, часовой.

Постановка *А. В. Гаудека.*

## НАЧАЛО ВЪ 6 ЧАС. 30 М. ВЕЧЕРА.

Принимаются добровольныя по жертвованія въ пользу раненыхъ и семействъ пострадавшихъ воиновъ.

Сцена и декораціи художниковъ-**В. І. Домашевскаго** и **Г. М. Павлова.**

Дежурный и отвѣтственный наставникъ **А. Г. Харабадзе.**

Директоръ Семинаріи **В. Г. Павловскій**

Тип. Кут. Отд. О-ва Распр. Гр. среди грузинъ

1916 წლის 19 თებერვალს სემინარიაში ჩატარებული საღამოს პროგრამა

„გიმნასტიკის დილა“ ჩატარდა 1910 წლის 9 მაისს. მასში სემინარიელებთან ერთად მონაწილეობდნენ დაწყებითი სკოლისა და ვაჟთა პროგიმნაზიის მოსწავლეები. შემონახულია ამ „დილის“ პროგრამა, რომელშიც ბევრი საინტერესო ნომერი იყო გათვალისწინებული. მაგალითად: თამაშობები: მამლების, ორი ბრმის ბრძოლა, ართურმა, მესამე ზედმეტია, თოკის გადაძლევა, კატა და თაგვი, ლაბირინთი, ხტომა სიმაღლეზე, სიგრძეზე, მოძრავი თამაში სიმღერით, ვინ უფრო სწრაფად, ბურთის თამაში, ინგლისური თამაში ბურთით, ვარჯიში დროშებით, კვერთხებით და ჯოხებით. პროგრამა სრულდებოდა მონაწილეთა გრანდიოზული პირამიდით. უკრავდა სემინარიის სასულიერო ორკესტრი.[26] სანახაობამ დაბის მოსახლეობაზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.

სასწავლო ოლქის მზრუნველი სემინარიის დირექტორის ალექსი ჭიჭინაძისადმი გამოგზავნილ წერილში კმაყოფილებას გამოთქვამდა საინტერესო სპორტული დილის ჩატარების გამო და თხოვდა მომავალშიც სასწავლო წელი ასეთი ღონისძიებებით დაემთავრებიათ.[27]

მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდას ემსახურებოდა სიმღერა-მუსიკის გაკვეთილები, მაგრამ მასწავლებლები, განსაკუთრებით ა.პაუდეკი და საერთოდ სემინარიის ხელმძღვანელობა ამ საქმეში მარტო გაკვეთილებით არ შემოიფარგლებოდნენ. სემინარია სოლიდურ თანხას ხარჯავდა მუსიკალური ინსტრუმენტების შესაძენად, ჩამოყალიბებული იყო მოსწავლეთა გუნდი და სასულე ორკესტრი, რომელსაც ხონში ჩამოსვლისთანავე სათავეში ჩაუდგა ა. პაუდეკი. მან სასულე ორკესტრი სასწავლებლის კედლებიდან ხალხის წინაშე გამოიყვანა. თანამედროვეთა გადმოცემით, კვირა საღამოობით სემინარიის წინ, მოსწავლეები ა.პაუდეკის ხელმძღვანელობით, ასრულებდნენ სხვადასხვა მუსიკალურ ნაწარმოებებს, რასაც დამსწრე საზოგადოება აღტაცებაში მოჰყავდა.

ა.პაუდეკი ხალხური სიმღერების კარგი მცოდნე და დახელოვნებული ლოტბარი იყო. მან მალე გაიცნო და ღრმად შეისწავლა ქართული საგუნდო სიმღერები, რომლებსაც წარმატებით ასწავლიდა.

---

26. ქცსა, ფ. 121, საქ. 851, ფურ. 3.
27. იქვე, ფურ. 4.

ამასთან ერთად იგი ქართული კლასიკური მუსიკის ბრწყინვალე წარმომადგენლების: ზ.ფალიაშვილის, მ. ბალანჩივაძის, ა.ყარაშვილის, ნ.სულხანიშვილის, დ.არაყიშვილის ქმნილებათა პოპულიზატორი და პროპაგანდისტი იყო.

ა. პაუდეკის შრომამ გარკვეული ნაყოფი გამოიღო. მის მიერ აღზრდილი მოსწავლეების ერთმა ჯგუფმა ხონში შექმნა მუსიკალური ამხანაგობა, რომელიც მომსახურებას უწევდა დაბის და ახლომახლო სოფლების მოსახლეობას.[28]

სემინარიაში მოსწავლეები ეუფლებოდნენ ხატვისა და ძერწვის ელემენტარულ წესებს, მათი ნამუშევრები ხშირად იგზავნებოდა სხვადასხვა სახის გამოფენებზე.

მოსწავლეთა ესთეტიკური და მორალურ-პატრიოტული აღზრდის საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლიტერატურულ-მუსიკალურ და თეატრალიზებულ დილა-საღამოებს, რომლებიც ხშირად და, უმეტეს შემთხვევაში მაღალ დონეზე, ტარდებოდა სემინარიაში. მართალია ასეთი ღონისძიებანი, ძირითადად, რუსეთის ისტორიის, ლიტერატურის, კულტურის საკითხებს ეძღვნებოდა და მიზნად ისახავდა მოსწავლეებში მეფისა და მისი თვითმპყრობელობისადმი უქვეშევრდომილესი გრძნობების აღზრდას, მაგრამ ქართველი პედაგოგები, ლიბერალურად განწყობილი რუსი კოლეგების მხარდაჭერით, ვ.სოკოლოვისა და ვ.დევიცკის დირექტორობის უმკაცრეს პირობებშიც კი, ახერხებდნენ მათში ეროვნული ელემენტები ჩაერთოთ. 900-იან წლებში (ალ.ჭიჭინაძის, ვლ.პავლოვსკის და ათ.ხარაბაძის დირექტორობის დროს) ამ მხრივ ვითარება რადიკალურად შეიცვალა.

სემინარიის ფონდში დაცულია ასეთი დილა-საღამოების პროგრამები, რომლებიც საინტერესო მასალებს იძლევიან სასწავლებელში ამ მიმართულებით ჩატარებული მუშაობის შესახებ.

1885 წლის 6 აპრილს სემინარიაში აღინიშნა სლავთა განმანათლებლების კირილესა და მეთოდეს მოღვაწეობიდან ათასი წლისთავი.[29] სადღესასწაულო სხდომაზე ვრცელი მოხსენება გააკეთა რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ივ.პეტროვმა,

---

28. გ.ბახტაძე, დასახ.სტატია.
29. ქცსა, ფ. 121, საქ. 68 ფურ. 8-26.

რომელმაც ხაზი გაუსვა რუსული ეკლესიის დიდ დამსახურებას ქართული ეკლესიის წინაშე. ივ.პეტროვის ქართველმა აღსაზრდელებმა, ცხადია იცოდნენ ამ „დამსახურების" შესახებ, რისი შედეგიც იყო ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის-ავტოკეფალიის ხელყოფა და მისი რუსეთის სინოდისადმი დამორჩილება.

1884 წლის ნოემბერში და 1909 წლის ოქტომბერში ლიტერატურულ-ვოკალურ-მუსიკალური საღამოები მიეძღვნა პოლტავის გამარჯვებიდან 175 და 200 წლისთავებს. პირველ მათგანში მონაწილეობდნენ შემდეგში ცნობილი პედაგოგები: ლუარსაბ ბოცვაძე, ლაზარე ხმალაძე, გიორგი ბოკერია, სიმონ გოგლიჩიძე და ლავრენტი ჩიმაკაძე.[30]

1886 წლის 14 ნოემბერს და 1887 წლის 6 დეკემბერს სემინარიაში ორი მუსიკალურ-ლიტერატურული საღამო ჩატარდა (დაცულია მათი პროგრამები). მოსწავლეთა გუნდისა და ორკესტრის მიერ შესრულებულ იქნა რუსული სიმღერებისა და კლასიკური მუსიკის ნიმუშები, წაიკითხეს ა.პუშკინის, მ.ლერმონტოვის და სხვათა ლექსები.

განსაკუთრებით საინტერესოა 1894 წლის 15 მაისს ჩატარებული ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო. პროგრამიდან ჩანს, რომ სემინარიამ თავი დააღწია ვ.სოკოლოვის კლანჭებს და ოდნავ შვებით ამოისუნთქა. მოვიდა ახალი დირექტორი-მ.მოხირი, წინანდელთან შედარებით ლიბერალურად განწყობილი პიროვნება. ლიტერატურულ საღამოზე ფართოდ იყო წარმოდგენილი ქართული თემა. აჩვენეს ე.წ. ბუნდოვანი სურათები, რასაც თან ახლდა ვრცელი და შინაარსიანი მოხსენება სვეტიცხოვლის მონასტერზე (მომხსენებელი მოსწავლე კიკალეიშვილი), დომენტი ოყრეშიძემ, შემდეგში ცნობილმა პედაგოგმა და პოეტმა (წერდა თომაშვილის ფსევდონიმით) მსმენელებს მოუთხრო ქართველთა განმანათლებლის წმინდა ნინოს ცხოველმყოფელი ჯვრის შესახებ და წაიკითხა ვახტანგ ორბელიანის ლექსი „ჯვარი ვაზისა", მოსწავლე ცაგარეიშვილი აუდიტორიის წინაშე წარსდგა რაფიელ ერისთავის ლექსით „სამშობლო ხევსურისა". გლინკას ნაწარმოების შესრულებით (ვიოლინოზე) თავი გამოიჩინა, შემდეგ ცნობილმა პედაგოგმა, რევო-

30. იქვე, საქ. 105.

ლუციონერმა და საზოგადო მოღვაწემ ალექსანდრე (სანდრო) ჩხეტიამ.

საღამო მოამზადა და მის ჩატარებას ხელმძღვანელობდა სიმღერისა და მუსიკის მასწავლებელი ა.სუსლოვი. ამ საღამოსთან დაკავშირებით კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა სემინარიის დირექტორსა და ა.სუსლოვს მადლობა გამოუცხადა.[31]

სემინარიაში ლიტერატურულ-ვოკალურ-მუსიკალური საღამოებით აღინიშნა პუშკინის, გრიბოედოვის, გოგოლის დაბადებიდან ასი, ხოლო ლომონოსოვის დაბადებიდან 200 წლისთავი, პეტერბურგის დაბადებიდან 200 წლისთავი და მრავალ სხვა.

ცალკე საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ გრანდიოზულ, სამგანყოფილებიან საღამოზე, რომელიც 1916 წლის 19 თებერვალს ჩატარდა სემინარიაში. საღამო მოსწავლე სცენისმოყვარეთა და მათი ხელმძღვანელების შემოქმედებითი ძალების ნამდვილი დათვალიერება იყო. პირველ განყოფილებაში წარმოადგინეს დავით კლდიაშვილის პიესის „ირინეს ბედნიერება" პირველი მოქმედება. მონაწილეობდნენ: კაპ. ჯორბენაძე (აბესალომ სალამთაძე), ილ.კოპალიანი (ფილიპე ბარბაქაძე), ქ.სანოძე (ირინე), პლ.კეშელავა (ვიკტორი), ივ.ბარაბაძე (პავლე როდამიშვილი). სპექტაკლი დადგა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ათანასე გაბრიელის ძე ხარაბაძემ.

მეორე განყოფილებაში წარმოდგენილი იქნა ალ.კრასნიკოვის თხზულება „რუსეთის არწივები ანუ მეორე სამამულო ომი"-დრამატული ეტიუდი სიმღერითა და მუსიკით (რუსულ ენაზე). მასში მონაწილეობდნენ: პ.თარგამაძე (ოფიცერი), გ.ცაგურია (მასწავლებელი), კ.ჯორბენაძე (კანცელარიის მწერალი), ს.ქუთათელაძე (ურიადნიკი), პ.რამიშვილი (ანტიპიჩი, ძველი ვეტერანი), ს.სულუხია (პეტრუს-გლეხი), ს.მარჩენკო (ყოჩალი-ჯარისკაცი), ნ.ქუთათელაძე (მისი ცოლი). მასობრივ სცენაში მონაწილეობდნენ სხვა სემინარისტები, რომლებიც წარმოადგენდნენ გლეხებს, გლეხის ქალებსა და ბავშვებს, მოქმედება ხდებოდა სოფელში ომის გამოცხადების გამო ფრონტზე ჯარისკაცების გაგზავნის დღეს.

მესამე განყოფილებას შეადგენდა კვლავ ალ.კრასნიკოვის თხზულება „რუსი ჯარისკაცები"-„Русские салдатики" (სანგრებში), 1914

31. ქცსა, ფ. 121, საქ. 447, ფურ. 8,9,14.

წლის ომის სურათი ერთ მოქმედებად, მუსიკითა და სიმღერით (რუსულ ენაზე). მონაწილეობდნენ: ს.მარჩენკო (ოფიცერი), ტ.ლაგვილავა (პრაპორშჩიკი), ნ.ქუთათელაძე (მოწყალების და), შ.ფანცულაია (ლეშჩუკი-უნტერ ოფიცერი), ვ.ფანცულაია (დენშჩიკი), დ.კუპრეიშვილი (რიგითი ჯარისკაცი). მასობრივ სცენაში მონაწილეობდნენ მოსწავლეები, რომელიც განასახიერებდნენ: ჯარისკაცებს, სანიტრებსა და გუშაგებს. რუსული პიესები დადგა ანტ. პაუდეკმა. სპექტაკლები მხატვრულად გააფორმეს (დეკორაციები და სხვ.) მხატვრებმა ვ.ი.დომაშევსკიმ და გ.მ.პავლოვმა.

საღამოს ჩატარებაზე პასუხისმგებელი იყო ათ.ხარაბაძე (სემინარიის დირექტორი ვლ.პავლოვსკი). დაიბეჭდა საღამოს ლამაზად გაფორმებული პროგრამა,[32] მოსწავლეთა სპექტაკლებს არნახული წარმატება ხვდა წილად არა მარტო სემინარიაში, არამედ მთელი დაბის მოსახლეობაში. საერთოდ, მოსწავლეთა მხატვრული შემოქმედება სემინარიის კედლებით არ შემოიფარგლებოდა. იგი ხონის კულტურული ცხოვრების შემადგენელი ნაწილი იყო.

ცოტა ადრე, 1914 წლის ზაფხულში, სემინარია მასპინძლობდა ცნობილ რუს მხატვარს სტეფანე უვაროვს, რომელიც საქართველოში მოგზაურობდა. მან ალექსი ჭიჭინაძის თხოვნით სემინარიაში ლექცია წაიკითხა ხელოვნებაზე და გულდასმით გაეცნო ხონს. მასზე განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სასწავლებლების რაოდენობამ და მოსახლეობის გასაოცარმა სწრაფვამ განათლებისა და კულტურისაკენ. ძნელი დასაჯერებელი აღმოჩნდა მისთვის ისიც, რომ ამ პატარა დაბიდან რუსეთისა და საზღვარგარეთის საუნივერსიტეტო ქალაქებში რამდენიმე ათეული სტუდენტი სწავლობდა.[33]

სემინარიაში მტკიცედ იყო დამკვიდრებული კავკასიის ფარგლებში მოსწავლეთა ექსკურსიების მოწყობის ტრადიცია, რომლის ერთ-ერთ მიზანს მხარის გაცნობასთან ერთად, ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდა შეადგენდა. ასეთი ექსკურსიების ჩატარებამ სისტემატიური და გეგმაზომიერი ხასიათი მიიღო ალექსი ჭიჭინაძის დირექტორობის დროს. ექსკურსიები, სასწავლო პროცესში ჩაერთო. მათ წინ უძღოდა დიდი მოსამზადებელი სამუშაოები-მარშრუტის შედგენა,

---

32. იქვე, საქ. 1052, ფურ. 1.

33.С.Уваров, Хони, „Черноморский альманах", 1914, N4.

დავალების განაწილება მოსწავლეთა შორის, დასათვარიელებელი ობიექტების შერჩევა, სათანადო ლიტერატურის გაცნობა, სახსრების გამონახვა, სასწავლო ოლქისგან ნებართვის მიღება და ა.შ.

მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი ექსკურსია მოეწყო 1910 წლის ივნისში მარშრუტით: ხონი-სამტრედია-ფოთი-ახალი ათონი-ბათუმი-ჩაქვი-ჭიათურა-ქუთაისი-ხონი. მასში მონაწილეობდა 17 კურსდამთავრებული და 2 პედაგოგი.[34]

ექსკურსიების ჩატარება კავკასიის გასაცნობად მნიშვნელოვნად აფართოვებდა მოსწავლეთა ჰორიზონტს.

## 8. სემინარიის კურსდამთავრებული

სამი კლასის დამთავრების შემდეგ მოსწავლეები, სემინარიის პედაგოგიური საბჭოს მთელი შემადგენლობის წინაშე, აბარებდნენ საკმაოდ მკაცრ გამოცდებს თეორიულ საგნებში (რუსულ ენასა და მათემატიკაში წერით) და ატარებდნენ საჩვენებელ გაკვეთილებს. შეფასება ხდებოდა შემდეგნაირად: „დამაკმაყოფილებელი" და „სავსებით დამაკამაყოფილებელი". ვინც ყველა საგამოცდო საგანში მიიღებდა დამაკმაყოფილებელ შეფასებას ენიჭებოდა დაწყებითი სკოლის მასწავლებლის წოდება და ეძლეოდა შესაბამისი მოწმობა, რომელშიაც აღნიშნული იყო: გარდა ამისა (თეორიული საგნებისა, პ.ვ.) სწავლობდა: 1. სიმღერა-გალობას, 2. მუსიკას სიმებიანს და სამხედროს, 3. სასოფლო მეურნეობას: ა. მებოსტნეობა-მებაღეობას, ბ.მეფუტკრეობას და გ. მეაბრეშუმეობას, 4. წიგნების კაზმვას, 5. ხელგარჯილობას (სადურგლო, საზეინკლო საქმეს, ხატვას, ძერწვას), 6. გიმნასტიკას.

XIX საუკუნის 90-იან წლებში სახელმწიფო ერთი მასწავლებლის მომზადებაზე 3572 მანეთს ხარჯავდა.[35] ფულის მაშინდელი კურსის მიხედვით ეს საკმაოდ სოლიდური თანხა იყო.

სოფლის დაწყებითი სკოლებისათვის სახალხო მასწავლებელთა პირველი ნაკადი სემინარიამ 1884 წელს გამოუშვა. ხონის სემინარიის პირველი კურსდამთავრებულები იყვნენ: ილია ამაღ-

34. ქცსა, ფ. 121, საქ. 852, ფურ. 1-3.
35. ქცსა, ფ. 121, საქ. 340, ფურ. 4.

ლობელი, მოსე ბურჯანაძე, ანტონ გასიევი, იერემია გულისაშვილი, გიორგი ჯულელი, გერასიმე ქიქოძე, ლევან ყიასაშვილი (კიასოვი), დარისპან მარგიანი, ლავრენტი მახარაძე, მიტროფანე მაჭარაძე, ვასილ მებურიშვილი, ალექსი მიქელაძე, დავით ნაზარიშვილი (ნაზაროვი), ალექსანდრე პეტროვი, ონისიმე სანიკია, არქიფო ტყემალაძე, ანდრეი ტუზოვი, სიმონ ცინცაძე, არსენ წითლაძე, ივანე ცხაკაია-სულ 20 ახალგაზრდა.[36]

სემინარიის საიუბილეო-25ე გამოშვება 1909 წელს ასეთი შემადგენლობის იყო: გრიგოლ გეგენავა, ალექსანდრე ქორქია, გრიგოლ სტრაშნენკო, ვარლამ ძიძიგური, თევდორე კლოჩკოვი, ნიკოლოზ როტენკო, ეგნატე დარსაველიძე, დოროთე კიტია, ნიკიფორე ლაშხი, ალექსანდრე პოპოვი, ვასილ ჭანია, ნოე ქუთათელაძე, ვასილ სანაძე, ილია გოგია, ნიკოლოზ ყარამახმუდოვი, იოსებ ოსტროუხოვი, აკაკი გაბისონია, დავით ბახტაძე, პროკოფი ჩერნიკოვი, გიორგი ჭანტურია, გიორგი ფარულავა.[37]

სემინარიის კურსდამთავრებულთა მოღვაწეობის სფერო მთელი კავკასია იყო. ისინი მუშაობდნენ პირველ რიგში ქუთაისის გუბერნიის, შემდეგ თბილისის გუბერნიის, თერგისა და ყუბანის ოლქების სახალხო სკოლების დირექციებს დაქვემდებარებულ სასწავლებლებში. ხონის სემინარიის კურსდამთავრებულებს შეხვდებოდით კავკასიის სხვა რეგიონებშიც. ისინი მასწავლებლობდნენ კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების სკოლებში.

ხონის საოსტატო სემინარია დაწყებითი სკოლის მაღალკვალიფიციურ კადრებს ამზადებდა. მათი ძირითადი ნაწილი საქმის ცოდნითა და სიყვარულით, კეთილსინდისიერად ასრულებდა სახალხო მასწავლებლის მაღალ მოვალეობას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კურსდამთავრებულთა დაახლოებით 80 პროცენტი ქართველი იყო და თავის აღსაზრდელებს საქართველოს, მისი ისტორიის და კულტურის სიყვარულს უნერგავდა. ხონის სემინარიის კურსდამთავრებულთა გარკვეული ნაწილი აქტიურად მონაწილეობდა ცარიზმის წინააღმდეგ მიმართულ ქართველი ხალხის ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში.

36. იქეა, საქ. 448-ფ. 1-5.
37. იქეა, საქ. 823. ფურ. 1-2.

სემინარიას მჭიდრო კავშირი ჰქონდა თავის კურსდამთავრებულებთან. სახელმწიფო ბიუჯეტით გარკვეული თანხა იყო გათვალისწინებული (200 მან.) კურსდამთავრებულთა დასაჯილდოებლად. სემინარიის დირექცია ზრუნავდა მათი აღზრდილების დასაქმებაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით ხშირად მიმართავდა კავკასიის სასწავლო ოლქს, სახალხო სასწავლებლების დირექციებს, განათლების სამინისტროსაც კი. ასევე სისტემატიურად მოითხოვდა მათგან ცნობებს სემინარიის კურსდამთავრებულთა მოღვაწეობის შესახებ. სემინარიის ფონდში დაცულია ბევრი მასალა იმისა, თუ როგორ ასრულებდნენ ისინი თავიანთ მოვალეობას. ასე მაგალითად, 1887 წლის 15 დეკემბერს, თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი ხონის სემინარიის დირექტორს, მისი თხოვნის საფუძველზე, აცნობებდა, რომ თბილისის გუბერნიაში საკმაო წარმატებით მუშაობდნენ ხონის სემინარიის კურსდამთავრებულები: ალექსი ბალანჩივაძე, ირემია გულისაშვილი, ანტონ გასიევი და ალექსი მიქელაძე.[38]

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა 1912 წლის 12 დეკემბერს შედგენილი სია ხონის სემინარიის კურსდამთავრებულთა, რომლებიც ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების სასწავლებელში მუშაობდნენ. გავეცნოთ ზოგიერთ მათგანს:

| | სახელი და გვარი | რომელ სასწავლებელში მუშაობს | რამდენი წელია მუშაობს დირექციის დაქვემდებარებაში | მასწავლებლობის როგორი თვისებები გამოამჟღავნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| | ქუთაისისა და სენაკის მაზრა | | | |
| 1. | ვარლამ ძიძიგური | მ უ ჟ ა ლ ი ს სკოლა | 3 | მასწავლებელი და ადმინისტრატორი კარგია |
| 2. | კორნელი ბახტაძე | კულაშის საზ. | 6 | საშუალო მასწავლებელია |
| 8. | ილარიონ ქუთათელაძე | იეან-დიდის სკოლა | 25 | კარგი მასწავლებელია |

38. იქვე, საქ. 250. ფურ. 5.

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| 25. | ივანე გაჩეჩილაძე | ენერის სკო-ლა | 9 | კარგი მასწავლებე-ლია |
| 31. | მიხეილ თათარაშვილი | ახ.სენაკის ნორ. სასწ. | 12 | საშუალო, ავად-მყოფი |
| | ლეჩხუმის მაზრა | | | |
| 55. | დავით მარგიანი | | 28 | სავსებით კარგი მასწავლებელი |
| 60 | კონსტანტინე ჩხეტია | ჭყვიშის სკო-ლა | 2 | დამაკმაყოფილებე ლი |
| | რაჭის მაზრა | | | |
| 64 | მიხეილ კორძახია | ბუგეულის სკოლა | 16 | კარგი |
| 67. | დოროთე ფირცხალავა | სადმელის 1 კლას. სკოლა | 1 | დამაკმაყოფილებე-ლი |
| | შორაპნის მაზრა | | | |
| 69. | ვლადიმერ არეშიძე | ყვირილის 2 კლ. სკოლა. | 11 | ძალზე კარგი |
| 80. | ბაგრატ კიკნაძე | კიცხის 2კლ. სკოლა | 1 | არადამაკმაყოფი-ლებელი |
| | ბათუმის ოლქი და ოზურგე-თის მაზრა | | | |
| 95. | დავით ფოცხიშვილი | ბასილეთის სკოლა | 14 | კარგი |
| 103. | ვასილ სანოძე | ლანჩხუთის | 3 | დამაკმაყოფილებე-ლი |
| | ზუგდიდის მაზრა | | | |
| 127. | დოროთე კიტია | ხეთის 2 კლ. სასწ. | 3 | კარგი |
| 128. | ერასტი როდონაია | ხოფის 2კლ. სასწ. | 18 | სავსებით დასაკმ.[39] |

სიაში შეტანილ 136 კურსდამთავრებულიდან-48 მასწავლებელი (36,3%)-არადამაკმაყოფილებლად ასრულებდა თავის მოვალეობას, 51 მასწავლებელი (37,4%)-დამაკმაყოფილებლად და მხოლოდ 31 მასწავლებელი (22,3%) სავსებით დამაკმაყოფილებლად. სხვები შე-ფასებული არ იყვნენ.

39. იქვე, საქ. 981, ფურ. 3-5.



ალექსანდრე ჩხეტია



ეუკოლ მიხეილის ძე ბერიძე



ვარლამ დავითის ძე ძიძიგური



იერემია დიმიტრის ძე გულისაშვილი



გიორგი ლავრენტის ძე ბოკერია



მელიტონ გობეჩია



დომენტი თომაშვილი–ოყრეშიძე

ქვემოთ დავინახავთ, რომ ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექციის მიერ ხონის სემინარიის კურსდამთავრებულთა ასეთი შეფასება უაღრესად ტენდენციურია და მიმართული იყო სემინარიის დირექტორის-ალექსი ჭიჭინაძის წინააღმდეგ. ეს უკანასკნელი დაბეჯითებით ებრძოდა ქუთაისის სახალხო სკოლის დირექციას, რომელიც ასევე დაჟინებით ცდილობდა დაენერგა სწავლების ანტიპედაგოგიური, ანტიეროვნული-ბუნებითი ანუ მუნჯური მეთოდი.

**ხონის სემინარიის ბევრმა კურსდამთავრებულმა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი სახალხო განათლების სარბიელზე. მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ლუარსაბ გერასიმეს ძე ბოცვაძე (1865-19198ნნ)-თვალსაჩინო პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული პედაგოგიკური აზროვნების განვითარებაში. მას თანამედროვენი „მეორე გოგებაშვილს", „გოგებაშვილის პირდაპირ მემკვიდრეს" უწოდებდნენ.** იგი ხონის სემინარიაში სწავლობდა 1884-1888 წლებში, დამთავრების შემდეგ, მასწავლებლობასთან ერთად, აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („ივერია", „მოამბე", „მწყემსი" და სხვ.). ლუარსაბ ბოცვაძე თავის პუბლიცისტურ წერილებსა თუ მეცნიერულ-თეორიულ სტატიებში მტკიცედ იცავდა მოწინავე პედაგოგიკურ შეხედულებებსა და პრინციპებს. 1908 წელს მან დაარსა სამეცნიერო-პედაგოგიკური და ლიტერატურული ჟურნალი „განათლება", რომლის პირველი ნომრის მოწინავეში წერდა: „უმთავრესი ძირი კულტურული ცხოვრებისა ენაა. სამშობლო ენა ის ნიადაგია, რომელზედაც აღმოცენდება ნორმალური, კულტურული ზრდა და განვითარება ხალხისა. ამიტომ სწავლა-განათლება უსათუოდ სამშობლო ენაზე უნდა იყოს მოწყობილი. ეს აუცილებელი პირობაა, რომლის გარეშე შეუძლებელია განმანათლებელ დაწესებულებათა მოქმედება და ამასთან ძირითადი მოთხოვნილებაა ამ დროის და, თუ გნებავს, ყველა დროის პედაგოგისაა".[40]

**ლუარსაბ ბოცვაძე იყო მგზნებარე პატრიოტი და ჰუმანისტი,**

---

**40. ლ.ბოცვაძის შესახებ იხ. ი. ჭკუასელი, ლ. ბოცვაძე, თბ. 1964.**

რომელმაც დიდი ამაგი დადო ეროვნული მსოფლმხედველობით ქართველი ახალგაზრდობის აღზრდის დიდ, საშვილიშვილო საქმეს.

ხონის საოსტატო სემინარიაში მიიღო საშუალო პედაგოგიური განათლება თვალსაჩინო მეცნიერმა, პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ვუკოლ მიხეილის ძე ბერიძემ (1883-1963წწ).

ხონის საოსტატიო სემინარიის ისტორიის ფურცლები გააცოცხლა და იქ გატარებული წლების შესახებ ხატოვნად მოგვითხრო ცნობილმა პედაგოგმა, საზოგადო მოღვაწემ, თავისი მშობლიური მხარის დიდმა გულშემატკივარმა და მოამაგემ-ვარლამ დავითის ძე ძიძიგურმა (1888-1957). საყურადღებო მოგონებებში „გზები და ადამიანები" (თბ.1965).

ხონის სემინარიის კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი მასწავლებლობასთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ მოძრაობაში, ცდიდა კალამს ქართულ ლიტერატურასა და პუბლიცისტიკაში. მათ შორის ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურაა ცნობილი პედაგოგი, რევოლუციონერი და მწერალი მელიტონ გრიგორის ძე გობეჩია (1878-1914წწ).

იგი ხონის სემინარიაში 1893-1897 წლებში სწავლობდა. თვით მელიტონი სემინარიის პანსიონში ყოფნას ასე იგონებდა: „დახურულ პანსიონში დამწყვდევა. ლაქუცა დირექტორი, ქართული ენის ზაფრიანი მასწავლებელი, რომელიც ქართულ გრამატიკას რუსულად გვიხსნიდა. ჩუმად კითხვა ახალი ქართული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთებისა, რომელთაც ერთი ამხანაგი-მოსწავლის მამის სახელზე ვიბარებდით. ჩვენი საკუთარი ჟურნალი-ლექსებით, მოთხრობებით და კრიტიკული წერილებით გავსებული, რომელიც იმავე მასწავლებელს ხელთ ჩაუვარდა და თავის ქნევით დაგვემუქრა-ამას სახსოვრად შევინახავო... შეტაკება დირექტორ-მასწავლებლებთან და გულგრილად დატოვება სასწავლებლისა..."

ცხოვრების საინტერესო გზა განვლო მელიტონ გობეჩიამ, თანამშრომლობდა „ცნობის-ფურცელში". 1906 წელს ემიგრაციაში წავიდა პარიზში. 1910წელს დაამთავრა სორბონის უნივერსიტეტი და გაზ. „სახალხო საქმეს" ჩაუდგა სათავეში. 1911 წელს დააპა-

ტიმრეს და გარდაიცვალა ხარკოვის ციხეში. გამოქვეყნებული აქვს ლექსებისა და პოემების რამდენიმე კრებული.[41]

ხონის სემინარიის კურსდამთავრებულები იყვნენ ცნობილი პედაგოგები, საზოგადო საქმისთვის თავდადებული პიროვნებები: თორნიკე ზურაბის ძე გეგეშიძე (1877-1941), იერემია დიმიტრის ძე გულისაშვილი (1863-1958), იასონ ნიკოლოზის ძე ნიკოლაიშვილი (1865-1941), დომენტი ოყრეშიძე (თომაშვილი 1876-1952), არქიფო ტყემალაძე, კორნელი ალექსანდრეს ძე ქაცარავა (1881-1938), ერმილე დავითის ძე შარაშიძე (1860-1939), ანდრო ანტონის ძე შუბლაძე (1875-1958), ალექსანდრე (სანდრო) დავითის ძე ჩხეტია (1873-1949)...

ხონის სემინარია დაამთავრეს: თედორე (სოსო) მოსეს ძე ბუაჩიძემ (1900-1937). იყო მეორე ქართული, მსროლელთა დივიზიის მეთაური, სსრ კავშირის ცაკის წევრი, სამსონ ანდროს ძე მამულიამ (1891-1937)-საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივანი და სხვ.

## 9. ხონის სემინარია-საშუალო პედაგოგიკური განათლების ცენტრი ქუთაისის გუბერნიაში

ხონის სემინარია არა მარტო ამზადებდა მასწავლებელთა კადრებს სოფლის დაწყებითი სკოლებისათვის, არამედ მათში ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის დონითაც იყო დაინტერესებული. სემინარიას პირველ რიგში, როგორც უკვე აღინიშნა, ყურადღების ქვეშ ყავდა საკუთარი კურსდამთავრებულები, საქმის კურსში იყო როგორ მუშაობდნენ ისინი და, შესაძლებლობის ფარგლებში, საჭირო დახმარებასაც უწევდა მათ. მაგრამ სემინარია მარტო სოფლის სკოლებით არ შემოიფარგლებოდა და ფართოდ ეხმაურებოდა პედაგოგიკური მეცნიერების თეორიასა და პრაქტიკაში წამოჭრილ პრობლემებს. კავკასიის სასწავლო ოლქის დავალებით თუ საკუთარი ინიციატივით, სემინარიაში ხშირად ეწყობოდა მასწავლებელთა სხვადასხვა სახის შეკრებები და თეორიულ-პრაქტიკული კურსები, ახალი

41. მელიტონ გობეჩიას შესახებ იხ. ს.ცაიშვილის, მელიტონ გობეჩია, კრ. ხგქმსმ, კრ.2გვ. 353-362, ვ.გობეჩია, მელიტონ გობეჩია, სოხ. 1959.

სახელმძღვანელოების განხილვა, მსჯელობა სწავლებისა და აღზრდის საკითხებზე.

სემინარიის ქართველმა დირექტორმა-ალექსი ჭიჭინაძემ ჩაუყარა საფუძველი გამოცდილი, კვალიფიციური მასწავლებლის მიერ ახალ, დამწყები პედაგოგებისათვის საჩვენებელი გაკვეთილების ჩატარების პრაქტიკას, სემინარიასთან არსებულ დაწყებით სანიმუშო სკოლაში პასიურ პრაქტიკას გადიოდნენ ისინი, ვინც სოფლის მასწავლებლის წოდების მისაღებად ემზადებოდნენ. ხოლო ასეთ წოდებას სწორედ სემინარია ანიჭებდა საკმაოდ მკაცრი გამოცდების შემდეგ. სოფლის დაწყებითი სკოლის მასწავლებლის წოდების მაძიებელნი გამოცდებს აბარებდნენ შემდეგ საგნებში: საღვთო სჯული, რუსული ენა (წერა), არითმეტიკა (წერა), გეომეტრია (წერა), ისტორია (წერა), გეოგრაფია (წერა), სუფთა წერა, უნდა ჩაეტარებიათ საჩვენებელი გაკვეთილები რუსულ ენაში, არითმეტიკასა და სიმღერაში. გამოცდებს ატარებდა პედაგოგიური საბჭო სრული შემადგენლობით. სოფლის სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებლის წოდების მინიჭება ხდებოდა პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტით. ასე მაგალითად, 1909 წელს გამოცდაზე გავიდა ათი, მათგან მასწავლებლის წოდება მიენიჭა-რვას. ორს, სუსტი მომზადების გამო უარი ეთქვა.[42]

1905 წლის სექტემბერში კავკასიის სასწავლო ოლქმა ხონის სემინარიას გამოუგზავნა ერევნის სამასწავლებლო სემინარიის სომხური ენის პროგრამა არასომეხი მოსწავლეებისათვის, წინადადებით შეედარებინა იგი არაქართველი მოსწავლეებისათვის ქართული ენის პროგრამასთან და გამოეთქვა თავისი მოსაზრება. 27 ოქტომბერს პედაგოგიურმა საბჭომ განიხილა ეს პროგრამა და უარყოფითი შეფასება მისცა მას. მოხსენებით გამოვიდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ტრიფონ თაბუკაშვილი. მოხსენებაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ რუსულ სასწავლებელში ნაციონალური ენების შესწავლის დროს ჯგუფი უნდა გაიყოს ორად და მათთან მუშაობა ინდივიდუალური პროგრამებით უნდა წარიმართოს.[43]

1911 წელს ალ.ჭიჭინაძის ინიციატივით სემინარიასთან არსებული დაწყებითი სკოლებისათვის შედგენილ იქნა კლასგარეშე კითხვის

---

42. ქცსა, ფ. 121, საქ. 827, ფურ.1.
43. იქვე, საქ. 769, ფურ. 56-59.

Его Высокородию
Господину Директору Хонской Учительской
Семинарии

Составителя элементарных и
русских учебников Якова
Гогебашвили



Покорнейшая записка.

Имею честь просить Вас отменить давнишнее распоряжение о преподавании русского языка в образцовой школе при вверенной Вам Семинарии по моему учебнику „Русское Слово", приняв во внимание следующие причины: 1) Еще в первом издании учебник мой, не смотря на значительные недостатки, совершенно устраненные уже в последующих изданиях, был признан руководителями [illegible] Кавказского Учебного Округа [illegible] в педагогическую литературу и единственным кавказским руководством по русскому языку", и во всех последующих изданиях [illegible] Попечителем или Советом в качестве учебного руководства [illegible] [illegible] на [illegible] [illegible]. 2) Духовно-учебное начальство рассмотрело мои учебники при [illegible] в [illegible] Духовной Семинарии [illegible] [illegible], в состав [illegible] [illegible] [illegible] [illegible], и [illegible] [illegible] [illegible] [illegible] учебных кавказских учебников [illegible] [illegible]. 3) Русские специальные филологи [illegible] „Русское Слово" самые лестные [illegible], [illegible], [illegible] Филологическая [illegible]; [illegible] [illegible] [illegible] [illegible] наук, [illegible] университета и [illegible] [illegible] по [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] рецензии, напечатанная и [illegible]



Яков Гогебашвили.

1891 года

Мой адрес: Якову Семеновичу Гогебашвили, в Тифлисе.

იაკობ გოგებაშვილის მოხსენებითი ბარათი ხონის საოსტატო სემინარიის დირექტორისადმი მისი ხელმძღვანელობის შესახებ

ორგანიზაციის პროგრამა, რომელიც სანიმუშო უნდა გამხდარიყო დაწყებითი სასწავლებლებისათვის საერთოდ. პროგრამა შეადგინა სპეციალურმა კომისიამ შემდეგი შემადგენლობით: ალ.ჭიჭინაძე (თავმჯდომარე), ფ.ს.იანოვიჩი, ლ.ა.ჩიმაკაძე და ა.ჯ.გოგუაძე.

მოსწავლეთა კლასგარეშე კითხვა ორ სახეობად იყოფოდა: 1) მასწავლებლის მიერ კითხვა კლასში (საკლასო კითხვა) და 2) მოსწავლეთა მიერ კითხვა სახლში (საშინაო კითხვა).

პროგრამაში დეტალურადაა მოცემული წასაკითხი მასალის დასახელება, მოცულობა, განრიგი და ა.შ. განხილულია კლასგარეშე კითხვის მეთოდიკის ძირითადი საკითხები.[44]

ამ პროგრამის შედგენით სემინარიამ დიდი თეორიულ-მეთოდური დახმარება გაუწია ქუთაისის გუბერნიის, მთელი ამიერკავკასიის დაწყებითი სკოლების მასწავლებლებს კლასგარეშე კითხვის ორგანიზაციის საქმეში, რაც სასწავლო პროცესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უბანს შეადგენდა.

ხონის სემინარია, თვით ვ.სოკოლოვისა და ვ.დევიცკის დროსაც კი, ცდილობდა სწავლა-აღზრდის მოწინავე პრინციპების დამცველი ყოფილიყო. როგორ იბრძოდა ქართველი საზოგადოებრიობა სახელმწიფო რუსულ სკოლებში ქართული ენის სწავლების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, კარგადაა შესწავლილი სპეციალურ ლიტერატურაში და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. მოვიტანთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს ხონის სემინარიის ცხოვრებიდან.

ცარიზმის, როგორც ცნობილია, ქართული ენის წინააღმდეგ ბრძოლის ასეთ მეთოდს იყენებდა — მეგრელებს, სვანებს, აფხაზებს... უდგენდა „აზბუკებს" და შემდეგ მათ ქართულ ენას უპირისპირებდა. სემინარიის ფონდში აღმოჩნდა ასეთი „აფხაზურ-აბაზინური აზბუკა" (Абхазско-абазинская азбука) შედგენილი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პ.კ.უსლარის მიერ. „აზბუკას" თან ახლავს სასწავლო ოლქის მზრუნველის წერილი-დავალება დირექტორისადმი გაეცნო იგი („აზბუკა") თავის აფხაზი აღსაზრდელებისათვის, რათა ამ უკანასკნელებს, მისი გამოყენებით, ჩაეწერათ და შემდეგ რუსულად ეთარგმნათ აფხაზური ფოლკლორის ნიმუშები.[45]

---

44. იქვე, საქ.899, ფურ. 2-4.
45. იქვე, საქ.238, ფურ. 1-6.

სემინარიის ფონდს არ შემოუნახავს მასალები იმის შესახებ ჰპოვა თუ არა გავრცელება ან მოწონება აფხაზ აღსაზრდელებში სასწავლო ოლქის მიერ გამოგზავნილმა „აზბუკამ“, მაგრამ თავისთავად მისი გამოგზავნის ფაქტი სახალხო განათლების კავკასიური ადმინისტრაციის ანტიქართულ განწყობილებაზე მეტყველებდა.

კავკასიის სასწავლო ოლქში მოკალათებული ჩინოვნიკი-რუსიფიკატორები ათეული წლების მანძილზე ებრძოდნენ იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს და ამით ებრძოდნენ ქართულ ენას. დიდი პედაგოგი ხშირად იძულებული იყო დაეცვა ისინი ასეთი შემოტევებისგან და ეზრუნა მათი დამკვიდრებისათვის საშუალო სკოლაში. ამ მხრივ საინტერესოა იაკობ გოგებაშვილის 1896 წლის 7 ივლისის წერილი ხონის სემინარიის დირექტორის მ.მოხირისადმი. წერილში მოცემულია ი.გოგებაშვილის სახელმძღვანელოების საინტერესო დახასიათება.[46] საპასუხო ბარათში დირექტორი აღნიშნავდა, რომ ი.გოგებაშვილის სახელმძღვანელოები „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“ გამოიყენება ხონის სემინარიაში. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ი.გოგებაშვილის სახელმძღვანელოების გამოყენება პირად ინიციატივაზე იყო დამოკიდებული და მას არც თუ დიდად ახალისებდნენ. პირიქით განსაკუთრებით 900-იანი წლების ბოლოსა და XX საუკუნის ათიანი წლების დასაწყისში, როცა განსაკუთრებით გაძლიერდა ე.წ. ბუნებითი ანუ მუნჯური მეთოდის დანერგვის ცდა, ახალი ძალით შეუტიეს იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს. ამის შესახებ ზემოთ უკვე ნათქვამს დავამატებთ შემდეგს.

XX საუკუნის ათიანი წლების დასაწყისში ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორად დაინიშნა აშკარა რეაქციონერი და ქართველთმოძულე ნ.ა.კრუპსკი. მან თავისი „მოღვაწეობა“ დაიწყო იმით, რომ შეუტია ქართულ ენას, დაწყებით სკოლებში რუსული ენის სწავლების ე.წ. მთარგმნელობით მეთოდს, რომელსაც ეყრდნობოდა იაკობ გოგებაშვილის რუსული ენის სახელმძღვანელო „რუსსკოე სლოვო“ და სემინარიის ქართველ დირექტორს-ალექსი ჭიჭინაძეს. ნ.კრუპსკის ინიციატივითა და მონაწილეობით შემოწმდა ქუთაისის გუბერნიის დაწყებით სკოლებში მასწავლებელთა მუშაობა,

46. იქვე, საქ.503, ფურ. 1-2. იხ. აგრეთვე ა.იოვიძე, იაკობ გოგებაშვილი (დოკუმენტური მასალები 1), თბ. 1951, გვ. 138-139.

გამოტანილ იქნა დასკვნა, რომ სემინარია სუსტ სპეციალისტებს ამზადებს და ამის მიზეზია სწავლების მუნჯური მეთოდის უარყოფა.

შემოწმების შედეგების განსახილველად, ასევე ნ.კრუპსკის ინიციატივით, 1912 წლის 18 დეკემბერს ხონში ჩატარდა ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექციისა და სემინარიის პედაგოგიური საბჭოს გაერთიანებული თათბირი: თავმჯდომარეობდა ალექსი ჭიჭინაძე-ესწრებოდნენ: სახალხო სკოლების დირექტორი ნ.კრუპსკი, ინსპექტორები: ვ.ა.გროზდოვი, კ.ვ.სმირნოვი, ნ.მ.კირეევი და გ.თ.ტერ-გასპარიანი, სემინარიის პედაგოგიური საბჭოს წევრები: მღვდელი გ.ხაჟომია, მასწავლებლები: ფ.ს.იანოვიჩი, ვ.თ.ტროფიმოვი, ა.გ.ხარაბაძე, ა.დ. გოგუაძე, პ.ი. ჩხიკვიშვილი, ლ.ა.ჩიმაკაძე და ნ.ი.შაფაქიძე.

მოხსენებით გამოვიდა ნ.კრუპსკი. იგი რამდენიმე პრინციპულ საკითხს შეეხო. პირველ რიგში მან ხაზი გაუსვა, შემოწმების შედეგების მიხედვით, ხონის სემინარიის კურსდამთავრებულთა სუსტ მუშაობას, შემდეგ სცადა აეხსნა რით იყო ეს გამოწვეული და ამის ძირითად მიზეზად დაასახელა იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოს „რუსსკოე სლოვოს" და სწავლების თარგმნითი მეთოდის უვარგისობა. მანვე დააყენა საკითხი 1881 წლის 13 იანვარს სასწავლო გეგმა შეეცვალათ კავკასიის სასწავლო ოლქის მიერ 1907 წლის 1 ნოემბერს დამტკიცებული წესებით. ნ.კრუპსკი მოითხოვდა დაწყებით სკოლაში მოსულ მოსწავლეს პირველ დღესვე დაეწყო ორი ენის-რუსულის და ქართულის შესწავლა.

ნ.კრუპსკის მოხსენების გარშემო გამართულმა კამათმა საკმაოდ მწვავე ხასიათი მიიღო. მომხსენებელს მხარი დაუჭირეს, და ეს სავსებით გასაგებია, სახალხო სკოლების დირექციის ინსპექტორებმა. რაც შეეხება სემინარიის დირექტორს და მასწავლებლებს მათ პრინციპულად არ გაიზიარეს ნ.კრუპსკის მოხსენების ძირითადი დებულებები და მის მიერ ხონის სემინარიის კურსდამთავრებულთა მუშაობის ასეთი უარყოფითი შეფასება.

ალექსი ჭიჭინაძემ საპასუხო გამოსვლაში აღნიშნა, რომ სახალხო სკოლების დირექტორი ნ.კრუპსკი, რომელიც ახალი დანიშნულია ამ თანამდებობაზე, არ იცნობს მხარის თავისებურებებს, მხედველობაში არ იღებს იმ გარემოებას, რომ ქუთაისის გუბერნიაში

დაწყებითი სკოლების მოსწავლეები, ძირითადში, ქართველები არიან და რუსული ენის შესწავლის პროცესში მათთან მუშაობის მეთოდები პრინციპულად განსხვავებული უნდა იყოს. იგი სავსებით სამართლიანად ამტკიცებდა, რომ არ შეიძლებოდა საქართველოსა და რუსეთში მომუშავე მასწავლებელთა ერთი საზომით შეფასება. ამასთან ერთად ა.ჭიჭინაძემ მიუთითა იმაზეც, რომ სემინარიის ხელმძღვანელობას ხელთ აქვს კავკასიის სახალხო სკოლების სხვა დირექციებიდან (თბილისის, თერგის, ყუბანის) მიღებული ინფორმაციები ხონის სასწავლებლის კურსდამთავრებულთა კარგი მუშაობის შესახებ. მაგრამ ცნობილი პედაგოგის გამოსვლაში მთავარი და კონცეპტუალური იყო შემდეგი-რუსული და ყოველი უცხო ენის შესწავლა მშობლიურ ენას და მთარგმნელობით მეთოდს უნდა ეყრდნობოდეს. ამ მხრივ იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელო ერთ-ერთი საუკეთესოა.

ნ.კრუპსკიმ და მისმა თანამშრომლებმა ვერაფერი გონივრული ვერ დაუპირისპირეს ამ საღ პედაგოგურ მოსაზრებას და, დროებით, უკადახევა ამჯობინეს.[47]

როცა პირდაპირი ბრძოლით არაფერი გამოვიდა ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექციამ ახლა სხვა ხერხს მიმართა- იაკობ გოგებაშვილის „რუსკოე სლოვოს" დაუპირისპირა ცნობილი პედაგოგის ს.ი.ოცხელის რუსული ენის სახელმძღვანელო ქართული სკოლებისათვის „ნოვოე სლოვო". 1915 წლის 21 დეკემბერს, სახალხო სკოლების დირექციის ინიციატივით ხონის სემინარიაში ჩატარდა ამ სახელმძღვანელოს განხილვა. მასში მონაწილეობდნენ: კავკასიის სასწავლო ოლქის ინსპექტორი ა.ნ.სლოვინსკი, სემინარიის დირექტორი ვ.პავლოვსკი, ქუთაისის გუბერნიის დაწყებითი სკოლის მასწავლებლები. მოხსენება ს.ოცხელის სახელმძღვანელოს „ნოვოე სლოვოს" შესახებ გააკეთა ხონის სემინარიასთან არსებული დაწყებითი სანიმუშო სკოლის მასწავლებელმა ხ.ს.ოგანეზოვმა. მან უარყოფითად შეაფასა ს.ოცხელის სახელმძღვანელო. მომხსენებელმა აღნიშნა-სახელმძღვანელო ეკლექტიკურ პრინციპზეა აგებული, იგი ბუნებით-მუნჯური და მთარ-

47. ქცსა, ფ.121, საქ.936, ფურ.1-10. ამ თათბირის ოქმი წერილად ხელით ნაწერ 20-ზე მეტ გვერდს შეიცავს.

გმნელობით მეთოდების თავისებურ ნაზავს წარმოადგენსო. ამიტომ, ნ.ოგანეზოვის აზრით, მას არ შეეძლო შეეცვალა იაკობ გოგებაშვილის „რუსკოე სლოვო", რომელიც რამდენიმე ათეული წელია აპრობირებული იყო ქართულ სკოლებში. მასწავლებელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ გაიაზრა ნ. ოგანეზოვის შეხედულება ს.ოცხელის სახელმძღვანელოზე.[48]

კავკასის სასწავლო ოლქმა ხონის სემინარისა დაავალა შეემუშავებია სპეციალური პროგრამა და ხელმძღვანელობა გაეწია დაწყებითი სკოლის ხელით შრომის მასწავლებლების კურსებისათვის, რომელიც 1911 წლის ზაფხულში უნდა ჩატარებულიყო ხონში.

კურსების დეტალური პროგრამა შეიმუშავა სემინარიის ხელით შრომის მასწავლებელმა, ამ საქმის დიდმა სპეციალისტმა და გამოცდილმა პედაგოგმა ვ.ბობრომ. კურსებმა მუშაობა დაიწყო 1911 წლის 6 ივნისს და ხუთი კვირა გაგრძელდა. დამთავრდა 10 ივლისს. მასში მონაწილეობდნენ ხელით შრომის შემდეგი მასწავლებლები: კონსტ. ანდრიაძე, ილია ბეჟანეიშვილი, ირაკლი გოგოლაშვილი, მიხეილ გოგიძე, სევერიან ენუქიძე, ნესტორ კაკუშაძე, ალექსანდრე ლაბაძე, კონსტ. ქუთელია, ალექსანდრე ხარდამატოვი, ვასილ მიქიაშვილი, ლეონტი სამხარაძე, ივანე ხალაიჩევი, კირილე ნივნივაძე, ვლადიმერ შეშელიძე, საბა შეიხოვი, იერემია ძოწენიძე.

კურსების პროგრამა, რომელმაც მასწავლებელთა შორის დიდი დაინტერესება გამოიწვია, დაახლოებით ასეთი იყო: თეორიული ნაწილი: I. ხელით შრომის, როგორც აღმზრდელობითი დისციპლინის, მნიშვნელობა; II. ხელით შრომის, როგორც გეომეტრიის, არითმეტიკისა და ბუნებისმცოდნეობის სწავლების მეთოდთა გაუმჯობესების საშუალების მნიშვნელობა; III. ხელით შრომის მნიშვნელობა სოფლის სკოლების ცხოვრებაში. IV. ხელით შრომის მნიშვნელობა გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვებისათვის. V. ძერწვის მნიშვნელობა. VI.რუსეთსა და საზღვარგარეთ ხელით შრომის სწავლების ზოგადი მიმოხილვა.[49]

ცალკე იყო შემუშავებული პრაქტიკული სავარჯიშოების პროგ-

---

48. იქვე, საქ.1061. ფურ.12-14.
49. იქვე, საქ.874, ფურ.1-28.

რამა. კურსების მუშაობამ, როგორც მასში მონაწილე პედაგოგების, ასევე კავკასიის სასწავლო ოლქის მაღალი შეფასება დაიმსახურა.

**ხონის სემინარია ქუთაისის გუბერნიის სოფლის დაწყებითი სკოლების მასწავლებლებისათვის კვალიფიკაციის ამაღლებისა და პედაგოგიური დახელოვნების საიმედო ცენტრი იყო.**

## 10. ა) ბრძოლა სემინარიაში არსებული რეჟიმის წინააღმდეგ

მოსწავლეთა პირველ სერიოზულ გამოსვლას სემინარიაში ადგილი ჰქონდა 1884 წლის ნოემბერში, როდესაც ახალი დირექტორი პ.სოკოლოვი დაინიშნა. ახალი დირექტორი, როგორც უკვე ითქვა, რეაქციონერი და ქართველთმოძულე იყო. მან სცადა სემინარია ყაზარმად ექცია, რამაც მოსწავლეებში დირექტორის საწინააღმდეგო განწყობილება შექმნა. პ.სოკოლოვმა, ჩინოვნიკი პედაგოგების დახმარებით გამოავლინა და სემინარიიდან გარიცხა თავისუფლად მოაზროვნე მოსწავლეები. ამას შედეგად არეულობა მოჰყვა. 1884 წლის 9 ნოემბერს მოსწავლეებმა მეცადინეობა შეწყვიტეს და ეზოში გავიდნენ. მოსწავლეებმა მდინარაძემ და ჩხენკელმა, რომელთაც პ.სოკოლოვმა რიხით გამოუცხადა „სემინარიიდან გარიცხული ხართო", თავისი ამხანაგებისა და მასწავლებლების თვალწინ დირექტორს სცემეს.[50] ამას შედეგად მოჰყვა სემინარიის მესამე კლასიდან 19 მოწაფის გარიცხვა, 3 მოწაფის დაპატიმრება. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი სმეკალოვი, 9 ნოემბერს, სასწასვლო ოლქის მზრუნველს დეპეშით აცნობებდა „ხონის საოსტატო სემინარიაში დაწყებული არეულობის შესაწყვეტად ჩემს მიერ მივლინებულია ქუთაისის მაზრის უფროსი. გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, დაუყონებლივ მიანდოთ ქუთაისის სასწავლო უწყების რომელიმე წარმომადგენელს დღესვე გაემგზავროს ხონს".

1884 წლის 13 ნოემბერს გუბერნატორმა ახლო ცნობები გაუგზავნა სასწავლო ოლქის მზრუნველს: „...პედაგოგიური საბჭოს მიერ, მასწავლებელთა, დირექტორის, მაზრის უფროსის და განსაკუთრებულ დავალებათა მოხელის თანდასწრებით, მესამე კლასის ცხრამეტი მოწაფე გამორიცხულია. მოწაფეები გაძევებული არიან

50. ე.ძიძიგური, დასახ. ნაშრ. გვ.27.

სემინარიიდან და ჩემი განკარგულებით ყარაულების ზედამხედველობის ქვეშ თავიანთ სახლებში იგზავნებიან, ხონში ჩამოსვლის აკრძალვით. გარდა ამისა სამი მათგანი დაპატიმრებულია და გამომძიებლის განკარგულებაშია გადაცემული. მოხსენებისთვის ვავლინებ განსაკუთრებულ დავალებათა მოხელეს". მდგომარეობა იმდენად გართულდა, რომ საქმის გამოსაძიებლად ხონში სასწავლო ოლქის მზრუნველი ჩავიდა. გავრცელდა ხმები სემინარიის დახურვის შესახებ. 23 ნოემბერს „დროება" წერდა:„...ჩვენ შეგვატყობინეს, რომ ხონის სემინარია, სადაც ამ დღეებში უწესობა მოხდა, სრულიად დაუხურავთო...ცხადია რა სამწუხარო იქნება, რომ ეს ამბავი გამართლდეს".[51]

1884 წლის 9 ნოემბრის გამოსვლის შესახებ გიორგი ბოკერია თავის „მოგონებებში" წერდა-„...ხონის მოწაფეთა გამოსვლისთვის ნიადაგი შემზადებული იყო სემინარიაში, გაბატონებული სასტიკი რეჟიმისა და იქ წარმოებული გამარუსებელი პოლიტიკით, ოპოზიციური პრესა და არალეგალური ლიტერატურის კითხვით, ეროვნულ-ნაციონალური იდეების თესვით, რომელსაც უმთავრესად მასწავლებელი არისტო ქუთათელაძე ეწეოდა. სოკოლოვის მიერ სემინარიაში გაბატონებული რეჟიმი დიდ უკმაყოფილებას იწვევდა უფროსი კლასის მოწაფეებში. ხშირად მოწაფეები სოკოლოვის განკარგულებას არ ასრულებდნენ. უკმაყოფილება თანდათან იზრდებოდა. მოსწავლეთა მოძრაობას ხელმძღვანელობდნენ მესამე კლასის მოწაფენი: მდინარაძე, კალაძე და ჩხენკელი, რომლებმაც მასწავლებლებთან ქუთათელაძესა და აბდუშელიშვილთან იყვნენ დაკავშირებულნი. მოსწავლეთა აქტიური გამოსვლის საბაბი გახდა აღნიშნული სამი მოწაფის სემინარიიდან გარიცხვა. 1884 წლის 9 ნოემბერს, დილით, შეკრებილ მოწაფეთა წინაშე გამოცხადებულ იქნა ეს დადგენილება-დასახელებული სამი მოწაფის გარიცხვა და მესამე კლასის დანარჩენი მოწაფეების გაკიცხვა ყოფაქცევაში ნიშნის 3-4 წარდგენით. მდინარაძემ სიტყვა მოითხოვა, მაგრამ მას დირექტორმა ნება არ დართო და გამორიცხულებს წინადადება მისცა დაუყონებლივ დაეტოვებიათ სასწავლებელი. მაშინ აღნიშნული სამი მოწაფე ეცა სოკოლოვს და მეორე და მესამე კლასების მოწაფეთა

51. „დროება", 1884, 11,23, N252, გვ.2.




არისტო ქუთათელაძის თხოვნა სემინარიიდან გათავისუფლების შესახებ

დახმარებით დაუწყეს მას ცემა. სახეში... ასე ცემა-ტყეპით და ცხვირში სისხლის დენით მიჰყავდათ იგი ზემო სართულზე ასასვლელ კიბისაკენ. მათ წინ მიუძღვოდა მორიგე მასწავლებელი არისტო ქუთათელაძე. უკან მისდევდათ დ.აბდუშელიშვილი და გ.უთურგაური. დანარჩენი რუსი მასწავლებლები დაფრთხნენ. და ფანჯრებიდან გადაცვივდნენ... კიბესთან მიყვანისას ა.ქუთათელაძემ გამოგლიჯა მოწაფეებს ცემული და გვემული, გასისხლიანებული სოკოლოვი და აისროლა კიბეზე. იმანაც მოჰკურცხლა თავის ბინაში". (ციტირებულია ტრ.ხუნდაძის დასახელებული ნაშრომის მიხედვით, გვ. 144-145).

სასწავლო ოლქის მზრუნველის ჩარევის შედეგად, სემინარიაში მეცადინეობა განახლებულ იქნა. გარიცხული მოსწავლეები სასწავლებელში დააბრუნეს. 30 ნოემბერს „დროება" იუწყებოდა: "ამ ორი-სამი დღის წინათ ჩვენს გაზეთში იყო მოხსენებული, რომ ხონის საოსტატო სემინარიაში უწესობა მომხდარაო, დღეს შევიტყვეთ, რომ წესი ისევ ისე აღდგენილია ამ სასწავლებელში, გამორიცხული შეგირდები ისევ მიუღია მზრუნველს, რომელიც განგებ ამ საქმის გამოსაძიებლად ყოფილა იქ და ამ სახით სასწავლებელს ჩვეულებრივი მსვლელობა კვლავ დაუწყია".[52]

მოსწავლეთა 1884 წლის ნოემბრის გამოსვლასთან დაკავშირებით მასწავლებლები: არისტო ქუთათელაძე და დავით აბდუშელიშვილი სემინარიიდან გაუშვეს. მათ ბრალი დადეს ნაციონალისტობაში, რაც მაშინ სალანძღავ ცნებად იყო მიღებული, და დააყენეს საკითხი მათთვის სახელმწიფო სამსახურში მუშაობა აეკრძალათ.

სემინარიის დირექციისთვის ცნობილი გახდა, რომ მოსწავლეებს განზრახული ჰქონდათ თავიანთი საყვარელი მასწავლებლის სადღესასწაულო გაცილება მოეწყოთ. პ.სოკოლოვმა სასწავლო ოლქს აცნობა. დირექტორმა მკაცრი მითითება მიიღო — ეს არ დაეშვა. ისე კი მოსწავლეებს უფლება აქვთ-წერდა სასწავლო ოლქის მზრუნველი, გამოეთხოვონ თავიანთ მასწავლებლებს, მაგრამ არა საჯარო ოვაციებით და სადღესასწაულო ღონისძიების მოწყობით.[53]

---

52. „დროება", 1884, 11,30, N256, გვ.3.
53. ქცსა, ფ.121, საქ. 1174, ფურ.11.

სემინარიიდან წასვლის წინ მოსწავლეებმა თავიანთ საყვარელ მასწავლებელს, შესანიშნავი აღმზრდელს, პატრიოტ მამულიშვილსა და უმწიკვლო მოქალაქეს მიართვეს ადრესი, რომელზედაც 47 ხელმოწერა იყო. აღსანიშნავია ის, რომ ადრესს ხელს აწერდნენ არაქართველი მოსწავლეები, მაგალითად: პ.ჩელიშევი, პ.ივაშჩენკო, ა.გარიცკი, ი.ჯიკაევი, კ.კაზახოვი, ი.ილუშინი და სხვ,[54] რაც ნათელყოფდა ადმინისტრაციის ბრალდების უნიადაგობას არ.ქუთათელაძის ნაციონალისტობის შესახებ, რაშიც არაქართველი მოსწავლეების მიმართ სიძულვილი იგულისხმებოდა.

შეურაცყოფილი, მაგრამ გამარჯვებული სოკოლოვი თავის ანტიქართულ პოლიტიკას აგრძელებდა, რითაც არა მარტო მოსწავლეების, არამედ მთელი ხონის მოსახლეობის სიძულვილი დაიმსახურა. ადმინისტრაციის გატარებული ღონისძიებანი მიზანს ვერ აღწევდა. სემინარიაში ხელსაყრელ ნიადაგს პოულობდა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი იდეები და არალეგარული ლიტერატურა. მოსწავლეებში განსაკუთრებით პოპულარული იყო გაზეთი „დროება“. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი საცენზურო კომიტეტს აცნობებდა: "...ამასთანავე პატივი მაქვს გაახლოთ გაზეთ „დროების“ რედაქციის დაბეჭდილი ბანდეროლი, რომლითაც ეს გაზეთი უფასოდ ეგზავნება ხონის საოსტატო სემინარიის ქართველ მოწაფეებს".

**ურთიერთობა დირექტორსა და მოსწავლეებს შორის სულ უფრო და უფრო დაძაბული ხდებოდა. ბოლოს 1893 წელს სემინარიაში იფეთქა გაფიცვამ, რომელმაც მთელი ქართველი საზოგადოების ყურადღება მიიპყრო.**

1893 წლის 7 მარტს სემინარიის 40 მოსწავლემ უნებართვოდ დატოვა სასწავლებელი და ცხენისწყლის მახლობლად მინდორზე დაბანაკდა. შეშფოთებულმა დირექტორმა დახმარებისთვის ადგილობრივ ბოქაულს მიმართა. ამ უკანასკნელმა გაფიცულ მოსწავლეებს მიაგნო და დაიყოლია ისინი სოფლის კანცელარიაში წასულიყვნენ. ბოქაულის მოთხოვნაზე დაბრუნებულიყვნენ სემინარიაში

---

54. პროფ. ვ.ბერიძე, „არისტო ქუთათელაძე“, გაზ. „კომუნიზმის გზით“, 1957, №145.

და პატიება ეთხოვათ დირექტორისთვის, მოსწავლეებმა განაცხადეს, რომ ამას არ გააკეთებენ სანამ პ.სოკოლოვი დირექტორად იქნებაო.[55]

8 მარტს ქუთაისის გუბერნატორი მთავარმმართველს დეპეშით აცნობებდა: „გუშინ სამასწავლებლო სემინარიის თითქმის ყველა მოსწავლემ დატოვა სასწავლებელი და მიიმალა. მათ მიაგნეს და გადმოიყვანეს სოფლის კანცელარიაში. მათ ეს საქციელი ახსნეს დირექტორის ცუდი მოპყრობით. ერთხმად უარს აცხადებენ სემინარიაში დაბრუნებაზე. სახალხო სკოლების დირექტორს ლევიცკის წინადადება მივეცი გაემგზავროს ხონში და დააბრუნოს მოსწავლეები სემინარიაში. შემდგომი წინააღმდეგობის შემთხვევაში ხვალ პირადად ჩავალ ხონში".[56] დეპეშის ასლი გაეგზავნა სასწავლო ოლქის მზრუნველს. ამ უკანასკნელის განკარგულებით ხონში ჩავიდა მზრუნველის მოადგილე ზავადსკი. მდგომარეობა გართულდა. მოსწავლეები უარს აცხადებდნენ დაბრუნებულიყვნენ სემინარიაში.

8,9 და 10 მარტს ყოველდღიურად ტარდებოდა პედაგოგიური საბჭოს სხდომები. გამოირკვა, რომ 7 მარტს დირექტორმა ლანძღვა-გინებით მიმართა მოსწავლეებს, უწოდა მათ სულელები და ვირები. გარდა ამისა მოსწავლეებს აეკრძალათ მორიგე დამრიგებელი მასწავლებლის გარეშე, მშობლების მიღება და სასწავლებლის ეზოდან მათთან საუბარიც კი. როგორც დასვენების, ასევე სამუშაო დღეებში მოსწავლეებს ეკრძალებოდათ არა მარტო კლასიდან ეზოში, არამედ კლასიდან კლასში გასვლა. ეს გახდა საბაბი გაფიცვისათვის. მიზეზი კი დიდიხანია მომწიფებული იყო. დირექტორი ცდილობდა სემინარია გადაექცია ისეთ „ციხე-სიმაგრედ", სადაც საზოგადოებრივი მოძრაობის გავლენა ვერ შეაღწევდა. სემინარია საპყრობილეს დაემსგავსა. მოსწავლეებმა გაფიცვის შემდეგი კონკრეტული მიზეზები დაასახელეს:

1.სემინარიას უნდა ყავდეს ორი დურგალი მოსწავლეებისათვის სადურგლო საქმის შესასწავლად. სემინარიაში კი სადურგლო საქმის მასწავლებლები არ არიან.

დირექტორი გვაძლევს ისეთ დავალებებს, რომელთა შესრულება არ შეუძლია არა მარტო დაბალი, არამედ უფროსი კლასის

---

55. სცსსა, ფ.422, აღწ.1, საქ.4756, ფურ.7-8.

56. იქვე, ფურ.1.

მოსწავლეებსაც. რადგან დირექტორი დღესასწაულებსა და საზაფხულო არდადაგებზე არ გვიშვებს, განსაზღვრულ დროში დავალების სანიმუშოდ შესრულებამდე, ჩვენ იძულებული ვხდებოდით, საიდუმლოდ,დაკვეთები ადგილობრივი დურგლებისათვის მიგვეცა. გასულ წელს დურგლებს: დარსაველიძეს, ჭელიძეს, სანოძეს, ბახტაძეს, კაკაბაძეს და სხვებს, 200 მანეთამდე საკუთარი ფული გადავუხადეთ. მართალია ამის შესახებ დირექციამ გაიგო, მაგრამ წელს იგივე განმეორდა და ჩვენც, მკაცრი სასჯელის თავიდან ასაცილებლად, იძულებული ვიყავით კვლავ მიგვეცა დაკვეთები დურგლებისათვის. თუ დირექტორს ჩვენს ნამუშევარს წარვუდგენდით, იგი მას იწუნებდა, მაგრამ დამზადებულ ნივთს იტოვებდა, ხოლო მასალის ღირებულების ასანაზღაურებლად, გარკვეული დროის განმავლობაში, შაქარი აღარ გვეძლეოდა.

2. იგივე მდგომარეობა იყო სამკინძაო სახელოსნოშიც. იმ განსხვავებით, რომ დირექტორი დავალებას გვაძლევდა ორი საათის განმავლობაში აგვეკინძა 5-6 წიგნი. ცხადია, ამ სამუშაოს შესრულება არ შეიძლებოდა გაკვეთილების მომზადებისთვის განკუთვნილი დროის დახარჯვის გარეშე.

3. ნათურის ან ფანჯრის მინის გატეხვის, რეცხვის დროს, თეთრეულზე ღილების დაკარგვის შემთხვევაში, ზარალი ეწერებოდა მოსწავლეს, როგორც ჯარიმა და, დირექტორის განკარგულებით მას შაქრის მიცემა შეუწყდებოდა. ასე, რომ ბევრი ჩვენგანი წლობით არ ღებულობდა შაქარს და იძულებული ხდებოდა ან უარი ეთქვა ჩაიზე, ანდა ეყიდა შაქარი საკუთარი ფულით. ყოველივე ეს კარგად ჩანს ჯარიმის წიგნიდან, რომელიც მხოლოდ დირექტორთან ინახება.

4. გვაცმევენ, როგორც მათხოვრებს, რის გამოც ქუჩაში გამოსვლა გვრცხვენია. ტანსაცმელი კი დიდი რაოდენობით ინახება გარდერობში ყოველგვარი გამოყენების გარეშე. მართალია ზამთრობით გვაძლევენ მაუდის ტანსაცმელს, მაგრამ იმდენად ძველსა და ნახმარს, იძულებული ვხდებით ჩავიცვათ ტილოს ხალათები და ვიყინებოდეთ სიცივისაგან. ამის გამო, ხშირია გაცივებისგან მოსწავლეთა ავადმყოფობის შემთხვევები.

5. ყოველდღიურად მეცადინეობა დილის 6 დან საღამოს 10 საათამდე გრძელდება.

6. სემინარიისა და სახელოსნოების შენობების დალაგება-დასუფთავება და იატაკის მორეცხვა მოსწავლეთა მოვალეობას შეადგენს.

7. მოსწავლეებისათვის არავითარი დღესასწაული არ არსებობს.

8. კვება ცუდი გვაქვს, საჭმელს უხარისხოდ ამზადებენ, ხორცის ძალზე მცირე ულუფას გვაძლევენ და იძულებული ვართ პურით დავკმაყოფილდეთ.

9. ყოველივე ეს მოქმედებს ჩვენს ჯანმრთელობაზე და სასწავლო საგნების ათვისებაზე. მარტო გასულ და მიმდინარე წელს ჭლექით სამი მოსწავლე გარდაიცვალა. ზოგმა მოსწავლემ, ჯანმრთელობის შერყევის გამო, სემინარია მიატოვა.

10. ზაფხულობით ხონში მცხოვრებ მოსწავლეებს დირექტორი ავალდებულებს ყოველდღიურად სემინარიაში გამოცხადდნენ და ფიზიკურად იმუშაონ. თუ მოსწავლე დანიშნულ საათზე არ გამოცხადდება, მას სასტიკად სჯიან. მაგალითად უკლებენ ნიშანს ყოფაქცევაში და ა.შ.

ყოველივე ამის გამო ვაცხადებთ, რომ დირექტორ სოკოლოვთან ჩვენ სწავლა და ცხოვრება არ შეგვიძლია. ამიტომ სემინარიაში არ დავბრუნდებით, თუმცა ძალიან გვსურს ვისწავლოთ და განათლება მივიღოთ. მასწავლებლების საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს. ჩვენ არავის, არც მასწავლებელს, არც მოსწავლეს არ წავუქეზებივართ და სემინარია დავტოვეთ იმიტომ, რომ იძულებული გავხდით ასე მოვქცეულიყავით. განცხადებას ხელს აწერდა 40 მოსწავლე.[57]

მოსწავლეთა გაფიცვას მხარი დაუჭირეს მშობლებმა და ხონის მოსახლეობამ. ზავადსკის დავალებით, სოფლის კანცელარიაში მყოფ სემინარელებთან მოლაპარაკებას აწარმოებდა ჯერ მასწავლებელი ივ.პეტროვი, ხოლო შემდეგ გ.უთურგაური. როცა აქედან არაფერი გამოვიდა, ამ უკანასკნელმა დახმარებისთვის მიმართა კანცელარიასთან შეკრებილ მშობლებს. უთურგაურის წინადადებას ისინი საშინელი ყვირილით შეხვდნენ: „თქვენ შიმშილით ხოცავთ ჩვენს

57. იქვე, ფურ.7-8.

შვილებს, აცმევთ გამონაცვალ ტანისამოს, აიძულებთ შეასრულონ მძიმე სამუშაო, ამუშავებთ მათ დღესასწაულებზე და კვირა დღეებშიც კი". ერთ-ერთი მათგანი კინაღამ ეცა უთურგაურს. მეორემ, გვარად ღოღობერიძემ, გაფიცული სემინარიელის ძმამ, უთურგაურს პირდაპირ უთხრა-„მოსწავლეები დაბრუნდებიან იმ შემთხვევაში თუ დირექტორს მოხსნიან". გიორგი ბოკერიას „მოგონებების" მიხედვით გაფიცულებს ოვაცია გაუმართა მთელმა საზოგადოებამ, ხოლო მისმა ერთ-ერთმა წევრმა, ღირსეულმა მოქალაქემ გიგო წულუკიძემ (საშა წულუკიძის მამა) ყველა გაფიცული მონაფე წაიყვანა და სამი დღის განმავლობაში არ მოუკლია მათთვის გულუხვი მასპინძლობა, ოღონდ გამაგრებულიყვნენ და უკან არ დაბრუნებულიყვნენ, სანამ ვერაგ სოკოლოვს არ გააძევებდნენ სემინარიიდან.

10 მარტს, დირექტორის წინადადებითა და მოთხოვნით პედაგოგიური საბჭოს სხდომამ დაადგინა: გაირიცხოს სემინარიიდან შემდეგი მოსწავლეები: მესამე კლასიდან-კონსტანტინე მარშანია, როგორც გაფიცვის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ალექსანდრე შჩეპანსკი. მეორე კლასიდან-გია კორძაია და ერასტი როდონაია. პირველი კლასიდან-სამს. ბახტაძე, არისტ.ბერიძე, ს.ღამბაშიძე, პ.სავინი და ზ.ხაბურძანია, მოსამზადებელი კლასიდან-ს.ღოღობერიძე. ასეთმა დადგენილებამ სემინარიელთა და მათ თანამგრძნობთა საერთო აღშფოთება გამოიწვია. აღშფოთდა ზავადსკიც იგი უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ისე გამოდიოდა, რომ მზრუნველის მოადგილის ხონში ჩამოსვლას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. პედსაბჭოს ასეთი გადაწყვეტილებით გაცეცხლებულმა ზავადსკიმ სასტიკად გალანძღა მასწავლებლები. მან განაცხადა „პირველად ვხედავ ისეთ აღმზრდელებს, რომლებიც პირადი ანგარიშების გასასწორებლად მოსწავლეებთან, მხოლოდ გარიცხვაზე ფიქრობდნენ. თავიანთ „ვირების საბჭოზე" („на своем ослинном совете")სემინარიიდან რიცხავთ ათ მოსწავლეს. თქვენ არ გაქვთ გული, თქვენ არ გაქვთ გრძნობა. ამ ხნის მანძილზე თქვენ ვერ შეძელით ერთი თბილი სიტყვა გეთქვათ თქვენი გზააბნეული აღსაზრდელებისათვის. პირველად ვხედავ ასეთ აღმზრდელებს".[58]

ზავადსკის გამოსვლით შეურაცყოფილი პედაგოგები დამატებით

58. ქცსა, ფ.121, საქ.420, ფურ.40.

შეიკრიბნენ და მასზე მზრუნველთან დასმენის ტექსტი შეადგინეს. ჩვენ გულდასმით გავსინჯეთ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივში, კავკასიის სასწავლო ოლქის ფონდის (ფ.422) ამ წლის მასალები, მაგრამ ხონელი მასწავლებლების დასმენის ტექსტი (რომელიც ხონის სემინარიის ფონდში ინახება), ვერ აღმოვაჩინეთ. ალბათ, სემინარიის მასწავლებლებმა ვერ გაბედეს იგი მზრუნველთან გაეგზავნათ.

პედაგოგიური საბჭო იძულებული გახდა გარიცხულთა რაოდენობა ხუთამდე შეემცირებია, მაგრამ გაფიცულები არც ამაზე დათანხმდნენ. ზავადსკი სასწავლო ოლქის მზრუნველს დეპეშით აცნობებდა "მოსწავლეები ჯერ კიდევ არ დაბრუნებულან სემინარიაში. თხოულობენ არავინ არ გარიცხონ თქვენ განკარგულებამდე. მზად არიან დაბრუნდნენ და შეუდგნენ მეცადინეობას. საბჭოს სურს ახლავე გარიცხოს ხუთი მოსწავლე. გთხოვთ ნებართვას ეს გადაწყვეტილება არ იქნას სისრულეში მოყვანილი თქვენი განკარგულების მიღებამდე.[59] საპასუხო დეპეშაში კ.პ.იანოვსკი წერდა „პედსაბჭოს გადაწყვეტილება არ იქნას სისრულეში მოყვანილი ჩემს განკარგულებამდე". ეს მოსწავლეთა სერიოზული გამარჯვება იყო.

12 მარტს, ხუთდღიანი გაფიცვის შემდეგ, სემინარიელები სასწავლებელში დაბრუნდნენ. სემინარიაში მომხდარი გაფიცვის შესახებ, 17 მარტს, გაზეთ „ ივერიაში", მ.ს. ხელისმოწერით შემდეგი კორესპონდენცია დაიბეჭდა: „ბევრი საინტერესო ამბებია ამჟამად ხონში, მაგრამ დღეს ყველა დაჩრდილა და სულ ყველას თვალი და ყური მიიპყრო აქაური საოსტატო სემინარიის დირექტორსა და შეგირდებს შორის ჩამოვარდნილმა უთანხმოებამ. 7 მარტს, საღამოს 9 საათზე, შეგირდებმა დატოვეს უცებ სასწავლებელი და გავიდნენ მინდვრად. შეგირდების თქმით, ჩვენის ასეთი საქციელის მიზეზი ის არის, შეწუხებული ვართ სემინარიაში მით, რომ სასტიკად გვეპყრობა სასწავლებლის მთავრობაო, ტანთ არ გვაცვია რიგიანათ, საჭმელი არ გვაქვს რიგიანი და სასმელიო. მინდვრად დაანთეს ცეცხლი და შეგირდები იქ დაბანაკდნენ.

ეს ამბავი აცნობეს, რასაკვირველია, ადგილობრივ ბოქაულს, რომელმაც ურჩია შეგირდებს დაბრუნებულიყვნენ სასწავლებელში,

---

59. სცსსა, ფ.422, საქ.4756, ფურ.6.

მაგრამ შეგირდებმა არ ჰქნეს. ბოქაულმა შეადგინა ოქმი და საჩქაროდ აცნობა ქუთაისის გუბერნატორს და კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს. იმ დღესვე, ე.ი. ორშაბათს ქუთაისიდან მოვიდა დირექტორი სოფლის სკოლებისა ლევიცკი და მეორე დღეს მზრუნველის თანაშემწე ზავადსკი, ბევრი ურჩიეს იმათაც შეგირდებს დაენებებიათ თავი ასეთი ურჩობისათვის, მაგრამ ვერ დაიყოლიეს, არ გვინდა, არ დავბრუნდებით გვეყო, რაც ტანჯვა-წამება ავიტანეთო. ბევრს ელაპარაკნენ, ბევრი უჩიჩინეს შეგირდებს ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ბევრი ეცადნენ მშობლებიც, რომ ჩაეგონებინათ თავიანთი შვილებისათვის, გონს მოსულიყვნენ, მაგრამ იმათ მაინც თავისი არ დაიშალეს. ბოლოს როგორც იყო მოიყვანეს შეგირდები სემინარიაში სასწავლებლის დირექტორთან, რომელმაც გამოუცხადა, რომ თქვენში გავრიცხავ ხუთ შეგირდს და დანარჩენებს მიგიღებთო; ამაზე სემინარიელებმა უარი განაცხადეს და მაშინვე გამოვიდნენ ერთბაშად სემინარიიდგან. მეორე დღეს მზრუნველის მოადგილემ დიდის მეცადინეობით დაიყოლია შეგირდები წასულიყვნენ სემინარიაში იმ პირობით, რომ თქვენში არავის არ გამოვრიცხავთო და დირექტორს არავითარი საქმე არ ექნება თქვენთან თვით მზრუნველის ჩამოსვლამდეო. ამ სახით, როგორც იყო დღეს 12 მარტს, გაიმართა სწავლა და არ ვიცით რა შედეგი მოჰყვება ასეთ უსიამო ამბავს".[60]

ალნიშნულმა კორესპონდენციამ, რომელშიც გადმოცემული იყო სემინარიაში მოწყობილი გაფიცვის მსვლელობა და მისი ნამდვილი მიზეზები, სასწავლო ოლქის ხელმძღვანელობის სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია. განსაკუთრებით არასასიამოვნო აღმოჩნდა იმ ფაქტის გამოაშკარავება, რომ ზავადსკი იძულებული გახდა დათანხმებოდა მოწაფეთა მოთხოვნას და შეეჩერებია პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილების შესრულება. სასწავლო ოლქის პრესტიჟის დასაცავად, საცენზურო კომიტეტის დადგენილებით, „ივერიის" რედაქციას გაეგზავნა ზავადსკის მიერ რუსულ ენაზე შედგენილი „ოფიციალური უარყოფა". გაზეთის რედაქტორს ილია ჭავჭავაძეს წინადადება ეძლეოდა უახლოეს ნომერში გამოექვეყნებია იგი.[61]

---

60. „ივერია", 1893, 3, 17, N56, გვ.2.
61. სცსსა, ფ.12, აღწ.8, საქ.660, ფურ.1-3.

„ივერიის" მომდევნო სამი ნომრის გამოსვლის შემდეგ, საცენზურო კომიტეტის კანცელარიამ შეკითხვა გაუგზავნა რედაქციას „უარყოფის" გამოქვეყნების დაგვიანების მიზეზის შესახებ. რედაქციამ არ უპასუხა. 20 აპრილს კი მან ცენზორს წარუდგინა „უარყოფის" არა ორიგინალი, არამედ მისი ქართული თარგმანი. საცენზურო კომიტეტმა „უარყოფის"-რუსული ტექსტის დაბეჭდვა მოითხოვა. 26 აპრილს საცენზურო კომიტეტში მივიდა თვით ილია ჭავჭავაძე და განაცხადა, რომ უფლება არ აქვს ქართულ გაზეთში რუსული ტექსტი გამოაქვეყნოს. საცენზურო კომიტეტის კატეგორიული მოთხოვნის გამო 27 აპრილს „ივერიამ" მე-4 გვერდზე მართლაც დაბეჭდა „უარყოფის" რუსული ტექსტი რუბრიკით „წერილი რედაქციას" განმარტებით ქართულ ენაზე- „იბეჭდება საცენზურო კომიტეტის განკარგულებით". ამან საცენზურო კომიტეტის აღშფოთება გამოიწვია. ილია ჭავჭავაძის მოქმედების შესახებ დაუყონებლივ ეცნობა კავკასიის მთავარმმართველს სათანადო ზომების მისაღებად. რედაქცია იძულებული გახდა „უარყოფის" რუსული ტექსტი დაებეჭდა ისე, როგორც ამას ხელისუფლების ორგანოები მოითხოვდნენ. მაგრამ მკითხველებმა, ცხადია, კარგად გაიგეს რედაქციის დამოკიდებულება მომხდარი ფაქტისადმი.

ეს პატარა ეპიზოდი ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიიდან ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს დიდი მამულიშვილის გაბედულ ბრძოლას მეფის თვითმპყრობელობის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ქართული ენის დასაცავად.[62]

ზავადსკი თავის „უარყოფაში" ამტკიცებდა მან, თითქოს, მოსწავლეებს განუცხადა, რომ ისინი სასტიკად დაისჯებოდნენ. სინამდვილეში კი, როგორც აღინიშნა, მან შეაჩერა პედაგოგიური საბჭოს დადგენილების სისრულეში მოყვანა, გაფიცვის გაგრძელების შიშით.

სემინარიელებსა და სოკოლოვს შორის ნორმალური ურთიერთობა არ აღდგენილა. 1894 წელს ეს უკანასკნელი იძულებული გახდა, სიცოცხლის გადარჩენის მიზნით, ხონიდან გაქცეულიყო. სასტიკი

62. იხ. პ.ვაჭრიძე, გაფიცვა ხონის სამასწავლებლო სემინარიაში და ილია ჭავჭავაძე, სკოლა და ცხოვრება, 1971, N11, გვ.86-89.

რეჟიმით სწავლაზე გულაცრუებული სემინარიელები დირექტორის მკვლელობას ამზადებდნენ.

ახალი დირექტორი მ.მოხირი, შედარებით, ლიბერალურად გან-წყობილი პიროვნება იყო, მაგრამ სემინარიელებს კვლავ უხდებოდათ ბრძოლა თავიანთი უფლებების დასაცავად.

**ბ) 900-იანი წლების საქართველოში მიმდინარე საზოგადოებ-რივ-პოლიტიკური მოვლენების გამოძახილი სემინარიაში**

900-იანი წლების დასაწყისში, ბურჟუაზიულ-დემოკრატული რე-ვოლუციის მოახლოებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად გაიზარდა ხონის სემინარიის მოსწავლეთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტი-ვობა. სემინარისტები, ხონის მთელ მოწაფეობასთან ერთად, ჩაებნენ სხვადასხვა სახის პოლიტიკური წრეების მუშაობაში, შოულობდნენ და ეცნობოდნენ არალეგარულ ლიტერატურას, პროკლამაციებს, ეს ზრდიდა მათ პროტესტანტულ განწყობილებას რამაც გამოხატულება ჰპოვა სემინარიელთა ახალ გაფიცვაში. მაგრამ, ამჯერად სემინარი-ელები თავიანთი სასწავლებლის კედლებით არ შემოფარგლულან და საზოგადოებრივი ხასიათის მოთხოვნებიც წამოაყენეს.

1901 წლის 25 ოქტომბერს სემინარიის მოსწავლეებმა გაფიცვა გამოაცხადეს. მათ უნებართვოდ დატოვეს პანსიონი და ხონის გარეთ, სასწავლებლის კუთვნილ ბაღში, დაბანაკდნენ. გაფიცვას ხელმძღვანელობდნენ: ლ.ნადარეიშვილი, ვ.ბერიძე, ივ.წერეთელი და ნ.ჩიმაკაძე. მოსწავლეები მოითხოვდნენ: სალამოს მეცადინეობის სავალდებულო ცხრილის გაუქმებას, სავალდებულო სამუშაოების რიცხვის შემცირებას, ქართულ ენაში გადასაცემი კონსპექტის ქართულ ენაზე შედგენის უფლებას, ქართული ენის გაკვეთილების რიცხვის გადიდებას, ქართული ენის სწავლების დაწყებას მოსამ-ზადებელი კლასიდან, ზოგიერთი მასწავლებლის შეცვლას და სხვ.[63]

ოქტომბრის ბოლო რიცხვები იყო. საკმაოდ ციოდა. მოსწავლეთა გარეთ დარჩენა საშიში იყო მათი ჯანმრთელობისთვის. ამიტომ სემინარიელებმა, რევოლუციურად განწყობილი პირების რჩევით, ნებადაურთავად დაიკავეს მ.სანოძის იმ დროს თავისუფალი სახლი. თვით მ.სანოძე თანახმა იყო სახლი გაფიცული მოსწავლეებისთვის დაეთმო, მაგრამ სახლში შესვლა ოფიციალურად „ძალით" მოხდა.

63. ვ.ძიძიგური, დასახ. ნაშრ. გვ.29.

ვერავითარმა ღონისძიებამ ვერ გაქრა, მოსწავლეები უარს ამბობდნენ სემინარიაში დაბრუნებაზე. საქმის გამოსაძიებლად ხონში ჩავიდა სასწავლო ოლქის ინსპექტორი ა. სლავინსკი. იგი შეეცადა გაეზვიადებია გაფიცვის ეროვნული მხარე, მაგრამ ამაოდ. მოსწავლეები ამ ანკესზე არ წამოეგნენ და ბოლომდე ენერგიულად იცავდნენ თავიანთ მოთხოვნებს.

ა. სლავინსკი იძულებული გახდა კომპრომისზე წასულიყო. მან მოსწავლეებს აღუთქვა: თქვენ მოთხოვნებს განათლების მინისტრს წარვუდგენ და შევეცდები საკითხი თქვენს სასარგებლოდ გადაიჭრასო.

28 ოქტომბერს, სამდღიანი გაფიცვის შემდეგ მოსწავლეები სემინარიაში დაბრუნდნენ. მაგრამ მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე არავის უფიქრია. პირიქით, განათლების სამინისტრომ წინადადება მისცა სასწავლებლის დირექციას მტკიცედ გაეტარებია სასწავლო ოლქისგან ყველა მიღებული დირექტივა.

ამ პერიოდში, პ.კიკილაშვილის ცნობით, სემინარიაში გამოდიოდა არალეგალური ხელნაწერი ჟურნალი „გაზაფხული", რომელსაც პუკოლ ბერიძე რედაქტორობდა. ჟურნალში თანამშრომლობდნენ: ლ.ნადარეიშვილი, ვ.ხუროძე, ივ.წერეთელი, ნ.ჩიმაკაძე და სხვ.

მოსწავლეთა გაფიცვა სასწავლო ოლქმა მ.მოხირის სუსტი ადმინისტრაციული ნიჭით ახსნა და მალე იგი სხვაგან გადაიყვანეს. მის ნაცვლად დანიშნული ვ.დევიცკი შეეცადა სემინარიაში „სანიმუშო წესრიგი" დაემყარებია და იგი „გარეშე საზოგადოების" გავლენისგან დაეცვა. მაგრამ ეს სულ უფრო ძნელი ხდებოდა. სემინარიელები აქტიურად ჩაებნენ საზოგადოებრივ მოძრაობაში. ეს კარგად იცოდა დირექტორმა. მას შემოკრებილი ყავდა ჯაშუშები, აგროვებდა ცნობებს მეფის საწინააღმდეგო გამოსვლების შესახებ და ჟანდარმერიას უგზავნიდა, მაგალითად ცნობილ ექიმზე-პ.კიკალიშვილზე ვ.დევიცკი სასწავლო ოლქის მზრუნველს აცნობებდა „ხონისა და მისი რაიონის დემოკრატიული აზროვნება ექიმ კიკალეიშვილის ირგვლივ ტრიალებს და სანამ იგი არ იქნება გაძევებული მე არ შემიძლია ვიტვირთო პასუხისმგებლობა სემინარიაში მშვიდობიანობისათვის".[64]

---

64. „რევოლუციის მატიანე", 1929, N1(21), გვ.146.

Въ предъидущемъ письмѣ мы видѣли, [illegible]
[illegible], когда народъ не [illegible]
[illegible] съ нимъ правительство. [illegible]
[illegible], тогда какъ [illegible]
[illegible], а [illegible] при [illegible]
[illegible] и [illegible]
[illegible], [illegible], [illegible], [illegible],
[illegible], [illegible], [illegible] и проч. и проч.
Но правительство и этимъ не удовлетворяется. Чтобы
народъ не понялъ образа дѣйствій [illegible] и
по другимъ средствамъ. Мы знаемъ, что общество состо-
итъ изъ людей съ различными способностями; мы знаемъ
же, что одни понимаютъ лучше, а другіе хуже, одни
развитѣе, а другіе менѣе; правительство [illegible] вни-
маніе на это обстоятельство. Такіе развитые и пони-
мающіе не могутъ имѣть вліянія на неразвитыхъ и не-
понимающихъ, чтобы они ему не разъясняли, какъ
правительство злоупотребляетъ [illegible], что распростра-
[illegible] общему развитію, [illegible] всѣ образ. [illegible]
[illegible] правительства, что разумные люди [illegible]
[illegible], чтобы они не могли [illegible]
сходиться для [illegible] [illegible] противъ
правительства. Другаго же средства для достиженія
этой цѣли общество не знаетъ. Такимъ образомъ
правительство отняло у народа средство къ разви-
тію самосознанія, и народъ [illegible]
[illegible] впередъ. [illegible]
[illegible] [illegible]
препятствія, [illegible] [illegible] народъ [illegible]
[illegible], для [illegible] правительства [illegible]
[illegible] болѣе [illegible] для [illegible] у прави-
тельства [illegible] больше [illegible], [illegible]
[illegible], и [illegible], между тѣмъ [illegible]
[illegible] жизнь всѣхъ честныхъ людей, жизнь всѣхъ
тѣхъ, которые [illegible] господство
правительства, [illegible] [illegible]
и [illegible] всѣхъ, [illegible] народъ на



мирно, спокойно. А потом, где много нельзя было оградить, ограничили власть государя, отняли у него право издавать законы и сами стали издавать и исполнять законы при помощи своих же представителей."

Батумскій соціал-демокр. комитет рабоч.

1902 г.
№ 83

7. Секретно. Начальнику Кутаисского гу[illegible]

[illegible]

ხონის საოსტატო სემინარიაში აღმოჩენილი ბათუმის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის პროკლამაცია

1903 წლის 15 მაისს დირექტორმა ქუთაისის ჟანდარმთა სამმართველოს გაუგზავნა სემინარიაში აღმოჩენილი ბათუმის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის მიერ დაბეჭდილი პროკლამაცია, რევოლუციური შინაარსის სხვა ფურცლები.[65]

1905-1907 წლების რევოლუციის დროს ხონის სემინარიის მოსწავლეები მთელ ქართველ ახალგაზრდობასთან ერთად თავდებით იბრძოდნენ სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის. დირექტორი-ჯალათი ვ.დევიცკი დასმენას-დასმენაზე გზავნიდა ზემდგომ ინსტანციებში და დახმარებას ითხოვდა. 1905 წლის 28 თებერვალს, იგი სასწავლო ოლქის მზრუნველს მოახსენებდა: „...მაქვს პატივი გაცნობოთ რომ 27 თებერვალს, ღამით, 3 საათზე, უცნობ პირთა ბრბომ გაიარა სემინარიის ახლოს და მოსწავლეთა საძინებელ ოთახში ისროლა ორი მოზრდილი ქვა...ამას უნდა დაემატოს ისიც, ადგილობრივი პოლიცია არა თუ უძლურია დაიცვას სემინარია, არამედ თვით ავრცელებს მოსახლეობაში ჩემს წინააღმდეგ მიმართულ ხმებს. ასე მაგალითად, ბოქაული ავრცელებს ხმებს ბაზარში, თითქოს მე მოვაწყვე ფიქტიური თავდასხმა ეკონომ უსინოვზე და ცაგარეიშვილზე იმ განზრახვით, რომ მქონდა საბაბი დაბაში ჯარი მომეწვია. მოსახლეობას არ უნდა, რომ აქ ჯარი იდგეს და სიკვდილით ემუქრება ყველა იმას, ვინც დაბაში ჯარს მოიწვევს. რადგან ამ უკანასკნელს შეუძლია ბოლო მოუღოს იმ მრავალრიცხოვან „სხოდკებს", რომლებიც თითქმის ყოველდღე იმართება ხონის სხვადასხვა ადგილას და მის მიდამოებში, სადაც წარმოთქვამენ სიტყვებს მსგავსი სულისკვეთებით იმ პროკლამაციისა, რომელიც გუშინ გამოვუგზავნე თქვენს აღმატებულებას იმის აღნიშვნით, რომ დახვრეტილ იქნა მეფის სურათი და ა.შ.".[66]

როგორც მოტანილი დოკუმენტიდან ირკვევა ვ.დევიცკის 1905 წლის თებერვლის ბოლოს სემინარიაში მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციები აღმოუჩენია და ამის შესახებ სასწავლო ოლქისთვის სასწრაფოდ უცნობებია. ვ.დევიცკის ჯაშუშურმა საქმიანობამ და აშკარა შოვინისტურმა პოლიტიკამ ხონში საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. სემინარიელებმა შეთქმულებმა მოაწყვეს დირექტორის წინააღმდეგ. მათ განზრახული ჰქონდათ მოეკლათ ვ.დევიცკი. ამისთვის ყველაფერი მზად

65. ქცსა, ფ.121, საქ.695, ფურ.3-4.
66. სცსსა, ფ.12, აღწ.7. საქ.3290. ფურ.116.

იყო, მაგრამ დევიცკიმ იგრძნო განსაცდელი და თავს უშველა. 1905 წლის 5 მარტს მასწავლებელი ვ.ო.დომაშევსკის ხელმძღვანელობით, ჩატარდა პედაგოგიური საბჭოს სხდომა რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება სემინარიაში დროებით მეცადინეობის შეწყვეტის შესახებ.[67] რადგან პედაგოგიური საბჭოს სხდომა ვ.დომაშევსკიმ ჩაატარა, ირკვევა, ამ დროს ვ.დევიცკი ხონიდან ნასული იყო.

1905 წლის 15 მარტს გაზეთი „ივერია" იუწყებოდა, რომ ამ დღეებში უგზო-უკვალოდ გაპარულა იქაური საოსტატო სემინარიის დირექტორი დევიცკი, რომელმაც ამას წინათ ადგილობრივ მკვიდრთა „დასამშვიდებლად", პოლიციის დაუკითხავად ასამდე ყაზახი მოიწვიაო".[68]

მეფის მოხელეებმა და „სტრაჟნიკებმა" ალყა შემოარტყეს სემინარიის შენობას იგონებდა ვარ.ძიძიგური, ხოლო დევიცკი, რომელიც სიკვდილს გადაურჩა, მცველები მიუჩინეს, კავკასიის სასწავლო ოლქის წარმომადგენელი ტელეგრაფით გამოიწვიეს (ოლქის ინსპექტორი სლავინსკი ჩამოვიდა), თოთხმეტი სემინარიელი გარიცხეს, სხვების საქციელი „კონდუიტებში შეიტანეს, დევიცკი ხონიდან გააპარეს და რამდენიმე თვე სემინარია უდირექტოროდ დატოვეს".[69]

ხონის სემინარიის მოსწავლეებს, რომლებიც სრულიად საქართველოს წარმოადგენდნენ, თავიანთი გულწრფელი მონაწილეობით საზოგადოებრივ მოძრაობაში, მოკრძალებული წვლილი შეჰქონდათ ქართველი ხალხისთვის სანუკვარი დღის-1918 წლის 26 მაისის მოახლოებაში.

## 11. სემინარიის ევაკუაცია ძ.გეორგიევსკში პირველი მსოფლიო ომის დროს

1914 წლის აგვისტოში დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. ოქტომბერში თურქეთი ომში ჩაება გერმანიის მხარეზე და შავი ზღვის რუსული ნავსადგურების დაბომბვა დაიწყო. 2 ნოემბერს რუსეთმა ომი გამოუცხადა თურქეთს. შეიქმნა კავკასიის ფრონტი.

67. ქცსა, ფ.121, საქ.769, ფურ.16-18.
68. „ივერია". 1905, 3,15,N7, გვ.3.
69. ვარ.ძიძიგური, დასახ. ნაშრ. გვ.31.

თურქეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ საომარი ოპერაციების დაწყებამ კავკასიის ადმინისტრაციაში პანიკა და ნერვიულობა გამოიწვია. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ზოგიერთი სასწავლო დაწესებულების ჩრდილოეთ კავკასიაში ევაკუაციის შესახებ.

1914 წლის დეკემბრის ბოლოს ხონის სემინარია ნაწილობრივ ევაკუირებული იქნა ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქ გეორგიევსკში. სემინარიას უკვე ახალი დირექტორი ჰყავდა-ვლ.პავლოვსკი. ქ.გეორგიევსკში გაიგზავნა პანსიონი და ძირითადი კლასები, თავიანთი მოსამსახურე პერსონალით. ხონში დარჩა სემინარიასთან არსებული დაწყებითი სანიმუშო სკოლა. მის ხელმძღვანელს ლავ.ანტ.ჩიმაკაძეს დაეკისრა პასუხისმგებლობა სემინარიის ქონებისა და შენობის დაცვაზე. მისი ყურადღების ქვეშ იყო, აგრეთვე სემინარიის: ბაღები, ბოსტნები, ფუტკრის სკები და სხვ. ლ.ჩიმაკაძე ყოველ ორკვირაში ერთხელ დირექტორს უგზავნიდა მოხსენებით ბარათს სემინარიაში არსებული მდგომარეობის შესახებ.

სემინარია ევაკუაციაში დიდხანს არ დარჩენილა. ჩაიშალა თურქეთის არმიის სარდლობის მიერ წამოწყებული ოლთის-სარიყამშის ფართომასშტაბიანი ოპერაცია. რუსეთის ჯარებმა გაიმარჯვეს. თურქების შემოჭრის საფრთხემ გაიარა. სემინარია ხონში დაბრუნდა და მუშაობა განაგრძო.

## 12. სემინარიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

ხონის საოსტატო სემინარიას, როგორც სასწავლო დაწესებულებას, თავის დროისთვის საკმაოდ კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ჰქონდა. 1881-1883 წლებში ტექნიკმა, ტიტულიარნი სოვეტნიკმა, ანდრია ალექსანდრეს ძე ივანოვმა ააგო სემინარიის ორსართულიანი აგურის შენობა, რომელიც არქიტექტურული თვალსაზრისით, ერთ-ერთი ლამაზი ნაგებობა იყო ხონში.[71]

---

70. ქცსა, ფ.121, საქ.1012, ფურ.1-14.

71. ა.ივანოვზე ადრე ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორს ხონის სემინარიისთის შენობის აგების შესახებ განცხადებით მიმართა ხონში მცხოვრებმა აზნაურმა ლუკა დავითის ძე ქორქაშვილმა, მაგრამ რატომღაც უპირატესობა პირველს მიანიჭეს.

1883 წლის 27 აპრილს ანდ.ივანოვი სასწავლო ოლქის მზრუნველს აცნობებდა, რომ სემინარიის შენობა უკვე მზადაა და სკოლის დირექციამ იგი უნდა ჩაიბაროს. მაგრამ გამოირკვა-სამუშაოები მთლიანად დასრულებული არ იყო და ამიტომ სემინარიის დირექტორმა ს.სტრელეცკიმ ნაადრევად ჩათვალა შენობის ჩასაბარებლად სპეციალური კომისიის შექმნა. დასამთავრებელი სამუშაოები შესრულდა და 1883-1884 სასწავლო წელი ხონის საოსტატო სემინარიამ ახალ შენობაში დაიწყო.

ანდ.ივანოვთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით სემინარიის სახელმწიფო ბიუჯეტში ყოველწლიურად გათვალისწინებული იყო შენობის დაქირავების თანხა-3000 მანეთი. 20 წლის შემდეგ (1882 წლის 1 იანვრიდან 1902 წლის 1 იანვრამდე) ნაგებობა კავკასიის სასწავლო ოლქის საკუთრებაში გადადიოდა.[72] იგი შეფასებული იყო 50.000 მანეთად.[73] საერთოდ სემინარიის კუთვნილი შენობის ღირებულება 87.379 მანეთს შეადგენდა.

პროექტი ითვალისწინებდა სასწავლებელ-პანსიონის თითქმის ყველა ნიუანსს. პირველ სართულზე განლაგებული იყო საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა,სამასწავლებლო,სახელოსნოები, სასადილო სამზარეულო და სხვ. მეორეზე-საძინებელი ოთახები, გასახდელი, აბანო,საავადმყოფო, დირექტორის ბინა, სამლოცველო (ეკლესია) და დარბაზი კონფერენციისათვის.

გავიდა წლები. სემინარიის ზრდამ და სასწავლო პროცესის შემდგომი სრულყოფის ამოცანებმა მოითხოვეს შენობის გაფართოება და გადაკეთება. ამასთან დაკავშირებით 1903 წლის შემოდგომაზე შეიქმნა სპეციალური სამშენებლო კომისია, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ სემინარიის, ქუთაისის სახაზინო პალატის და სახალხო სკოლების დირექციის წარმომადგენლები. ინჟინერმა კონოვალოვმა ქუთაისის გუბერნიის არქიტექტორის მიერ შედგენილი პროექტის მიხედვით 1904 წლის თებერვალში წარმოადგინა ხარჯთაღრიცხვა, რომელიც 57848 მანეთის სამუშაოების შესრულებას ითვალისწინებდა.[74]

72. ქცსა, ფ.121, საქ.1. ფურ.226.

73. Отчет Попечителя Кав. учсб. окр. о деятельности учебных заведении за 1885г. Тф.1886г. с.75.

74. ქცსა, ფ.121, საქ.707, ფურ.1,18.

შენობის გაფართოება და რეკონსტრუქცია 1904-1909 წლებში მიმდინარეობდა. სემინარიის ახლად მიშენებულ ნაწილში გადავიდა დაწყებითი სანიმუშო სკოლა, გაფართოვდა და კეთილმოწყობილი გახდა სამლოცველო, რომელიც გამოიყენებოდა, აგრეთვე, სხვადასხვა სახის ღონისძიებისათვის (იუბილეების, სემინარიელთა საერთო შეკრების დროს და ა.შ.), კეთილმოეწყო და გაფართოვდა სპორტული დარბაზი, ცალკე ოთახები გამოეყო კაბინეტ-ლაბორატორიებს (ფიზიკის, ქიმიის და სხვ.), ვრცელი დარბაზი დაეთმო სემინარიასთან არსებულ საბუნებისმეტყველო-ისტორიულ მუზეუმს. სამწუხაროდ, სემინარიის ფონდში არ აღმოჩნდა უფრო დაწვრილებითი ცნობები ამ მუზეუმის შესახებ. ჩვენი აზრით მას საფუძველი ჩაუყარა დირექტორმა მ.მოხირმა, სპეციალობით ბუნებისმეტყველმა, რომელიც დაინტერესებული იყო იმერეთის ფლორისა და ფაუნის შესწავლით. მისი დავალებით მოსწავლეები აგროვებდნენ მხარის ბუნებისა და ისტორიული წარსულის ამსახველ მასალებს, რაც, სათანადო დამუშავების შემდეგ, თავს იყრიდა სემინარიის საბუნებისმეტყველო-ისტორიულ მუზეუმში (естественно-исторический музей). მოეწყო მუსიკისა და ხატვის გაკვეთილების კლასი.[75]

სემინარიას, როგორც ავღნიშნეთ, ჰქონდა კარგად აღჭურვილი ხელით შრომის კაბინეტები-სადურგლო და საზეინკლო სახელოსნოები, სამკინძველო, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თვალსაზრისით, მაღალ დონეზე იდგა მეაბრეშუმეობის საქმე, სემინარიის სასწავლო-დამხმარე მეურნეობა-მებოსტნეობის, მემინდვრეობის, მეხილეობის, მეფუტკრეობის სახით, პროდუქტებით ამარაგებდა პანსიონს და მომსახურე პერსონალს.

სემინარიას ჰქონდა საკმაოდ მდიდარი ფუნდამენტალური და სასწავლო ბიბლიოთეკა. დირექცია ყოველწლიურად სოლიდურ თანხას ხარჯავდა მის შესავსებად. 1890 წელს სემინარიის ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკაში დაცული იყო 975 დასახელების 1635 წიგნი (საერთო ღირებულება 3053 მანეთი),[76] ხოლო 1900 წელს-2191 დასახელების-3697 წიგნი (საერთო ღირებულება 6583 მა-

75. სემინარიის შენობას მესამე სართული დააშენეს XX საუკუნის 30-იან წლებში.

76. ვ.გაგუა, სახალხო განათლება მე-19 საუკუნის რეფორმის შემდგომ საქართველოში, თბ. 1974, ფურ.147.

ნეთი),[77] 1904 წელს სემინარიის დირექტორი წლიურ ანგარიშში აღნიშნავდა — ბოლო წლებში ბიბლიოთეკა იმდენად გამდიდრდა, რომ მასში შეიძლება იპოვოთ თითქმის ყველაფერი რუსული და საზღვარგარეთის ლიტერატურიდან. გარდა წიგნებისა ბიბლიოთეკას გამოწერილი ჰქონდა რუსული და ადგილობრივი პერიოდული გამოცემები. მაგალითად, 1904 წელს სემინარია ღებულობდა შემდეგ ჟურნალ — გაზეთებს: „Исторический вестник", „Русское богатство", „Вестник востока", „Нива", „Педагогический сборник", „Русское начальное училище". „В мире божий", „Кавказ", „Новое обозрение", „ცნობის ფურცელი".

1905 წელს სემინარიის ბიბლიოთეკის ქრონოლოგიური და სისტემატიური კატალოგი შეადგინა ანტონ პაუდეკმა.[78]

რაც შეეხება სემინარიის სასწავლო ბიბლიოთეკას მასში თავმოყრილი იყო უახლესი სახელმძღვანელოები, სპეციალური პედაგოგიკური ლიტერატურა, რაც გამოიყენებოდა არა მარტო თეორიული საგნების შესწავლის დროს, არამედ საცდელი გაკვეთილების გადაცემის პროცესში. გაკვეთილის გარჩევისას პრაქტიკანტ-სემინარიელისგან მოითხოვდნენ სპეციალური მეთოდური ლიტერატურის ცოდნასაც.

1903 წლის 26 ოქტომბერს პედაგოგიურმა საბჭომ განიხილა სემინარიის განათების საკითხი. აღინიშნა, რომ განათების არსებული წესი ბევრ უხერხულობასთან იყო დაკავშირებული. შენობის გასანათებლად გამოიყენებოდა ნავთის ლამპები. ყოველ საკლასო ოთახში თითეული მაგიდა-მერხის მახლობლად ჭერზე დაკიდებული იყო 10-17 ლამპა. ლამპები ეკიდა, დერეფნებში, კიბეებთან, სათავსოებში და ა.შ. ჯერ ერთი ლამპების ანთება დიდ დროს მოითხოვდა, შემდეგ იზრდებოდა ტემპერატურა, საკმაოდ დიდი იყო ხანძრის საშიშროება, ლამპები ხშირად ბოლდებოდა და შენობას ჭვარტლით ავსებდა. ამასთან ერთად, სემინარიის ნავთის ლამპებით განათება ძვირი-ყოველთვიურად 40 მანეთი ჯდებოდა.

პედაგოგიურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სემინარიის შენობის გასანათებლად ნავთის ლამპების ნაცვლად გამოეყენებიათ

---

77. Отчет о состоянии учебных заведении Кавказкого учебного округа за 1900 год. Тф. 1901.

78. ქცსა, ფ.121, საქ.764, ფურ.38-39, 43, საქ.769, ფურ.58-59.

იმ დროისათვის უფრო თანამედროვე ბენზინ-სავარვარო ლამპები (бензино-калильные лампы). ამან მნიშვნელოვნად გააუმჯობესა სემინარიის შენობის განათების საქმე.[79]

სემინარიის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც იმპერატორმა ალექსანდრე II 1880 წლის 20 ოქტომბერს დაამტკიცა, 27.800 მანეთს შეადგენდა. გარდა ამისა მას ჰქონდა ე.წ. სპეციალური სახსრები (ძირითადად მოსწავლეთა მიერ გადახდილი სწავლის ქირა). 1885 წელს სემინარიის შენახვაზე დაიხარჯა 30.865 მანეთი. აქედან 28.790 მანეთი სახელმწიფო ბიუჯეტით, ხოლო 2.065 მანეთი-სპეციალური სახსრებით. სემინარიის მიერ დახარჯული თანხა ასე იყო განაწილებული: შენობის ქირა-3000 მან; სარემონტო სამუშაოები-1528 მან; სხვა სამეურნეო ხარჯები-1281; პირადი შემადგენლობის შენახვა-16.644 მან; ხელფასზე დანამატი-500 მან; პანსიონში მოსწავლეთა შენახვა-7392 მან; დახმარება მოსამსახურე პერსონალს-100 მან; დახმარება მოსწავლეებს-100 მანეთი; კავკასიის სასწავლო ოლქს ჩაერიცხა-22 მან; სხვა ხარჯებს-298 მან.-სულ 30.865 მან.[80]

1910 წელს სემინარიაზე დაიხარჯა 35.097 მან. მათ შორის-30234 მანეთი სახელმწიფო ბიუჯეტით, ხოლო 4863 მან. სპეც სახსრებით.[81]

ხონის სემინარია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თვალსაზრისით ერთ-ერთი კეთილმოწყობილი სასწავლებელი იყო მთელს დასავლეთ საქართველოში.

---

79. ქცსა, ფ.121, საქ, 711, ფურ.1.

80. Отчет Попечителя Кав. уч. окр. о состоянии учебных заведении за 1885 год...с.75.

81. ქცსა, ფ.121, საქ.876, ფურ.10-11.

# თავი მეოთხე
# ხონის სემინარია 1917-1921 წლებში

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შედეგად დაემხო მეფის თვითმპყრობელობა, მაგრამ რუსეთის ყოფილი იმპერიის მთლიანობა შენარჩუნებულ იქნა. დროებითმა მთავრობამ ამიერკავკასიაში შექმნა თავისი ადგილობრივი ორგანო-განსაკუთრებული კომიტეტი („ოზაკომი"), რომელმაც ნოემბრამდე იარსება. დროებითი მთავრობის დამხობისა და ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკების მისვლის შემდეგ შექმნილი-ამიერკავკასიის კომისარიატი-1918 წლის თებერვალში-ამიერკავკასიის სეიმმა შეცვალა, ხოლო 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა, რომელიც 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის ჯარებმა დაიპყრეს.

1917-1921 წლები უაღრესად მნიშვნელოვანი პერიოდია ხონის სემინარიის ისტორიაში. ჯერ კიდევ 1917 წლის 14 ივნისს გამოიცა კანონი, რომლითაც სპეციალური სასწავლებლები, მათ შორის სამასწავლებლო სემინარიები, საშუალო ტიპის სასწავლებლად გამოცხადდნენ. ამასთან დაკავშირებით 1917-1918 სასწავლო წელს გაიხსნა დამამთავრებელი მეოთხე კლასი და სემინარიამ სრული საშუალო სასწავლებლის სახე მიიღო.[1]

1918-1919 სასწავლო წლიდან განხორციელდა ქალ-ვაჟთა ერთად სწავლება და გაიხსნა ძირითადის პარალელური კლასები.

1918-1919 სასწავლო წელს სემინარიის მოსწავლეთა შემადგენლობა ასეთი იყო:[2]

**მოსამზადებელი კლასი**

1. ბახტაძე ალექსანდრა
2. ბახტაძე ვასილი
3. ბახტაძე ლიდია
4. ბახტაძე პარასკევა (ალ.ას.)

---

1. ქცსა, ფ.121, საქ.1076, ფურ.1.
2. იქვე, საქ.1114, ფურ.5.

-დეკემბერი. 1918 წ.

ხონის საოსტატო სემინარიის
დირექტორს.

რწმუნებული თქვენდამი საოსტატო სემინარია, თანახმად პარლამენტის დადგენილებისა, უკვე გაეროვნებულია და სახელად ეწოდება მას: „ხონის საოსტატო სემინარია"

თუ ახალი ბლანკების შექმნა გაუჭირდება სასწავლებელს, ძველზე მაინც გადასწორებული იქმნეს „ქუთაისის საოსტატო სემინარია" – „ხონის საოსტატო სემინარია"-თ.

დირექტორი

საქმის მწარმოებელი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტროს მიწერილობა სემინარიის დირექტორისადმი

5. ბახტაძე პარასკევა (მოს.ას.)
6. ბახტაძე სევერიანე
7. გელენიძე ვალერიანე
8. ირემაძე ბაბილინა
9. კაკაბაძე გიორგი
10. კვიცარიძე ივანე
11. ტაბიძე ვარლამ
12. ცაგარეიშვილი ალექსანდრა
13. წვერავა მარიამ
14. ხარაბაძე გრიგოლ
15. ჩომახიძე შალვა

პირველი ძირითადი კლასი

1. ბართაია სევასტი
2. ბახტაძე კონსტ. (ევგ.)
3. ბახტაძე კონსტ. (ამბაკ.)
4. გიორხელიძე დომენტი
5. გოფოძე ვასილი
6. გენძეხაძე შალვა
7. დიდიშვილი ვიქტორი
8. სანოძე გიორგი
9. ყუფარაძე პავლე
10. მაჭარაძე მიხეილ
11. რატიანი პელაგია
12. ლეჟავა მარიამი
13. ფარცხალაძე მარიამი
14. ბერულავა კალისტრატე
15. ჯოხიძე კირილე
16. ქაცარავა აკაკი
17. კაჭახიძე ნინო
18. ქუთათელაძე თამარ
19. ჩირგაძე ილია
20. შამათავა კალისტრატე

## პირველი პარალელური კლასი

1. არევაძე ვასილი
2. ბალათურია პარმენ
3. ბარამია იპოლიტე
4. ბახტაძე ვასილ
5. დანელია ელპიდე
6. კაკაბაძე პარასკევა
7. პერტახია მიხეილ
8. ტუღუში ალექსი
9. ფურცელაძე ვასილი
10. ჩირგაძე ოლღა
11. ჩაკვეტაძე ვასილი
12. ცაგარეიშვილი გიორგი
13. ჭავჭანიძე მინადორა
14. ჭანიშვილი იაკინთე
15. ჭელიძე ნიკოლოზ
16. ხუროძე ნინო
17. ჭელიძე ბაგრატ
18. ჯოხიძე ნინო
19. ცხაკაია ლუარსაბ
20. რუხაძე გრიგოლ

## მეორე კლასი

1. აბაშიძე ვარვარა
2. ახვლედიანი ვარვარა
3. გაბუნია კირილე
4. დადუნაშვილი ლავრენტი
5. იოსელიანი ივანე
6. კარტოზია ვლადიმერი
7. ლაგვილავა ლეონტი
8. მაჭარაძე მარიამი
9. მებუკე სერგო

10. მიქაძე კალისტრატე
11. ნადარეიშვილი ვარლამ
12. ნაროუშვილი ამბაკო
13. რუხაძე ვარლამ
14. რუხაძე დომენტი
15. სიგუა იპოლიტე
16. ხოფერია ერმილე
17. ცხაკაია ვასილი
18. ჩახვაძე ზოსიმე
19. ჩიჩუა ვარდენ
20. შეშილაძე მიხეილ

### მესამე კლასი

1. გვილავა ესტატე
2. დოლიძე იროდი
3. კვანტალიანი გრიგოლ
4. მალაზონია ნესტორ
5. რევია არჩილ
6. ქურდია კაპიტონი
7. ქორჩილავა ვლადიმერი
8. ჩემია მიხეილ
9. ქავთარია აპოლონ
10. ხარაბაძე გალაქტიონ
11. ჯორბენაძე ხარიტონ
12 ჯორბენაძე შალვა
13. ელისაშვილი ივანე
14. ჯანჯღავა

### მეოთხე კლასი

1. აბულაძე ალექსანდრე
2. ბახტაძე სპირიდონ

3. ბლუაშვილი დავით
4. გვაზავა ნიკოლოზ
5. ზუხბაია ერასტი
6. თუთარაშვილი ალექსანდრე
7. კოპალეიშვილი ხარლამპი
8. კუტიევაძე ელიზბარ
9. ლაგვილავა ერასტი
10. მელაძე პარმენ
11. მესხი მათე
12. ნადირაძე გრიგოლ
13. ქირია ალექსანდრე
14. ჩაფიძე ნესტორ
15. ჩიტია ირაკლი
16. ჩირგაძე პოლიკარპე
17. ჭანტურია გრიგოლი

**1918 წლის ბოლოს, როგორც აღინიშნა, ხონის სამასწავლებლო სემინარიას ხონის სასტატო სემინარია ეწოდა.**

შეიცვალა სემინარიის მართვის წესი. გაიზარდა პედაგოგიური საბჭოს უფლებები. მის შემადგენლობაში შედიოდნენ: მასწავლებლები, დამრიგებელი მასწავლებლები, სემინარიის ექიმი, მშობელთა თითო წარმომადგენელი ყოველი კლასიდან, თუ ამას დირექცია საჭიროდ ჩათვლიდა, საქალაქო და საერობო თვითმართველობის წარმომადგენლები.

პედაგოგიური საბჭოს უფლება-მოვალეობას შეადგენდა: მოსწავლეთა შესახებ ყველა საკითხის განხილვა და გადაწყვეტა (მოსწავლეთა მიღება და გარიცხვა, კლასიდან კლასში გადაყვანა, სწავლის ქირისაგან განთავისუფლება და სხვა.), სახალხო განათლების სამინისტროს თანხმობით სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში ცვლილების შეტანა, მასწავლებელთა და საერთოდ სემინარიის მოსამსახურე პერსონალს შორის სამუშაოს განაწილება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის ზრუნვა და ა.შ.[3]

**თითქმის მთლიანად შეიცვლა სემინარიის პედაგოგთა შემადგენ-**

---

3. ქცსა, ფ.121, საქ.1127, ფურ.21.

ლობა. სასწავლებლიდან წავიდნენ არაქართველი მასწავლებლები, მაგრამ არა იმიტომ, რომ ისინი განდევნეს. არა - შემოღებულ იქნა ქართულ ენაზე სწავლება და მათ აღარ შეეძლოთ ქართულ სკოლაში მუშაობის გაგრძელება.[4] 1917 წლის ზაფხულიდან სემინარიის დირექტორად დაინიშნა ამავე სემინარიის აღზრდილი და მასწავლებელი ათანასე გაბრიელის ძე ხარაბაძე. მან თავის გარშემო შემოიკრიბა ნიჭიერი, განათლებული და ამავე დროს ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული პედაგოგები. ყველანი აღფრთოვანებულნი იყვნენ იმით, რომ მოღვაწეობა უხდებოდათ თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოში და ამიტომ გატაცებით ასრულებდნენ თავიანთ წმინდა და საპასუხისმგებლო მოვალეობას.

ახალმა დირექტორმა 1917 წლის სექტემბერში, ქართული ენისა და ლიტერატურის და ისტორიის მასწავლებლად სემინარიაში მიიწვია ამავე სემინარიაში აღზრდილი, შემდეგში "გამოჩენილი პედაგოგი, მეთოდისტი, უანგარო საზოგადო მოღვაწე, მწერალი, ქართული კულტურის ერთგული მსახური, მრავალმხრივ განათლებული, მგზნებარე პატრიოტი, ფუტკარივით მშრომელი, მეტისმეტად თავმდაბალი, უხმაურო, მაღალზნეობრივი, სრულფასოვანი ინტელიგენტი-ყველა მაღალადამიანური მოქალაქეობრივი თვისებით დაჯილდოებული პიროვნება-ვარლამ ადამის ძე ხუროძე (1883-1939). ეს დახასიათება ეკუთვნის პროფ. ვალერიან რამიშვილს და ამოღებულია ბოლოსიტყვაობიდან, რომელიც დართული აქვს ვარლამ ხუროძის კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილების საკმაოდ ვრცელ რჩეულს (დაიბეჭდა1986წ.)

ვარლამ ხუროძე მალაქიაშვილის ფსევდონიმით აქვეყნებდა თავის მხატვრულ თხზულებებს და XX საუკუნის ათიანი წლებიდან პოპულარული მწერალი იყო. ამის პარალელურად იგი ბეჭდავდა კრიტიკულ ნარკვევებს ქართველ, რუს და უცხოელ მწერალთა შემოქმედებაზე, აგრეთვე პუბლიცისტურ წერილებს ქართული ხელოვნებისა და კულტურის საკითხებზე.[5]

---

4. სემინარიაში დარჩა ა.პაუდეკი,რომელმაც, როგორც ჩანს ქართული საკმაოდ კარგად იცოდა.

5. ვარლამ ხუროძე, კრიტიკული წერილები, კრებული შეადგინა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო პროფ. ალექსანდრე სიგუამ. პროფ.ვალ. რამიშვილის რედაქტორობით. თბ.1986.

ვ.მალაქიაშვილს ეკუთვნის ცნობილი რომანები:„შოთა ბროლიძე",„სამნი",„გრიგალი საქართველოში",მოთხრობები:„ლუკმა პურისათვის",„ორი საფლავი",„მე მუნჯი ვარ",„სამოთხეში",„სიკვდილი და სიცოცხლე" და სხვა. დრამატული ნაწარმოებები:„შავი გველი", „მშობლიური ბუდისაკენ", წერდა ლექსებს.

ვარლამ ხუროძე დაიბადა 1883წელს ხონის მახლობლად, სოფელ მათხოჯში. იგი თავის თავგადასავალს მოკლე ავტობიოგრაფიაში ასე გადმოგვცემდა: „...1899 წელს ხონის ორკლასიან სასწავლებელში მიმაბარეს. საშინელი ბიუროკრატიული სული მეფობდა ამ სკოლაში: მოწაფის პიროვნების მუდამ ფეხქვეშ თელვა, ფიზიკური შრომისა და სიღარიბისათვის ზოგიერთი მასწავლებლის მხრივ მოწაფეების მასხრად აგდება, ცემა-ტყეპა, დაჩოქება, კინწისკვრა.

1901 წელს ასრულდა დედაჩემის დიდიხნის ნატვრა და მტკიცე სურვილი და მეც ხონის საოსტატო სემინარიაში მეორე მოწაფედ ჩავაბარე გამოცდა. ამ სასწავლებელში მე ვიწვნიე ბიუროკრატიული სკოლის ყველა "სიკეთენი", მაგრამ ძვალსა და რბილში გამიჩნდა ის აზრი, რომ ხალხის სამსახურისათვის შემეწირა ჩემი თავი. ამ სამსახურს მე უმთავრესად მწერლობაში ვხედავდი..."

სემინარიელი ვარლამის ეს მიდრეკილება არ გამოპარვია დამრიგებელი მასწავლებლის „მახვილ" თვალს. იგი თავისი აღსაზრდელის დახასიათებისას წერდა:„...რით არის დაინტერესებული ამის თქმა ძალიან ძნელია. იგი შეიძლება ხშირად ნახოთ განმარტოებით-ამ დროს ან ქართულ წიგნებს კითხულობს ან ქართულად წერს. კითხვაზე რას აკეთებთ?-ჩვეულებრივ პასუხობს:რუსული ბელეტრისტიკის ნიმუშებს ვთარგმნი ქართულ ენაზეო. როგორც სჩანს, მას სურს გარკვეული პოპულარობა მოიპოვოს თავის წრეში... ვ.ხუროძეს შეუძლია გავლენა მოახდინოს სხვებზე, განსაკუთრებით მაშინ,როცა საქმე ეროვნულ საკითხს ეხება...[6]

მწერლად გახდომის სურვილმა მე ერთბაშად შემიპყრო შემდეგ პირობებში — მოგვითხრობდა ვ.ხუროძე-1900წელს ჟურნალ „ჯეჯილში" ვნახე ახლადგარდაცვლილი გიორგი წერეთლის მშვენიერი სურათი და პოეტი ქალის-განდეგილის მწერლისადმი მიძღვნილი ლექსი:„დიდუბევ,ძველო ტაძარო".

---

6. ქცსა, ფ.121, საქ.740, ფურ.5-6.

ლექსმა და მწერლის ლამაზმა სურათმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და ამ დღიდან მწერლობაზე ვოცნებობდი.

მასწავლებელ ლ.ჩიმაკაძის მიბაძვით დავიწყე სახალხო ლექსების შეგროვება,მერე თარგმნას შეუდექი და მალე ჩემი სახელი და გვარიც ვნახე დაბეჭდილი ჯერ „ჯეჯილში“ და მერე ი.როსტომაშვილის „მოგზაურში“, „მწყემსში“ და „ცნობის ფურცელში“. ამ სამ უკანასკნელ ორგანოში თარგმანები მომითავსეს, ხოლო 1904წ.„ცნობის ფურცლის“ დამატებაში დაიბეჭდა“ პირველი ჩემი ორიგინალური მოთხრობა „დედის მსხვერპლი“.

1904 წელს, სემინარიის კურსის დასრულების შემდეგ, მასწავლებლად გამამწესეს სოფ.მერევში (ჭიათურის რაიონი). ერთი წლის შემდეგ ლანჩხუთში გადამიყვანეს.ეს წლები რევოლუციური წლები იყო. პირველ ხანებში მოუმზადებლობისა და შესაფერისი წრის უქონლობის გამო, არ ვიყავი მაინცდამაინც აქტიური.ლანჩხუთში კი ერთიანად გადავეშვი პოლიტიკურ მუშაობაში.

1907 წლიდან სამი წელი ვმასწავლებლობდი სოფ.შუქრუთის (ჭიათურის რაიონი) შავიქვის მრეწველთა სკოლაში.

1910 წელს კიტა აბაშიძის დახმარებით სწავლის გასაგრძელებლად წავედი მოსკოვში არსებულ ა.შანიავსკის უნივერსიტეტში, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის კურსი დავასრულე 1913 წელს. ამ წლებში გამუდმებით ვეწეოდი რევოლუციურ მუშაობას.

1913 წლის მიწურულში დამატუსაღეს და რამდენიმე თვის პატიმრობის შემდეგ ქალ. ასტრახანში გამგზავნეს“.[7]

ვ.ხუროძე გადასახლებიდან მალე გამოიქცა და ქუთაისში განაგრძობდა არალეგარულ მუშაობას. 1914 წლის შემოდგომაზე დააპატიმრეს და კვლავ ასტრახანში გადაასახლეს, სადაც 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე დაჰყო.

ასე რომ, როდესაც ვარლამ ხუროძე სემინარიაში მოვიდა, როგორც ქართულისა და ისტორიის მასწავლებელი, მას პედაგოგიური მოღვაწეობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების საკმაო გზა ჰქონდა გავლილი. მას სემინარიის დირექტორი ასე ახასი-

---

7. ციტირებულია მიხეილ კეკელიძის სტატიის „ვარლამ მალაქიას ძე ხუროძე (მალაქიაშვილის) მიხედვით, იხ.სგქმსმ,...გვ.275-276.

ათებდა: ვ.ხუროძე, როგორც ყოფილი სახალხო მასწავლებელი, შესანიშნავად ფლობს საგანს და მისი სწავლების მეთოდიკასაც, წარმატებით უძღვება საქმეს, კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას, მომთხოვნი და სამართლიანი პედაგოგია.[8]

სემინარიის ფონდში დაცულია 1917-1918 სასწავლო წლისთვის ვარლამ ხუროძის მიერ შედგენილი ქართული ლიტერატურის პროგრამა. იგი უნდა განვიხილოთ, როგორც რუსულიდან ქართულ სწავლებაზე გარდამავალი პერიოდის სასწავლო დოკუმენტი. სკოლა ქართული გახდა და საჭირო იყო პირობების შემზადება ქართული ენისა და ლიტერატურის საფუძვლიანი სწავლებისათვის. ამ მიზანს ემსახურებოდა ვ.ხუროძის მიერ შედგენილი პროგრამა.[9] სემინარიაში მოღვაწეობის დროს-1920 წელს გამოაქვეყნა მან საყურადღებო ნაშრომი "მეთოდიკა ქართული ენისა, ნაწ.I". (დაიბეჭდა ქუთაისში).

ვ.ხუროძე სემინარიაში დარჩა 1921წლამდე, ხოლო შემდეგ მუშაობა გააგრძელა მის ბაზაზე შექმნილ პედაგოგიურ ტექნიკუმში. 1924წელს საცხოვრებლად გადავიდა თბილისში და წარმატებით გააგრძელა პედაგოგიური და სამეცნიერო-ლიტერატურული მოღვაწეობა.

1918-1921 წლებში სემინარიაში შემოღებულ იქნა ახალი საგნების სწავლება, მაგალითად: ფილოსოფიური პროპოდევტიკა, სამართლის მეცნიერება, კოსმოგრაფია.

სემინარია ქართულ დაწესებულებად გადაიქცა. ამის საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ 1918-1919 სასწავლო წელს სასწავლებელში მოსამსახურე პირთა სიას: ა.აგ.ხარაბაძე-დირექტორი,მასწავლებლები: ვ.დ.ლექვინაძე, ვ.ა.ხუროძე, თ.თ.ჟორდანია, ლ.ს.სუხიაშვილი, ს.ს.ქუთათელაძე, კ.მ.ცაგარეიშვილი, პ.ი.ჩხიკვიშვილი (ექიმი მასწ.) ი.ბ.ყანჩელი (ხელგარჯილობის მასწავლებელი), დ.ა.ფირცხალავა (მოსამზადებელი კლასის მასწ),სემინარიასთან არსებული პირველდაწყებითი სკოლის მასწავლებლები: ნ.ი.შაქაფიძე, ხ.ს.ოგანეზოვი, ვ.თ.მაჭარაძე, გ.ს.ბახტაძე, ე.ლ.ქუთათელაძე (ხელსაქმის მასწ), ანვიაჩ. ჰაუდეკი (მუსიკის მასწ.), პ.ე.დევიძე-ეკონომი, საქმისმწარ-

8. ქცსა, ფ121, საქ.1104, ფურ.2
9. იქვე, საქ.1090, ფურ.21-25.

ქართული ენის

# პროგრამა.

[illegible] [illegible] 1917-1918 სასწავლო წლის განმავლობაში.

ვარლამ ხუროძის მიერ შედგენილი პროგრამა ქართულ ენასა და ლიტერატურაში

[illegible]

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
6. [illegible]
[illegible]
[illegible]
9. [illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
16. [illegible]
[illegible]
18. [illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
22. [illegible]
3. [illegible]
4. [illegible]

25. [illegible]

26. [illegible]

27. [illegible]

28. [illegible]

29 [illegible]

30. [illegible]

31. [illegible]

32. [illegible]

33. [illegible]

34. [illegible]

35. [illegible]

36. [illegible]

37. [illegible]

38. [illegible]

39. [illegible]

40 [illegible]

41 [illegible]

42. [illegible]

43. [illegible]

[illegible]

[illegible]

26. [illegible]

27. [illegible]

28. [illegible]

29. [illegible]

30. [illegible]

31. [illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

მეხუთე კლასი.-

[illegible]



მოებელი, ან.თ.ფანცულია(დურგალი), დ.გორდაძე(მებაღე), მსახურები: აკ.ლორია, ნ.გორდაძე, დ.ქათამაძე, ლ.ამანაძე, ი.ბენიძე, ა.ჩარკვიანი,[10] 1920-1921წლებში ამ შემადგენლობაში ზოგიერთი ცვლილება მოხდა.

სემინარიას უკანასკნელი გამოშვება 1921წელს ჰქონდა, სემინარიის უკანასკნელი კურსდამთავრებულები იყვნენ:[11]

1.გიორგი ნიკოლოზის ძე ბახტაძე
2.იაკობ პლატონის ძე ბახტაძე
3.სერგო იაგორის ძე გეორგაძე
4.გიორგი არსენის ძე გენძეხაძე
5.პოლიკარპე ოლიფანტეს ძე გორდაძე
6.გიორგი ივანეს ძე გორდაძე
7.ნიკოლოზ მიხეილის ძე გორდაძე
8.იასონ ღვინცაძე
9.მიხეილ გიორგის ძე ჟორჟოლიანი
10.მელქისედექ მიხეილის ძე იოსელიანი
11. სიმონ ონისიმეს ძე კაკაბაძე
12. გიორგი ერისტოს ძე კაკაბაძე
13. დავით გიორგის ძე კაკაბაძე
14. ვასილ ალმანასხანის ძე ქვათელაძე
15. ვლადიმერ პავლეს ძე კუპრეიშვილი
16. ივანე კონსტანტინეს ძე ყუფარაძე
17. აბესალომ პავლეს ძე კუჭავა
18. ალექსანდრე მიხეილის ძე მაისურაძე
19. კალის. გრიგოლის ძე მიქაძე
20. სერგო გრიგოლის ძე რუხაძე
21. ნიკოლოზ სამსონის ძე სანოძე
22. ვასილ იოსების ძე სანოძე
23. დავით პოლიკარპეს ძე სიმონიძე
24. ანტონ გიორგის ძე უგრეხელიძე
25. კონსტანტინე ივანეს ძე ხუჭუა
26. დავით სერგოს ძე ცაგარეიშვილი

10. იქვე, საქ. 1114, ფურ., 21-25.
11. იქვე, საქ. 1153, ფურ1-35.

27. კარპოს რომანოზის ძე ჩიხლაძე
28. ალექსანდრე ჩიხლაძე
29. მიხეილ პავლეს ძე შალიკაშვილი

1921-1922 სასწავლო წლიდან საოსტატო სემინარია, თავის არსებობის მეორმოცე წლისთავზე, პედაგოგიურ ტექნიკუმად გადაკეთდა და გააგრძელა წინამორბედი სასწავლებლის მიერ დაწყებული საქმე. პედაგოგიური ტექნიკუმის პირველი გამგე იყო ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ქუთათელაძე (რუსული და ევროპული სიტყვიერების მასწავლებელი), მასწავლებლები და მომსახურე პერსონალი იყვნენ: ვლადიმერ პავლეს ძე ჩხენკელი (ბუნებისმეტყველების მასწავლებელი), პოლიკარპე ივანეს ძე ჩხიკვიშვილი (ქიმი,ჰიგიენის მასწავლებელი), ვარლამ ადამის ძე ხუროძე (ქართული ენის მასწავლებელი), ქსენია ალექსანდრეს ას ჯაში (გერმანული ენის მასწავლებელი), ვლადიმერ ნესტორის ძე ქუთათელაძე (პოლიტიკური ეკონომიისა და იურისპუდენციის მასწავლებელი), ანტონ ვიაჩისლავის ძე ჰაუდეკი (გერმანული ენის მასწავლებელი) ეკატერინე ლავრენტის ას ქუთათელაძე (ხელგარჯილობის მასწავლებელი), პავლე ლუკას ძე ბახტაძე (საბჭოთა ალმშენებლობის საკითხების მასწავლებელი), ვლადიმერ ბესარიონის ძე ბახტაძე (გალობის მასწავლებელი), პროკლე ელისეს ძე დევიძე (საქმეთა მმართველი), მსახურები: ნესტორ გორდაძე, დიმიტრი ქათამაძე, გიორგი ნინუა, იაკობ ბენიძე, დათა გორდაძე, აკაკი ლორია.

ხონის სამასწავლებლო ტექნიკუმმა რამდენიმე ათეული წელი იარსება და საინტერესო გზა განვლო. მაგრამ ეს ახალი თემაა და ცალკე შესწავლას მოითხოვს.

# ხონის საოსტატო სემინარიის ისტორიასთან დაკავშირებული თარიღები

1864 წ.-წარმოიშვა აზრი ქუთაისის გუბერნიაში სამასწავლებლო სემინარიის გახსნის შესახებ.

1867 წ.-ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობამ დააყენა საკითხი სამასწავლებლო სემინარიის გახსნის შესახებ.

1869წ.-ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობამ გაიმეორა თხოვნა მთავრობისადმი სამასწავლებლო სემინარიის გახსნის თაობაზე. ამასთან დაკავშირებით ქუთაისის გუბერნატორმა, გრაფმა ვ.ლევაშოვმა მოხსენებითი ბარათით მიმართა კავკასიის სასწავლო ოლქს.

1870 წ.-ქუთაისის გუბერნატორმა ვ.ლევაშოვმა ქუთაისის გუბერნიაში სამასწვავლებლო სემინარიის გახსნის შესახებ მოხსენებითი ბარათი გაუგზავნა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსს.

1871 წ. 24 მაისი-იმპერატორმა ალექსანდრე II დაამტკიცა „სამასწავლებლო სემინარიების დებულება".

1875 წ. 25 აპრილი-ალექსანდრე II დაამტკიცა სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილება ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის გახსნის შესახებ, სემინარიის დებულება და შტატი.

1876. წ. 12 სექტემბერი-ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარია გაიხსნა გორში.

1879-1880 წწ.-ხონის მოსახლეობის ყრილობამ ორჯერ გამოიტანა გადაწყვეტილება სემინარიის ხონში გახსნის შესახებ

1879 წ. 13 მარტი-კავკასიის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ქუთაისი გუბერნიაში სამასწავლებლო სემინარიის გახსნის შესახებ. იმაზე თუ სად უნდა გახსნილიყო სემინარია ერთმანეთს დაუპირისპირდა ქუთაისი და ხონი

1880 წ. 20 ოქტომბერი-იმპერატორმა ალექსანდრე II დაამტკიცა სახელმწიფო საბჭოს წარდგინება ქუთაისის გუბერნიაში სამასწავლებლო სემინარიის გახსნის შესახებ, სემინარიის შტატი და ბიუჯეტი

1881 წ. 21 თებერვალი-გაზეთ „დროებაში" დაიბეჭდა აკაკი

წერეთლის სტატია, რომელშიაც პოეტმა მხარი დაუჭირა სამასწავლებლო სემინარიის ხონში დაარსებას.

ხონში ჩავიდა კავკასიის სასწავლო ოლქის სპეციალური კომისია, თბილისის სახალხო სკოლების დირექტორის ს.ნ.სტრელეცკის ხელმძღვანელობით

1881 წ. 6 მარტი-კავკასიის მეფისნაცვლის მოადგილემ, თავადმა ლევან მელიქოვმა (მელიქიშვილმა) ხელი მოაწერა გადაწყვეტილებას სამასწავლებლო სემინარიის ხონში გახსნის შესახებ

1881 წლის მარტი-სემინარიის დირექტორად დაინიშნა სერგეი ნიკოლოზის ძე სტრელეცკი. 1884 წლის სექტემბერში გადაიყვანეს გორში.

1881 წ. ივნისი-ივლისის-გაზეთებში: „დროება", „შრომა", „კავკაზ" გამოქვეყნდა განცხადებები სემინარიაში მიღების შესახებ და მისაღები გამოცდების პროგრამები.

1881 წლის 11 ოქტომბერი-საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ხონის სემინარია. ოფიციალური სახელწოდება იყო „ქუთაისის სამასწავლებლო სემინარია" (დაბა ხონში).

1881 წლის 13 ოქტომბერი-ხონის სემინარისში დაიწყო პირველი სასწავლო წელი.

1881-1883 წლები-ანდრია ალექსანდრეს ძე ივანოვმა ააგო სემინარიის ორსართულიანი აგურის შენობა.

1882 წ. თებერვალი-დაარსდა ხონის სემინარიის ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოება

1883 წ. 23 აპრილი-ხონის სემინარიის ღარიბ მოწაფეთა საზოგადოებამ სახსრების შეგროვების მიზნით გამართა ქართული წარმოდგენა აგრ. ვას.ასულ ქუთათელაძის, სვ.პავ-ძე გოგოლაშვილის, პელაგ.ალექ.ასული ნაზარიშვილის, მარიამ გრ.ას.კლდიაშვილის მონაწილეობით.

1883 წ. ნოემბერი-სემინარია შეამოწმა კავკასიის სასწავლო ოლქის ინსპექტორმა ნ.ა.კოროვაევმა.

1884 წ. მაისი-სემინარიამ გამოუშვა სახალხო მასწავლებელთა პირველი ნაკადი.

სექტემბერი-სემინარიის დირექტორად დაინიშნა პავლე კირილეს

ძე სოკოლოვი, რეაქციონერი და ქართველთმოძულე. 1894 წელს იძულებული გახდა ხონი დაეტოვებია.

1884 წ. 9 ნოემბერი-სემინარიაში დაიწყო მოსწავლეთა გაფიცვა, რომელიც მიმართული იყო ახალი დირექტორის წინააღმდეგ. მოსწავლეებმა დირექტორს სცემეს.

გაფიცვასთან დაკავშირებით, გუბერნატორის დავალებით ხონში ჩავიდნენ: მაზრის უფროსი, განსაკუთრებულ დავალებათა მოხელე და ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი.

1884 წლის ნოემბერი-სემინარიაში მოსწავლეთა გაფიცვასთან დაკავშირებით ხონში ჩავიდა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი კ.პ.იანოვსკი. სემინარიაში მეცადინეობა განახლდა.

1884 წ. დეკემბერი-მოსწავლეთა ნოემბრის გაფიცვასთან დაკავშირებით სემინარიიდან გაათავისუფლეს ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე არისტო ქუთათელაძე. მონაფეებმა მას, დირექციის წინააღმდეგობის მიუხედავად, საზეიმო გაცილება მოუწყვეს.

1885 წ. 6 აპრილი-სემინარიაში აღინიშნა სლავთა განმანათლებლის კირილესა და მეთოდეს მოღვაწეობიდან ათასი წელი.

1886 წ. 14 ნოემბერი-ჩატარდა ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო.

1887 წ. 6 დეკემბერი-ჩატარდა ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო.

1891 წ. 24 ნოემბერი-სემინარია დაათვალიერა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა კირილე პეტრეს ძე იანოვსკიმ. მას ახლდნენ ინსპექტორი ზავადსკი და ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორი გრიზდოვი

1893 წ. 7 მარტი- დაიწყო მოსწავლეთა გაფიცვა. გაფიცულები მოითხოვდნენ დირექტორის-პ.სოკოლოვის გათავისუფლებას. მოსწავლეებს მხარი დაუჭირეს მშობლებმა და ხონის მოსახლეობამ.

8 მარტი-ქუთაისის გუბერნატორის დავალებით მოსწავლეთა გაფიცვასთან დაკავშირებით ხონში ჩავიდა ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი ლევიცკი.

9 მარტი-მოსწავლეთა გაფიცვასთან დაკავშირებით ხონში ჩავიდა სასწავლო ოლქის მზრუნველის მოადგილე ზავადსკი.

12 მარტი-სემინარიელებმა გაფიცვა შეწყვიტეს.

17 მარტი- გაზ. „ივერიაში" (რედაქტორი ილია ჭავჭავაძე) გამოქვეყნდა ვრცელი კორესპონდენცია ხონის სემინარიის მოსწავლეთა გაფიცვის შესახებ.

1893 წ.-სემინარია მონაწილეობდა ჩიკაგოს საერთაშორისო-მხატვრულ გამოფენაში. გაიგზავნა მოსწავლეთა მიერ შედგენილი ჰერბარიუმები და მინერალების კოლექციები

1894 წ. 26 თებერვალი- ჩატარდა დიდი ლიტერატურულ-ვოკალურ-მუსიკალური საღამო მასწავლებელ ანდრეი სუსლოვის ხელმძღვანელობით

15 მაისი-ჩატარდა ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო. გარკვეული ადგილი დაეთმო ქართულ თემატიკას.

სემინარიის დირექტორად პ.სოკოლოვის ნაცვლად დაინიშნა მიტროფანე ვასილის ძე მოხირი. ხონში დარჩა 1903 წლამდე.

1895 წ. ნოემბერი-სემინარიასთან გაიხსნა საკვირაო სკოლა და მოსამზადებელი კურსები მოზრდილთათვის.

1896 წ. 23 მაისი-სემინარიასთან არსებული ერთკლასიანი სასწავლებელი ორკლასიანად გადაკეთდა.

სემინარია მონაწილეობდა ნიჟნი-ნოვგოროდის გამოფენაში. გაიგზავნა მოსწავლეთა მიერ დამზადებული ნივთები.

1899 წ. 25 მარტი-ჩატარდა ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო

28 მაისი-ჩატარდა ა.ს. პუშკინის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო.

1901 წ. 25 ოქტომბერი-დაიწყო მოსწავლეთა გაფიცვა

27 ოქტომბერი-მოსწავლეთა გაფიცვასთან დაკავშირებით ხონში ჩავიდა სასწავლო ოლქის ინსპექტორი ა.სლავინსკი

28 ოქტომბერი-სემინარიაში მეცადინეობა განახლდა.

1902 წ. 12 დეკემბერი-ჩატარდა ლიტერატურულ-ვოკალურ-მუსიკალური საღამო.

1903 წ. სემინარიის დირექტორად დაინიშნა ვ.დევიცკი.ხონიდან გაიპარა 1905 წ.გაზაფხულზე.

მაისი-სემინარიაში აღმოაჩინეს ბათუმის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის პროკლამაცია და სხვა რევოლუციური შინაარსის ფურცლები.

სემინარიაში ჩატარდა პეტერბურგის დაარსებიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

1904-1909 წლები-მიმდინარეობდა სემინარიის შენობის გაფართოება-რეკონსტრუქციის სამუშაოები

1905 წ. თებერვალი-სემინარიაში აღმოაჩინეს მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციები.

1905 წ. ზაფხული-სემინარიის დირექტორად დაინიშნა გამოჩენილი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ბესარიონის ძე ჭიჭინაძე. 1914 წელს იგი თბილისში გადაიყვანეს.

1909 წ. 24 მაისი-სემინარიაში სტუმრად იყო აკაკი წერეთელი. პოეტი დაესწრო მოსწავლე ვარლამ ძიძიგურის საცდელ გაკვეთილს.

ოქტომბერი-ჩატარდა ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო პოლტავის ბრძოლიდან 200 წლისთავთან დაკავშირებით.

1910 წ. 9 მაისი-სემინარიელებმა მასწავლებელ ანტ. პაუდლის ხელმძღვანელობით ხონში ჩაატარეს დიდი სპორტული ღონისძიება-„გიმნასტიკის დილა", რომლითაც დასრულდა სასწავლო წელი.

ივნისი-მოსწავლეებმა მოაწყვეს ექსკურსია მარშრუტით: ხონი-სამტრედია-ფოთი-ახალი ათონი-ბათუმი-ჩაქვი-ჭიათურა-ქუთაისი-ხონი (ასეთი ექსკურსიები სხვადასხვა მარშრუტით თითქმის ყოველ წელს ტარდებოდა)

სრულიად-რუსეთის პიატიგორსკის გამოფენაზე გაიგზავნა მოსწავლეთა 60-ზე მეტი ნამუშევარი.

სემინარიასთან დაარსდა მუდმივმოქმედი პედაგოგიკური კურსები დაწყებითი სკოლის მასწავლებლებისათვის ორივე სქესის ახალგაზრდობის მოსამზადებლად.

1911 წ. 6 ივნისი-10 ივლისი-სემინარიაში ჩატარდა ქუთაისის გუბერნიის დაწყებითი სკოლების ხელით შრომის მასწავლებელთა კურსები. მას ხელმძღვანელობდა სემინარიის ხელით შრომის მასწავლებელი ვ.ბობრო.

8 ნოემბერი-ჩატარდა მ.ვ.ლომონოსოვის დაბადებიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო.

1912 წ. ნოემბერი-სემინარიის პედაგოგიურმა საბჭომ და მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ცნობილი საზოგადო მოღვაწის ივანე შარაშიძის დაკრძალვაში.

18 დეკემბერი-სემინარიაში ჩატარდა ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექციისა და სემინარიის პედაგოგიური საბჭოს გაერთიანებული თათბირი. სემინარიის პედაგოგიურმა საბჭომ ალ.ჭიჭინაძის მეთაურობით, დაგმო რუსული ენის სწავლების ე.ნ. მუნჯური მეთოდი და მხარი დაუჭირა ი.გოგებაშვილის მთარგმნელობით მეთოდს.

1913 წლის 31 მარტი-ჩატარდა ლიტერატურული დილა ლ.ჩიმაკაძის ხელმძღვანელობით

6 დეკემბერი-ჩატარდა ლიტერატურული დილა ლ.ჩიმაკაძის ხელმძღვანელობით

1914 წ. ზაფხული-სემინარიაში სტუმრად იყო ცნობილი მხატვარი-მოგზაური სტეფანე უვაროვი. მან წაიკითხა ორი ლექცია ხელოვნებაზე

სემინარიის დირექტორად დაინიშნა ვლადიმერ გაბრიელის ძე პავლოვსკი. იგი ხონში დარჩა 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ რევოლუციამდე.

დეკემბერი-პირველი მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით სემინარია ევაკუირებულ იქნა ქ.გეორგიევსკში. ხონში დარჩა სემინარიასთან არსებული დაწყებითი სასწავლებელი. სემინარიაზე პასუხისმგებლობა დაეკისრა ლავრენტი ჩიმაკაძეს.

1915 წლის 21 დეკემბერი-სემინარიაში ჩატარდა ქუთაისის გუბერნიის დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა წარმომადგენლების კრება, რომელზედაც სემინარიის მასწავლებელმა ხ.ოგანეზოვმა წაიკითხა მოხსენება ო.ოცხელის მიერ ქართული სკოლებისათვის შედგენილი რუსული ენის სახელმძღვანელოს „ნოვოე სლოვოს" შესახებ. კრებას ესწრებოდა კავკასიის სასწავლო ოლქის ინსპექტორი სლავინსკი. მოხსენებაში უპირატესობა ი.გოგებაშვილის სახელმძღვანელოს „რუსსკოე სლოვოს" ეძლეოდა.

1916 წ. 19 თებერვალი-ჩატარდა დიდი ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო სამ განყოფილებად. I განყ. დ.კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება" (დადგმა ათ.ხარაბაძისა), II განყ. ალ.კრასნიკოვის „რუსეთის არწივები" და III მისივე „რუსი ჯარისკაცები" (ეს ორი დადგა ანტ. პაუდეკმა).

9 მაისს-აღინიშნა კუზმა მინინის ხსოვნის დღე.

1917 წ.14 ივლისი-გამოიცა კანონი საშუალო სპეციალური სასწავლებლების, მათ შორის ხონის სემინარიის, საშუალო ტიპის სასწავლებლად გამოცხადების შესახებ. ამასთან დაკავშირებით გაიხსნა მეოთხე დამამთავრებელი კლასი და სემინარიამ სრული საშუალო სასწავლებლის სახე მიიღო.

ზაფხული-სემინარიის დირექტორად დაინიშნა ათანასე გაბრიელის ძე ხარაბაძე. ამ თანამდებობაზე იმყოფებოდა 1921 წლამდე.

1918 წ. 13 სექტემბერი-საქართველოს ეროვნულმა საბჭომ და საქართველოს რესპუბლიკამ მიიღეს კანონი თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის, გორის, ხონის და სოხუმის სემინარიების ქართულ სახელმწიფო სკოლებად გამოცხადების შესახებ. სემინარიას ეწოდა „ხონის საოსტატო სემინარია".

1918-1919 სასწავლო წლიდან განხორციელდა ქალ-ვაჟთა ერთად სწავლება, გაიხსნა ძირითადის პარალელური კლასები.

1921 წლის მაისი-სემინარიამ დაწყებითი სკოლის მასწავლებელთა უკანასკნელი ნაკადი გამოუშვა.

1921-1922 სასწავლო წლიდან-სემინარია პედაგოგიურ ტექნიკუმად გადაკეთდა.

Петре Вачридзе

# Хонская учительская семинария (1881-1921 г.г.)

## Резюме

Хонская учительская семинария была основана в силу утвержденного императором Александром II, 20 октября 1880 года мнения Государственного Совета и открыта 13 октября 1881 года. Официально она называлась "Кутаисская учительская семинария в местечке Хони". Семинария готовила учителей для сельских начальных школ. Делу обучения и воспитания будущих педагогов служили выпускники Московского, Петербурского, Харьковского, Новороссиского университетов и других лучших высших учебных заведений Российской Империи.

Семинария состояла из четырех классов - трех основных и одного приготовительного, при чем приготовительный класс не стоял особняком от основных классов, но представлял как бы первый класс семинарии.

Желающие посутпить в семнарию подвергались экзаменам по программе курса двухклассных сельских училищ МНП России.

Воспитаники семинарии делились на казеннокоштные, своекоштные и приходящие. Они в семинарии получали не только прочное теоретическое знание, но и серьезную практическую закалку в будущей професии. Воспитанники педагогиечскую практику проходили и давали т.наз. пробные уроки в существовавшем с этой целью при семинарии начальном училищем.

Семинария готовила своих воспитанников и для практической жизни. Большое внимание уделялось ручному труду, ознакомлению основ сельского хозяйства, пчеловодству, разным видам ремесла (переплетничеству, токарно-столярному делу). В учебном процессе семинарии важное место занимало: спортивное и музыкальное воспитание. В семинарии систематически устраивались спортивные и литературно-музыкальные мероприятия.

Семинария была построена, приблизительно на базе

шестиклассного городского училища. Срок обучения был трехгодичный или четырехгодичный. Кто начинал с приготовительного класса, он обучался 4 года, а кто с 1-го класса 3 года. В семинарии молодые люди обучались со всего Кавказа.

Семинария имела отличную материально-техническую базу -с точки зрения архитектуры красивое здание (было выстроено в 1881-1883 г.г., а перестроено и расширено в 1904-1909 г.г.), оснощенное всеми необходимыми: кабинетами, лабораториями, мастерскими, фундаментальной и ученической библиотеками, естественно-историческим музеем, спортивным залом, инструментами для ученического оркестра и т.д.

Бюджет и штат семинарии был утвержден императором Александром II.

Семинария (с пансионом) была русским государственным училищем, призванным воспитывать будущих педагогов в духе верности царскому самодержавию. Но она не оправдана надежды царизма. Семинария сыграла важную роль в национально-совободительном движении грузинского народа. Она была рассадником прогорессивных педагогических идей в Западной Грузии. Часть педагогов и воспитанников семинарии принимала активное участие в общественном движении в Грузии. Наиболее плодотворным периодом в истории семинарии были те годы, когда во главе ее стояли известные грузинские педагоги: Алексей Чичинадзе (в 1905-1914 годах) и Афанасий Харабадзе (в 1917-1921 годах).

В 1918 году, после восстановления независимой национальной государственности Грузии, было ведено обучение на грузинском языке и стали принимать желающих получить начальное педагогическое образование представителей обоего пола.

Хонская учительская семинария сыграла значительную роль в культурной жизни Грузии. В ее стенах получили образование видные деятели грузинской науки, культуры, литературы, искуссива, народного образования и общественного движения. В том числе: В.Беридзе, Л.Боцвадзе, В.Хуродзе, И.Николаишвили, В.Дзидзигури, Т.Табукашвили, Л.Хмаладзе, Л.Чимакадзе, Г.Бо-

керия, М.Гобечия, И.Гулисашвили, К.Кацарава, Е.Шарашидзе, Е.Цагареишвили, А.Чхетия, А.Шубладзе, С.Гогличидзе, Д.Томашвили и др.

В 1921 г. на базе Хонской учительской семинарии был создан педагогической техникум.

Petre Vachridze

# Khoni Teacher-training Seminary (1881-1921)

## Resume

Khoni Teacher-training Seminary, the official name of which was "Kutaisi Teacher-training Seminary in Khoni", was opened on October 13, 1881. It trained highly qualified teachers for the country primary schools.

Special attention was given to the teaching of the fundementals of agriculture, such as silkworm breeding, skills in workmaship, gardening, bee-keeping, etc. Special attention was also laid on young people's physical, aesthetic and musical training.

The duration of study was three or four years. The graduates of the Seminary worked as teachers at primary schools in the Caucasus.

The Seminary popularized progressive pedagogical issues in West Georgia. The most fruitful in its history was the period when its directors were such famous Georgian teachers, as Aleksi Chichinadze (1905-1914) and Atanase Kharabadze (1917-1921).

The teachers as well as the Seminary students took an active part in the political and social life of Georgia. A lot of representatives of Georgian Literature, science, art, public education and social movement got their education in this seminary.

Khoni Teacher-training Seminary was one of the best secondary pedagogical institution in the whole Russian Empire. Based on it Khoni Pedagogical Technical College was formed in 1921.

# წყაროები და ლიტერატურა

## I წყაროები

### A. გამოუქვეყნებელი


1. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (სცსსა) ფონდი № 12-კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმმართველის კანცელარია

№ 13-კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარია

№ 422-კავკასიის სასწავლო ოლქი

2. ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (ქცსა)

ფონდი № 121-ქუთაისის სამასწავლებლო სემინარია (დაბა ხონში)

№ 8-ქუთაისის საგუბერნიო მმართველობა

3. ქუთაისის ნ.ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრთფიული მუზეუმი. 9170-სახალხო განათლების ფონდი.

### B. გამოქვეყნებული

1. ძიძიგური ვ. გზები და ადამიანები, თბ. 1965

2. ბოკერია გ. ავტობიოგრაფია, მოგონებები, გაზ. „განათლების მუშაკი" 1928, №12; გაზ. „სახალხო განათლება" 1947, №13

3. იოვიძე ა. იაკობ გოგებაშვილი, დოკუმენტები, თბ. 1951

4.Сборник распоряжений непечатнных в циркулярах по упровлению Кавказским учебным округом, Третье пятилетие 1877-1881, Тиф. 1891

5. Сброник распоряжений...Пятое пятилетие 1887-1891 г.г. г. II, Тиф.1892

6. Сборник распоряжений...за 1872-1876 г.г.

7. Сборник распоряжений...за 1910 г.

8. Сброник распоряжений...за 1913 г.

9. Циркуляр по упровлению Кавказким учебным округом за 1901 г. Тиф. 1901 г.

10. Отчет Попечителя Кавказкого учебного округа о состоянии учебных заведении за 1880 г. Тиф. 1881

11. Отчет...за 1885 год. Тиф. 1886.

12. Отчет...за 1886 год. Тиф. 1887.

13. Отчет...за 1891 год. Тиф. 1892.

14. Отчет...за 1897 год, Тиф. 1897.

15. Отчет...за 1901 год. Тиф 1901.

16. Отчеты...от 1901-по 1915 год.

17. Статистические сведения к отчету о состоянии учебных заведений Кавказкого учебного округа за 1889 г. Тиф. 1890.

18. Кавказский календарь 1882 по 1916 год.

19. Рудольф, Н.Ф. Обзор деятельности Кавказского учебного округа 1908-1912 г.г. Тиф. 1914.

29. Словинский А. Закавказская учительская (в г.Гори) семинария на юбилейной выставке в Тифлисе осенью 1901 г. Тиф. 1901

## II ლიტერატურა*

1. ბახტაძე, გ. ა.ვ. ჰაუდეგი, ჟურ. „სკოლა და ცხოვრება", 1960. №11

2. ბოცვაძე, ლ. პედაგოგიური თხზულებანი, თბ. 1982

3. გაგუა, ვ. სახალხო განათლება მე-19 საუკუნის რეფორმის შემდგომ საქართველოში, თბ. 1974

4. გოგებაშვილი, იაკობ, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, თბ. 1977

5. დადიანი, შალვა,რაც გამახსენდა, თბ. 1959

6. ვაჭრიძე, პეტრე, ხონის ისტორიიდან, თბ. 1999

7. ვაჭრიძე, პეტრე, გაფიცვა ხონის სემინარიაში და ილია ჭავჭავაძე, ჟურ. „სკოლა და ცხოვრება", 1971, №11

8. თავზიშვილი, გიორგი, სახალხო განათლება და პედაგოგიური

*ბიბლიოგრაფიაში საგაზეთო პუბლიკაციები არ შეგვიტანია

იდეები XIX ს. 60-იანი წლების საქართველოში, რჩეული პედაგოგიკური თხზულებანი, ტ,II, თბ. 1977.

9. თავზიშვილი, გიორგი, სახალხო განათლება და პედაგოგიკური აზროვნების ისტორია საქართველოში 1801-1870 წწ, რჩეული პედაგოგიკური თხზულებანი, ტ.I, თბ. 1874

10. თავზიშვილი, გიორგი, ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარია ქ.გორში, რჩეული...ტ.III, თბ. 1980

11. თავზიშვილი გიორგი, ლუარსაბ ბოცვაძის პედაგოგიური იდეები, რჩეული... ტ.III...

12. თავზიშვილი გიორგი, პედაგოგიური განათლება და მასწავლებლობა XIX საუკუნის პირველი ნახევრისა და 60-იანი წლების საქართველოში, პედაგოგიკა, I, თბ. 1944

13. იოსელიანი, თინა, ხონის სემინარიის დაარსების საკითხისათვის, ჟურ. კომუნისტური აღზრდისათვის, 1956, №11

14. იოსელიანი, თინა, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება ქუთაისის სამასწავლებლო სემინარიაში, იქვე, 1959. №1

15 კეკელიძე, მიხეილ, გორის სამასწავლებლო სემინარია, თბ. 1955

16. რამიშვილი ვალერიანე, ანდრო შუბლაძე, თბ. 1978

17. სარიშვილი ტიტე, ლუარსაბ ბოცვაძის ცხოვრება და მოღვაწეობა, სტალინირი, 1950

18. სიმონია მიხეილი, საშუალო პედაგოგიური განათლება საქართველოს რესპუბლიკაში, თბ. 1957

19. ფაილოძე, ა. ივანე შარაშიძე, თბ. 1990

20. ქაჯაია, ვ. ალექსი ჭიჭინაძე, შრომების კრ. „სახალხო პედაგოგები", თბ. 1955

21. ცაიშვილი, ს. სახალხო განათლების მოღვაწეები, თბ. 1954

22. ჭკუასელი, ი. ლუარსაბ ბოცვაძე, თბ. 1954

23. ხუნდაძე ტრ. ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში, თბ. 1939

24. ხუნდაძე ტრ. ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში (XIX ს.), თბ. 1951

25. ხუროძე, ვარლამ, კრიტიკული წერილები, 1986

26. ხუროძე, ვარლამ, მეთოდიკა ქართული ენისა, ნაწ. I, ქუთ. 1920

27. ხუროძე, ვარლამ, განაკვეთი ქართულ ენაში (მეთოდური წერილი), ტფ. 1930

28. ხუროძე, ვარლამ, ხალხური ზეპირსიტყვიერება საშუალო სკოლაში, ტფ. 1936

29. ჯანგველიძე, ნ. პედაგოგიური განათლების სასწავლებლები საქართველოში XIX ს. 60-70-იან წლებში, თბილისის პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ.V, თბ. 1948

## ხონის სემინარიის მასწავლებლებსა და კურსდამთავრებულებზე კრებულში-სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები-გამოქვეყნებულია შემდეგი ნარკვევები

### კრებული პირველი, თბილისი 1953.

1. მ.კეკელიძე-გიორგი უთურგაული
2. ვ.ქაჯაია-ტრიფონ თაბუკაშვილი
3. ვ.ქაჯაია- ალექსი ჭიჭინაძე
4. ს.ცაიშვილი-ალექსანდრე ჩხეტია
5. ს.ცაიშვილი-ერმილე შარაშიძე
6. არ.ხუნდაძე-ლუარსაბ ბოცვაძე

### კრებული მეორე, თბილისი 1955

1. მ.კეკელიძე-არისტო ქუთათელაძე
2. უშ.ობოლაძე-ლაზარე ხმალაძე
3. უშ.ობოლაძე-დომენტი ოყრეშიძე (თომაშვილი)
4. ს.ცაიშვილი-მელიტონ გობეჩია
5. არკ.ხუნდაძე-იასონ ნიკოლაიშვილი

კრებული მესამე, თბილისი 1968 წ.

1. ნ.დიდიძე-თორნიკე გეგეშიძე
2. ვ.კახიძე-ვუკოლ ბერიძე
3. მიხ.კეკელიძე-ვარლამ ხუროძე (მალაქიაშვილი)
4. ი.მალაზონია-ლავრენტი ჩიმაკაძე
5. მ.მაჭავარიანი-გრიგოლ ბურჭულაძე
6. მ.მაჭავარიანი-იერემია გულისაშვილი
7. ს.ცაიშვილი-გიორგი ბოკერია
8. ტრ.ხუნდაძე-ანდრო შუბლაძე

## პირთა საძიებელი*


აბაშიძე ვ. - 101,194
აბაშიძე კ. - 54,199
აბდუშელიშვილი აბ. - 105
აბდუშელიშვილი დ. 68, 86, 90,169,171
აგათია სქოლასტიკოსი - 12,13
აბულაძე ა. - 195
ადამია ა. - 106
აეტი - 17
ავდაშკევიჩი მ. - 95
ალექსანდრე I - 133
ალექსანდრე II - 4, 33, 190
ალექსანდრე III 116
ალიხანოვ-ავარსკი - 76
ამანაძე ლ. - 209
ამაღლობელი ი. - 145
ამირანაშვილი შ. 17
ანდრიაძე კ. - 167
ანდრეევი ა. - 91
ანჯაფარიძე აკ. - 106
ანტონ კათალიკოსი - 31
აპოლონიოს როდოსელი - 16
არაყიშვილი დ. 147
არევაძე ვ. - 194
არეშიძე ვლ. - 154
აღმაშენებელი დ. - 132
აშორტია ფ. 105
ახვლედიანი ვ. - 194
ბაგრატ დიდი - 133
ბაგრატ ალექსანრეს ძე - 18
ბაგრატ III - 132
ბაგრატ IV - 132
ბაგრატიონი ვახ. 15
ბალანჩივაძე ვ. - 27
ბალანჩივაძე მ. - 147
ბალანჩივაძე ალ. - 153
ბარათაშვილი ნ. - 124
ბარამია იპ. 193
ბარაბაძე ივ. - 149
ბარბაქაძე ფ. - 149
ბართაია ს. - 192
ბარაჩი გ. 92
ბაქრაძე დ. - 17
ბახტაძე ალ. 191
ბახტაძე გ. - 10, 106, 147
ბახტაძე გ.ნ. - 208
ბახტაძე გ.ს. - 200
ბახტაძე დ. - 10,152
ბახტაძე ე. - 138
ბახტაძე ეკ. - 28
ბახტაძე თ. - 103
ბახტაძე ილ. - 27,29
ბახტაძე იას. - 105
ბახტაძე კ.ე. - 192
ბახტაძე კ.ა. - 192
ბახტაძე ვ. - 209
ბახტაძე ვ. 191,192
ბახტაძე კ. 153
ბახტაძე მ. - 10, 28, 29, 94
ბახტაძე ლ. 191
ბახტაძე მარ. 115
ბახტაძე ნ. 106


* შეადგინა ლეილა ნვერავამ

ბახტაძე პ.მ. - 192
ბახტაძე ი.ჰ. - 208
ბახტაძე პ.ა. - 191
ბახტაძე ს. - 106, 115, 176
ბახტაძე სევ. - 106,116,192
ბახტაძე სპ. - 195
ბახტაძე პ. - 209
ბახტაძე შ. - 10
ბახტაძე - 174
ბალათურია პ. - 194
ბენაშვილი ა. 102
ბენიძე ი. - 209
ბეჟანეიშვილი ი. - 167
ბერეკაშვილი დ. - 102
ბეჟანია მ. - 103
ბერიძე არისტ. - 176
ბერიძე ვუკ. - 5, 158, 172, 180
ბერულავა კ. - 181, 193
ბერძენიშვილი ნ. - 98, 221
ბერნო კ. - 86, 93
ბარკალაია კ. - 103
ბლუაშვილი დ. - 194
ბიტაროვი ევგ. - 105
ბლაჟევსკი კ. - 88
ბობრო პ. 138,139, 167
ბოგოლიუბოვი ბ. - 93
ბოკერია გ. - 5, 9, 64, 65, 85, 86, 87, 94, 99, 102, 148, 169, 176
ბოცვაძე ლ. - 5, 74, 102, 148, 157
ბროსე მ. - 17
ბუაჩიძე თ. - 159
ბურჯანაძე მ. 152
ბურლიაევი ნ. - 58
ბურჭულაძე გ. - 28,77,91,92
ბუტირკინი ვ. - 93
გაბისონია ა. - 152
გაბრიელი ეპისკ. - 95
გაბუნია კ. - 194
გაგუა ვ. - 102,188
გაიოზ რექტორი - 31
გამბა, ჟ. - 15
გამრეკელი ნ. - 15,16
გარაყანიძე კ. - 86, 94
გარიცკი ა. - 172
გარშკოვა რ. - 6
გასიევი ან. - 152, 153,
გაჩეჩილაძე ალ. - 105
გაჩეჩილაძე - ბ. - 103
გაჩეჩილაძე ი. - 154
გეგენავა ივ. - 137
გეგენავა გრ. - 152
გეგეშიძე თ. - 159
გელენიძე ვ. - 193
გეგეჭკორი რ. - 106,116
გენძეხაძე გ. - 208
გენძეხაძე შ. - 192
გვილავა ესტ. - 195
გვარაძე ნ. - 27, 28
გვაზავა ნ. - 196
გიორგი წმ. - 13
გიორგი ლაშა - 132
გიორგი II - 132
გიორგი III - 132
გიორგი VII - 133
გიორგი XI - 133
გიულდენშტედტი ა. - 15, 18

გიორხელიძე დ. 193
გლინკა - 148
გოგუაძე ვ. - 192
გოფოძე ვ. 192
გოგია ი. - 152
გობეჩია ვ. - 159
გობეჩია მ. - 90, 158, 159
გოგლიჩიძე ს. 5, 9, 64, 65, 103, 148
გოგოლაშვილი შ. - 28
გოგოლაშვილი ი. - 167
გოგოლაშვილი სვ. - 211
გოგოლი - 66, 78
გოგიძე მ. - 167
გოგებაშვილი ი. - 8, 62, 86, 124, 157,164, 167
გოგუაძე ა. - 101, 163, 165
გორგაძე - ს. 133
გორდაძე დ. - 208, 209
გორდაძე გ. - 208
გორდაძე ნ. 208, 209
გორდაძე პ. - 208
გორდულაძე ს. - 95
გორდეევი დ. - 17
გოთუა პ. - 77
გოლენკო - კ. 13
გოპაძე ი. - 106
გოცირიძე ფ. 102
გულისაშვილი ი. - 9, 152
გულისაშვილი ე. - 5, 66, 86, 89, 153, 159
გურამიშვილი დ. 129
გურული პ. 103
გრიგოლაშვილი მიტ. - 25
გრიბოედოვი - 149
გრიზდოვი ვ. - 152, 212
დადიანი შ. - 63, 64
დადიანი ნ. - 45
დავით გიორგის ძე - 18
დავით რექტორი - 31
დავით კურაპალატი - 132
დივარი სპ. - 34
დანელია ე. 194
დადუნაშვილი ლ. - 194
დარსაველიძე ეგ. - 152
დიდიშვილი ვ. - 193
დევიცკი ვ. 62, 72, 97, 123, 147, 184, 185
დევიძე პ. - 200, 209
დემეტრე I - 132
დემეტრე თავდადებული - 132
დომაშევსკი ვ. - 92, 101, 150
დოლიძე ი. - 185, 195
დოროხინი ან. - 105
დგებუაძე ფ. - 105
დმიტრიევი ნ. - 91
დრევინი ნ. - 92
ელისაშვილი ი. - 195
ენუქიძე ს. 167
ერისთავი დ. - 27
ერისთავი გ. - 22
ერისთავი რ. - 25, 148
ერისთავი თორ. 132
ერშოვი ევგ. 94
ვახტანგ გორგასალი - 132
ვახტანგ სჯულმდ. - 133
ვაჭრიძე პ. - 179
ვესელოვზოროვი მ. 93

ვლადიმირი - 46
ზავადსკი - 173, 176, 178, 212
ზაალიშვილი მ. - 94
ზაგოროდნი ივ. - 105
ზემსკი მ. - 95
ზვერევი ი. - 91, 94
ზოტოვი ე. - 101
ზოტოვი ა. - 91
ზუხბაია ე. - 196
თაბუკაშვილი ტრ. 5, 77, 91, 97, 98, 103, 160
თაბუნიძე დ. - 105
თავზიშვილი გ. - 10, 31, 33
თათარაშვილი მ. - 154
თარანოვი ალ. - 94
თარგამაძე ვ. - 101
თარგამაძე პ. - 149
თამარ მეფე - 132
თაყაიშვილი ექვთ. - 17
თებზაია ვ. - 115
თომაშვილი დ. - 148, 159
თოფურიძე კ. - 102
თუთარაშვილი ა. - 196
იანოვიჩი ვ. - 88, 101, 163, 165
იანოვსკი კ. - 41, 177
იაროსლავი - 56
ივანოვი ა. - 101, 186
ივაშჩენკო პ. - 102
იოანე III - 56
იოსელიანი მ. - 208
იოსელიანი თ. - 10, 35, 124
იოსელიანი ივ. - 194
იოსელიანი კ. 115
იოვიძე ა. - 164, 221
ილუშინი ლევ - 102
ილუშინი ი. - 172
ირაკლი მეფე - 133
ირემაძე ბ. - 193
ინჯია კ. - 10
იუსტინიანე - 13
კაკაბაძე ს. - 17, 208
კაკაბაძე გ. - 194
კაკაბაძე კ. - 115
კაკაბაძე ვლ. - 103
კაკაბაძე პლ. - 26
კაკაბაძე პარასკ. - 194
კაკაბაძე დ. -
კალაძე ს. - 192, 169
კალოევი მ. - 105
კალანდარიშვილი თ. - 105
კალანდარიშვილი დ. - 102
კანდელაკი ევ. - 103
კარეევი - 28
კარიშევი ს. - 95
კარელინი კ. - 101
კარტოზია ვლ. - 194
კაკუშაძე ნ. - 167
კახაძე ი. - 103
კაზახოვი კ. - 172
კაპანაძე დ. - 19
კაჭახიძე ნ. - 149
კეკელიძე მ. 10, 65, 67, 89, 94, 123
კეთილაძე ლ. - 115, 116
კეზევაძე მ. - 6
კეშელავა პლ. - 149
კლდიაშვილი დ. - 27, 149, 215
კლდიაშვილი გრ. - 211

კლოჩკოვი თ. 152
კნიაზევი ნ. - 95
კვიცარიძე ივ. 193
კვანტალიანი გრ. 195
კიკალიშვილი პ. 112, 181
კიკნაძე ბ. 154
კიასოვი - 152
კირეევი ნ. 165
კიტია დ. 152, 154
კინმარიშვილი ე. - 28
კობახიძე მ. - 115
კონოვალოვი - 187
კონსტანტინე I - 133
კოპალიანი ილ. 149
კოპალეიშვილი ხ. - 196
კოროვაევი ნ. - 211
კორძახია მ. 154
კორძახია გ. 176
კუტივაძე ე. 196
კუპრეიშვილი დ. 150
კუპრეიშვილი ვ. - 208
კუჭავა ა. 208
კრასნიკოვი ალ. - 149
კრასნოვიდოვი ვ. 91
კრილოვი - 66
კრინინი მ. 94
კრუპსკი ნ. 78, 164, 165
ლომონოსოვი მ. 149
ლომთაძე ი. 86, 94, 95
ლომთაძე კ. 106, 115
ლორთქიფანიძე კ. - 63
ლორია აკ. 209
ლომკაციშვილი ნ. 105
ლაბაძე ვ. 103
ლაბაძე ა. - 167
ლაგვილავა ლ. 194
ლაგვილავა ტ. 150
ლაგვილავა ე. 196
ლასხიშვილი გ. - 53
ლაშხი ნ. - 152
ლევიცკი - 79, 94, 178
ლევაშოვი ვ. - 32
ლეჟავა მ. - 193
ლექვინაძე ვ. 200
ლერმონტოვი მ. 4, 148
მაისურაძე ლ. - 102
მაისურაძე ა. - 208
მამფორია ილ. - 28
მამაცაშვილი კონსტ. 43
მამალაძე ს. - 28
მამულია ს. - 159
მალაზონია ი. 99
მალაქიაშვილი ვ. - 197, 198, 199
მალაფეევი ნიკ. - 41
მარლანია დ. 103
მარშანია კ. - 176
მარგიანი დ. - 152, 154
მარჩენკო ს. - 149, 150
მარსოვი - 36
მაჩიტიძე ნ. 105
მაჭარაძე კ. - 28
მაჭარაძე ე. 95
მაჭარაძე ვლ. 106
მაჭარაძე ვ. - 200
მაჭავარიანი ალ. 102
მაჭავარიანი მ. 91
მაჭარაძე მ. 193, 194
მაჭარაძე მიტრ. 152

მახარაძე ლავ. 152
მახარაშვილი ა. 105
მდინარაძე ს. 105, 169
მგელაძე ალ. 105
მდივანი პ. - 27
მებურიშვილი ვ. 152
მებუკე ს. 194
მებუკე მიხ. 27
მებუკე აკ. 115
მებუკე ვლ. 155
მებუკე ეკ. 106, 116
მებუკე დ. - 28
მელიქოვი თ. 47
მელიქოვი ლ. - 211
მელნიკოვი მ. 105
მელაძე პ. 196
მესხი მ. - 196
მესხი ნ. - 105
მესხი კ. 28
მესხია შ. 14
მესხიშვილი ლ. - 27
მოლიერი - 27
მოხირი მ. - 62, 68, 69, 72, 86, 92, 136, 148, 164, 180
მიქაძე კ. 151, 208
მიქელაძე შ. - 29
მიქელაძე ალ. - 152, 153
მიქაბერიძე ალ. 154
მიქიაშვილი ვ. 167
მთავრიშვილი თ. - 133
მურავიოვი ალ. 15
ნადარეიშვილი ლ. 180, 181
ნადირაძე გრ. 196
ნაკაშიძე მ. 92
ნაროუშვილი ამბ. - 192
ნაზარიშვილი დ. - 45
ნაზარიშვილი პ. - 211
ნარხოვი ნ. - 101
ნიკოლაძე ნ. - 22, 23, 29, 62, 90
ნიკოლაევი ალ. - 77, 79, 80, 98
ნიკოლაიშვილი ი. - 5, 103, 159
ნინო წმინდა - 4, 46, 139
ნინუა გ. - 209
ნუცუბიძე ი. - 87
ნუცუბიძე შ. - 87
ობოლაძე უშ. 98
ოდილავაძე მაქს. - 138
ოგანეზოვი ხ. - 166, 167, 200
ორბელიანი ვახ. - 148
ორბელიანი გრ. - 124
ორბელიანი ს. - 66
ორჯონიკიძე ს. 102
ოტროშკევიჩი ვ. 91
ოსტროუხოვი ი. - 152
ოსტროვსკი ა. 27
ოყრეშიძე დ. - 5, 148, 159
ოცხელი ი. - 133
ოცხელი ს. - 166, 167
პავლოვი გრ. - 101, 150
პავლოვსკი ვლ. 62, 83, 101, 186
პასხალოვი ი. 88, 94
პეტროვი ი. - 86, 87, 123, 147, 152
პოპოვი ალ. 152
პომპეუსი - 14
პროკოპიევი ვ. 92, 94
პუშკინი ა. 4, 148, 149

პერტახია მ. - 194
უიგაჩევი ვ. - 91
ჟორდანია თ. - 16, 200
რამიშვილი ვ. - 197
რამსეს II - 15,16
რაზუვანოვი ნ. - 101
რატიანი პ. - 193
რევია ა. - 195
როდონაია ე. - 154, 177
როდამიშვილი პ. - 149
როსსიკოვი კ. - 92
როსტომაშვილი ი. - 199
როტენკო ნ. - 152
რომანოვები - 56
რუსუდანი დედოფალი - 132
რუსთაველი შ. - 124
რუდოლფი ნ. - 98
რუხაძე ს. - 208
რუხაძე გრ. - 194
რუხაძე დომ. - 195
რუხაძე ვარ. - 195
რიკჰოფი ი. - 18
საакაძე გ. - 133
საბანიძე ი. - 4
სანაძე ვ, - 152
სანოძე ნ.- 149, 208
სანოძე ქ. -149
სანოძე ნად. - 106
სანოძე იაგ.- 115
სანოძე ან. - 115
სანოძე გ. - 19, 193
სანოძე მ. - 22, 180
სანოძე ვ. - 208
სანიკაია ონ. - 152
სავინი პ. - 176
სავიჩი - 87
სალაძე დ. - 106
სალამთაძე აბ. - 149
სალარეიშვილი აკ. - 115
საძაგლიშვილი კ. - 133
სესოტრისი, ფარაონი - 16
სიგუა იპ. - 195
სიგუა ალ. - 197
სიდოროვი ალ. - 105
სიმონიძე მ. - 11
სიმონიძე დ. - 208
სლავინსკი ა. - 181
სოკოლოვი პ. - 53, 62, 67, 88, 90, 93, 95, 99, 116, 117, 120, 123, 147, 168, 169, 171, 173, 176
სოლომონ I - 18
სოლომონ II - 18
სოლომონ მეფე - 133
სოლომონოვსკი - 123
სმირნოვი ა. - 88
სმირნოვი კ. - 165
სმეკალოვი - 168
სტეფანე წმ. - 13
სტროშნენკო გრ. - 152
სტროევი გ. - 92, 94
სტრელეცკი ს. - 45, 47, 48, 62, 64, 65, 66, 86, 88
სულაკოვი - 87
სუსლოვი ა. - 24, 149
სულაძე მ. - 101
სულხანიშვილი ნ. - 147
სუხიშვილი ლ. - 200

სუნდუკიანცი გ. - 27
სულუხია ს. - 149
ტაბიძე მ. - 101
ტაბიძე ვარ. - 193
ტატიშვილი ი. - 106
ტერ-გასპარიანი გ. - 165
ტოლოჩანოვი ნ. - 14
ტროფიმოვი ვ. - 101, 165
ტროე ვ. - 32
ტროიცკი ნ. - 95
ტუზოვი ანდ. - 152
ტუღუში ალ.- 194
ტყემალაძე ა. - 152, 159
ტყემალაძე ვ. - 103
უგულავა ჯ. - 6
უგრეხელიძე ა. - 208
უვაროვი ს. - 150
უთურგაური გ. - 88, 89, 90, 94, 115, 124, 171, 175, 176
ურუიმგოვ ხ. - 103
უსინოვი - 184
უსლარი პ. - 163
უშინსკი კ. - 31, 86
ფაილოძე ა. - 17, 46, 47
ფანცულაია ან. - 208
ფანცულაია ან. - 138
ფანცულაია შ. - 150
ფანცულაია ვ. - 150
ფალიაშვილი ზ. - 147
ფარნავაზ მეფე - 132
ფარულავა ილ. - 106
ფარულავა გ. - 152
ფარცხალაძე მ. 193
ფარცხალაძე ნ. 101
ფაღავა ი. - 103
ფერაძე გ. - 106
ფირცხალავა ს. - 25
ფირცხალავა დ. - 154, 200
ფოცხიშვილი დ. - 154
ფოცხვერაშვილი კ. - 77
ფურცელაძე ი. - 106, 116
ფურცელაძე ვას. - 194
ქათამაძე დ. - 208, 209
ქაჯაია ვ. - 83, 98
ქაცარავა კ.- 5, 159
ქაცარავა აკ. - 194
ქავთარია აპ. - 195
ქავთარაძე ს. - 77
ქირია ალ. 196
ქორიძე ფ. - 23
ქორქია ალ. - 152
ქორჩილავა ვლ. - 195
ქორელი მ. - 28
ქორქაშვილი ლ. - 186
ქორქაშვილი აგრ. - 106
ქვარიანი ს. - 133
ქვათელაძე ვ. - 208
ქუთელია კ. - 167
ქუთათელაძე ა. - 7, 68, 86, 88, 89, 124, 169, 171
ქუთათელაძე ალ. - 103
ქუთათელაძე გ. - 106
ქუთათელაძე ს. - 149
ქუთათელაძე ე. - 200, 209
ქუთათელაძე ი. - 105, 115
ქეთათელაძე აგრ. - 211
ქუთათელაძე შ. 115
ქუთათელაძე პ. - 47

ქუთათელაძე პლ. - 115
ქუთათელაძე ივ. - 115
ქუთათელაძე ლ. - 115
ქუთათელაძე ნ. - 115, 149, 150
ქუთათელაძე თ. - 193
ქუთათელაძე ვ. - 209
ქუთათელაძე ევგ. - 57
ქურდია კაპ. - 195
ღამბაშიძე ტ. - 105
ღამბაშიძე ს. - 176
ღვინცაძე ონ. - 106
ღვინცაძე ი. - 208
ღოღობერიძე ბ. - 34
ღოღობერიძე ს. - 176
ღოღობერიძე ვლ. - 105
ღურწკაია ვ. - 103
ყალაბეგაშვილი ალ. - 28
ყაითმაზიშვილი ფ. - 31
ყანჩელი ი. - 200
ყაუხჩიშვილი თ. - 17
ყაზახიშვილი კ. - 103
ყარამახმუდოვი ნ. - 152
ყიასაშვილი პ. - 94
ყიასაშვილი ლ. - 5, 99
ყიფიანი გრ. - 133
ყიფიანი ს. - 133
ყუფარაძე პ. - 193
ყუფარაძე ი. - 115
შავდია ვ. - 27
შალიკაშვილი მ. - 209
შალიკაშვილი ვ. - 28
შამათავა კალ. - 193
შანიავსკი ა. - 199
შაჰ-აბასი - 133
შამათავა მ. - 115
შაფაქიძე ნ. - 101, 165
შარაშიძე ე. - 5, 105
შარაშიძე ივ. - 22, 28, 29, 45, 46, 159
შეშილაძე მოხ. - 195
შეშილაძე ვლ. - 167
შეიხოვი ს. - 167
შველიძეები - 27
შუბლაძე ა. - 5, 159
შკურკო გ. - 94, 100
შონია კ. - 105
შოშინი გ. - 94, 100
შჩეპანსკი ა. - 176
ჩაკვეტაძე ი. - 88
ჩაკვეტაძე ვ. - 194
ჩარკვიანი ა. - 208
ჩახვაძე ზოს. - 195
ჩახნაშვილი არჩ. - 105
ჩაფიძე ნ. - 196
ჩერნიკოვი პ. - 152
ჩერედნიჩოკი ზ. - 138
ჩემია მიხ. - 195
ჩელიშევი პ. - 172
ჩერენიშევი პ. - 103
ჩირგაძე ილ. - 193
ჩირგაძე ოლ. - 194
ჩირგაძე პ. - 196
ჩიჩუა ვ. 195
ჩიტია ირ. -196
ჩიმაკაძე ნ. - 180
ჩიმაკაძე ლ. - 5, 28, 80, 99, 101, 103, 148, 163, 165, 186
ჩიხლაძე კლ. - 10, 209

ჩიჯავაძე ანტ. - 18, 25
ჩომახიძე შ. - 193
ჩუბინაშვილი გ. - 16
ჩხენკელი ს. - 106
ჩხენკელი ვ. - 209
ჩხეტიძე მ. - 18
ჩხეტია ა. - 5, 149, 159
ჩხეტია კ. 154
ჩხიკვიშვილი პ. - 27, 28, 29, 77, 93, 94, 101, 165, 200, 209
ცაგარელი ა. - 27
ცაგარეიშვილი ბ. - 80
ცაგარეიშვილი გ. - 194
ცაგარეიშვილი ე. 5, 28, 94, 100
ცაგარეიშვილი კ. - 208
ცაგარეიშვილი დ. - 209
ცაგარეიშვილი ალ. - 193
ცაგურია გ. - 149
ცაიშვილი ს. - 100, 159
ცინცაძე ს. - 152
ცხაკაია ივ. - 152
ცხაკაია ლ. - 194
ცხაკაია ვას. - 195
ცხადაძე პ. - 103
ძიძიგური ვარ. - 5, 9, 25, 46, 57, 58, 72, 74, 75, 76, 78, 80, 82, 85, 86, 91, 92, 93, 97, 99, 100, 135, 136, 158, 168, 170
მონწონელიძე ი. - 167
წერეთელი აკ. - 27, 32, 42, 62, 63, 86, 124, 136
წერეთელი ივ. - 180, 181
წერეთელი ტ. - 103
წერეთელი გ. - 22, 23, 29, 38, 198
წერეთელი ოლ. - 27
წერეთელი დ. - 106
წერეთელი ნ. - 22
ნივნივაძე დ. - 103
ნივნივაძე გ. - 10
ნივნივაძე კ. - 167
ნივნივაძე მ. - 115
ნივნივაძე პ. - 115
ნვერავა მ. - 193
ნითლაძე არ. - 152
ნილოხანი კ. - 102
ნულუკიძე ეფრ. - 63
ნულუკიძე გ. - 166
ნულუკიძე ს. - 63
ნულუკიძე ალ. - 11, 79
ჭავჭავაძე ალ. - 11
ჭავჭავაძე ი. - 62, 63, 75, 86, 178, 179
ჭავჭანიძე ი. - 138
ჭავჭანიძე ან. - 115
ჭავჭანიძე მინ. - 194
ჭანტურია გრ. 152
ჭანიშვილი იაკ. - 194
ჭანია ვ. - 152
ჭელიძე მ. - 29, 194
ჭელიძე ნიკ. - 194
ჭიჭინაძე ალ. - 5, 8, 28, 72, 74, 75, 76, 77, 79, 80, 82, 83, 91, 92, 99, 135, 136, 150, 157, 160, 161, 165
ჭიჭინაძე ეფ. - 28, 73
ჭკუასელი ი. - 157

ჭუმბურიძე ს. 105
ხაბურძანია ზ. 176
ხანძთელი გრ. 4
ხანდოლოვ ს. 103
ხალაიჩევი ივ 127
ხაჟომია გ. 101, 165
ხარაბაძე ათ. 5, 7, 88, 101, 124, 133, 149, 200
ხარაბაძე გალ. 195
ხარაბაძე გრ. 193, 200
ხახანაშვილი, ა. 133
ხვარავა ბ. 103
ხმალაძე ლ. 94, 98, 102, 148
ხონელი შ. 25
ხონელი მ. 18
ხონელი ს. 6
ხოციატოვსკი ი. 92
ხოფერია ერმ. 195
ხუნდაძე, ტრ. 9, 11, 66, 67, 83
ხუროძე ნ. 194
ხუროძე რ. 6
ხუროძე ვ. - 5, 7, 100, 181, 197, 198, 199, 200
ხუნდაძე სილ. 133
ხუნდაძე ო. 102
ხუჭუა კ. 208
ჯანჯღავა 195
ჯანგველიძე ნ. 11
ჯაში ქ. 209
ჯაში ერ. 102
ჯგვიშია ტ. 103
ჯიკაევი ი. 103, 172
ჯორბენაძე მარკ. 102
ჯორბენაძე ს. 103
ჯორბენაძე კ. 149
ჯორბენაძე ხ. 195
ჯორბენაძე შ. 195
ჯოხიძე ნ. 194
ჯოხიძე კ. 193
ჯუღელი გ. 152
ჰაუდეკი ა. 3, 86, 101, 140, 146, 150, 189, 197, 200, 209
ჰეროდოტე - 16

# წიგნის სპონსორი – ჯემალ უგულავა

ჯემალ ვლადიმერის ძე უგულავა დაიბადა 1943 წელს ხონში ქალაქის პირველი საშუალო სკოლის რვა კლასის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა და დაამთავრა ხონის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ტექნიკუმი, შემდეგ კი თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნოლოგიის ინსტიტუტი.



შრომითი საქმიანობა დაიწყო 1962 წლიდან. ნიჭიერი, ენერგიული და საქმის მცოდნე სპეციალისტი მალე დაწინაურდა. ბატონი ჯემალის ხელმძღვანელობით თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე აშენდა და 1990 წელს ფუნქციონირება დაიწყო მსოფლიო სტანდარტების დონეზე მოწყობილმა სამკურნალო-გამაჯანსაღებელმა კომპლექსმა „სავანემ"

1992 წელს ჯემალ უგულავას თბილისის გარეუბანში, გამოეყო 500 ჰექტარი ფართობი, რომელზეც მან დააარსა საქართველო-ავსტრიის ერთობლივი საწარმო.

ჯემალ უგულავა საქართველოს მეწარმეთა კავშირის წევრია და აქტიურად იბრძვის ქართული ჭეშმარიტი ბიზნესის დამკვიდრებისა და განმტკიცებისათვის.

ჯემალ უგულავა თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედია. საქართველოში მის მსგავს ადამიანზე იტყვიან მადლიანი კაციაო. სულხან-საბა ორბელიანის გან-

მარტებით „მადლი ესე არს, რომელმან არცა ნაცვლისგებისათვის, არცა მოყურობისათვის, არცა შიშისათვის, არცა სიყვარულისათვის კეთილი და ქველი საქმე ქნან. დიდი საბას ეს სიტყვები ზუსტად მიესადაგება ბატონ ჯემალს, რომლისთვისაც „კეთილი და ქველი საქმის ქნა“ ცხოვრების წესი, მოღვაწეობის პრინციპია. იგი არასოდეს არაფერს არ აკეთებს იმისათვის, რომ შემდეგი შესაბამისი ნაცვალგება ეძიოს და მოითხოვოს. განგებამ იგი მოძმეთა თანადგომისა და შეჭირვებულთა დახმარების ნიჭით დააჯილდოვა.

მან პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძესა და აკადემიკოს ირაკლი ციციშვილთან ერთად დიდი ღვაწლი დასდო ხონის წმინდა გიორგის განთქმული ეკლესიის გახსნის საქმეს. ეკლესია ბოლშევიკებმა გააუქმეს და მასში საწყობი იყო მოთავსებული. მანვე სოლიდური თანხა გაიღო ეკლესიის სარესტავრაციო სამუშაოებისა და კეთილმოწყობისათვის. ჯემალ უგულავას ფინანსური მხარდაჭერით ივანე შარაშიძის ფონდმა ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა. ხონის ახალგაზრდობა დიდ კმაყოფილებას გამოთქვამს ქალაქის სტადიონისადმი მისი ყურადღების გამო.

ჯემალ უგულავას ქველმოქმედების ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა აფხაზეთიდან გადაადგილებული რვა ოჯახი რომ ცხოვრობს „სავანეში“ მისი მზრუნველობით და თანადგომით.

იგი დიდ დახმარებას უწევს თბილისის „სათნოების სახლს“ ასოციაცია „კათარზისის“ პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ჯემალ უგულავას „სათნოების სახლის“ საპატიო ლეგიონერის წოდება აქვს მინიჭებული.

მართალია, დიდი ხანია ბატონი ჯემალი თბილისში ცხოვრობს და მოღვაწეობს, მაგრამ ერთი წუთითაც არ მოსწყვეტია მშობლიური ქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებას. მას ეკუთვნის გამოთქმა: – „ხონი ჩემი საფიცარია“. ამიტომ

არის, რომ მასთან კაბინეტში ხშირად იყრიან თავს „თბილისელი ხონელები" და მსჯელობენ, თუ როგორ დაეხმარონ მშობლიურ ქალაქს, რომელიც ახლა სერიოზულ სიძნელეებს განიცდის.

ბატონი ჯემალი მეცნიერებისა და კულტურის მუშაკთა დიდი მეგობარია. მისი სპონსორობით დაიბეჭდა პეტრე ვაჭრიძის ვრცელი მონოგრაფია „ხონის ისტორიიდან", ავთანდილ ფაილოძის შრომა „ხონის თეატრი". ამჟამად ცნობილი მეცნიერის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ რამაზ ხუროძისა და ჯემალ უგულავას თაოსნობით იბეჭდება მონოგრაფია ხონის საოსტატო სემინარიის შესახებ.

სახარების ერთ-ერთი ფუძემდებლური სენტენციაა „საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენ". სწორედ მისმა საქმეებმა გამოაჩინა ბატონი ჯემალ უგულავა, როგორც ულალატო, თავის ქვეყანასა და ხალხზე შეყვარებული კაცური კაცი.

## შინაარსი

წინასიტყვაობა....................................................................3

შესავალი..........................................................................7

ა) წყაროები........................................................................7

ბ) ლიტერატურა......................................................................9

თავი პირველი ფურცლები ხონის ისტორიიდან........................12

თავი მეორე სამასწავლებლო (საოსტატო) სემინარიის დაარსება ხონში..........................................................................30

1. ქუთაისის გუბერნიაში სამასწავლებლო სემინარიის გახსნის საკითხი და ქართველი საზოგადოებრიობა........................30

2. სამასწავლებლო (საოსტატო) სემინარიის გახსნა ხონში...........47

3. სემინარიის სახელწოდება ..........................................53

4. სემინარიის პროფილი და სტრუქტურა..................................54

თავი მესამე ხონის სამასწავლებლო სემინარია 1881-1917 წლებში ..........................................................................61

1. სემინარიის დირექტორები ...........................................61

2. მასწავლებელთა შემადგენლობა .......................................83

3. სემინარიის მასწავლებლები სემინარიის კურსდამთავრებულები ...........................................................97

4. დამხმარე პერსონალი 101

5. მოსწავლეთა შემადგენლობა 102

6. სემინარიის მოსწავლეთა ყოფაქცევის წესები 117

7. სასწავლო პროცესი 121

ა) თეორიული საგნები. პროგრამები 121

ბ) პედაგოგიური პრაქტიკა. საცდელი გაკვეთილები................. 133

გ) პრაქტიკული ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება ....................................................................137

დ) მოსწავლეთა ფიზიკური და ესთეტიკური აღზრდა ..............139

8. სემინარიის კურსდამთავრებულები ..........................................151

9. ხონის სემინარია საშუალო პედაგოგიკური განათლების ცენტრი ქუთაისის გუბერნიაში..............................................159

10. ა) ბრძოლა სემინარიაში არსებული რეჟიმის წინააღმდეგ ......................................................................................168

ბ) 900 - იანი წლების საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების გამოძახილი სემინარიაში ....................................................................................................180

11. სემინარიის ევაკუაცია გეორგიევსკში პირველი მსოფლიო ომის დროს ..............................................................................185

12. სემინარიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ...........................186

**თავი მეოთხე** ხონის სემინარია 1917 1921 წლებში .......191

ხონის საოსტატო სემინარიის ისტორიასთან დაკავშირებული თარიღები...........................................................210

რეზიუმე (რუსულ ენაზე) ..........................................................217

რეზიუმე (ინგლისურ ენაზე)........................................................220

წყაროები და ლიტერატურა ......................................................221

პირთა საძიებელი.............................................................................226

წიგნის სპონსორი ჯემალ უგულავა ...........................................237

*Вачридзе Петре*

# *Хонская учительская семинария (1881-1921)*

*Vachridze Petre*

# *Khoni Teacher-training Seminary (1881-1921)*

პირობითი ნაბეჭდი თაბახი 14,75. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12. გარნიტურა კოლხეთი. ბეჭდვა ოფსეტური. შეკვეთა № [illegible]

სტუ-ს სტამბა, თბილისი, კოსტავას 75